საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

რ. ღამბაშიძე

ქართული საველო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები

თბილისი
„მეცნიერება"
1986

81. 2 Г р
ღ 206

ნაშრომი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც ეძღვნება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემებს. წიგნში მოცემულია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, მისი შემდგომი განვითარების გზები და ძირითადი ლინგვისტურ-მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნასა და განვითარებას ჩვენში.

ნაშრომი განკუთვნილია ენათმეცნიერ-ტერმინოლოგებისათვის და ტერმინოლოგიურ ლექსიკოგრაფიაში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
დ. მელიქიშვილი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი კ. დანელია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ლ. გელენიძე

ღ 4602000000 91—86
M 607 (06)—86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

წინასიტყვაობა

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ტერმინოლოგიის პრობლემების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერების თეორიული და პრაქტიკული საკითხების გასარკვევად.

მონოგრაფია მიზნად ისახავს გააშუქოს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლინგვისტური პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მიზნით ნაშრომში მიმოხილულია ენათმეცნიერების თეორიის ზოგადი საკითხები, კერძოდ, ტერმინის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშნის, მისი რაობისა და ფუნქციების, ტერმინთა სემასიოლოგიური ანალიზის, მათი გენეზისის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები. გარკვეულია ტერმინოლოგიის, როგორც საერთო ენის ქვესისტემის ადგილი თანამედროვე სალიტერატურო ენის სტრუქტურაში. ნაშრომში ვრცლადაა გათვალისწინებული საბჭოთა ტერმინოლოგიური სკოლის წარმომადგენლების, წამყვან მეცნიერთა კვლევის შედეგები.

წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითად საკითხებს. გაშუქებულია გასული საუკუნეების მოღვაწეთა ლექსიკოგრაფიულ-ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა, მიმოხილულია მოკლედ იმ საუკუნეების ისტორიულ-კულტურული ვითარება, ძირითადი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური მიზეზები, რომელთაც განაპირობეს ჩვენში მდიდარი ტერმინოლოგიური ლექსიკის შექმნა და განვითარება. განსაკუთრებით დეტალურადაა შესწავლილი საბჭოთა პერიოდი (1921 წლიდან), როდესაც ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და სისტემატური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა დაიწყო საქართველოში. კონკრეტულადაა აღწერილი ის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ მუშაობას ჩვენში.

ნაშრომში გაშუქებულია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზისა და ძირითადი წყაროების, — თანამედროვე ქარ-

თული სალიტერატურო ენის, ძველი ქართულისა და ქართული ენის დიალექტების, — როლი ტერმინოლოგიზაციის პროცესებში, უცხო ენებიდან ტერმინების სესხების საკითხები, ტერმინების მიგრაციასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენები, სესხების გზები და ტრადიციები.

ვრცლადაა დამუშავებული ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების საკითხები, ინვენტარიზებულია ტერმინოლოგიის ძირითადი ენობრივი საშუალებები და ხერხები. მიღებულია სათანადო დასკვნები, რომელთა თანახმად ტერმინოლოგია, რომელიც სალიტერატურო ენის ბაზაზეა აღმოცენებული და მასთან საერთო გენეტური არხებითაა დაკავშირებული, სცილდება ამ საერთო ენის განვითარების ტრადიციულ გზებსა და დამოუკიდებელ ადგილს იჭერს სალიტერატურო ენის სტრუქტურულ სისტემაში.

დასასრულ, ავტორი უღრმეს მადლობას უხდის წიგნზე გაწეული ზრუნვისა და დახმარებისათვის გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერებს |აკად. არნ. ჩიქობავას| და აკად. ქ. ლომთათიძეს, რომელთა სახელებთანაცაა დაკავშირებული ტერმინოლოგიის დარგის განვითარების დღევანდელი დონე ჩვენში.

თავი პირველი

ტერმინოლოგიის ლინგვისტური პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

ტერმინოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ერთ-ერთი შედარებით ახალი დარგია და მოიცავს ინტელექტუალურ სფეროში ადამიანის მოღვაწეობის ყველა უბანს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ტერმინოლოგია მრავალმხრივი შესწავლის ობიექტია. მას სწავლობენ და იკვლევენ სხვადასხვა ასპექტით კონკრეტული დარგის წარმომადგენლები, ტერმინოლოგიის უშუალო „მომხმარებლები“: ტექნიკოსები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, იურისტები, ეკონომისტები, ენათმეცნიერები, ლოგიკოსები, ფსიქოლოგები და სხვ.

ჩვენი კვლევის საგანს ტერმინოლოგიის ლინგვისტური პრობლემატიკა წარმოადგენს, რომელიც საკითხების ფართო წრეს მოიცავს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ტერმინთა გენეზისის, მათი სტრუქტურის, სემანტიკური ანალიზის, ლექსიკური საყრდენების, სიტყვაწარმოებითი ხერხებისა და საშუალებების, ტერმინოლოგიური ნორმისა და მრავალი სხვა საკითხის ქართული ენის მასალაზე შესწავლასა და გარკვევას გულისხმობს.

იმისათვის, რომ წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი ეს ამოცანა, საჭიროა ვიქონიოთ მტკიცე თეორიული ლინგვისტური ბაზა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გავარკვიოთ ტერმინისა და ტერმინოლოგიის არსის ზოგადი თეორიული საფუძვლები.

ტერმინი როგორც ენობრივი ნიშანი და მისი ფუნქციები

ტრადიციულად მიღებული განმარტების მიხედვით, ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტებს შორის ურთიერთგაგებინებას გარკვეული დარგის ფარგლებში. ტერმინთა ერთობლიობას ტერმინოლოგია ეწოდება[1].

---

[1] სიტყვა „ტერმინოლოგიას“ მეორე მნიშვნელობაც აქვს. იგი ამავე დროს ცოდნის იმ დარგს აღნიშნავს, რომელიც ტერმინებს შეისწავლის.

ასეთ განმარტებას შევხვდებით სახელმძღვანელოებში, ზოგჯერ სპეციალურ ლიტერატურაშიც კი. მაგრამ, თავისთავად ცხადია, ტერმინისა და ტერმინოლოგიის ასეთი შეფასება მეცნიერული თვალსაზრისით ამომწურავი არ შეიძლება იყოს. დღეს ტერმინისა და ტერმინოლოგიის საკითხი ენათმეცნიერების თეორიის ერთ-ერთ რთულ და საკამათო პრობლემადაა ქცეული. ამიტომაცაა, რომ ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინის რაობის შესახებ სხვადასხვა დეფინიციას ვხვდებით, ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხველსაც კი.

საკმარისია, დავასახელოთ ვ. დანილენკოს ნაშრომის ის ადგილი, სადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინის „განსაზღვრებათა რეკორდული ციფრია“ მოყვანილი[2]. ეს ციფრი შეიძლება კიდევ უფრო გაზრდილიყო, თუ მას დავუმატებდით დღეს ენათმეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულ ყველა თვალსაზრისს ტერმინთა რაობის, ბუნებისა და ფუნქციების შესახებ[3].

---

[2] იხ. Даниленко В. П. Русская терминология. М., 1977, с. 83—85.

[3] იხ. Пиотровский Р. Г. К вопросу об изучении термина. — Ученые записки ЛГУ, № 161. Серия филол. наук, вып 18, 1952, с. 21—36; Кузькин Н. П. К вопросу о сущности термина. — Вестник Ленинградского университета, 1962, № 20, Серия инст. языка и литературы, вып. 4, с. 136—146 (ეს შრომა იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორი თავს უყრის სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა თვალსაზრისს და ახდენს მათ ციტირებას. დასახელებულია ს. ასკოლდოვი, ე. გალკინა-ფედორუკი, ა. სანკინი, ს. ბურდინი, ს. ბარაკი, ე. ამოსენკოვა, რ. ინფანტიევა, ნ. ლევინსკი, ო. დობროვოლსკი-დოლივო, ა. აქსიონოვი, ვ. ულიანოვი და სხვები). Бергер М. Г. Лингвистические требования к термину. — РЯШ, 1965, № 3, с. 64—68; Моисеев А. И. Что такое термин и терминология? (к проблеме внутрилингвистических критериев термина). — Программа и тезисы докладов к седьмой научно-методической конференции. Ленинград, 1965, с. 15—17; Капанадзе Л. А. О понятиях «термин» и «терминология». — Развитие лексики современного русского языка. М., 1965, с. 75—85; Кузьмина Н. Б. К определению специфики термина (на материале современной лингвистической терминологии). — Проблемы белорусской филологии. Минск, 1968, с. 33—35; Петушков В. П. Термин и язык. — Научный симпозиум. Семиотические проблемы языков науки, терминологии, информатики, ч. 2. М., 1971; Хаютин А. Д. Термин, терминология, номенклатура, Самарканд, 1971 (учебное пособие); Красней В. П. О специфике и анализе термина. — Методы изучения лексики. Минск, 1975, с. 186—200; Коготкова Т. С. Слово в терминологическом и нетерминологическом применении.—Русская речь, 1975, № 1; Filipec J. Relevante Terminusmerkmale und einige Möglichkeiten ihrer Bearbeitung durch technische Mittel.—Wiss. Itachr. Techn. Univers. Dresden, 1975, 24, Ig., № 6, ss. 1249—1252; Котелова Н. З. Семантическая характеристика терминов в словарях. — Проблематика определений терминов в словарях разных типов. Ленинград,

გამოჩენილი რუსი ენათმეცნიერი გ. ვინოკური, უდარებს რა ტერმინს ჩვეულებრივ სიტყვას, აღნიშნავს: „ტერმინები განსაკუთრებული სიტყვები კი არაა, არამედ განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვებია. ეს განსაკუთრებული ფუნქცია, რომელშიაც გვევლინება სიტყვა როგორც ტერმინი, არის ფუნქცია დასახელებისა. ყოველი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა რაიმე საგნის დასახელებაა. ამ ფუნქციით გვხვდება ხშირად ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვებიც და . ეს ყოფითი სიტყვებიც შეიძლება იყოს ტერმინები. მაგრამ არის არსებითი სხვაობა ყოფით ტერმინსა და სამეცნიერო-თეორიულ ტერმინს შორის. ყოფითი ტერმინი საგნის დასახელებაა მაშინ, როდესაც სამეცნიერო-თეორიული ტერმინი აუცილებლად ცნების დასახელებაა“[4].

ტერმინის დასახასიათებლად საინტერესოა გ. ვინოკურის მომდევნო მსჯელობაც: „ცალკეული ტერმინები ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ. ეს უბრალო თავმოყრა არაა სიტყვებისა, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთმანეთთან მეზობლობაში და რომელთაც არაფერი აქვთ საერთო, გარდა გარეგნული ანბანური კავშირისა, როგორც ეს ლექსიკონებშია. ერთი წრის ტერმინების საგნობრივ მნიშვნელობებს შორის ჩნდება გარკვეული სემასიოლოგიური კავშირები და ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ქმნის გარკვეულ სისტემას, რომელშიც შეიძლება დავადგინოთ ზოგი კანონზომიერება“[5].

გ. ვინოკურის ამ მსჯელობებიდან შემდეგი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს: 1. ტერმინები განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვებია. 2. ტერმინებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ყოფითი ტერმინები, რომ-

---

1976, с. 30—44; Гречко В. А. Каким должен быть термин. — Актуальные проблемы лексикологии и словообразования. 1976, вып. 5, с. 98—103; Маркарова К. С. О сущности термина. — Ученые записки Аз. пед. инста, Русский язык и лит-а, 1977, № 2, с. 87—92; Ревуцкий О. И. О языковой природе термина. — Исследования по лексике и грамматике. Минск, 1979 და ა. შ.

ტერმინის განმარტების მრავალვარიანტულობის შესახებ მეტად საინტერესო ჩანს ჩეხი მეცნიერის შრომა—R. Kocourek, Termin a jego definice• „Ceskc slovenský terminologický časopis“. Ročnik IV, № 1, 1965 (ვიმოწმებ ვ. კულებაკინისა და ი. კლიმოვიცკის შემდეგი სტატიის მიხედვით: «Работы по построению научно-технической терминологии в СССР и Советская терминологическая школа». — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 19).

[4] Винокур Г. О. О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии. — Труды Московского Института истории, философии и литературы, т. 5, 1939, с. 5—6.

[5] იქვე, გვ. 6—7.

ლებიც საგნის აღმნიშვნელად გვევლინება, და საკუთრივ სამეცნიერო ტერმინები, რომლებიც ცნებას გამოხატავს; 3. ტერმინოლოგია უბრალო თავმოყრა კი არაა სიტყვებისა, არამედ გარკვეული სემასიოლოგიური კავშირების წყალობით ერთი მთლიანი სისტემაა, სადაც ხერხდება კანონზომიერებათა დადგენა.

ტერმინისა და ტერმინოლოგიის შესახებ არსებული ლიტერატურიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს ა. რეფორმატსკის შრომა[6], რომელიც მთლიანად ტერმინის ცნების თეორიული არსის გარკვევას ეძღვნება. რეფორმატსკი კრიტიკულად განიხილავს ვინოკურის იმ განმარტებას, სადაც ნათქვამია, რომ ტერმინის განსაკუთრებული ფუნქცია დასახელებაა.

რეფორმატსკის აზრით, ეს არაა საკმარისი ტერმინის დასახასიათებლად. მას მიაჩნია, რომ: 1. ნომინაციური ფუნქცია, ანუ ფუნქცია დასახელებისა — ეს არა მხოლოდ ტერმინების საერთო ფუნქციაა, არამედ ყველა სიტყვისა, და რომ 2. ნომენკლატურა, გაცილებით უფრო ნომინაციურია, ვიდრე ტერმინოლოგია[7].

რეფორმატსკის აზრით, ყველაზე არსებითი ტერმინისათვის მაინც ისაა, რომ ისინი დაკავშირებულები არიან მეცნიერების ცნებებთან და სიტყვიერად გამოხატავენ ამ ცნებათა სისტემას, და რომ ტერმინოლოგია — ესაა მეცნიერების, ტექნიკის, პოლიტიკის, ანუ ინტელექტუალურად ორგანიზებული სოციალური სინამდვილის თვისება.

ტერმინის ცნებასთან მიმართების საკითხზე მსჯელობისას რეფორმატსკის „ტერმინოლოგიური ველის“ ცნება შემოაქვს. მისი აზრით, ყოველი ტერმინი ერთ გარკვეულ ცნებას უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ ეს შესაბამისობა ერთი ტერმინოლოგიის, ერთი დარგის ფარგლებში უნდა იყოს გამოხატული.

საილუსტრაციოდ რეფორმატსკი ტერმინ „речь“-ს (მეტყველებას) განიხილავს, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა დარგშია გამოყენებული: ენათმეცნიერებაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, მედიცინაში, ტექნიკაში. აქვე გვაძლევს ამ ტერმინის განსაზღვრებას თითოეული დარგის მიხედვით[8], რაც თვალსაჩინოდ ავლენს ამ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობასა და მის სხვადასხვა ცნებასთან მიმართებას. ტერმინ речь-ის შესახებ ასეთი ვრცელი ექსკურსის შედეგად რეფორმატსკი ასკვნის, რომ, თუმცა ტერმინი სემანტიკურად პარადიგმატულია, მაგრამ ერთი რომელიმე დარგის ტერმინოლოგიის ფარგლებში ყოველი ტერმინი ერთ გარკვეულ ცნებასთანაა დაკავშირებული.

---

[6] Реформатский А. А. Что такое термин и терминология. — Вопросы терминологии. М., 1961, с. 46—54.

[7] იქვე, გვ. 48.

[8] იქვე, გვ. 49—51.

აი, სწორედ ტერმინის ხმარების თითოეული ეს არე, პარადიგმატიკის ეს რგოლი, განსხვავებული სხვადასხვა დარგის მიხედვით, ავტორის მიერ ტერმინოლოგიურ ველადაა წოდებული. „ველი ტერმინისათვის — ეს მოცემული ტერმინოლოგიაა, რომლის მიღმა ტერმინი კარგავს თავის თვისებას"[9].

ტერმინის დეფინიციურ ფუნქციას უსვამს ხაზს ვ. ვინოგრადოვი. იგი აღნიშნავს: „სიტყვა ასრულებს ნომინაციურსა და დეფინიციურ ფუნქციას, ე. ი. არის ან ზუსტი აღნიშვნის საშუალება — მაშინ ის უბრალო ნიშანია, ან ლოგიკური განსაზღვრების საშუალება — მაშინ ის სამეცნიერო ტერმინია"[10]. თითქმის იმასვე იმეორებს კ. ლევკოვსკაიაც: „ტერმინები ჩვეულებრივი სიტყვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მათ აქვთ არა მხოლოდ ნომინაციური ფუნქცია (ე. ი. ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის აღნიშვნის ფუნქცია), რომელსაც ენაში სხვა სიტყვებიც ასრულებენ, არამედ დეფინიციური ფუნქციაც (სათანადო ცნებათა განსაზღვრის ფუნქციაც)[11].

ტერმინის შესახებ საინტერესოა ვ. დანილენკოს ფორმულირებაც: „ტერმინი საერთო-სალიტერატურო ენის სიტყვისაგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ ტერმინის შინაარსი ვლინდება დეფინიციის საშუალებით, ე. ი. იმ ზუსტი და ლოგიკური განსაზღვრის გზით, რომელიც ადგენს ამ ტერმინით დასახელებული ცნების არსებით ტერმინოლოგიურ ნიშნებს. საერთო-სალიტერატურო სიტყვის მნიშვნელობა კი განისაზღვრება მისი ლექსიკური მნიშვნელობით, რომელიც არ გულისხმობს დასახელებული საგნის, მოვლენისა და ა. შ. აუცილებელი და საკმარისი განმასხვავებელი ნიშნების ლოგიკურ გამოყოფას"[12]. ცოტა ქვევით ავტორი დასძენს: „სემანტიკური თვალსაზრისით ტერმინი და საერთო-სალიტერატურო სიტყვა განსხვავდება ერთმანეთისაგან მნიშვნელობის „მოცულობით". ტერმინი, როგორც წესი, საერთო-სალიტერატურო სიტყვასთან შედარებით სემანტიკურად უფრო კონკრეტიზებულია და დავიწროებული"[13].

ტერმინის ბუნებისა და სტრუქტურის შესახებ ღრმა თეორიული ანალიზი აქვს მოცემული ცნობილ რუს მეცნიერს დ. ლოტეს მონოგრაფიაში „Основы построения научно-технической терминологии".

---

[9] Реформатский А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[10] Виноградов В. В. Русский язык. М., 1947, с. 12—13.

[11] Левковская К. А. Теория слова, принципы ее построения и аспекты изучения лексического материала. М., 1962, с. 196—197.

[12] Даниленко В. П. Лингвистическое изучение терминологии и культура речи. — Актуальные проблемы культуры речи. М., 1970, с. 308.

[13] იქვე, გვ. 309.

M., 1961[14]. წიგნი ძირითადად ეძღვნება ტერმინების შერჩევის, ცნებათა დეფინიციის, ტერმინებისა და ტერმინოლოგიური სისტემების აგების ძირითად პრინციპებს[15], იძლევა ტერმინთა თითქმის ამომწურავ სემანტიკურ დახასიათებას და აჩვენებს ტერმინოლოგიის ტიპურ ნაკლოვანებებს.

ბუნებრივია, გარკვეულ ადგილს უთმობს თვით ტერმინისა და ტერმინოლოგიის რაობის საკითხებსაც.

ლოტე მიიჩნევს, რომ ტერმინის დახასიათებისას არ შეიძლება დასახელების ფუნქციით შემოფარგვლა. არც ცნებასთან შესატყვისობა მიაჩნია მას საკმარის მონაცემად ტერმინის ბუნების შესაფასებლად. მთავარი, ლოტეს თვალსაზრისით, ტერმინისა და ტერმინოლოგიის სისტემური ხასიათია.

„სამეცნიერო ტერმინოლოგია, — წერს ლოტე, — უნდა წარმოადგენდეს სიტყვათა არა უბრალო ერთობლიობას, არამედ გარკვეული წესით ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა ან შესიტყვებათა სისტემას და ამაშია სწორედ ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება „უბრალო“ ტერმინოლოგიასა და სამეცნიერო ტერმინოლოგიას შორის. ტერმინი არ შეიძლება იყოს განხილული იზოლირებულად... ტერმინის ღირებულება უნდა იქნეს შეფასებული ტერმინთა მთელი სისტემისა და მისი მასისტემატიზებელი თვისებების თვალსაზრისით“[16]. სწორედ ეს

---

[14] აკად. დ. ლოტე (1898—1950) იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური კომიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1933), მისი პირველი თავმჯდომარის აკად. ს. ჩაპლიგინის (1869—1942) თანამოღვაწე და თანამდგომი. დასახელებულ მონოგრაფიაში შესული და გაერთიანებულია ლოტეს ის შრომები, რომლებიც იბეჭდებოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა გამოცემებში ჩვენი საუკუნის 30—40-იან წლებში (1937—1948). ეს შრომები გაერთიანდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ და მხოლოდ 1961 წ. აკად. ი. არტობოლევსკის საერთო რედაქციით გამოქვეყნდა ერთ მთლიან მონოგრაფიად. ლოტეს ეს წიგნი სამართლიანად ითვლება ფუძემდებელ ნაშრომად, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამავე მონოგრაფიაშია შესული ჩაპლიგინისა და ლოტეს ერთობლივი ნაშრომი „Задачи и методы работы по упорядочению технической терминологии (1937, с. 7—17), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს კომიტეტის შექმნისა და ინდროინდელი საქმიანობის ისტორიას. უფრო მოგვიანებით კომიტეტის მუშაობას, ჩამოყალიბებიდან მოყოლებული დღემდე, კარგად აშუქებს ამ კომიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი აკად. ვ. სიფოროვი (იხ. Сифоров В. И. Проблемы научно-технической терминологии. — Вестник АНСССР. М., 1975, № 8, с. 16—17).

[15] დასახელებულ შრომას საანალიზოდ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია უდევს საფუძვლად, მაგრამ ძირითადი დებულებები ზოგადთეორიული ხასიათისაა და, ამდენად, თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვა ტერმინოლოგიური სისტემების მიმართაც.

[16] დასახ. ნაშრ., გვ. 72—73.

სისტემურობა აქვს მხედველობაში, როცა ლოტე წერს: „ტერმინთა აგებისას უნდა იქნეს დადგენილი — რა ადგილი უჭირავს თითოეულ ცნებას მოცემული სისტემის ან მოცემული საკლასიფიკაციო რიგის სხვა ცნებათა შორის და ამისდა მიხედვით იქნეს არჩეული ის ნიშანი, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად ტერმინს“[17].

ტერმინის სისტემურ ხასიათზე, როგორც ვნახეთ, მიუთითებდა ვინოკურიც, მაგრამ ლოტესთან ტერმინის ეს თვისება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა და უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი. ტერმინის სისტემურობა, ზემოთ ჩამოთვლილ სხვა თვისებებთან ერთად, ლოტეს ტერმინის ბუნების დახასიათებისას ერთ-ერთ აუცილებელ და მთავარ პირობად მიაჩნია.

ეს თვალსაზრისი ლოტეს ხაზგასმით აქვს ნაჩვენები და მთელი სიღრმით დასაბუთებული ყველა თავის შრომაში.

ტერმინისა და ტერმინოლოგიის შესახებ ლოტეს ძირითადი დებულებანი კარგადაა ჩამოყალიბებული მისივე წიგნის შესავალში[18] და კიდევ უფრო ვრცლად ვ. კულებაკინისა და ი. კლიმოვიცკის ნაშრომში—„Работы по построению научно-технической терминологии в СССР и советская терминологическая школа“[19]. იძლევიან რა ლოტეს შრომების საერთო დახასიათებას, ავტორები მთლიანად იზიარებენ მის თვალსაზრისს ტერმინოლოგიის, როგორც ტერმინთა სისტემის შესახებ, რომელიც ცოდნის გარკვეული დარგის ცნებათა სისტემას წარმოგვიდგენს.

ტერმინის სისტემურობას აღნიშნავს ს. ბარხუდაროვიც. ის წერს: „ამჟამად საბჭოთა ლექსიკოლოგებს შორის თითქოს არაა აზრთა სხვადასხვაობა ტერმინის გაგებაში, როგორც იმგვარი სიტყვისა ან შესიტყვებისა, რომელიც დაკავშირებულია ცოდნის ან მოღვაწეობის რომელიმე სფეროს ცნებასთან... ტერმინები ცნებათა კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების მრავალნაირ სახეს გამოხატავენ“[20], და იქვე: „რამდენადაც ყოველი ტერმინი იმ ცნების გამომხატველია, რომელიც სისტემის ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ თვითონ მასაც უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი“.

ბარხუდაროვის ეს სიტყვები ფაქტობრივად დადასტურებაა ლოტეს მიერ ადრე გამოთქმული თვალსაზრისისა: „სისტემის შემადგენლობაში შემავალი ტერმინები გარკვეულად უნდა გამოხატავდეს იმ

---

[17] Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 28.

[18] იქვე, ი. კლიმოვიცკისა და ს. კორშუნოვის წინასიტყვაობა, გვ. 3—6.

[19] Лингвистические проблемы научно-технической терминологии, М., 1970, с. 18—24.

[20] იქვე, Бархударов С. Г. О значении и задачах научных исследований в области терминологии, с. 9.

ობიექტურ კავშირებს, რომლებიც არსებობს შესაბამის ცნებათა შორის"[21].

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული წამყვანი რუსი ლინგვისტების თვალსაზრისზე დგას მომდევნო თაობის მრავალი ენათმეცნიერი, ტერმინისა და მისი რაობის შესახებ აზრთა ერთიანობა დღეს მაინც არაა მიღწეული. ეს საკითხი საბოლოო დადგენასა და გარკვევას საჭიროებს.

ტერმინთა სისტემა და ცნებათა სისტემა

კონკრეტულად რას ვუწოდებთ ტერმინთა და ცნებათა სისტემას, ან რა იგულისხმება ტერმინთა და ცნებათა სისტემურობაში?

ტერმინის სისტემურობა მეცნიერებს სხვადასხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი. ერთნი ამაში ტერმინის კლასიფიკაციურ არსს ხედავენ, მეორენი — ტერმინის სიტყვაწარმოებით სისტემურობას გულისხმობენ, მესამენი ფიქრობენ, რომ ტერმინი სისტემურია ორმაგად: როგორც ტერმინოლოგიური სისტემის ელემენტი, ერთი მხრით, და როგორც ენობრივი სისტემის ელემენტი, მეორე მხრით[22].

ტერმინთა სისტემურობის დასახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ ცნებებში გარკვევა: „ტერმინთა სისტემა", ანუ „ტერმინოლოგიური სისტემა" და „ცნებათა სისტემა"[23].

ყოველგვარი სისტემა რაღაც ოდენობათა გარკვეულ კავშირსა და მათ ერთობლიობას გულისხმობს, რაღაც მთლიანობას, რომელიც შედგება კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან. ენობრივი სისტემა ენობრივ ნიშანთა სიმრავლესა და მათ ერთიანობას ვარაუდობს, მაგრამ არა მექანიკურ სიმრავლეს, არამედ „მოწესრიგებულ სიმრავლეს, სადაც ყოველ ნიშანს მიჩენილი აქვს გარკვეული ადგილი ნიშანთა სიმრავლეში. რის მიხედვით? იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მიმართება, ერთი მხრით, აღსანიშნთან და, მეორე მხრით, სხვა ნიშნებთან"[24].

---

[21] იხ. Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[22] Толикина Е. Н. Некоторые лингвистические проблемы изучения термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 53—54.

[23] დასახელებულ ტერმინთა ამომწურავი განმარტება ლოგიკის დონეზე ცნებების ახსნას გულისხმობს. ჩვენ მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ცნებებს ლექსიკოლოგიურ და, კერძოდ კი, ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში.

[24] არნ. ჩიქობავა, ენობრივი სისტემის რაობისათვის. — ზოგადი ენათმეცნიერება, § 94, 1984.

ტერმინების სისტემა ენობრივი სისტემის წიაღში შემავალი რგოლია. მისი მნიშვნელობაც ენობრივი სისტემის ანალოგიურად შეიძლება წარმოვიდგინოთ და მას ასეთი განმარტება მივცეთ: ტერმინების სისტემა ტერმინთა ისეთი ერთობლიობაა, რომელიც თავს უყრის არა ცალკეულ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ ტერმინებს, არამედ ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტერმინთა ერთეულებს. ტერმინების ამგვარ ერთობლიობას ტერმინთა სისტემა ეწოდება. მას სხვაგვარად ნიშანთა სისტემასაც უწოდებენ[25].

ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ტერმინები, ჩვეულებრივ, ერთ გარკვეულ დარგს წარმოგვიდგენენ და, მაშასადამე, ერთი გარკვეული დარგის ტერმინოლოგიურ სისტემას ქმნიან. ამიტომაცაა, რომ ტერმინოლოგიურ სისტემად ერთი რომელიმე კონკრეტული დარგის ტერმინები, ან, უფრო ზუსტად, ამ ტერმინთა ერთობლიობა ივარაუდება[26]. ყოველი ცალკეული ტერმინი ამ სისტემის წევრია.

ტერმინთა სისტემას უპირისპირდება ცნებათა სისტემა. ცნება, როგორც ცნობილია, არის ობიექტურ სინამდვილეში არსებული საგნებისა და მოვლენების ძირითად ნიშან-თვისებათა აზრობრივი გამოხატულება. მეცნიერული ცოდნის ერთობლიობა განიხილება როგორც ერთი მთლიანი სისტემა, რომლის ელემენტებია ცალკეული დარგის ცნებები. ის ცნებები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და რომელთა მნიშვნელობა მკვეთრად განსაზღვრულია და გამიჯნული სხვა ცნებისაგან, გარკვეული დარგის ცნებათა სისტემას ქმნიან, ანუ, უფრო ზუსტად, საერთო სისტემის ქვესისტემას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლიტერატურაში ქვესისტემის ნაცვლად კვლავ სისტემას ხმარობენ და რომელიმე დარგის ცნებების გამოსახატავად ამ დარგის ცნებათა სისტემაზე ლაპარაკობენ[27].

---

[25] Канделаки Т. Л. Работа по упорядочению научно-технической терминологии и некоторые лингвистические проблемы, возникающие при этом. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 40.

[26] ზოგჯერ „ტერმინთა სისტემას“ უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობენ, კერძოდ, ამას დარგების მიხედვით დაუნაწევრებლად ტერმინთა საერთო ერთობლიობას უწოდებენ და, აქედან გამომდინარე, დარგის ტერმინთა დახასიათებისას „სისტემის სისტემაში“ არსებობაზე ლაპარაკობენ. ჩვენს სიტყვახმარებაში ტერმინოლოგიურ სისტემას, ჩვეულებრივ, დარგის ფარგლებში მოთავსებულ ტერმინთა ერთობლიობის მნიშვნელობა ექნება.

[27] სამეცნიერო ცნებათა სისტემებისა და ტერმინთა სისტემების შესახებ იხ. ტ. კანდელაკის დასახ. ნაშრ., გვ. 40 — 52; მისივე: Система научных понятий и система терминов. — Вопросы разработки механизованной информационно-поисковой системы для центрального справочно-информацион-

ამგვარად, ტერმინი, როგორც ტერმინთა სისტემის წევრი, გარკვეულ მიმართებაშია სხვა ტერმინებთან ისევე, როგორც მისი ადეკვატური ცნება — ცნებათა სისტემაში შემავალ სხვა ცნებებთან.

ტერმინთა სისტემისა და ცნებათა სისტემის ურთიერთობის შესახებ საინტერესო ფორმულირებაა მოცემული ვ. დანილენკოს ნაშრომში: „ტერმინები ცალკე არ არსებობენ, ისინი აუცილებლად გაერთიანებული და მოწესრიგებული არიან, მაგრამ ეს გაერთიანება და მოწესრიგებულობა მათი იმანენტური ენობრივი მდგომარეობა კი არ არის, არამედ ადამიანის მოღვაწეობის იმ დარგის რეალობისა და ცნებების მდგომარეობის ამსახველი, რომელიც ფიქსირებულია დარგობრივ ტერმინოლოგიაში“[28].

ტერმინისა და ცნების შესატყვისობა

განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინოლოგიაში ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს ეთმობა. კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე. ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით და საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია. ამისათვის საჭიროა ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა ემთხვეოდეს მის ნამდვილ მნიშვნელობას.

„უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ სამეცნიერო ტერმინი უბრალო სიტყვა კი არა, არამედ მოცემული მოვლენის არსის გამოხატვაა. ამიტომაც აუცილებელია ტერმინოლოგიის კრისტალურ გამჭვირვალობასა და განსაზღვრულობაზე ზრუნვა, რადგანაც იგი ობიექტურ მოვლენათა არსს, თვით მეცნიერების არსს გადმოგვცემს“[29].

იმისდა მიხედვით, თუ როგორი ჰარმონია არსებობს ტერმინის პირდაპირ მნიშვნელობასა და მის ნამდვილ მნიშვნელობას შორის, ლოტე ტერმინებს 3 ჯგუფად ყოფს: ა) სწორად მაორიენტირებელი ტერმინები, ბ) ნეიტრალური ტერმინები და გ) ცრუ მაორიენტირებელი, ანუ მცდარად მაორიენტირებელი ტერმინები.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ტერმინები, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა არა მხოლოდ ემთხვევა მის ნამდვილ მნიშვნე-

---

ного фонда по химии и химической промышленности. М., НИИТЭХИМ, 1965, вып. 3.

[28] Даниленко В. П. Русская терминология. М., 1977, с. 52.

[29] Деборин А. М. Заметки о происхождении и эволюции научных понятий и терминов. — ВЯ, 1957, № 4, с. 45.

ლობას, არამედ ზედმიწევნითი სიზუსტით სრულ წარმოდგენას იძლევა სათანადო ცნებაზე. ნეიტრალური ტერმინებია, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობის გამოცნობა ჭირს, ეტიმოლოგია მათი არაფრის მთქმელია, ისინი არავითარ საგნობრივ მიმართებას არ გვიჩვენებენ. მცდარად მაორიენტირებელ ტერმინებად ლოტეს ისეთი სიტყვები მიაჩნია, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა ეწინააღმდეგება ტერმინის ნამდვილ მნიშვნელობას და, ამგვარად, არასწორად, მცდარად ასახავს ცნებას. ლოტე უხვად ასახელებს თითოეული ტიპის შემთხვევებს ტექნიკური ტერმინოლოგიიდან და ასკვნის, რომ ყველაზე გამართული და მოსაწონი სწორად მაორიენტირებელი ტერმინებია, მაგრამ, რადგანაც ყველა საჭიროებას ამ რიგის ტერმინები ვერ აუვა, დასაშვებად მიიჩნევს ნეიტრალურ ტერმინთა არსებობასაც[30]. რაც შეეხება არასწორად მაორიენტირებელ ტერმინებს, მათი ხმარება ლოტეს სრულიად დაუშვებლად მიაჩნია. ასეთი ტერმინი, მისი აზრით, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად არი დამკვიდრებული ენაში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რადგანაც ხელს უწყობს არაზუსტ წარმოდგენას საგანზე, არღვევს საგანსა და ცნებას შორის სიმეტრიულ ურთიერთობას[31].

შეგვიძლია დავასახელოთ მაგალითები ქართული ტერმინოლოგიის სინამდვილიდან: ორმხრივ ამოზნექილი ლინზის გამოსახატავად ქართულში დიდხანს სიტყვა **ოსპი** იხმარებოდა[32]. ადვილი მისახვედრია, რომ ტერმინი სრულიად არაინფორმაციულია, ცნებაზე არ მიგვანიშნებს, და უფრო მეტიც, იგი მცდარად ნახმარი ტერმინია. ამ შეცდომის საფუძველი რუსული ტერმინის чечевица-ს მექანიკური თარგმანია: чечевица რუსულში მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა[33]. ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა (მესამე) ოპტიკურ ლინზას გულისხმობს. ქართულში სიტყვა **ოსპი** მხოლოდ პირველი მნიშვნელობითაა ფიქსი-

---

[30] შდრ. ტერმინთა კლასიფიკაცია მ. ბერგერის შრომაში: Лингвистические требования к термину.—РЯШ, 1965, № 3. ბერგერი 4 ჯგუფს გამოყოფს: ა) სწორად მაორიენტირებელი ტერმინები, ბ) განუსაზღვრელად მაორიენტირებელი ტერმინები, გ) მცდარად მაორიენტირებელი ტერმინები და დ) არამაორიენტირებელი ტერმინები.

[31] მხედველობაში აქვს იმ ტიპის მაგალითები, როგორიცაა, ვთქვათ, მეტალურგიაში თუჯის ერთ-ერთი დასახელება, კერძოდ, ковкий чугун (ჭედადი თუჯი), ნახმარი იმგვარი თუჯის აღსანიშნავად, რომლის ჭედვა თურმე საზოგადოდ არ შეიძლება (იხ. Терпигорев А. М. Об упорядочении технической терминологии.—ВЯ, №1, 1953, с. 74.

[32] იხ. ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1935.

[33] იხ. 17-ტომიანი ლექსიკონი: чечевица 1. Растение из сем. бобовых, 2. Собир. Съедобные зерна этого растения, 3. Устар. Оптическая линза, 4. Певчая птица из семьи вьюрковых.

რებული ლექსიკონებში[34]. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ლინზის მნიშვნელობით მისი ხმარება რუსულის უხეირო კალკია და სათანადო ცნებას არ უკავშირდება. ამჟამად „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ ბოლო გამოცემაში (1977) ეს ტერმინი უგუკდებულია და მის ნაცვლად чечевица-ს სინონიმის (двояковыпуклая линза-ს) ქართული შესატყვისია შეტანილი (ორმხრივ ამოზნექილი ლინზა).

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ლოტეს, რომ მცდარად აგებული და ბუნდოვანი შინაარსის მქონე ტერმინი დაბრკოლებას უქმნის სპეციალისტებს და საშიშროებით ემუქრება მის მომხმარებლებს[35]. იმ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებასა და არაგარკვეულობას, კარგად მეტყველებს ცნობილი გერმანელი ლინგვისტის ჰ. შუხარდტის მეტაფორული გამონათქვამი: „ტერმინოლოგიური ბუნდოვანება მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ზღვაოსნობისათვის. ის (ტერმინოლოგიური ბუნდოვანება) კიდევ უფრო საშიშია, რამდენადაც ჩვეულებრივ ადამიანი მას უნებლიეთ ანგარიშს არ უწევს“[36].

ისმის კითხვა: როგორ და რა გზით უნდა იქნეს მიღწეული ტერმინოლოგიაში ეს გარკვეულობა, ეს სიზუსტე? როგორ უნდა შეერქვას სახელი ცნებას? რა ნიშანი უნდა შეირჩეს ცნებისათვის სწორი და ადეკვატური სახელის შესაქმნელად?

პასუხი ამაზე ერთი შეიძლება იყოს: ამა თუ იმ ცნებას სახელი უნდა შეერქვას იმ ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომლითაც იგი ხასიათდება და რომლითაც იგი გამოირჩევა სხვა ცნებისაგან. არაა სავალდებულო, როგორც ამას ვინოკური აღნიშნავს, რომ ტერმინი ერთბაშად გვაძლევდეს იმ იდეათა ჯამს, რომელიც ჩადებულია ცნებაში[37].

თითქმის ასეთივეა ნ. კუზმინის თვალსაზრისიც: „ადამიანი ცალკეულ ობიექტს აღიქვამს, როგორც სხვადასხვაგვარი ნიშნების ერთობლიობას. ცხადია, რომ ყოველგვარი ნიშანი, რომელიც ერთ ობიექტს ახასიათებს, არ შეიძლება ერთბაშად აღიქვას ადამიანმა და, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს გამოხატული დასახელებაშიც. ამიტომ ადამიანი

---

34 იხ.: ქგლ, რ. ერისთავი, ა. მაყაშვილი და სხვ.

35 ამის საუკეთესო ილუსტრაცია იძლევა ფრანგი პროფესორი ანრი გასტო სამედიცინო ტერმინოლოგიიდან. იგი ეპილეფსიის ერთი სახის, კერძოდ, „petit mal“-ის მაგალითზე განიხილავს ამ ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაციის შემთხვევებს და მიუთითებს იმ პრაქტიკულ შეცდომებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებას, ცნებისა და ტერმინის არასიმეტრიულ მიმართებას (იხ. Terminologie et lexicographie médicales. Paris, 1967, გვ. 29—30).

36 ციტატა მოგვყავს ლოტესა და ვინოკურის შრომების მიხედვით (იხ. Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 6; Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 19).

37 Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

ამ მრავალგვარი ნიშნიდან გამოყოფს ყველაზე არსებით ნიშნებს, რომლებითაც ხასიათდება ობიექტი (რომლებითაც გამოეყოფა იგი სხვა ობიექტებს) და ამის მიხედვით არქმევს სახელს"[38]. მთავარია მისთვის ამ არსებითი ნიშნების, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სადიფერენციაციო ნიშნების სწორად აღნუსხვა:

„სპეციალურ ლექსიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიზუსტეს, ანუ სიტყვაში სადიფერენციაციო ნიშნების გამოყოფას. სწორი დასახელება უნდა იძლეოდეს სწორ ორიენტაციას ობიექტზე, რაც ემყარება ობიექტის დამახასიათებელი ნიშნების სწორად აღნუსხვას სიტყვებში"[39].

ტერმინთა მოტივაცია

ცნებისა და ტერმინის ადეკვატურობის საკითხი უშუალოდ უკავშირდება საკითხს ტერმინის მოტივაციის შესახებ.

სიტყვის მნიშვნელობის გამჭვირვალობა, შინაარსის ნომინაციაში გათვალისწინება ანუ მოტივაცია ონომასიოლოგიის ერთ-ერთი საყრდენი პრინციპია, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ტერმინოლოგიაში საგნებისა თუ მოვლენების სახელდებისას[40].

რა იგულისხმება კონკრეტულად ტერმინთა მოტივაციაში? რით უპირისპირდება ერთმანეთს მოტივირებული და არამოტივირებული ტერმინები?

ტერმინი მოტივირებულია, როდესაც მისი მნიშვნელობა მეტნაკლებად გამჭვირვალეა შინაარსის მიხედვით, როცა თვითონ ნომინაციაშია მოცემული მისი შინაარსი, ანუ მისი შინაგანი ფორმა. ამ რიგისაა: საკაწრელა, სამაგრი, ძნასაკონი, ხელჩაქუჩი, მინამბერი, მა-

---

[38] Кузьмин Н. П. Нормативная и ненормативная специальная лексика. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 70.

[39] იქვე, გვ. 74.

[40] ტერმინთა მოტივაციის საკითხებზე საინტერესო თვალსაზრისები აქვთ გამოთქმული მკვლევრებს: Моисеев А. И. Мотивированность слов. — Ученые записки, ЛГУ, 1963, № 322. Серия филол. наук, вып. 68. Исследования по грамматике русского языка, IV; Торопцов И. С. Лексическая мотивированность (на материале соврем. русск. литературного языка). — Ученые записки (Орловский пединститут), 1964; Овчаренко В. М. Термин, аналитическое наименование и номинативное определение. — Современные проблемы терминологии в науке и технике. М., 1969, с. 110—113; Блинова О. И. Термин и его мотивированность. — Терминология и культура речи. М., 1981.

თეთრებელი, ფირფიტასაკრავი, მრიცხველი, დაჭდევებული, საცეხველა, საძირკველი და ა. შ. თითოეულ მათგანში კარგად ჩანს სახელის შერქმევის საფუძველი.

არამოტივირებულია ანუ ნებისმიერია სიტყვა, როდესაც არ ჩანს მოტივი, რის მიხედვითაც შერქმეულია სახელი: მაღარო, მადანი, კარბიდი, მერქანი, კოპი, სოგმანი და ა. შ.

ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, არ ემთხვევა მის მოტივაციურ მნიშვნელობას (მაგ., შდრ. სიტყვა თოხიტარა-ს ლექსიკური მნიშვნელობა — პატარა ფრინველი წყალწყალათა ოჯახისა— და მისი მოტივაციური მნიშვნელობა: ჩიტი, რომელსაც თოხის ტარივით გრძელი კუდი აქვს).

მოტივაცია გულისხმობს ტერმინით გამოსახატავი ცნებისათვის სახელის შერქმევას ამა თუ იმ ერთი ნიშნის მიხედვით, ხოლო, რადგანაც სატერმინირებელ ცნებას რამდენიმე სხვადასხვა ნიშანი შეიძლება ჰქონდეს, სახელის დარქმევის არჩევანი ზოგჯერ შემთხვევითი შეიძლება იყოს და სიტყვის მნიშვნელობაც ცნების ნამდვილი შინაარსის არაადეკვატური. ამიტომ მოვლენისა თუ საგნის სახელდებისას მისი არსებითი, ძირითადი და თვალში საცემი ნიშანი უნდა იყოს საორიენტაციო და არა ნებისმიერი ანუ შემთხვევითი[41].

მოტივაციასა და მნიშვნელობას შორის კორელაცია დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და მიმართებაც ასიმეტრიული გახდეს. ამდენად ანალოგიური ფაქტების ასახსნელად ენობრივ მოვლენათა მხოლოდ სინქრონიული შესწავლა საკმარისი არაა. ტერმინთა დღევანდელი მნიშვნელობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა დიაქრონიულ კვლევას მოითხოვს.

მოტივაციით ხასიათდება ნაწარმოები ანუ სხვა სიტყვისაგან აფიქსაციის გზით მიღებული ტერმინები (მაგ.: ამკინძავი, მეთუნე, მეთუნეობა, საჭრეთელი, სახაზავი, სანათური, საჭვრიტული და ა. შ.).

კიდევ უფრო გამჭვირვალეა მოტივაცია რთულ ტერმინებში, რადგანაც ამგვარი სიტყვები რამდენიმე ნიშნის მიხედვითაა მოტივირებული[42]: კუთხესამაგრი, თაფლსაწური, თავფურცელი, აირმანაწილებელი, კალამცირე, მთლიანნაჭედი, რეზინმინაქსოვილი, რელსსაბურღი, შუქმედეგი, ქარსაზომი, ნახშირმიმწოდი და ა. შ.

რთულ სიტყვათა მნიშვნელობა ადვილად გამოიყვანება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობისაგან.

---

41 მოტივაცია ყოველთვის არაა მიჩნეული ნიშნის ნებისმიერობის საპირისპირო მოვლენად (იხ. ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, მოტივაცია და ნიშნის ნებისმიერობა). — ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, § 88, გვ. 104).

42 Моиссев А. И. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

იშვიათად შესაძლებელია ნაწარმოები და რთული სიტყვის მნიშვნელობაც არ ემთხვეოდეს მათ რეალურ მნიშვნელობას, ე. ი. ამოსაცნობი იყოს მათი მოტივაცია, მაგრამ ხმარების ტრადიცია, ერთი მხრით, და ტერმინის საზოგადოდ პირობითი ხასიათი, მეორე მხრით, სწორი ორიენტაციის, ანუ ტერმინის სწორი გაგების საშუალებას იძლევა.

გამჭვირვალე მოტივაციის მქონე ტერმინთა მესამე ჯგუფს ტერმინოლოგიური გამოთქმები, ე. წ. ანალიტიკური ტერმინები შეადგენს[43]: ამომწოვი ტუმბო, საბურღი ავტომატი, ანარეკლი სხივი, სადურგლო იარაღი, წყალსადინარი თხრილი, მანაწილებელი ლილვაკი, გამომთვლელი მანქანა და ა. შ.

ამგვარ შესიტყვებათა სემანტიკური სტრუქტურა გამჭვირვალეა: თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და საერთო მნიშვნელობა კი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობისაგან გამოიყვანება. ასეთი მოდელი — სახეობითი ცნების გამომხატველი შესიტყვება— მოტივაციის სიცხადით ხასიათდება.

ერთსიტყვიანი ტერმინები, ჩვეულებრივ, არამოტივირებულია. არამოტივირებულია მეტწილად უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკაც, რომელთა მნიშვნელობა ისტორიულად შეიძლება ცნობილიც იყოს (ან ახლაცაა ცნობილი უცხო ენის მცოდნე რომელიმე პირისათვის), მაგრამ ტერმინი ამჟამად დაცლილია შინაგანი ფორმისაგან. ასეთი ტერმინი შეიძლება ზუსტად ასახავდეს ცნებას და მეტწილ შემთხვევაში მაორიენტირებელიც იყოს (მაგ.: სპექტაკლი, ამპულა, ჟარგონი, რეპლიკა, ბატალიონი, ეკიპაჟი, დესანტი და მრ. სხვ.).

არამოტივირებულია საკუთარი სახელებისაგან მიღებული ტერმინები იმ ტიპისა, როგორიცაა: ამპერი, ვოლტი, ვატი, ჰერცი და ა. შ.[44], ანდა გვარებისაგან მომდინარე ტერმინები: ბესემერის პროცესი, ჯოულის სითბო, მარტენის ფოლადი და მისთ[45].

დასასრულ, არამოტივირებულია გამოგონილი ტერმინები, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი ისე მცირეა, რომ მათზე საგანგებოდ შეჩერება შეიძლება არც ღირდეს[46].

---

[43] ანალიტიკური ტერმინების შესახებ იხ. Овчаренко В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[44] Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 63.

[45] Лотте Д.С. დასახ. ნაშრ., გვ. 27. ლოტეს აზრით, ამგვარ ტერმინებს რაღაც გარკვეული უპირატესობაც შეიძლება ჰქონდეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ იწვევენ რაიმე სხვა ასოციაციას. მაგრამ იმავდროულად ეს მათი უარყოფითი თვისებაცაა, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში ცნებაზე არავითარ წარმოდგენას არ იძლევიან და ერთი ცნების მეორე ცნებასთან კავშირსაც ვერ გამოხატავენ.

[46] სხვა კონტექსტში შეიძლება საინტერესო იყოს ზოგი ამგვარი სიტყვის ისტორიაც. ერთი მათგანია სიტყვა „გაზი“, მისი ავტორი ბელგიელი მედიკოსი ვან-

ტერმინთა უმრავლესობა მოტივირებულია, რაც ტერმინოლოგიური სისტემის ღირსებაზე ლაპარაკობს. თავისთავად ცხადია, შინაგანი ფორმის მიხედვით გამჭვირვალე ტერმინები უფრო ადვილად შესათვისებელი და დასახსომებელია, ვიდრე მოტივაციისაგან დაცლილი და არაფრისმთქმელი სიტყვები; თუმცა, როგორც დავინახეთ, ნომინაციის მოტივირებულობა ყოველთვის კარგი ორიენტირი არაა ტერმინის მნიშვნელობის ამოსაცნობად[47].

ცნებისა და ტერმინის ანუ შინაარსის პლანისა და გამოხატვის პლანის ურთიერთმიმართებას ერთი კატეგორიის (კერძოდ, პროცესების აღმნიშვნელი ტერმინების) მაგალითზე კარგად აშუქებს ტ. კანდელაკი თავის მონოგრაფიაში „Семантика и мотивированность терминов". М., 1977[48].

კანდელაკი პრობლემათა რთულ წყებაში ტერმინოლოგიის მასალაზე ჩინებულად გვიჩვენებს იმ ურთიერთობებს, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, ცნებათა სხვადასხვა კატეგორიასა, მათ მნიშვნელობასა და ნიშანთა სისტემას შორის, ანუ ტერმინთა შინაარსის პლანსა და გამოხატვის პლანს შორის.

ჰელმონტია (ბოლო დროს არის ცდა ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ახსნისა, კერძოდ, მას ფლამანდიურ Geest — სულს უკავშირებენ) (იხ. Будагов Р. А. Введение в науку о языке, М., 1958, с. 79). გამოგონილია ინგლისური სიტყვა „ნეილონიც", იგი ამ ბოჭკოს გამომმუშავებელ ინგლისურ ფირმას შეურჩევია კონკურსზე წარმოდგენილი 350 დასახელებიდან (იხ. Моисеев А. И. დასახ. ნაშრ., გვ. 125—126). ტერმინ „ნეიტრინოს" „დაბადება" კი იტალიელი ფიზიკოსის ენრიკო ფერმის სახელთანაა დაკავშირებული. 1931 წ., როდესაც ცნობილი შვეიცარიელი ფიზიკოსი ვოლფგანგ პაული მისულა იმ დასკვნამდე, რომ ბუნებაში უნდა არსებულიყო კიდევ ერთი ნეიტრალური ნაწილაკი, ნეიტრონზე ბევრად უფრო ნაკლები მასისა, ანუ „პატარა ნეიტრონი", და ამ თავის მოსაზრებას ერთ-ერთი საერთაშორისო სამეცნიერო თათბირის ტრიბუნიდან გადმოსცემდა, იტალიელ ფიზიკოსს ენრიკო ფერმის მისთვის სიტყვა გაუწყვეტინებია და დაუძახნია: უწოდეთ მას „ნეიტრინო" („იტალიურში დაბოლოება „-ино" კნინობით-მოფერებითი სუფიქსია), მართლაც, იმ დღიდან ამ ნაწილაკს „ნეიტრინო" ეწოდა. აი ამგვარად იყო აღმოჩენილი ნეიტრინო პაულის მიერ და მონათლული ფერმის მიერ (იხ. Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., 1977, გვ. 91—92).

[47] Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[48] ტერმინ „კატეგორიას" ტ. კანდელაკი ცნებათა რამდენიმე ტიპურ ჯგუფს უწოდებს. იგი გამოყოფს საგნების კატეგორიას, პროცესების კატეგორიას, მდგომარეობის კატეგორიას, თვისებათა კატეგორიას, სიდიდეთა კატეგორიას, საზომ ერთეულთა კატეგორიას, დარგების კატეგორიას (იხ. Канделаки Т. Л. Работа по упорядочению научно-технической терминологии и некоторые лингвистические проблемы возникающие при этом.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 44). კანდელაკს მიაჩნია, რომ თითოეული ეს კატეგორია, თავის მხრივ, შეიძლება კიდევ იქნეს დაყოფილი რამდენიმე ქვეკატეგორიად.

დასახელებულ წიგნში, გაშუქებულია რა შინაარსის პლანის ურთულესი საკითხები (აზრობრივი ურთიერთობანი ტერმინის მნიშვნელობასა და სტრუქტურას შორის, მოცემულია სემანტიკური მოდელები და მათი ურთიერთობანი), კარგადაა ნაჩვენები მოტივაციის არსი, მისი ხასიათი და როლი ტერმინთა შექმნის საქმეში[49].

მოტივაციის ანუ შინაგანი ფორმის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა რუსულისა და ქართული ენის მონაცემების შედარება, ერთი მხრით, და ქართულისა და უცხო ენებისა, მეორე მხრით. მასალაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ დიდზე დიდ უმრავლესობაში ტერმინთა მოტივაციის საფუძველი საერთო ჩანს (დამთხვევაა სხვადასხვა ენის მონაცემებისა). მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: რუს. бетономешалка და ქართ. **ბეტონსარევი;** რუს. громкоговоритель და ქართ. **ხმამაღლამოლაპარაკე.** თარგმნითი სესხების გზით მიღებული ეს ტერმინები, ბუნებრივია, მოტივაციის თვალსაზრისით ერთგვარ სურათს მოგვცემენ ორსავე ენაში.

ტერმინთა სემასიოლოგიური დახასიათება

ლოგიკურად მიმართება ცალკეულ ცნებასა და ტერმინს შორის ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყოველ ერთ ცნებას ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარეობს ტერმინის ძირითადი ნიშან-თვისება — ერთმნიშვნელობიანობა ანუ მონოსემიურობა.

ტერმინის ერთმნიშვნელობიანობა, აღსანიშნისა და ნიშნის ცალსახა დამოკიდებულება, თითქოს მექანიკურად უნდა გამორიცხავდეს სიტყვათა იმგვარ ურთიერთობებს, როგორიცაა პოლისემია, ომონიმია, სინონიმია და სხვ. მაგრამ ტერმინოლოგიაში ამ ლექსიკურ-სემანტიკურ პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და საგანგებო შესწავლასა და განხილვას საჭიროებს.

პოლისემია

პოლისემია ეწოდება სიტყვის უნარს, ერთდროულად გადმოგვცეს რამდენიმე მნიშვნელობა. პოლისემია ისევე, როგორც სინონიმია,

---

[49] ლექსიკური და სტრუქტურული (ანუ სიტყვის მორფემული შედგენილობის მიხედვით გამოხატული) მოტივაციის საკითხები კარგადაა გაშუქებული ბლინოვას სტატიაში (იხ. Блинова О. И. Термин и его мотивированность.—Терминология и культура речи. М., 1981, с. 33). აქვეა მოცემული ინტენსივობის მიხედვით დიფერენცირებული—სრული, ნაწილობრივი და ნულოვანი მოტივაციის სახეები.

გამოხატავს აღსანიშნსა და ნიშანს შორის ცალსახა დამოკიდებულებას, ოღონდ სინონიმია გულისხმობს რამდენიმე ნიშანს ერთი აღსანიშნისათვის, ხოლო პოლისემია — პირიქით: ერთ ნიშანს რამდენიმე აღსანიშნისათვის.

პოლისემიურია, მაგალითად, სიტყვა **ციცხვი** ქართულში: 1. ხის დიდი კოვზი საჭმლის მოსარევად. 2. ტექ. ლითონის დიდი ჭურჭელი გამდნარი ლითონის გადასატანად. 3. ექსკავატორის მუშა ნაწილი — დაკბილული ნაპირის მქონე ლითონის ყუთი მიწის მოსათხრელად და გადასატანად[50].

ენაში პოლისემიური სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთი ძირითადი ანუ ნომინაციური მნიშვნელობაა, ხოლო დანარჩენი ამის საფუძველზეა განვითარებული და გადატანით მნიშვნელობებადაა მიჩნეული[51].

სწორედ ეს გადატანითი მნიშვნელობა, რომელსაც ლექსიკური ერთეული მეტაფორული ან იშვიათად მეტონიმიური ხმარების შედეგად იძენს, არის პოლისემიის ძირითადი გამომწვევი მიზეზი ენაში. მაგ., მეტაფორულადაა გამოყენებული სიტყვა **ჭანგი** (ბრჭყალი, კლანჭი) ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებური კბილებიანი ლითონის მოწყობილობისათვის, რომლის საშუალებითაც ბოძზე ადიან, მეტონიმიასთან გვაქვს საქმე, როდესაც სიტყვა **აუდიტორია** (ოთახი ან დარბაზი, სადაც მოხსენებასა და ლექციებს კითხულობენ) თვითონ მოხსენების და ლექციების მსმენელების მიმართაა ნახმარი და სხვ.

პოლისემიის გაჩენის მიზეზები სხვაც შეიძლება იყოს. ამაზე ქვევით ტერმინოლოგიურ ლექსიკასთან დაკავშირებით გვექნება საუბარი.

გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვები დროთა განმავლობაში სათანადო კონტექსტში ჩვეულებრივი ხმარების სიტყვებად შეიძლება იქცეს და აღარც აღიქმებოდეს როგორც ძირითადი მნიშვნელობის განშტოებანი. ავიღოთ სიტყვა **ჭოგრის** სხვადასხვა მნიშვნელობა: 1. წვრილი ლატანი, ჭოკი. 2. ოპტიკური ხელსაწყო, დურბინდი; ანდა: **ხარვეზი:** 1. კვალსა და კვალს შუა მოუხნავად დარჩენილი ადგილი ნახნავში. 2. ნაკლი რაიმე საქმეში. ქართულ განმარტებით ლექსიკონში ეს სხვადასხვა მნიშვნელობები ერთი სიტყვის განშტოებადაა მიჩნეული და თვით სიტყვა **ჭოგრი** პოლისემიურ სიტყვადაა კვალიფიცირებული მიუხედავად იმისა, რომ გენეტური კავშირი ამ მნიშვნელობებს შორის დღეს თითქოს ხელშესახები არ არის.

---

50 მაგალითები აღებულია ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონიდან (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბ., 1964.

51 Замкова Б. В. Многозначность слова. — Русский язык в национальной школе. М., 1952, № 2, с. 19.

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა დიფერენციაციის პროცესი შესაძლებელია უფრო შორსაც იყოს წასული. ამისი საუკეთესო მაგალითია სიტყვა **ბიურო**, რომელიც ფრანგული burau-დან მომდინარეობს და თავდაპირველად აქლემის მატყლისაგან გაკეთებულ ქსოვილს აღნიშნავდა. დროთა განმავლობაში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც გაუჩნდა, კერძოდ, იმ მაგიდის სახელწოდებად იქცა, რომელსაც ამგვარი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული. ეს იყო შუა საუკუნეების საფრანგეთში სასამართლოებსა და სხვა საკრებულო ადგილებში. ამის შემდეგ სიტყვა **ბიუროთი** უკვე ოთახს აღნიშნავდნენ, სადაც ამგვარი მაგიდები იდგა, შემდეგ — დაწესებულების განყოფილებას ან მთელს დაწესებულებას. მერმე ბიუროს იმ პირებს უწოდებდნენ, რომლებიც ამ დაწესებულებებში მუშაობდნენ და დასასრულ — ამ პირთა მიერ მოწვეულ სხდომებს[52]. ლექსიკონებში ფიქსირებულია ამ სიტყვის უახლესი მნიშვნელობები.

საერთო ქართულის მასალაზე პოლისემიის საკითხები დაწვრილებითაა გამოკვლეული[53]. არაა შესწავლილი ამ თვალსაზრისით ტერმინოლოგიური ლექსიკა.

მასალის შესწავლამ საერთო ენობრივი ლექსიკისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის დაპირისპირებისას საინტერესო სხვაობა გამოავლინა:

1. პოლისემიის შემთხვევები ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საერთო ქართულში, თუმცა სპეციალურ ლექსიკონებში ამგვარ მაგალითებს მაინც ვხვდებით (მაგ., სალტე шина; обхват; საფეხური ступень; подножка; приступок; уступ; საფარი покрышка, покрытие; покров; защита; заслон, заслонка; სამაგრი крепь; крепитель; крепеж; скреп; закрепа; закрепитель; скрепляющий; закрепительный; укрепление; обсадный; აფეთქება взрыв; выпал; паление; подрыв, вспышка; расстреливание[54]. სათანადო კონტექსტებში: აირის აფეთქება взрыв газа; შპურის აფეთქება выпал шпура; ბუფერული აფეთქება буферное паление; რელსის აფეთქება подрыв рельса; ნაადრევი აფეთქება преждевременная вспышка; მთელანების აფეთქება расстреливание целиков.

---

52 Реформатский А. А. Введение в языковедение. М., 1967, с. 80—81.

53 ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის. — იკე XII, 1960, გვ. 99—138; მისივე: ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, § 34—35; § 144—145 და §§ 184—186.

54 მაგალითები აღებულია „ტექნიკური ტერმინოლოგიის" ქართულ-რუსული ნაწილიდან (1982).

კონტექსტი კარგად ავლენს ამ სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობას, მაგრამ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ[55], ყოველ ტერმინს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, მტკიცედ ფიქსირებული შინაარსი კონტექსტისაგან დამოუკიდებლად და ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით, რომლის მნიშვნელობა ზუსტდება სხვა სიტყვებთან ერთად მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში[56].

2. საერთო ქართულსა და ტერმინოლოგიურ ლექსიკაში პოლისემიას ზოგჯერ სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. პოლისემიისათვის საერთო საფუძველი ჩანს, როდესაც მას სიტყვის მნიშვნელობის ცვლა — მნიშვნელობის გაფართოება ან დავიწროება აჩენს. მაგ.: სიტყვა **კოფო** (ურემში, მარხილში, ეტლში და მისთ. მეურმის, მემარხილის, მეეტლის დასაჯდომი ადგილი) ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგიაში ავტომობილის ერთ-ერთი დეტალის — **კონიკ**-ის აღსანიშნავადაა გამოყენებული. იგი გრძელი მილების დასაწყობი ადგილია ავტომობილში ამ მილების გადაზიდვის დროს. ამგვარად სიტყვა **კოფომ** დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა და მრავალმნიშვნელობიან სიტყვად იქცა. პოლისემიის მიზეზი აქ მნიშვნელობის გაფართოებაა. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა უფრო ვიწრო, სპეციალიზებული ცნების გამოსახატავად იხმარება[57].

საერთო ენაშიც და ტერმინოლოგიაშიც პოლისემია შეიძლება ერთნაირად გამოიწვიოს უცხო ენიდან თარგმნამაც: თუ სიტყვას უცხო ენაშივე რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, იგი შეიძლება გადმოჰყვეს მსესხებელ ენაშიც. მაგ. რუსულშიცა და ქართულშიც სიტყვა **количество**-ს პოლისემიურობა ლათინურში მისი ფარდი სიტყვის quantitas (რაოდენობა, სიდიდე) მრავალმნიშვნელობიანობით აიხსნება[58].

მაგრამ სხვა სურათია, როდესაც პოლისემიას სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ედება საფუძვლად.

ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის სრულიად უცხოა მეტაფორული გზით მრავალმნიშვნელობიანობის მიღება. საერთო-სალიტერატუ-

---

55 იხ. ტერმინი და კონტექსტი, გვ. 67.

56 პოლისემიისა და კონტექსტის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. Ефремов А. Ф. Многозначность слова.—РЯШ. М., 1957, с. 6—7; ასევ.: ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 107—112; Крылов А. И. Термин и контекст.—Языковые единицы и контексты. Ленинград, 1973, с. 90—92.

57 აღარ შევჩერდებით პოლისემიის ანალოგიურ შემთხვევებზე საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკიდან.

58 Кутина Л. Л. Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 88—89.

რო ენაში კი ეს პოლისემიის გაჩენის ჩვეულებრივი გზაა. „პოლისემიის პროცესის რეალიზაცია ყველა შესაძლო არხებით არ ხორციელდება ტერმინოლოგიაში, — წერს დანილენკო, — კერძოდ, ტერმინოლოგია მოკლებულია მნიშვნელობის განვითარების შესაძლებლობას მეტაფორული გადატანის გზით, ე. ი. ფორმის, ფერის, მოქმედების და სხვათა მსგავსების საფუძველზე. თვით ტერმინები შეიძლება იყოს მიღებული საერთო სახმარი სიტყვის მნიშვნელობის მეტაფორული გადატანის შედეგად (гусеница танка, подошва горы, башмак, лопатка, чашечка და მრ. სხვ.), მაგრამ ურთიერთობის სპეციალური სფეროს შიგნით, სამეცნიერო ენის ფარგლებში, თვითონ ტერმინებში მეტაფორული მრავალმნიშვნელიანობა არ ვითარდება“[59].

მართლაც მეტაფორული გზითაა მიღებული ტერმინთა საკმაოდ დიდი რიცხვი: ყელი (კონვერტერისა), ხახა (სამსხვრეველასი), ხიდი (ავტომანქანისა), ხორთუმი (ტრანსპორტიორისა) — ტექნიკაში; დოინჯი შუბლი—მშენებლობაში, ნუშა ნავი, სამანდილოსნო განედები, კატისთათური ნასკვი — საზღვაოში; ქართა ეარდი — გეოფიზიკაში; მარაო — გეოლოგიაში და ა. შ.

მაგრამ არც ერთ მათგანს ტერმინოლოგიური ფუნქციით გამოყენების დროს დამატებითი მნიშვნელობა არ შეუძენია.

3. ნაკლებია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში დიალექტური მნიშვნელობების შემოჭრის შედეგად გაჩენილი პოლისემიის შემთხვევებიც, რაც ესოდენ დამახასიათებელია საერთო-სალიტერატურო ენისათვის[60]. აქ იგივე სურათია, რაც სალიტერატურო ენიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში სიტყვების გადმოტანის დროს გვქონდა. ისევე, როგორც ჩვეულებრივი ხმარების სიტყვა, რომელიც მნიშვნელობის შეცვლის გზით შემოვიდა ტერმინოლოგიაში, უკვე აღარ იცვლის მნიშვნელობას, დიალექტური ლექსიკაც (რომელიც ტერმინოლოგიური ლექსიკის გამდიდრების წყაროა), ახალ-ახალ მნიშვნელობებს არ ივითარებს და განსაკუთრებული სიმყარით გამოირჩევა.

4. პოლისემიად შეიძლება იქცეს სამეცნიერო ტერმინოლოგიაში თვით ცნების განვითარების შემთხვევებიც[61].

5. დასასრულ, ამას უნდა დაემატოს საერთო ენის ლექსიკური სისტემისა და ტერმინოლოგიური სისტემის განმასხვავებელი ერთი თავი-

---

[59] Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[60] ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 119—123.

[61] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Кутина Л. Л. დასახ. ნაშრ., გვ. 89.

სებურებაც: საერთო ენაში მრავალმნიშვნელობიანობა, სიტყვის სემანტიკური ტევადობის ის უნარი, რომ იხმარებოდეს სხვადასხვა სამეტყველო კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობისა თუ აზრობრივი ნიუანსებისათვის, ენის შენების აუცილებელი პირობაა და მისი ღირსების შემაპირობებელი. იგი სემანტიკურად და სტილისტურად ამდიდრებს ენას. ტერმინოლოგიაში მრავალმნიშვნელობიანობა ანუ პოლისემიის არსებობა ტერმინოლოგიური სისტემის ერთ-ერთ „დიდ უბედურებადაა" მიჩნეული.ლოტეს აზრით, მრავალი მნიშვნელობის მქონე ტერმინი დიდ დაბრკოლებას ქმნის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისას, ხელს უშლის ურთიერთგაგებასა და იწვევს პრაქტიკულ შეცდომებს ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში[62]. „პოლისემიურ ურთიერთობათა ასახვა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, — წერს ლ. კუტინა, — მოწმობს ტერმინოლოგიური სისტემის მოუწესრიგებლობასა და სუსტ გაფორმებულობას. ტერმინოლოგიაში ერთი ნიშანი პრინციპულად მხოლოდ ერთ ცნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული"[63]. დღეს ეს თვალსაზრისი ამოსავალ დებულებადაა ქცეული ტერმინოლოგთა უმრავლესობისათვის და ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვლება სიტყვათა შედგენისას ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შეზღუდულია სიტყვის სემანტიკური დატვირთულობა, შეინიშნება, რომ მიმღეობებს, და ნაწილობრივ ზედსართავებს, დიდი ტენდენცია აქვს შეიგუოს თავის უშუალო ფუნქციასთან ერთად არსებითი სახელის გამოხატვის ფუნქციაც, ე. ი. ერთდროულად გამოხატოს თვისებისა და საგნის კატეგორია: ამძრავი приводной; привод; бомбардировочный; бомбардировщик; ბურდოსაბერტყი соломотрясный; соломотряс; ნალექი осажденный; осадочный; осадок; გადამრთველი переключательный; переключающий; переключатель; ანარეკლი отраженный; отражение; საგლუვი гладильный; гладилка; საგორავი катальный; каток; накатник; საკეტი затворный; затвор; замковый; защелкивающий; საზვინულებელი валкообразующий; валкователь; საზომი мерильный, мерительный, мерный; измеритель; мерило; საკაზნე гильзовый; магазин; патронник; патронный; საკილო пазовальный; пазовик და ა. შ.

რუსულში ასეთი ორგვარი ფუნქციით, ჩვეულებრივ, პროცესის აღმნიშვნელი ტერმინები გვევლინება: смазка შეზეთვა, გაპოხვა; გაგლესა; საზეთი, საპოხი, საგლესი; выкопировка ამოხაზვა; ამონახაზი; выплеск

---

[62] Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 18—20.

[63] Кутина Л. Л. Формирование терминологии физики в России. М.—Л., 1966, с. 258.

ამოშხეფა; ამონაშხეფი, შხეფი; вырез, вырезка ამოჭრა; ამონაჭერი; высевка ცხრილვა, ცრა; ნაცხრილი, ნაცერი; высечка ამოკვეთა; ამონაკვეთი; выстилка ამოგება, ამოფენა; ფენილი, საფენი; вытеска ამოთლა; ამონათალი; захват წატაცება; სატაცი; защита დაცვა: საფარი; звукозапись ბგერათჩაწერა; ბგერათჩანაწერი; натяжка დაჭიმვა; დამჭიმი; перевод გადაყვანა; გადასაყვანი; перегиб გადაღუნვა, გადაკეცვა; გადანაღუნი, გადანაკეცი; износ ცვეთა; განაცვეთი; прибавка დამატება; დანამატი; сцепка გადაბმა; გადასაბმელი; ход სვლა; შესასვლელი (შდრ. ход поезда, задний ход და чёрный ход, парадный ход) და ა. შ.[64]

ტერმინების იმ თვისებას, რომელიც ორი სხვადასხვა კატეგორიის (პროცესისა და საგნის) ფუნქციებს ითავსებს, საენათმეცნიერო ლიტერატურაში „კატეგორიალური მრავალმნიშვნელობიანობა“ („категориальная многозначность“) ეწოდება[65].

რუსული და ქართული ენის შედარების დროს სემანტიკური დატვირთულობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კნინობითის ფორმებიც.

ქართულისათვის ჩვეულებრივია რუსული კნინობითის ფორმისა და მისი ამოსავალი მაწარმოებელი ფუძის ერთი სიტყვით გამოხატვა: голова, головка (შდრ. გვირაბის თავი голова туннеля და საბურღი თავი сверлильная головка), ნათურა лампа, лампочка (შდრ. აირმნათი ნათურა газосветная лампа და გამოსაძახებელი ნათურა вызывная лампочка) და მრ. სხვა. დასახელებულ მაგალითებში კნინობითის ამ ფორმებს რუსულ ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში სტილისტური ფუნქცია კი არ აკისრიათ, არამედ მნიშვნელობათა დიფერენციაციის სურათს გვიჩვენებენ და სხვადასხვა რეალიებს გამოხატავენ.

ტერმინოლოგიაში, როდესაც პოლისემიის საკითხებზე მსჯელობენ, ბუნებრივია, მხედველობაში აქვთ რომელიმე ერთი დარგის ან

---

[64] Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 66. ამავე წიგნის 66—69 გვერდებზე ავტორი საგანგებოდ განიხილავს პოლისემიის იმ შემთხვევებს, როდესაც იგი მეტონიმიისა (ანუ მეზობლობის, სიახლოვის გამო მოვლენის, საგნის ერთი სახელწოდების მეორეთი შეცვლის) და სინეკდოხის შედეგადაა მიღებული, როცა ზოგადის აღმნიშვნელი სიტყვა შეცვლილია კერძოობითის აღმნიშვნელით, მრავლობითისა — მხოლოობითით და პირიქით.

[65] Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 60. ვინაიდან სიტყვა к а т е г о р и у л о დღეს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება (კატეგორიული მოთხოვნა, განცხადება, მსჯელობა და მისთ.), ამიტომ რუსული категориальный-ის ქართულ შესატყვისად პირობით „კატეგორიალურს“ ვხმარობთ. სათანადო ანალიტიკური ფორმები: „კატეგორიების მიხედვით გარჩეული“, ან „კატეგორიებით გამოწვეული მრავალმნიშვნელობიანობა“, გარდა იმისა, რომ ტერმინებად მარჯვე არაა, არც სემანტიკური სიზუსტით ხასიათდება.

მომიჯნავე დარგის ფარგლები. სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში ერთი და იმავე ნიშნის ანუ ტერმინის პოლისემიურობაზე არც ლაპარაკობენ. ასეთ შემთხვევებში უკვე ომონიმიასთან გვაქვს საქმე, რადგანაც საკითხი სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ველში სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოხატვას შეეხება[66]. მრავალმნიშვნელობიანობა დაუშვებელია ერთი ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებში (მაგ., ტერმინი **ბურღი** ტექნიკის ერთსა და იმავე დარგში ხან რუსული бур-ისთვის რომაა გამოყენებული და ხან сверло-სათვის — ეს გაუმართლებელია).

პოლისემია, როგორი გზითაც არ უნდა იყოს გაჩენილი ტერმინოლოგიაში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ტერმინოლოგიური სინამდვილისათვის ნიშანსა და აღსანიშნს შორის ცალსახა დამოკიდებულება უნდა იყოს. უფრო მეტიც: ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ცალკეულ ტერმინთა, არამედ შედგენილ ტერმინთა შემადგენლობაში შემავალი ცალკეული კომპონენტის მონოსემიურობის საკითხსაც კი.

ტერმინოლოგიური სისტემის ასაგებად არანაკლებ მნიშვნელოვანია სიტყვამაწარმოებელი აფიქსების ერთმნიშვნელიანობა.

ამგვარად, ტერმინის მონოსემიურობა აუცილებელი პირობაა იდეალური ტერმინოლოგიის შესადგენად, მაგრამ ამისი მიღწევა ადვილი არაა, რადგანაც ხშირად იგი მნიშვნელობათა დიფერენციაციის წვდომის რთულ საკითხებს უკავშირდება.

ომონიმია

საყოველთაოდ ცნობილია ომონიმიის საკითხის სირთულე, რაც უპირველეს ყოვლისა, მისი რაობის სხვადასხვაგვარ განსაზღვრაში მდგომარეობს. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მოცემული ომონიმთა ამომწურავი დახასიათება[67], არც მათი გამომწვევი მიზეზებია

---

66 ამისი საუკუთესო დადასტურებაა რეფორმატსკის მიერ მოყვანილი მაგალითი ტერმინ речь-თან დაკავშირებით, რომელიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ცნებას გამოხატავს და ომონიმადაა ქცეული. იხ. Реформатский А. А. დასახ. ნაშრ., 49—51. ამ ტიპის მაგალითები მრავლად შეიძლება იქნეს დასახელებული ქართული ტერმინოლოგიური სინამდვილიდანაც (შდრ. სხვადასხვა ხმარების სფერო სიტყვებისა **კორპუსი, ოპერაცია, მოტივი** და სხვ.).

67 ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი შრომა: Маслов Ю. С. Омонимы в словарях и омонимия в языке.—Вопросы теории и истории языка. Ленинград, 1963, с. 198—202.

ყოველთვის დადგენილი. სირთულე სხვაც ბევრია. ფაქტობრივად ომონიმიის საკითხების გარკვევა ისტორიულ კვლევას, სიტყვის სემანტიკური საზღვრების დადგენას გულისხმობს და იმ სიძნელეებს უკავშირდება, რომელიც ეტიმოლოგიური ძიების დროს იჩენს თავს[68].

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ომონიმიის როგორც ენის თეორიის საკითხის კვლევა[69].

ომონიმიას ჩვენ ვეხებით იმდენად, რამდენადაც ეს ტერმინოლოგიური ფაქტების ლექსიკოგრაფიული ფიქსაციისა და პრაქტიკული ტერმინოლოგიური სიტყვახმარების საკითხებს უკავშირდება.

ომონიმიის თვალსაზრისით ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკა შესწავლილი არასოდეს ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ქართულის მასალაზე ბევრი რამ მნიშვნელოვანი თქმულა და გამოქვეყნებულა[70].

ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ომონიმიაზე მსჯელობის დროს ჩვენ ამოვდივართ ამ მოვლენის შესახებ არსებული ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტებიდან, რომლის მიხედვით ომონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვებს, მაგრამ მნიშვნელობითა და წარმომავლობით განსხვავდება

---

[68] ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია. 1974, § 81, გვ. 91.

[69] ომონიმიის როგორც ენობრივი ფაქტის რაობას, მის ტიპობრივ დახასიათებას, ენობრივ ერთეულთა გენეზისის საკითხებს, მათი გარჩევის პრინციპებს ეძღვნება მრავალი მეცნიერის შრომა: Галкина-Федорук Е. М. К вопросу об омонимах в русском языке.—РЯШ, 1954, №3; Абаев В. И. О подаче омонимов в словаре.— ВЯ, 1957, № 3; Шумилов Н. Ф. К вопросу о разграничении полисемантизма и омонимии. — РЯШ, 1956, № 3; Броун В. В. Некоторые вопросы омонимии. Тбилиси, 1958; Ахманова О. С. Очерки по общей и русской лексикологии. М., 1957, с. 104—165; მისივე: Обсуждение проблемы омонимии. — ВЯ, 1958, № 2; Виноградов В. В. Об омонимии и смежных явлениях. — ВЯ, 1960, № 5; Фалькович М. М. К вопросу об омонимии и полисемии. — ВЯ, 1960, № 5; Маслов Ю. С. Омонимы в словарях и омонимия в языке. — Вопросы теории и истории языка. Ленинград, 1963; Robert Godel Homonymie et identitè. Cahiers Ferdinande de Saussure, VIII, 1948; Булаховский Л. А. Из жизни омонимов.—Русская речь (под ред. Л. В. Щербы), новая серия, III, Ленинград, 1928; Шмелев Д. Н. Многозначность и омонимия. — Современный русский язык (лексика). М., 1977, с. 68—91 და სხვ.

[70] კერძოდ, შესწავლილია დღეს საერთო ენაში არსებულ ომონიმთა ტიპები (ფონეტიკური, მორფემული და ლექსიკური ომონიმები). შემთხვევათა უმრავლესობაში დადგენილია ომონიმთა გაჩენის საფუძვლები, გარკვეულია ომონიმიის პოლისემიასთან მიმართების ზოგი საკითხი (იხ. ბ. ფოჩხუა, ომონიმია და პოლისემია. — იქვე, ტ. IX—X, 1958, გვ. 13—38; მისივე: ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 83—93, § 77—82; ე. ბაბუნაშვილი, ომონიმია და მისი ადგილი ქართულ ენაში. — თუშ, 93, თბ., 1960.

მისგან[71]; კილი[1] (მარცვლის ბუდე) чешуя და კილი[2] (გემის ფსკერის სიგრძეზე გადებული ძელი) киль; თვალი[1] колесо და თვალი[2] очко;глаз, глазок; ხერხი[1] способ და ხერხი[2] пила; ხუფი[1] выюшка და ხუფი[2] колпак; ჯამი[1] чаша და ჯამი[2] итог; ჭავლი[1] рябь და ჭავლი[2] струя; იასპი[1] яшма და იასპი[2] аспид; კალთა[1] пола; კალთა[2] полотнище; კალთა[3] юбка; კალთა[4] склон; პირი[1] край (ჭურჭლის პირი); პირი[2] остриё, лезвие (მჭრელი პირი); პირი[3] клинок (რანდის პირი); პირი[4] устье (ჭაურის პირი); პირი[5] сторона (უკუღმა პირი); პირი[6] лицо (მკვეთარას პირი). ანდა რუსული: кран[1] ონკანი და кран[2] ამწე; планирование[1] დაგეგმვა და планирование[2] ცორვა; косяк[1] წირთხლი და косяк[2] ირიბა; сообщение[1] უწყება, ცნობება; сообщение[2] მიმოსვლა; сообщение[3] მინიჭება (მაგ. с. ковкости); сообщение[4] შეერთება და ა. შ.[72]

როგორც ვხედავთ, ომონიმები სემანტიკურად დაცილებული სიტყვებია, თუმც ფონემური შედგენილობის მიხედვით სრულიად იდენტური.

მოგეხსენებათ, ერთი და იგივე ბგერითი კომპლექსი შეიძლება ჰქონდეს პოლისემიურ სიტყვებსაც და ომონიმებსაც, მაგრამ პოლისემიის დროს ერთი აღსანიშნის ანუ ერთი საგნის რამდენიმე სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, ხოლო ომონიმიის დროს რამდენიმე სხვადასხვა აღსანიშნთან, სრულიად განსხვავებულ რამდენიმე საგანთან[73].

ომონიმურ წყვილებს იმდენად დაცილებული მნიშვნელობები აქვს, რომ მათი ერთნაირი ბგერადობა შემთხვევითობის შთაბეჭდილებას ახდენს.

ცნობილია, რომ ომონიმიის გაჩენას ენაში რამდენიმე სხვადასხვა მიზეზი აქვს: ა) ომონიმი ზოგჯერ სხვადასხვა წარმომავლობის, ან ერთი ენის სხვადასხვა სიტყვების ბგერითი დამთხვევის შედეგად, ანუ სიტყვაში მომხდარი ბგერითი ცვლილებების შედეგადაა მიღებული (შდრ.: ძველი რუსული **лук** (მშვილდი) და გერმანულიდან რუ-

---

71 ჩვენ მხოლოდ ლექსიკურ ომონიმებზე გვექნება საუბარი და არა ყოველგვარ ფონეტიკურად იდენტურ ოდენობებზე. არც ომოფორმები, რომლებიც ფაქტობრივად ომონიმები არც არის (იხ. Виноградов В. В. დასახ. ნაშრ., გვ. 12—13) და არც მორფემული ომონიმები, რომლებსაც ბროუნი სტრუქტურულ ომონიმებს უწოდებს და რომლებიც ომონიმური სიტყვაწარმოებითი ფორმანტებისა და აფიქსოიდების საშუალებითაა მიღებული (იხ. Броун В. В. Некоторые вопросы омонимии.—Автореф. дисс. на соиск. уч. ст. кандид. филол. наук. Тбилиси, 1958, с. 9), ჩვენი განხილვის საგანი არ იქნება.

72 მაგალითები ძირითადად აღებულია 1982 წ. გამოცემული „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ ქართულ-რუსული ნაწილიდან.

73 ომონიმიისა და პოლისემიის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს ეხება. ბ. ფოჩხუას დასახელებული ნაშრომი, გვ. 13—36.

სულში შესული **лук** (Lauch) ხახვი; ძვ. ქართ. **ჴელი** ზედა კიდური და **ხელი** გიჟი; ძვ. ქართ. **ჴერჯი** წესი, საშუალება და **ხერხი** იარაღი; ძველი სლავურიდან შემოსული **среда** (კვირის მესამე დღე) და ფრანგულის სემანტიკური კალკი რუსულში **среда** (გარემო) და ა. შ. ბ) ომონიმი უცხო სიტყვათა სესხების ნიადაგზეა გაჩენილი: შდრ.: **ბაკი**[1] (ფრ. bac) სითხის შესანახი ლითონის დიდი სათავსი და **ბაკი**[2] (ჰოლანდ. bac) გემბანის წინა ნაწილი; **ვატმანი**[1] (ინგლ. Wattman) ტრამვაის ვაგონის წამყვანი და **ვატმანი**[2], **ვატმანის ქაღალდი** (ინგლისელი Wathman-ის გვარის მიხედვით) კარგი ხარისხის სახაზავი და სახატავი მკვრივი ქაღალდი; **რონდო** (იტალ. rondo) მუსიკალური ფორმა, რომელშიც მთავარი თემა ხშირად მეორდება, და **რონდო**[2] (ფრ. rondeau) განსაკუთრებული ხელნაწერი ასოები ან სასტამბო შრიფტი. გ) ლექსიკური ომონიმიის წყარო ხშირად პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებად დაშლაა[74]. ერთი საერთო ამოსავალი ძირი ჰქონდათ დღეს ომონიმებად მიჩნეულ შემდეგ სიტყვებს: **ცხვირი**[1] (ანატომიური ნაწილი) და **ცხვირი**[2] (გემისა); **მოტივი**[1] (რაიმე მოქმედების გამომწვევი მიზეზი) და **მოტივი**[2] (მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია); **პიონერი**[1] (ახალი გზის გამკაფავი) და **პიონერი**[2] (ბავშვთა ნებაყოფლობითი კომუნისტური ორგანიზაციის წევრი) და ა. შ.

ამგვარი ომონიმური წყვილების ჰომოგენურობა ზოგჯერ სრულიად გამჭვირვალეა. მაგ., ზემოთ დასახელებული სიტყვა **ცხვირი** როგორც საზღვაო ტერმინი რომ მნიშვნელობის გადატანითაა მიღებული, თითქოს აშკარაა (შდრ. სიტყვა **ატლასი**, რომლის მნიშვნელობათა შორის არავითარი კავშირი არ ჩანს: ატლასი ერთი მნიშვნელობით ბერძნულიდანაა ნასესხები და გეოგრაფიული რუკების კრებულს აღნიშნავს, მეორე მნიშვნელობით კი — არაბული წარმომავლობისაა და აბრეშუმის პრიალა ქსოვილს ეწოდება).

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა დიფერენციაციის გზით მიღებული ომონიმიის მაგალითად ბროუნი რუსულში სიტყვა **молния**-ს ასახელებს, რომელსაც სამი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: 1. დეპეშა; 2. შესაკრავი; 3. ატმოსფერული მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ესენი ომონიმები არიან, აშკარად ჩანს მათი ერთი სიტყვიდან მომდი-

---

[74] ასეთ ომონიმებს, ანუ პოლისემიისაგან მიღებულ ომონიმებს, ულმანი სემანტიკურ ომონიმებს უწოდებს (Ullman S. Précis de semantique française. Paris, 1952). ომონიმიისა და პოლისემიის ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესოა ვ. აბაევის რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ომონიმიასა და პოლისემიას სრულებით არაფერი აქვთ საერთო, არა აქვთ არავითარი შეხების წერტილი, რომ პოლისემია არასოდეს არ შეიძლება იქცეს ომონიმიად და პირიქით (Абаев В. И. О подаче омонимов в словаре.—ВЯ, 1957, № 3).

ნარეობა: „ამ სიტყვების სინქრონიულ განხილვასაც კი, — წერს ბროუნი, — არ შეუძლია დაჩრდილოს მათი წარმომავლობის საერთო წყარო, რაც სიჩქარის ნიშნის მიხედვით ამ სიტყვათა ერთიანობაში გამოიხატება“[75].

ტერმინოლოგიაში, საერთო ენისაგან განსხვავებით, რეგულარულად ომონიმიის ეს ბოლო შემთხვევები გვხვდება, ე. ი. როდესაც მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სემანტიკური დაშლა ხდება და დამოუკიდებელი მნიშვნელობის ახალ სიტყვებს ვიღებთ[76].

სწორედ ის ფაქტი, რომ ომონიმები პოლისემიური სიტყვის განშტოებებს წარმოადგენენ, არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად ჭირს პოლისემიისა და ომონიმიის ფაქტების გამიჯვნა[77].

ომონიმთა გამოყოფის თვალსაზრისით არც ტერმინოლოგიურ პრაქტიკაშია ყოველთვის ერთგვაროვნება დაცული. ერთმანეთს რომ შევუდაროთ სხვადასხვა დროს გამოცემული ლექსიკონები, ვნახავთ, რომ ტერმინთა შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვაა:

1957 წელი	1977 წელი
валек საბმური; ვალცი	валек[1] საბმური валек[2] ვალცი
цепь ჯაჭვი; წრედი	цепь[1] ჯაჭვი цепь[2] წრედი
гребень თხემი, ქიმი; სავარცხელი	гребень[1] თხემი, ქიმი гребень[2] სავარცხელი და ა. შ.

---

[75] Броун В. В. დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.

[76] პოლისემიისაგან ომონიმიის მიღების ფაქტები რუსული ენის მასალაზე კარგადაა გაშუქებული შრომაში: Толмачёва З. А. Образование омонимов путем распада полисемии.—РЯШ, М., 1959, № 4, с. 28—33.

[77] ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში და ლექსიკონებში ერთი და იგივე სიტყვა ხან ომონიმადაა კვალიფიცირებული, ხან კი პოლისემიურ სიტყვადაა მიჩნეული (შდრ. მაგ., სიტყვები: ფოკუსი, შტატი, პარკი და მისთანანი ო. ახმანოვას ომონიმების ლექსიკონში (იხ. Ахманова О. С. Словарь омонимов русского языка. М., 1976 და მიხ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში, 1973). ჭრელ სურათს იძლევა ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ლექსიკონების შედარება. ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნის შესახებ ა. სმირნიცკი აღნიშნავს: „ზუსტი ზღვარის გავლება პოლისემიისა და ომონიმიის ცალკეულ შემთხვევებს შორის ზოგჯერ ძალიან რთული საქმეა. ბევრი რამ ამასთან დაკავშირებით ბუნდოვანია და არასაკმარისად განსაზღვრული ისევე, როგორც ღრუბელთა მოხაზულობა არაა ყოველთვის ნათელი და მკაფიო, თუმცა თვით ამ ღრუბლების არსებობა, მათი ერთმანეთისაგან და მოწმენდილი ცისაგან გამორჩევა არ შეიძლება იწვევდეს რაიმე ეჭვს“ (იხ. Смирницкий А. И. К вопросу о слове. — Труды Института языкознания, IУ. М., 1954, с. 40).

1982 წლის „ტექნიკურ ტერმინოლოგიის“ (ქართულ-რუსულ ნაწილში) ომონიმებადაა გამოყოფილი ისეთი ტერმინებიც, რომელთა გენეტურად დაკავშირება თითქოს შეუძლებელი არ არის: ქერქი[1] кожура, кора, корка და ქერქი[2] стяжка, стягивание; კალაპოტი[1] колодка და კალაპოტი[2] русло; ложе; ბაქანი[1] площадка და ბაქანი[2] платформа და ა. შ.

ამგვარად, როგორც მაგალითებიდანაც დავინახეთ, სიტყვათა სემანტიკური საზღვრები მერყევია და ძნელად გამოსაყოფი. ამიტომ მართებული იქნებოდა ლექსიკონებში მასალის ფიქსირების დროს ისტორიული ასპექტი კი არ ყოფილიყო ამოსავალი, როცა ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვათა წარმომავლობას, მათ ჰეტეროგენულობას თუ ჰომოგენურობას, არამედ სინქრონიული ასპექტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ომონიმებად ჩაითვალოს ის სიტყვები, სადაც მნიშვნელობებად დაყოფა დღეისათვის დამთავრებულ პროცესადაა მიჩნეული და პირუკუ — პოლისემიურად — დღეისათვის ხელშესახები სემანტიკური კავშირის მქონე სიტყვები[78].

ტერმინოლოგიაში ხშირად ვხვდებით სიტყვის მეტაფორული ხმარების შედეგად გაჩენილ ომონიმებსაც. ცნობილია, რომ, როგორც კი ჩვეულებრივ სახმარ სიტყვას ტერმინად ვაქცევთ, იგი აბსოლუტურად წყვეტს სემანტიკურ კავშირს ამ სიტყვასთან და სრულიად სხვა შინაარსს იძენს. ომონიმებად უნდა ჩავთვალოთ, მაგალითად, მშენებლობაში მიღებული ტერმინი **ჭუდი** (სოფლის საცხოვრებელი ნაგებობის კარის დეტალი) და **ჭუდი** (თავსაბურავი); **ხვიმირი** (წისქვილის ნაწილი) და **ხვიმირი** (ფოლადის, რკინაბეტონის ან ხის სათავსი პირამიდის ან კონუსის მოყვანილობისა რაიმე საგნის — მარცვლეულის, ქვანახშირის და მისთ. დროებით შესანახავად); **ხახა** (პირის ღრუს ნაწილი) და **ხახა** (ტექნიკაში სპეციალური დანიშნულების რაიმე ნახვრეტი) და ა. შ.

ამგვარ ომონიმებს ხმარების თავ-თავისი სფერო აქვს და ისინი არავითარ დაბრკოლებას ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში არ ქმნიან.

ომონიმიის მიმართ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ ლიტერატურაში გარკვევით ნეგატიური დამოკიდებულება ჩანს.

ერთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში ომონიმია ისევე დაუშვებლადაა მიჩნეული, როგორც პოლისემია.

---

78 სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პოლისემიისა და ომონიმიის შემთხვევების გასარჩევად საგანგებო საშუალებები არსებობს. ეს სიტყვის წარმოებით უნარსა და სინტაქსურ ფუნქციებზეა დამოკიდებული (იხ. **Галкина-Федорук** Е. М. დასახ. ნაშრ., გვ. 14—19). თუმც ისიცაა ცნობილი, რომ ეს ხერხი უნივერსალური არაა და ყოველთვის საიმედო საშუალებად შეიძლება არ იყოს მიჩნეული.

ლოტეს აზრით, ომონიმები ხელს უშლიან ურთიერთგაგებინებას და პრაქტიკული ხასიათის შეცდომებს იწვევენ[79]. უარყოფითი დამოკიდებულება ომონიმიისადმი საერთო ენის მასალაზეც არის ცნობილი. რეფორმატსკი წერს: „არ არიან მართალნი ის მკვლევრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ომონიმების წარმოქმნა ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებაა. პირიქით, ომონიმები ყოველთვის დასანანი არგარჩევაა იმისა, რაც უნდა იყოს გარჩეული. ამიტომაც ომონიმები დადებით როლს მხოლოდ კალამბურებში და ანეკდოტებში ასრულებენ, სადაც სწორედ საჭიროა „სიტყვების თამაში“. სხვა შემთხვევებში ომონიმები მხოლოდ დაბრკოლებაა გაგებისათვის“[80].

სხვა მიზეზებთან ერთად ლოტე ომონიმების გაჩენას სამეცნიერო ენაში აბრევიატურისა და ელიფსისის საკითხებს უკავშირებს[81]. სანიმუშოდ იგი რუსულ ტერმინელემენტს бенз-ს ასახელებს, რომელიც თანაბრად შეიძლება бензина ან бензола შემოკლება იყოს იმგვარ ტერმინებში, როგორიცაა: бензобак, бензопровод, бензоколонка, бензосмесь. ომონიმია აქ ძირის შეკვეცამ გამოიწვია: бензин→бенз, бензол→бенз.

„აბრევიატურის მეთოდი ხშირად აშკარად კურიოზული, ბუნდოვანი და დაუშვებელი ტერმინების შექმნაა და საზოგადოდ ენის დამახინჯებას უწყობს ხელს, — წერს ლოტე. ამიტომაც უნდა ვთქვათ უარი ამ მეთოდის უხეირო გამოყენებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ გზით ახლად შექმნილი ტერმინები ერთმნიშვნელობიანები არიან... აბრევიატურული ტერმინი წარმოქმნის მომენტში შეიძლება არც იყოს ომონიმი, მაგრამ მაინც ზოგჯერ საჭიროა იმის გათვალისწინება, ხომ არ შეიძლება იგი იქცეს ომონიმად მომავალში“[82].

იმის ნიმუშად, თუ აბრევიატურისა და ელიფსისის შედეგად ტერმინმა რა გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს, ლოტე ტერმინ хромансиль-ს ასახელებს.

ქრომანსილი ნიშნავს ქრომსილიციუმმანგანუმოვან ფოლადს. მაგრამ თურმე შესაძლებელია ფოლადის გარდა, თუჯიც იყოს იმავე მალეგირებელი თვისებების მატარებელი და აბრევიატურულად იმავე სიტყვით ქრომანსილით გადმოიცემოდეს. ანდა: альмаг არის შემოკლება გამოთქმისა — ალუმინმაგნიუმის შენადნობი[83]. მაგრამ იგი

---

[79] Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 61.

[80] Реформатский А. А. Омонимия. — Введение в языкознание. М., 1967, с. 88—89.

[81] Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 64—66.

[82] იქვე, გვ. 64.

[83] ქართულ მეტალურგიულ ტერმინოლოგიაში მას მაგნალიუმსაც ეძახიან (იხ. მეტალურგიის ტერმინოლოგია, 1959).

ასევე შეიძლება იყოს სხვა გამოთქმის алюминиево-магниевая смесь-ის (ალუმინმაგნიუმის ნარევის) შემოკლებაც, ეს ომონიმები ერთდროულად ელიფსისისა და აბრევიატურის შედეგადაა მიღებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკურ-სემანტიკური ომონიმიის გარდა სხვა შემთხვევებიცაა აღწერილი[84]. სიტყვაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას აფიქსთა პოლისემია-ომონიმიის საკითხები საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი.

სინონიმია

სისტემურ ურთიერთობათა ერთ-ერთი გამოხატულება ენაში სინონიმთა არსებობაა. სინონიმიის საკითხებს მრავალი თეორიული ხასიათის გამოკვლევა ეძღვნება[85]. მკვლევართა თვალსაზრისი ნაირგვარია. ჩვეულებრივი განსაზღვრება სინონიმებისა ამგვარია: სინონიმებად იწოდება სიტყვები, რომელთაც სხვადასხვა ბგერითი შედგენილობა აქვთ, მაგრამ მნიშვნელობა კი ერთგვარი. ავტორთა უმრავლესობის მიერ ზემოთ მოყვანილი განმარტების მეორე ნაწილი დაზუსტებულია: სინონიმები სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის სიტყვებია, რომელთაც ერთგვარი ან მიმსგავსებული ლექსიკური მნიშვნელობები

---

[84] Соболева П. А. Словообразовательная полисемия и омонимия. М., 1980 და სხვ.

[85] მათ შორის გვინდა დავასახელოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა: Коршунов С. Й. Синонимы в технической терминологии. — Изв. АН СССР, ОТН, 1952, № 10, с. 1520—1526; Шапиро А. Б. Некоторые вопросы теории синонимов. — Доклады и сообщения Ин-та яз-ния АН СССР, № 8. 1955; Саркисова А. Н. К вопросу о понимании сущности синонимов как явления языка. — Ученые записки Таганрогского пединститута, I, 1956; Апресян Ю. Д. Проблема синонимов. — ВЯ, 1957, № 6, Галкина-Федорук Е. М. Синонимы в русском языке. — РЯШ, 1959, № 3; Григорьева А. Д. Заметки о лексической синонимии. — Вопросы культуры речи, вып. 2, 1959; Гречко В. А. О лексической синонимии в русском языке. — Филологические науки, 1963, № 2; Палевская М. Ф. Синонимы в русском языке. М., 1964; Очерки по синонимике соврем. рус. лит-го языка. М.—Л., 1966; Лексическая синонимия. М., 1967; Синонимы русского языка и их особенности. Ленинград, 1972; Бережан С. Г. Семантическая эквивалентность лексических единиц. Кишинев, 1973; Апресян Ю. Д. Лексическая семантика.—Синонимические средства языка. М., 1974. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა.—სმამ, II, №7, 1941. ბ. ფოჩხუა, ქართული სინონიმიკის ლექსიკოგრაფიული საკითხები.—იქვე—XXII, 1980 და ბევრი სხვა. აღარაფერს ვამბობთ ლექსიკის შესახებ არსებულ სტაბილურ სახელმძღვანელოებზე, სადაც საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი სინონიმიის პრობლემას.

აქვთ[86]. გვხვდება განმარტებათა სხვა მოდიფიკაციებიც[87]. სინონიმთ მაგალითებია: თვალი და ბორბალი; ფილტრი და საწური; იზოლაცი და განმხოლოება; ცხიმი და ქონი; შუქი და სინათლე; ციცხვი და ჩამჩა ტარი და სახელური; რხევა და რყევა; ნახვრეტი და ხვრელი; წირი დ მრუდი; სიჩქარე და სისწრაფე და ბევრი სხვა.

მეტწილ შემთხვევაში ეს სინონიმური წყვილები ერთგვარ ობი ექტურ სინამდვილეს ასახავენ და ერთ აღსანიშნზე მიუთითებენ (შდრ მაგ., თვალი და ბორბალი, ფილტრი და საწური). მაგრამ შესაძლებე ლია, ყოველთვის ისინი აბსოლუტურად იდენტური ოდენობები აქ იყვნენ. კერძოდ, თუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს სინონიმურ წყვილ ში შემავალ სიტყვებს, ვნახავთ, რომ მათ შორის შეიძლება უმნიშვნელო მაგრამ მაინც შესამჩნევი სემანტიკური ნიუანსი იყოს. ეს კარგად ჩან ასეთ სიტყვათა სინტაქსური დისტრიბუციის დროს მათი ურთიერთ შენაცვლებისას). ითქმის: **თევზის ქონი**, მაგრამ — **ცხოველური ცხიმ** და ა. შ. კონტექსტურად შეიძლება გარჩეული იყოს წირი და მრუდი საცობი და კორპი და სხვ.

ზოგჯერ სხვაობა ამ წყვილებს შორის შეიძლება უფრო თვალსა ჩინოც იყოს და, მიუხედავად ამისა, ისინი სინონიმებს წარმოადგენენ რადგანაც მათ ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ — ეს მათი ნომი ნაციური ფუნქციაა: ისინი ერთსა და იმავე დენოტატს (საგანს, მოვლე ნას, ფაქტს) აღნიშნავენ.

იმგვარ სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონ ტექსტურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინო ნიმებს, ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან (მაგ. წნეხი და პრესი კვანძი და ნასკვი, კაჟი და ტალი, ნატი და ზამში, განყენება და აბს ტრაქცია, ინტერვალი და შუალედი, ანემომეტრი და ქარსაზომი დ სხვ.). აქ სინონიმურ წყვილთა მნიშვნელობა სავსებით ემთხვევა ერთ მანეთს, ანუ ნულოვანი ოპოზიცია ახასიათებს[88].

სინონიმებს შეიძლება არა მხოლოდ წყვილი სიტყვები ქმნიდეს, არამედ სამი, ოთხი და მეტი ერთეულიც ერთიანდებოდეს და ერთ

---

86 სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და მისი დენოტატთან ურთიერთობის შესახებ იხ. Чикобава А. С. Реальность синонимов и возможность синонимических словарей. — Лексическая синонимия. М., 1967, с. 78—79.

87 Апресян Ю. Д. დასახ. ნაშრ., გვ. 216—220.

88 ზოგი მკვლევარი იმგვარ სინონიმებს, რომელთაც განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები აქვთ, რაც მათ სინტაგმატიკურ ურთიერთობებში ვლინდება, სინონიმებად არ მიიჩნევს. უფრო მეტიც, ისინი სინონიმიის არსებობას ტერმინოლოგიურ სისტემებში საზოგადოდ გამორიცხავენ და მხოლოდ დუბლეტების არსებობაზე ლაპარაკობენ (იხ. Толикина Е. Н. Некоторие лингвистические проблемы изучения термина.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970 с. 61; Капанадзе Л. А. О понятиях „термин" и „терминология".—

სინონიმურ მწკრივს იძლეოდეს. სინონიმურ მწკრივებში, როგორი შედგენილობისაც არ უნდა იყვნენ ისინი (ორ-, სამ- და მეტსიტყვიანი), გამოიყოფა ერთი ძირითადი სიტყვა ანუ დომინანტი, დანარჩენები კი მნიშვნელობის ნიუანსებს შეიცავენ.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს სინონიმიასთან დაკავშირებული ყველა სპეციალური საკითხის განხილვა და, მით უმეტეს, შეფასება. აღვნიშნავთ მხოლოდ სინონიმთა ძირითად ჯგუფებს, რამდენადაც მათი გამოყოფა ტერმინოლოგიურ მასალაზე მსჯელობის დროს დაგვჭირდება.

ძირითადად ენის ლექსიკურ სისტემაში სინონიმთა ორ ჯგუფს გამოჰყოფენ: ა) ლექსიკურსა და ბ) გრამატიკულს (მორფოლოგიურს, სინტაქსურს). ლექსიკური სინონიმები ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვებს ეწოდება.

ლექსიკური სინონიმები, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სემანტიკური (მას სხვაგვარად იდეოგრაფიულ სინონიმებსაც უწოდებენ) და სტილისტიკური[89]. ლექსიკურ-სემანტიკურ სინონიმს წარმოადგენდა ზემოთ დასახელებული ყველა სინონიმი.

გრამატიკული სინონიმები ფუნქციურად მსგავსი გრამატიკული მაჩვენებლების მქონე ერთნაირ სიტყვებს ეწოდება (მაგ.: სამკუთხიანი და სამკუთხა, სამფეროვანი და სამფერი, უშრეტი და დაუშრეტელი და სხვ.)[90].

სტილისტიკური სინონიმები ერთგვარი სემანტიკის მქონე სიტყვებია, ოღონდ სხვადასხვა სტილისტიკური ნიუანსების მქონე (მაგ., წასვლა და წათრევა, მაღალი და აწოწილი და ა. შ.).

Развитие лексики современного русского языка. М., 1965; Галкина-Федорук Е. М. დასახ. ნაშრ., გვ. 11 (პოლონელი მეცნიერის სკორუპკას თვალსაზრისი); Лагутина А. В. Абсолютные синонимы в синонимической системе языка.—Лексическая синонимия. М., 1967. აქ განხილულია აბსოლუტურ სინონიმთა წარმოქმნის მიზეზები, ის ხერხები, რომლის მიხედვითაც უნდა იყოს დადგენილი ამგვარ სინონიმურ წყვილთა სემანტიკური დამთხვევები და მათი ადგილი სალიტერატურო თუ სამეცნიერო ენაში.

[89] ბ. ფოჩხუა, ლექსიკოლოგია, თბ., 1974, § 28, გვ. 31; ლ. ვასილიევი ამგვარ სინონიმებს იდეოგრაფიულსა და ექსპრესიულს უძახის (იხ. Васильев Л. М. Проблема лексического значения и вопросы синонимии.—Лексическая синонимия. М., 1967, с. 20). იმის გამო, რომ სინონიმთა ტიპების სრული გამიჯვნა რთულია, რადგანაც ისინი ხშირად ერთიმეორის როლში გვევლინებიან, ლ. ნოვიკოვი გვირჩევს სემანტიკური და სტილისტიკური სინონიმების ნაცვლად სინონიმების სემანტიკურსა და სტილისტიკურ ფუნქციებზე ვილაპარაკოთ (იხ. Новиков Л. А. Семантика русского языка. М., 1982, с. 229—241).

[90] გრამატიკულ სინონიმებზე ჩვენ საგანგებო სტატიაში გვექნება საუბარი (იხ. რ. ღამბაშიძე, სინონიმიის გამომწვევი მიზეზები ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიაში (გადაცემულია დასაბეჭდად).

ამჯერად სინონიმების საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური სინონიმები გვექნება მხედველობაში, რადგანაც სინონიმების სტილისტიკური ანუ ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ნულამდეა დაყვანილი.

ტერმინოლოგიაში ისევე, როგორც საერთო ენაში, სინონიმების გაჩენის საფუძველი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

ძირითადად სინონიმები ჩნდება, როდესაც:

1. ქართული ტერმინის გვერდით ფეხს იკიდებს საერთაშორისო ტერმინი (ხუროთმოძღვრება — არქიტექტურა, განმხოლოება — იზოლაცია, მინანქარი — ემალი, აირი — გაზი, მუდმივა — კონსტანტა, ჩუქურთმა — ორნამენტი, რემონტი — შეკეთება, ფილტრი — საწური და სხვ.). ასეთი სიტყვები, ჩვეულებრივ, ტოლფასოვანი სიტყვებია და ყოველგვარ კონტექსტში შეიძლება შეენაცვლონ ერთმანეთს.

2. სინონიმები გვხვდება, როდესაც ამა თუ იმ ტერმინის როლში ე. წ. „ყოფითი სიტყვებია“ გამოყენებული (პროცესის კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან: ქანაობა, რხევა, რწევა; ზელა, სრესა; მსხვრევა, მტვრევა; ტკეპნა, ბეკნა; გადანაცვლება, გადაწევა, წანაცვლება. საგნის კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან: სხეული, ტანი; სახელური, ტარი; რიგი, მწკრივი; ბუკი, საყვირი; საგუბარი, სატბორავი; მანკი, ნაკლი; ბოლი, ჰვარტლი; კესანე, ცისანე; როკი, ნუჟრი და ა. შ. თვისების კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინებიდან: საზეთი, საპოხი; საგოზი, სალესი; ჩქარი, სწრაფი; მყარი. სალი, მაგარი და ა. შ.).

3. გვხვდება სტრუქტურული სახის ისეთი სინონიმები, როდესაც ერთი ფორმა წარმოადგენს მეორის შემოკლებულ ფორმას (გოგირდის მჟავა=გოგირდმჟავა; ბენზინის ტუმბო=ბენზინტუმბო). ეს ძალიან გავრცელებული სახეა სინონიმიისა. ამგვარ შემოკლებათა ტიპები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ა) ორი სიტყვის შერწყმით მიღებულია ერთი სიტყვა (აზბესტის ქაღალდი=აზბესტქაღალდი); ბ) ორი სიტყვიდან ერთი მთლიანადაა დაკარგული და დარჩენილი სიტყვა გადმოგვცემს მთელი გამოთქმის შინაარსს (კორდის ქსოვილი=კორდი; გ) სინონიმური წყვილის ერთი ცალი წარმოადგენს ტერმინოლოგიურ გამოთქმას, ხოლო მეორე — ნაწარმოებ სიტყვას იმ ძირისაგან, რომელიც შედის ამ გამოთქმაში, როგორც ერთ-ერთი ელემენტი (საკეპი მანქანა=საკეპელა; ცვილა ქაღალდი=ცვილულა).

4. გვხვდება სტრუქტურული ხასიათის სხვა სინონიმებიც: ცეცხლგამძლე აგური=კოხი; ასაჩეჩი მანქანა=საოშავი; ოქროთი დაფერვა=

მოოქვრა; სპილენძის კრიალა=ქალკოზინი; მთის ბროლი=ქარწბი; ქართა სქემა=ვარდთა სქემა და ა. შ.[91]

5. ტერმინოლოგიურ სისტემებში ცალკე უნდა გამოიყოს სინონიმთა ის ტიპები, რომლებიც აბრევიატურისა და ლექსიკური ერთეულების გვერდით არსებული სიმბოლური დასახელებების — საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ფორმულების, რიცხვების, ასოების, სხვადასხვა მათემატიკური და პირობითი ნიშნების წყალობითაა გაჩენილი.

ცნობილია, რომ სინონიმთა არსებობა საერთო-სალიტერატურო ენაში დადებით მოვლენადაა მიჩნეული. რაც უფრო მეტია სინონიმთა რიცხვი, მით უფრო მდიდარია ენა. მისი გამომხატველობითი უნარი თავიდან აცილებს ენას ერთფეროვნებასა და არასაჭირო პლეონაზმებს, ანუ ლოგიკურად ზედმეტ სიტყვებსა და გამოთქმებს. განსაკუთრებით კი ეს სტილისტიკურ სინონიმებს შეეხება.

„განსაკუთრებული როლი ენიჭება სინონიმებს, როგორც სტილისტიკურ საშუალებას, — წერს გალკინა-ფედორუკი. იგი ამრავალფეროვნებს მეტყველებას, ხდის მას უფრო ცოცხალსა და გამომსახველობითს, მოვლენათა უფრო დახვეწილად და მხატვრულად აღწერის საშუალებას იძლევა, ქმნის კომიკურ, კალამბურულ გამოთქმებს მეტყველების გარკვეულ სტილში და ამავე დროს იძლევა საშუალებას გადმოგვცეს სინამდვილის გამოსახატვად აზრის ზედმიწევნითი ნიუანსები“[92].

ტერმინოლოგიურ სისტემებში სინონიმიის არსებობის საკითხი ერთ-ერთ სადავო საკითხადაა მიჩნეული. მეტწილად იგი, ისევე როგორც პოლისემია ან ომონიმია, უარყოფით ფაქტადაა გამოცხადებული[93]. ამ თვალსაზრისზე მყოფ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ტერმინოლოგიაში ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთცალსახა დამოკიდებულება უნდა იყოს: ერთი აღსანიშნი ერთი ნიშნისათვის და ერთი ნიშანი ერთი აღსანიშნისათვის, ანუ, სხვაგვარად, ნიშანთა სისტემა

---

91 სინონიმების გაჩენის წყაროს ენაში შეიძლება დიალექტური ლექსიკაც ქმნიდეს (ბია და კომში...), მაგრამ ნორმალიზებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ამგვარი სინონიმები არ გეხვდება.

92 Галкина-Федорук Е. М. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

93 ასეთია თვალსაზრისი უმრავლესობა ტერმინოლოგებისა, ვინც კი თავიანთ შრომებში ტერმინთა სემასიოლოგიურ დახასიათებას და მათი სისტემური ურთიერთობების საკითხს ეხება (იხ. Лотте Д. С. Образование системы научно-технических терминов.—Изв. АН СССР, 1948, № 5, с. 725; Терпигорев А. М. Об упорядочении технической терминологии.—ВЯ 1953, № 1, с. 71—76; Duchá-ček, Otto Synonymie en terminologie.—Etudes romanes] de Brno. Praha, № 10, 1979 გვ. 11 და მრ. სხვ. იშვიათად ვხვდებით საპირისპირო თვალსაზრისსაც, რომელთა მიხედვით სინონიმები ტერმინოლოგიაშიც ისეთივე დადებითი მოვლენა შეიძლება

ცნებათა სისტემის იზომორფული უნდა იყოს[94]. კიდევ უფრო უარყოფითია დამოკიდებულება დუბლეტების მიმართ.

დუბლეტები ანუ აბსოლუტური სინონიმები, რომლებიც არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა ენაში, მართლაც, საზიანოა ტერმინოლოგიური სისტემისათვის. ისინი, გარდა იმისა, რომ დასახსომებლად სირთულეს უქმნიან სპეციალისტებს, ქმნიან საშიშროებას, რომ დროთა განმავლობაში მათ შორის მოხდება მნიშვნელობათა გადანაწილება და ხელს შეუწყობენ ტერმინთა ხმარების არაადეკვატურ, მცდარ გააზრებას. დუბლეტებზე როგორც ხელშემშლელ მოვლენაზე ლაპარაკობენ თვით სალიტერატურო ენის მიმართაც კი[95]. მაგრამ დუბლეტებს ენა თავისი განვითარების ბუნებრივ პროცესში თავიდან იცილებს, ერთგვარ არჩევანს აკეთებს და ერთ მათგანს ამკვიდრებს, რაც არ შეიძლება ითქვას სინონიმების შესახებ. ცნებათა განვითარება და ახალ-ახალი ცნებები სულ უფრო და უფრო მეტ საფუძველს ქმნის სინონიმთა გაჩენისათვის.

ამგვარად, მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებისა, სინონიმების არსებობა ტერმინოლოგიურ სისტემებში რეალური ფაქტია. ზოგჯერ თვით სტანდარტიზებულ ტერმინოლოგიებშიც კი სინონიმთა აბსოლუტურად თავიდან აცილება განუხორციელებელი ჩანს. „ცალკე ტერმინოლოგიურ სისტემებში სინონიმები ისეთ ხშირ გამონაკლისებს ქმნიან, რომ მათი კატეგორიული აკრძალვა შეუძლებელიაო“, — წერს დანილენკო[96].

„ცნებათა სისტემისა და ტერმინთა სისტემის იზომორფულობა, — ასკვნის კუტინა, — ყოველთვის შეფარდებითია. ერთმნიშვნელობიანობის პრინციპი არასოდეს არ მიიღწევა მთლიანად მთელს სისტემა-

---

იყოს, როგორც საერთო ენაშიო (იხ. Подико М. В. Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 220).

94 როდესაც ნიშნისა და აღსანიშნის იზომორფულობაზე ლაპარაკობენ, ბუნებრივია, მხედველობაში აქვთ ერთი ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლები. როგორც ეს პოლისემიისა და ომონიმიის შემთხვევებში აგო აღნიშნული (იხ. Толикина Е. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 61).

95 თუმცა ლაგუტინა წერს: აბსოლუტურ სინონიმთა საზღვრების არასტაბილურობა, მისი სპეციფიკური მდგომარეობა სალიტერატურო ენაში არ გვაძლევს ავტორიტეტულ საფუძველს იმისათვის, რომ ეს მოვლენა შევაფასოთ როგორც მავნე ან არასასურველიო. ეს ერთი იმ ენობრივ მოვლენათაგანია, რომელსაც ახასიათებს ლექსიკურ ურთიერთობათა დიალექტიკურობა, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მისი დაგმობის ცდები უტოლდება იმას, რომ დავგმოთ ბრუნვათა სისტემა ან ზმნათა ფორმების წარმოება არასაკმარისი გამართულობისა, დუბლეტურობისა თუ არათანამიმდევრობისათვის (იხ. Лагутина А. В. დასახ. ნაშრ., გვ. 128—129).

96 Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 173—180.

ში. ტერმინოლოგიური ჯაჭვის სხვადასხვა რგოლი აუცილებლად გვაჩვენებს იზომორფულ ურთიერთობათა გამოხატვის სხვადასხვა ხარისხს და, დასასრულ, იზომორფული ურთიერთობანი აუცილებლად დაირღვევა თვით სისტემის ფუნქციონირებით (შდრ. პოლისემიურ ურთიერთობათა გაჩენა როგორც ცნებათა განვითარების შედეგი). გარდა ამისა, სამეცნიერო ტერმინოლოგიები, რომლებიც არსებობენ ზე- თუ ქვესისტემებად ენის საერთო ლექსიკურ სისტემასთან ერთად და უპირისპირდებიან მას, არასოდეს არ წყვეტენ ისეთი იმპულსების მიღებას საერთო ენიდან, რომლებიც არღვევენ ტერმინოლოგიებში მიღწეულ სიწმინდესა და სტაბილურობას.

ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინების ძირითადი სემასიოლოგიური დახასიათება (მონოსემია, სინონიმიის არქონა და ა. შ.) არის სიტყვათა მოცემული ფუნქციონალური კლასის წამყვანი ტენდენცია და იგი არასოდეს არ ხორციელდება სისრულით"[97].

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემა სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენს სინონიმების ხმარების თვალსაზრისით. მაგ., ერთმანეთს რომ შევუდაროთ, ერთი მხრით, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, ბოტანიკისა და ა. შ. და, მეორე მხრით, ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ვნახავთ, რომ პროცენტული შეფარდება სინონიმთა რიცხვისა სრულიად სხვადასხვაა. პირველი რიგის ტერმინოლოგიებში სინონიმების დიდი სიჭარბეა, რასაც უთუოდ თავისი ახსნა მოეპოვება. შესაძლებელია, არ იყოს გამოსარიცხი ის ფაქტიც, რომ ზოგი დარგის სპეციფიკა, მისი სემანტიკური სტრუქტურა უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ნაციონალური საერთო ენის ფესვებთან და ზოგი კი ნაკლებად. საერთო საყრდენების ეს მეტ-ნაკლებობა არ შეიძლება არ აისახებოდეს ამა თუ იმ დარგის სიტყვათა სისტემურ ურთიერთობათა გამოვლენისას.

ანტონიმია

ანტონიმია სიტყვათა ისეთ ურთიერთობას გულისხმობს, როდესაც ერთი ცნების მნიშვნელობა გამორიცხავს მეორე ცნების მნიშვნელობას, ე. ი. როდესაც ცნებათა დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. აზროვნების განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზევე იყო ცნობილი, რომ ადამიანი აზროვნებს საგნებისა და მოვლენების ურთიერთდაპირისპირების საშუალებით.

აი რას ამბობს ა. დებორინი ცნებათა წარმოშობის შესახებ: „აზ-

---

[97] Кутина Л. Л. Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем. — Лингв. проблемы научно-технической терминологии, с. 94.

როენების ისტორია მდიდარ მასალას იძლევა იმ დებულების დასადგენად, რომ ცნებები, როგორც წესი, წყვილად ჩნდება... მართლაც, ცნება შინაგანისა — გარეგანის ცნებასთან ერთად ჩნდება, მარჯვენის ცნება — მარცხენის ცნებასთან ერთად, სინათლის ცნება — წყვდიადის ცნებასთან ერთად, უძრაობის ცნება — მოძრაობის ცნებასთან ერთად და ა. შ. უფრო მეტიც, ყველა ენაში თავდაპირველად ბევრ სიტყვას ორი საპირისპირო მნიშვნელობა ჰქონდა. ორი ერთმანეთის საპირისპირო ცნება, როგორც ერთი მთლიანი გაიაზრებოდა"[98]. ამის შემდეგ დებორინს კ. აბელის სიტყვები მოჰყავს. „ცნებები შედარების დროს წარმოიქმნება. ყოველთვის რომ სინათლე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ვერ განვასხვავებდით სინათლესა და წყვდიადს. ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეფარდებითია და დამოუკიდებელი არსებობა იმდენად აქვს, რამდენადაც ეს ნივთი განსხვავდება დანარჩენი ნივთისაგან და რამდენადაც ისინი ერთმანეთთან კავშირში განიხილებიან. ყოველი ცნება საპირისპიროდ მდგომი ცნების ტყუპის ცალია და ამდენად მისი წარმოდგენა შეუძლებელია ამ საწინააღმდეგო ცნებასთან შეპირისპირების გარეშე. საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები არკვევენ ცნებებისა და ენის ჩამოყალიბების პროცესებს პირველყოფილ პერიოდში"[99].

ქართულში ანტონიმური წყვილებია: მაღალი და დაბალი, ცივი და ცხელი, მოკლე და გრძელი, კოქსვადი და არაკოქსვადი, საკმარისი და უკმარი და ა. შ.

ანტონიმია საგანთა ობიექტური თვისებების ასახვა კი არაა, არამედ ლოგიკურ შესაძლებლობათა გამოვლენა.

ენათმეცნიერებაში საკითხი ანტონიმების შესახებ დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. საერთო ენის მასალაზე ეს საკითხი დამუშავებული და შესწავლილია[100].

---

[98] Деборин А. М. Заметки о происхождении и эволюции научных понятий и терминов. — ВЯ, 1957, № 4, с. 39—40.

[99] Abel G. Uber den Gegensiin der Urvorte, 1884, გვ. 11 (ციტირებულია დებორინის წიგნის მიხედვით).

[100] Клюева В. Н. Проблема антонима. — Ученые записки, I, МГПИИЯ, IX, М., 1956; Комиссаров В. Н. Проблема определения антонима. — ВЯ, М., 1957, № 2; Максимов Л. Ю. Антонимия как один из признаков качественности прилагательных. — Автореферат на соиск. ученой степени канд. филол. наук. М., 1958; ჭ. ჯორჯაძე, ანტონიმები.—გორის პედინსტიტუტის შრომები, 1962, № 7, გვ. 95—100; Мхитарян И. Г. Об антонимах в русском языке. — Сб.научных трудов (Ереван, арм. госпединститут). Серия русского языка, 1963, № 1, с. 83—99; Guilbert L. Les antonymes. —Cahiers de lexicoloie, vol. 4, 1964; Апресян Ю. Д. Лексические антонимы. — Лексическая семантика. М., 1974, с. 284—315; Новиков Л. А. Антономия. — Семантика русского языка. М., 1982, с. 243—255.

ტერმინოლოგიაში ანტონიმებზე და ანტონიმიის საკითხებზე იმდენად ლაპარაკობენ, რამდენადაც მას სამყაროს პრაქტიკული შემეცნებისა და ცნებათა ლოგიკურ სიბრტყეში შეფასების საკითხები უკავშირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტონიმია ცნებათა გამოვლენის საშუალებაა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონიმიის ორი ტიპი გვხვდება: ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი. ლექსიკური ანტონიმები წმინდა სემასიოლოგიის თვალსაზრისით უპირისპირდება ერთმანეთს. ისინი სხვადასხვა სიტყვებია და მნიშვნელობაც სხვა აქვთ, მაგრამ მათ შორის გარკვეული აზრობრივი კავშირი არსებობს — ეს მათი დაპირისპირებაა. ლექსიკური ანტონიმებია: ღამე და დღე, სუსტი და ძლიერი, გლუვი და ხორკლიანი, სიმარტივე და სირთულე, სიმაღლე და სიდაბლე, მარჯვნივ და მარცხნივ და ა. შ. ანტონიმურ წყვილში შემავალი სიტყვები, როგორც წესი, ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი უნდა იყოს. ანტონიმიის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები ზედსართავებში გვხვდება (მძიმე და მსუბუქი, ზედა და ქვედა, ხშირი და იშვიათი, მსხვილი და წვრილი, მაგარი და რბილი).

ანტონიმიის სიტყვაწარმოებითი ტიპი ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა მაწარმოებლების საშუალებით დაპირისპირებას გულისხმობს. ესენი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. ანტონიმიის ეს ტიპი ტერმინოლოგიურ სისტემებში განსაკუთრებული რეგულარობით ხასიათდება. ამგვარი ანტონიმებისათვის მეცნიერების ენა რამდენიმე საშუალებას იყენებს: 1. ანტონიმურ წყვილში შემავალ სიტყვას წინ ერთვის უარყოფითი **არა** ნაწილაკი: მაგნიტური — არამაგნიტური, თანაბარი— არათანაბარი, დეფორმირებული — არადეფორმირებული, თანაზომვადი — არათანაზომვადი, ბმული — არაბმული, ხისტი — არახისტი, გამჭოლი — არაგამჭოლი, ცეცხლმედეგი — არაცეცხლმედეგი, თანაღერძულობა — არათანაღერძულობა, თარაზულობა — არათარაზულობა და ა. შ.

2. სიტყვა ნაწარმოებია უქონლობის გამომხატველი **უ—ო, უ—ურ** (ან **უ—ულ**) აფიქსებით, რომლებიც ქონების სახელთა ანტონიმურ წყვილებს ქმნიან[101] (ასეთი ქონების სახელები ჩვეულებრივ **-იან, -იერ** სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვებია).

ა) **უ—ო**-თი ნაწარმოები სიტყვები მიმართებით ზედსართავებთან ქმნიან ანტონიმურ წყვილებს: წყლიანი — უწყლო, ალიანი — უალო, აირიანი — უაირო, განზომილებიანი — უგანზომილებო, ვაკუუმიანი — უვაკუუმო, ბერკეტიანი — უბერკეტო და ა. შ.

---

101 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., 1973, § 164, გვ. 126.

ბ) შედარებით იშვიათია უ—ურ-ით წარმოება: გემრიელი — უგემური, ძლიერი — უძლური, ფერიანი — უფერული და ა. შ.

3) ანტონიმურ წყვილებს ქმნიან უარყოფის გამომხატველი მიმღეობები, ე. წ. უკუთქმითი ფორმები, რომლებიც უ—ელ, უ- მაწარმოებლებითაა გაფორმებული: დაწერილი — დაუწერელი, გათლილი— გაუთლელი, გაშენებული — გაუშენებელი, გაქერქილი — გაუქერქავი, გამოლეული — გამოულევი, გამთბარი — გაუმთბარი, დამზრალი — დაუმზრალი და ა. შ.[102]

გვაქვს დაპირისპირების სხვა შემთხვევებიც (უკმარმწვარი და გადამეტმწვარი, კმაბურღვა და უკმარბურღვა და ა. შ.).

ზოგჯერ დაპირისპირებას უცხო ენიდან მომდინარე აფიქსები ქმნიან: სიმეტრია — ასიმეტრია, მორალური — ამორალური, რელიგიური— ანტირელიგიური, რევოლუციონერი — კონტრრევოლუციონერი, მაკროსტრუქტურა — მიკროსტრუქტურა და მისთანანი.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრი დაპირისპირება სხვადასხვა ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვებში, ანუ ლექსიკური ანტონიმიის შემთხვევებში, უფრო საგრძნობია, ვიდრე საერთო ძირის მქონე სიტყვებში. ზოგი მეცნიერი ამიტომაც ანტონიმიის ამ ტიპს არც გამოყოფს, მიაჩნია რა, რომ ამ მაწარმოებლებს არ შესწევთ უნარი ყოველთვის მოახდინონ ის დაპირისპირება, რომელიც ანტონიმურ წყვილებში გვაქვს[103].

ანტონიმები ენაში ძირითადად სტილისტური საშუალებაა, რომელსაც მწერალი იყენებს მხატვრულ ლიტერატურაში. მეცნიერების ენაში, ბუნებრივია, იგი ამ ფუნქციისაგან სრულიად დაცლილია. მას მხოლოდ ცნებათა გამოვლენის ფუნქცია აკისრია. აქვე მეორეც უნდა შევნიშნოთ, სამეცნიერო ენაში ანტონიმთა საჭიროება გაცილებით მეტია, ვიდრე საერთო ენაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პროცენტულად მათი რიცხვი ტერმინოლოგიურ სისტემებში შეუდარებლად მეტია.

საერთო ენისა და სამეცნიერო ენის დასაპირისპირებლად საინტერესოა ერთი დაკვირვება, რომელიც ლ. კუტინას ფიზიკის ტერმინოლოგიის მასალაზე მოუხდენია: მისი აზრით, ანტონიმური წყვილები ანუ ანტონიმური ოპოზიციები სამეცნიერო ენაში ყოველთვის არ ასახავენ იმ ურთიერთობებს, რომელიც საერთო-სალიტერატურო ენაში გვხვდება. ტერმინოლოგიურ სისტემებში ჩვეულებრივი შემთხვევების გვერდით სხვაგვარი ანტონიმური ურთიერთობები ყალიბდება. მაგ., ფიზიკაში тяжелое тело-ს აღარ უპირისპირდება легкое тело. ანტო-

---

102 მ—არ აფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობას უკუთქმითი ფორმა უ-ს დართვით უკეთდება: დამდნარი — დაუმდნარი (იხ. იქვე, § 596, გვ. 578—579).

103 Булаховский Л. А. Введение в языкознание, ч. II. М., 1953, с. 44—45.

ნიმური ურთიერთობა ამ სიტყვებისა არ შეესაბამება ცნებებს შორის არსებულ კავშირებს. ახალი ფიზიკის მიხედვით, ყველა სხეული მძიმეა, ამიტომაც აქ ენის ანტონიმური ურთიერთობა დარღვეულია და გვაქვს მხოლოდ тяжело тело. სამაგიეროდ, გვაქვს სხვა დაპირისპირება: тело твёрдое და тело жидкое, რაც უცხოა საერთო ენისათვის.

ანტონიმური წყვილები ზედმეტი აღმოჩნდა ისეთ სიტყვებშიც, როგორიცაა სითბო და სიცივე; სითბურ მოვლენათა საერთო საფუძვლების დადგენის შემდეგ მიღებულია ერთიანი განმაზოგადებელი ცნება სითბოსი (და, მაშასადამე, აღარაა ეს დაპირისპირება). ანალოგიური სურათია ამ ანტონიმებს შორის: скорость და косность (ანუ იგივე медленность), ანდა густота და редкость. ეს შეცვლილია საერთო სიტყვებით — скорость (პირველ მაგალითში) და плотность (მეორე შემთხვევაში)[104].

„მარეგულირებელი ამ შემთხვევაში, — აღნიშნავს კუტინა, — ცნებათა ურთიერთობებია. ჩვეულებრივმა ენობრივმა დაპირისპირებებმა, რომელიც ხშირად ემთხვევა დაპირისპირებებს სამეცნიერო ენაში, შეიძლება ხელი შეუშალოს მეცნიერებაში გატარებულ ხაზს, „თავისი სურათი“ მოახვიოს თავს მეცნიერებას (ეს ის შემთხვევაა, როდესაც ენა უშლის ხელს მეცნიერებას)“[105].

ამგვარად, ავტორის ეს დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ანტონიმური ურთიერთობანი შეიძლება სულ გაქრეს ან შეიცვალოს მათი თავდაპირველი მიმართულება, საყურადღებოა და უფრო ვრცელი მასალის ამ თვალსაზრისით შესწავლას გულისხმობს.

ჰიპონიმია

ჰიპონიმია ლექსიკურ ერთეულთა გვარეობით-სახეობით ურთიერთობებს ეწოდება და ამ ერთეულთა ლოგიკურ-სემანტიკურ სუბორდინაციას გულისხმობს[106]. მაგ., რომ შევუდაროთ ერთმანეთს **ხე** და **მუხა**. ვნახავთ, რომ ამ ერთეულებს შორის გარკვეული დაქვემდებარებაა: **ხე** უფრო ფართო ცნებას ასახავს, **მუხა** კი მისი ერთ-ერთი სახეობაა. ანდა: **მანქანა** და **საგრეხი მანქანა**. მანქანა ზოგადია, საგრეხი მანქანა კი

---

[104] Кутина Л. Л. Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 90—91; მისივე: Формирование терминологии физики в России. М., 1966, с. 259—260.

[105] იქვე, გვ. 91.

[106] Новиков Л. А. დასახ. ნაშრ., გვ. 241—242; ასევე: Общее языкознание (Под редакцией А. Е. Супруна). Минск, 1983, с. 192—194.

ამ ფართო ცნების ერთ სახეობას გვიჩვენებს. **ხელით საგრეხი მანქანა** კიდევ უფრო სცილდება იმ ზოგად ცნებასა და საგრეხი მანქანის ერთ კერძო სახეს გამოხატავს. ცნებათა აი ამგვარ იერარქიას გვარეობით-სახეობითი ურთიერთობები ანუ ჰიპონომია ეწოდება. დაქვემდებარებულ სიტყვას ჰიპონიმი ჰქვია, ხოლო ზოგად ცნებას, რომელიც სხვა ცნებებს მოიცავს, ჰიპერონიმი ეწოდება. ამგვარად, სიტყვები **ხე, მანქანა** გვარეობითი ცნებები, ანუ ჰიპერონიმებია, ხოლო **მუხა, საგრეხი მანქანა** და **ხელით საგრეხი მანქანა** სახეობითი ცნებები, ანუ ჰიპონიმებია. საგრეხი მანქანა პირველ კომბინაციაში თუ ჰიპონიმი იყო, ხელით საგრეხი მანქანის მიმართ ჰიპერონიმი იქნება.

ჰიპონიმები ენაში ცალმხრივი იმპლიკაციური ოპოზიციის შედეგად მიიღება, ანუ იმის მიხედვით, ამა თუ იმ ფართო, გვარეობით ცნებაში რა სახეობითი ცნება იგულისხმება.

ჰიპონიმია, ანუ გვარეობით-სახეობით ცნებათა იერარქია, აზრობრივი პარადიგმატიკის სრულ სურათს იძლევა და ცნებათა სისტემის გამოსავლენი უნივერსალური საშუალებაა.

ცნებათა სისტემის გამოვლენის საკითხები მუშაობის რთულ ეტაპებს მოიცავს. ეს იგივე მნიშვნელობათა სისტემების დადგენის საკითხებია. ცნების მნიშვნელობის დადგენა განყენებულად არ ხდება. იგი სხვა ცნებებთან კავშირში, მოცემული დარგის ცნებათა სისტემაში ზუსტდება. ამიტომ ყოველ ცნებას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ცნებათა სისტემაში და ამ ცნებათა შორის არსებულ კანონზომიერებას ასახავს. ეს კანონზომიერებანი ცნებათა ლოგიკურ კავშირებს ემყარება და ცნებათა ისეთ კლასიფიკაციას გულისხმობს, რომელიც მნიშვნელობათა გვარეობით-სახეობით ურთიერთობებში ვლინდება[107].

ცნებათა ამ თვალსაზრისით კლასიფიკაცია მეტად საფრთხილო და რთული საქმეა. „კლასიფიკაცია ზუსტია და სრულია, თუ იგი იძლევა საშუალებას ყოველი ცალკეული ცნება (რომელიც კონკრეტულ საგანს შეესაბამება) მოთავსებული იქნეს იმ კლასებში (ქვეკლასებში, ჯგუფებში, ქვეჯგუფებში და ა. შ.), რომელსაც ის წარმოქმნის“[108].

ცნებათა სისტემაში რამდენიმე ტიპურ ჯგუფს გამოყოფენ, რომელთაც კატეგორიები ეწოდება. მაგ., ნათლად გამოიყოფა: საგანთა კატეგორია, პროცესების კატეგორია, ვითარების კატეგორია, თვისების კატეგორია, სიდიდეების კატეგორია, საზომი ერთეულების კატეგორია,

---

[107] ცნებათა გვარეობით-სახეობითი ურთიერთობანი და ამ ცნებათა კლასიფიკაციის საკითხები სანიმუშოდაა გაანალიზებული შრომაში: Канделаки Т. Л., Самбурова Г. Г. Вопросы моделирования систем значений упорядоченных терминологий. — Современные проблемы терминологии в науке и технике. М., 1969, с. 17—31.

[108] იქვე, გვ. 18.

პროფესიათა კატეგორია, მეცნიერებათა კატეგორია[109]. ამ კატეგორიებში ცნებები, ბუნებრივია, საერთო სემანტიკური ნიშნების საფუძველზე ერთიანდება. მაგ., რომელიმე მანქანა თუ აგრეგატი საგანთა კატეგორიისა იქნება, მაგრამ დაწნეხა, დაგრეხა, დამოქლონვა და მისთანანი — პროცესის კატეგორიას განეკუთვნება. ამ კატეგორიათა შორის გარკვეული ლოგიკური კავშირია, მაგრამ ეს კავშირი „არ ზღუდავს“ თითოეული ამ კატეგორიის უფლებებს“ და არ უშლის ხელს მათ „ავტონომიურობას“. ამ კატეგორიებს ლოგიკაში და, მაშასადამე, ენაშიც მეტ-ნაკლებად თანაბარი ღირებულება აქვს.

იერარქიული ურთიერთობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სწორედ თითოეულ ამ კატეგორიაში შემავალ ცნებათა ლოგიკურ დაჯგუფებას გულისხმობს. მაგრამ ეს დაჯგუფება თანამიმდევრული უნდა იყოს და გვარეობით-სახეობით ცნებების აშკარა და გამჭვირვალე სუბორდინაციის ფაქტებს უნდა გამოხატავდეს.

კლასიფიკაციას თავისი წესები აქვს. მას ყოველგვარი ერთმანეთისაგან გამომდინარე ცნებების დაქვემდებარება არ იძლევა. კლასიფიკაციის დროს მთავარია სწორი საკლასიფიკაციო ნიშნების შერჩევა და მხოლოდ ამის მიხედვით ცნებათა ლოგიკურ-სემანტიკური იერარქიის სქემის აგება.

ტერმინის ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა

ტერმინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება, რომლითაც იგი მკვეთრად გამოირჩევა ჩვეულებრივი სიტყვისაგან, ეს მისი ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობაა. ამ საკითხის შესახებ დღეს ტერმინოლოგთა შორის (მცირე გამონაკლისის გარდა) თითქმის არაა აზრთა სხვადასხვაობა.

რეფორმატსკი, უდარებს რა ერთმანეთს საერთო ენის სიტყვებსა და ტერმინებს, აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ სიტყვებს ანუ არატერმინებს შეიძლება ახასიათებდეს მოდალურობა, ექსპრესია და ესთეტიკური თვისებები. რასაკვირველია, — წერს იგი, — არაა სავალდებულო, რომ ყოველ სიტყვაში ყველა ეს თვისება ერთბაშად იყოს გამოხატული, მაგრამ თითოეული მათგანი სიტყვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. სრულიად სხვაა ტერმინი. იგი პრინციპულად ექსპრესიის გარეშეა. ტერმინი ზუსტია და ცივი, მისი ექსპრესიის სფერო ტერმინოლოგიის ფარგლებში არაა მოთავსებული. ასევეა მოდალუ-

---

[109] Канделаки Т. Л. Работа по упорядочению научно-технической терминологии и некоторые лингвистические проблемы, возникающие при этом. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, გვ. 44.

რობაც. მოდალურობად თუ გავიგებთ მთქმელის გარკვეულ დამოკიდებულებას სათქმელისადმი, მაშინ ტერმინოლოგიაში ეს ნულამდეა დაყვანილი. ტერმინის ურთიერთობანი ამოიწურება მისი ლოგიკური და საგნობრივი მიმართებებით. მითუმეტეს არ შეიძლება ლაპარაკი ტერმინის ესთეტიკურობის შესახებ. ტერმინი ნეიტრალურია სტილისტიკურადაც[110].

ტერმინის ასეთსავე შეფასებას იძლევა მოისეევი, რომლის მიხედვითაც ტერმინები სრულიად თავისუფალია ემოციურ-ექსპრესიული დანაშრევებისაგან. მას მიაჩნია, რომ ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა ყოველგვარი ტერმინისა და ყოველგვარი ტერმინოლოგიის საერთო თავისებურებაა, რომ ტერმინი მხოლოდ ასახელებს საგანს ან ცნებას და მის არავითარ დახასიათებას არ იძლევა[111].

ტოლიკინა ასე ახასიათებს ტერმინს: ენობრივი ნიშანი ტერმინის ფუნქციით პრინციპულად ერთმნიშვნელობიანია (თუმც ინარჩუნებს ტენდენციას პოლისემიისადმი), კლასიფიკაციურად სისტემურია, ფუნქციურად შეზღუდულია (მას ახასიათებს ნიშნის პირველადი ფუნქციები — ნომინაციური და განმასხვავებელი, მაგრამ მოკლებულია იმ ფუნქციას, რომელიც გამოხატავს ემოციურ-ექსპრესიულ ან მოდალურ შინაარსს), სტილისტიკურად ნეიტრალურია და ზუსტი[112].

ტერმინის ემოციური ნეიტრალურობაა ხაზგასმული ნ. კუზმინის სტატიაში, სადაც ნათქვამია, რომ ექსპრესიულობა თავისთავად ეკარგება სიტყვას, როდესაც იგი იხმარება ტერმინად. კუზმინი ასახელებს ექსპრესიულობის „გამოქრევის“ ანუ დაკარგვის მრავალ შემთხვევას[113].

ტერმინის ემოციურ ნეიტრალურობაზე მიუთითებენ ლევკოვსკაია[114], კაპანაძე[115], დანილენკო[116] და სხვები.

სხვაგვარად სვამს საკითხს ტერმინის ექსპრესიულობის შესახებ რ. პიოტროვსკი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ტერმინები არ წარმო-

---

110 Реформатский А. А. Что такое термин и терминология, 1960, с. 52—53.

111 Моисеев А. И. О языковой природе термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, გვ. 138.

112 იქვე, Толикина Е. Н. Некоторые лингвистические проблемы изучения термина, с. 63.

113 იქვე, Кузьмин Н. Т. Нормативная и ненормативная специальная лексика, с. 78—79.

114 Левковская К. А. Теория слова, принципы ее построения и аспекты изучения лексического материала. М., 1962, с. 203—204.

115 Капанадзе Л. А. О понятиях «термин» и «терминология». — Развитие лексики соврем. русского языка. М., 1965, с. 81.

116 Даниленко В. Т. დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ადგენენ „მკვდარ სახეებს“... და რომ არ შეიძლება ლაპარაკი მათ სრულ სტილისტიკურ ნეიტრალურობაზე.

პიოტროვსკის თავისი დებულების დასამტკიცებლად უამრავი მაგალითი მოჰყავს მხატვრული ლიტერატურიდან (ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, მ. შაგინიანის, ი. ერენბურგისა და სხვათა ნაწერებიდან), სადაც ტერმინებს გარკვეული გამომხატველობითი იერი აქვს[117].

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პიოტროვსკის მიერ მოყვანილი ტერმინები მართლაც გარკვეულ ემოციას გადმოგვცემენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ტერმინები მოცემულია არა ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში, სადაც ტერმინისათვის უცხოა ყოველგვარი კონოტაცია, არამედ საერთო ენის კონტექსტში. ამ პირობებში ტერმინებს მართლაც შეუძლია შეიძინოს სტილისტიკური თუ ექსპრესიულ-გამომხატველობითი ნიუანსი.

ტერმინის ემოციურ ნეიტრალურობას უარყოფს ვ. პროხოროვაც. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „სანიმუშო“ ტერმინი უნდა იყოს ერთმნიშვნელობიანი და დაცლილი ყოველგვარი ექსპრესიულობისაგან, ხშირად ტერმინში გამოხატულია მოლაპარაკის დამოკიდებულება საგანთან და, ამდენად, იგი შეიძლება იყოს ექსპრესიულიც. ტერმინების მეტაფორული, მეტონიმიური, ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებებით წარმოება განაპირობებს მათ ხატოვნებას ანუ გამომხატველობითობასო[118]. პროხოროვა ერთგვარად აიგივებს სიტყვის გამომხატველობითობასა და მის შინაგან ფორმას. მართალია, — ამბობს იგი, — სიტყვის შინაგანი ფორმის ქონა, ანუ გამომხატველობითობა, და სიტყვის ემოციურობა ან ექსპრესიულობა სხვადასხვა თვისებების გამომხატველია, მაგრამ რაღაც მიახლოვებულია ერთმანეთთან და არ გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ ტერმინის (მისი მნიშვნელობის) „ინტელექტუალურ სიწმინდეზეო[119]. საილუსტრაციოდ პროხოროვა ასახელებს ასოციაციის გზით მიღებულ ტერმინებს (მაგ., სამთო საქმეში—седло, потолок, грудь уступа... და ა. შ. ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებში: ячейка памяти, запоминающее устройство და ბევრი სხვა). მისი აზრით, გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა, ტერმინმა ემოციური ელფერი შეიძლება შეიძინოს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მიღებულია აქტიური ლექსიკური მარაგის ემოციური სიტყვებისაგან. ასეთ შემთხვევაში ტერმინშიც შენარჩუნებულია ეს ელფერი. მაგ. უარყოფითი ემოციის მქონეა ტერმინები: старение (динамита),

[117] Пиотровский Р. Г. К вопросу об изучении термина. — Ученые записки. Ленинградский государственный университет, № 161, вып. 18, 1952, გვ. 34—35.

[118] Прохорова В. Н. Об эмоциональности термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 153—159.

[119] იქვე, с. 154.

брюхо пласта, морда (სათევზაო მოწყობილობა), баба.. ანდა დადებითი ემოციური ელფერი აქვს ტერმინებს: агнец чистый (მცენარეა), мечтание (მონადირე ძაღლის ერთ-ერთი ნაკლთაგანია)[120] და ა. შ.

შეიძლებოდა დავთანხმებოდით პროხოროვას, რომ ერთი გარემოება არ გვიშლიდეს ხელს: სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ტერმინოლოგიის მომხმარებლები, სპეციალისტები ვერ გრძნობენ ამგვარ სიტყვათა გამომხატველობითობას თუ ემოციურობას. ისინი ტერმინს უშუალოდ უკავშირებენ გარკვეულ საგანს თუ სათანადო ცნებას და სხვა შინაარსი მათთვის ამ ტერმინებს არ გააჩნია. დღეს რომელიმე агнец чистый ანუ агнец непорочный (Agnus castus) სხვა არაფერია, თუ არა ამ მცენარის სახელწოდება. დასახელებულ ტერმინს თავის დროზე უთუოდ ჰქონდა ემოციური ელფერი, მაგრამ ამჟამად მას ეტიმოლოგიური ჟღერადობა დაკარგული აქვს და არავითარ დამატებით ასოციაციას არ იწვევს..

ამგვარად, ტერმინოლოგიურ მასალაზე დაკვირვება იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ტერმინი პრინციპულად ნეიტრალურია, თუ იგი გარკვეული ტერმინოლოგიური ველის ფარგლებშია განხილული. ნიშნისა და სათანადო რეალიის მჭიდრო ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთმიჯაჭვულობა გამორიცხავს ტერმინში სუბიექტური, ემოციურ-ექსპრესიული მომენტების ასახვის შესაძლებლობას.

სიმოკლე ტერმინისა

ტერმინის სრული დახასიათებისათვის საჭიროა მის ერთ დამახასიათებელ თავისებურებაზეც შევჩერდეთ. ეს გახლავთ ტერმინის მიდრეკილება სიმოკლისადმი. სიმოკლეს ტერმინის ერთ-ერთ ღირსებად მიიჩნევენ[121].

ბუნებრივია, ტერმინი მოუხერხებელია, თუ ის მოკლებულია სისხარტეს. ცნობილია, რომ გრძელი და წარმოსათქმელად მოუხერხებელი ტერმინების შემოღება ამა თუ იმ ტერმინის არდანერგვას დიდად უწყობს ხელს. როგორც კი გრძელი ტერმინი შედის ხმარებაში, ის პრაქტიკაში მოკლდება და, რაც სამწუხაროა, ხშირად ეს შემოკლება ხდება ენობრივი თვალსაზრისით უმართებულო გზით.

ასეთია ძველს ტერმინოლოგიებში ფიქსირებული ფორმები: უხსნი

---

120 Прохорова В. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 155.

121 მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ტერმინის სიმოკლეზე ლაპარაკი, დანილენკო იწუნებს ამ ტერმინს და მის ნაცვლად უფრო ადეკვატურ გამოთქმას გვთავაზობს: ტერმინის მოკლე ვარიანტი (იხ. Даниленко В. П. О кратком варианте термина.—Русская речь, 1972, № 5, с. 76).

нерастворимый, უცვლი неизменяемый, მაერთი соединительный, მადიდი увеличительный, უწვი несгораемый, საბმი (ტიკისა) счалка (плота) და ა. შ.[122] მათ ნაცვლად ახალ გამოცემებში კვლავ გრძელი ფორმები გვხვდება: უხსნარი ან არახსნადი, უცვლელი, მაერთებელი, გამადიდებელი, უწვავი, საბმელი და ა. შ. თუმცა ბევრმა ამგვარმა შემოკლებამ დღეს გზა გაიკაფა და ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში ჩვეულებრივ ფორმებად იქცა (ამ რიგისაა: საჩერი, საბრუნი, უჯირჯვი, მაკავი, მამრავლი, სადენი, სამაგრი, საცხი და სხვ.).

ტერმინთა შემოკლებასთან დაკავშირებული საკითხები ვრცელ ტერმინოლოგიურ მასალაზე მონოგრაფიულადაა შესწავლილი ლოტეს მიერ[123]. იგი განიხილავს შემოკლების სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს. დაწვრილებით აღწერს ელიფსისის შემთხვევებს, რომელიც, თავის მხრივ, სამი სახისა შეიძლება იყოს: ა) კონტექსტური ელიფსისი, რომელსაც სახეობითი ცნების გვარეობითი ცნებით შეცვლა იწვევს. (ვთქვათ, ლაპარაკია რომელიმე შიგაწვის ძრავაზე. კონტექსტში, მომდევნო მსჯელობისას შეიძლება მსაზღვრელი სისტემატურად აღარ მეორდებოდეს, რადგანაც აზრობრივად ნათელია, რომ ძრავას სწორედ ეს სახეობაა ნაგულისხმევი და არა სხვა); ბ) პლეონასტური ანუ ლოგიკურად ზედმეტი ელემენტების ელიფსისი (მაგ. გამოთქმაში „მეიდინგერის ელემენტი ბურთისებრი კოლბით“ პლეონაზმად ითვლება გამოთქმის ბოლო ნაწილი — „ბურთისებრი კოლბით“, რადგანაც მეიდინგერის ყველა ელემენტი მხოლოდ და მხოლოდ ბურთისებრია. არაბურთისებრი მეიდინგერის ელემენტი არ არსებობს. ამიტომ გამოთქმას შეიძლება ეს ნაწილი ჩამოსცილდეს და მხოლოდ „მეიდინგერის ელემენტი“ დარჩეს); გ) იმგვარი ელიფსისი, როდესაც ტერმინის შემადგენელი ელემენტი ან მთლიანად იკარგება, ანდა დაკარგვისას მეორე სიტყვას უჩნდება დამატებითი, აზრობრივი ნიუანსი (пошивочная мастерская—пошивочная, сборочная мастерская — сборочная, механизм сцепления—сцепление (როგორც საგნის სახელი зубчатое колесо—зубчатка და ა. შ.).

გარდა ელიფსისა, ლოტა სიტყვის შემოკლების სხვა საშუალებებსაც ჩამოთვლის, კერძოდ, ასახელებს ცნებისათვის რამდენიმე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შერქმეული სახელის გამარტივებისა და მისი ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით სახელდების შემთხვევებს. მაგ. Верхний каток და поддерживающий каток ერთ დენოტატზე მიუ-

---

122 იხ. ტექნიკური ტერმინოლოგია, 1935.

123 Лотте Д. С. Краткие формы научно-технических терминов. М., 1971.

თითებენ, მაგრამ სხვადასხვა კრიტერიუმია აღებული ნომინაციისას: პირველი მიუთითებს, რომ ეს საგორავი ზევითაა მოთავსებული, მეორე კი მის დანიშნულებას უსვამს ხაზს. ბუნებრივია, არავითარი აუცილებლობით არაა გამოწვეული ამ საგორავს ორივე ნიშნის მიხედვით შეერქვას სახელი. მისთვის საკმარისია ამ დასახელებებიდან ერთ-ერთი იყოს არჩეული და მიჩნეული ტერმინის შერქმევის საფუძვლად.

დასასრულ, ლოტე ცალკე ჩერდება აბრევიატურაზე, როგორც ტერმინის შემოკლების ერთ-ერთ ფორმაზე.

ტერმინის შემოკლების საკითხებია განხილული დანილენკოს ზემოთ დასახელებულ სტატიაში, სადაც მოყვანილია საინტერესო ფაქტები როგორც ლექსიკური, ასევე სიტყვაწარმოებითი შემოკლებისა. ცალკეა აღწერილი აბრევიაციისა და სიმბოლოების საშუალებით ტერმინთა შემოკლების შემთხვევები.

შემოკლების გზით ტერმინების წარმოება ერთ-ერთი მიღებული და ფართოდ გავრცელებული საშუალებაა ქართულ ენაშიც. შემოკლება დასაშვებია, თუ იგი არ არღვევს ტერმინის ცნებასთან სწორი მიმართების საკითხს და ამასთანავე ენობრივად მართებული გზითაა შესრულებული.

ტერმინოლოგიაში შემოკლების თითქმის ყველა ის საშუალებაა გამოყენებული, რომელიც აღწერილია სალიტერატურო ქართული ენის მასალის მიხედვით. ყველაზე გავრცელებული შემთხვევებიდან მაინც მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ რთულ სიტყვად შერწყმის შემთხვევები უნდა ჩავთვალოთ:[124] ელექტროსადგური (ელექტრული სადგური), სეისმომედეგობა (სეისმური მედეგობა), პნევმოსაშრობელა (პნევმატიკური საშრობელა), ბენზინმედეგი (ბენზინის მიმართ მედეგი) და ა. შ.

არანაკლებ გავრცელებულია სახეობითი ცნების გვარეობითი ცნებით შეცვლის შემთხვევებიც. არც ზეპირი მეტყველება და არც წერილობითი ენა არ წარმოიდგინება ამ ბუნებრივი ენობრივი ფაქტის გარეშე. მაგ., როდესაც ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზეა ლაპარაკი და კონტექსტი მხოლოდ ასეთ მანქანას გულისხმობს, ბუნებრივია, არ არის საჭიროება ამ გამოთქმის ყველა კომპონენტის ყველა შემთხვევაში ხმარებისა. კონტექსტში ნახმარი გვარეობითი ცნების აღმნიშვნელი „მანქანა“ ადვილად გაგულისხმებინებს მის იმ სახეობას, რომელზედაც საუბარია.

ზოგჯერ ტერმინი იმის ხარჯზეა შემოკლებული, რომ ნომინაციის დროს ტერმინში გამოტოვებულია ცნების დამახასიათებელი რამდე-

---

124 სწორედ შემოკლების ეს სახეა, რომელიც ამართლებს სინონიმთა არსებობას ტერმინოლოგიაში (იხ. Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 75).

ნიმე სხვადასხვა ნიშანი და მისი მხოლოდ ძირითადი ნიშანია დატოვებული. მაგ., არ ვამბობთ „სითხის ამოსაღვრელი ტუმბო“. მის ნაცვლად საკმარისია ითქვას — „ამოსაღვრელი ტუმბო“. „სითხისა“ აქ პლეონაზმია, რადგანაც იგულისხმება, რომ ამოღვრა მხოლოდ სითხისა შეიძლება და არა სხვა რამისა.

ხშირად მსაზღვრელ-საზღვრულიდან მხოლოდ მსაზღვრელია დატოვებული, რომელსაც არსებითი სახელის ფუნქცია აკისრია: საამკინძაო სახელოსნო — საამკინძაო, საზეინკლო სახელოსნო — საზეინკლო, სალეწი მანქანა — სალეწი და სხვ.

გვხვდება აფიქსაციის საშუალებით ტერმინის შემოკლების ფაქტებიც: საკეპელი მანქანა — საკეპელა, სათესი მანქანა — სათესელა, ცვილა ქაღალდი — ცვილულა და ა. შ.

ბოლო დროს შეინიშნება მიმღეობის ვრცელ ფორმებში ზმნისწინის ჩამოცლის განსაკუთრებული ტენდენცია: მაერთებელი (შემაერთებელი), სანაწილებელი (გასანაწილებელი), მათხევადებელი (გამათხევადებელი), მამხოლოებელი (გამამხოლოებელი), მაკავშირებელი (შემაკავშირებელი), საგრძელებელი (დასაგრძელებელი) და ა. შ.

ტერმინის შემოკლების ბევრი სხვა შემთხვევაც შეიძლებოდა ყოფილიყო დასახელებული. აღარაფერს ვამბობთ სიტყვათა აბრევიატიური შემოკლებების შესახებ (მათზე ცალკე გვექნება საუბარი, იხ. გვ. 102).

ტერმინის შემოკლება საფრთხილო ენობრივი ოპერაციაა, რადგანაც მან რიგ შემთხვევაში შეიძლება გააბუნდოვნოს ტერმინის შინაარსი, გამოიწვიოს ორაზროვნება და გააჩინოს პოლისემიის შემთხვევები (მაგალითად, რთულ სიტყვებში ნახმარი ტერმინელემენტი ავტო შეიძლება ნიშნავდეს ავტომობილსაც და ავტომატურსაც). ასეთ შემთხვევებში სხვაობას, ჩვეულებრივ, განაპირობებს ტერმინის მეორე ელემენტი და სათანადო კონტექსტიც, მაგრამ ზოგჯერ შემოკლების დროს არაა გამორიცხული გვქონდეს „შემხვედრი კომბინაციები“, სადაც გაჭირდებოდა ტერმინის მნიშვნელობის გამოცნობა. ტერმინთა უხეირო შემოკლებას შეიძლება მოჰყვეს ენობრივი დამახინჯებანი და მთელი რიგი კურიოზული ხასიათის შეცდომები. ამიტომ შემოკლებისას დაცული უნდა იყოს გარკვეული წესები, განპირობებული სპეციალისტისა თუ ტერმინოლოგ-ლინგვისტის ენობრივი ალღოთი.

პარადოქსად შეიძლება ეჩვენოს ვისმეს, მაგრამ ფაქტია, რომ სიმოკლესთან ერთად ტერმინს ზოგჯერ საპირისპირო თვისებაც — დაგრძელების ტენდენციაც აქვს. ტერმინის მისწრაფება გაკომპოზიტებისადმი, სწორედ ასეთი ვრცელი და ზოგჯერ რთულად წარმოსათქმელი სიტყვების დანერგვას უწყობს ხელს (ასეთია, მაგალითად: ტელე-

რადიომაუწყებლობა, ელექტროვაკუუმტექნიკა, ელექტრომავალსარემონტო, ელექტროაირანალიზატორი, ორთანაბარპოლუსიანი, ჰიდროტურბოგენერატორი, ქიმიური ნაერთების დასახელებები: თიოდივალერიანმჟავა, ტეტრანიტროდიამინკობალტიატი, პენტანატრიუმტრიფოსფატი, ჰექსაამიაკატკობალტიმარილები, სებაცინმჟავაჰექსამეთილენდიამინი და სხვ.

ტერმინი და კონტექსტი

ტერმინი შესაბამის ცნებას უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ისე, რომ საამისოდ კონტექსტის მოშველიებას არ საჭიროებდეს.

„ყველაზე არსებითი ნაკლი ტერმინოლოგიისა — ეს ტერმინის მნიშვნელობის კონტექსტისდა მიხედვით ცვლაა და ამდენად მისი დაშვება ყოვლად შეუძლებელია, — წერს ლოტე. ტერმინის აზრობრივი შინაარსი განპირობებულია იმ ცნებით, რომელსაც მოცემული ტერმინი უნდა გამოხატავდეს. მისი მნიშვნელობა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმ წინადადებაზე, რომელშიაც იგია ნახმარი. იგი უნდა განისაზღვროს ცნებათა მთელი სისტემის მიერ და მოცემული დისციპლინის, ცოდნის, დარგისა და მისთანათა შესაბამისად“[125]. ამავე აზრისაა რეფორმატსკიც[126].

ტერმინისა და კონტექსტის შესახებ ზემოთ მოყვანილ შეხედულებას ყველა ერთნაირად არ უჭერს მხარს[127]. დანილენკო თვლის, რომ ტერმინის სემანტიკური გამჭვირვალობის მისაღწევად სწორედ კონტექსტს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიტყვაში კატეგორიალური მრავალმნიშვნელობიანობაა გამოხატული[128]. კერძოდ, მას მხედველობაში აქვს -ние და -ка-ზე დაბოლოებული ნაზმნარი არსებითი სახელები და ამგვარ სახელთა ზოგი უსუფიქსო წარმოებაც, რომელთა ძირითადი და პირველადი მნიშვნელობა მოქმედების პროცესის გამოხატვაა, მაგრამ, რომელთაც განვითარებული აქვთ მეორე მნიშვნელობაც — პროცესის შედეგის აღნიშვნა, ე. ი. საგნობრივი მნიშვნელობა. ასეთი ტერმინები ერთდროულად პროცესის და საგნის კატეგორიის აღმნიშვნელები შეიძლება იყვნენ.

---

125 Лотте Д. С. Основы построения научно-технической терминологии. М., 1961, გვ. 73—74.

126 Реформатский А. А. Что такое термин и терминология, გვ. 6; მისივე: Термин как член лексической системы языка. — Проблемы структурной лингвистики. М., 1967.

127 Даниленко В. П. Русская терминология, с. 60, 61; Крылов А. И. Термин и контекст. — Языковые единицы и контексты. Л., 1973.

128 ტერმინ „კატეგორიალურის“ შესახებ იხ. გვ. 27, სქოლიო 65.

ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში[129].

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ გარკვეულ შემთხვევებში (მაგ. პოლისემიის, ომონიმიის და მისთ. დროს) კონტექსტს მეტი გარკვეულობა შეაქვს ტერმინის მნიშვნელობის დასადგენად, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ტერმინს საერთო ენის სიტყვასთან შედარებით მეტი სემანტიკური დამოუკიდებლობა აქვს და მეტი შინაარსობრივი სიცხადეც ახლავს. ცალკეული შემთხვევები ტერმინზე კონტექსტური ზეგავლენისა ალბათ ვერ შეუშლის ხელს ტერმინის ზემოთ მოყვანილ ტრადიციულ დახასიათებას.

ტერმინის სემასიოლოგიური დახასიათების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა თვალსაზრისის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ხასიათის შემაჯამებელი დასკვნები: ტერმინი უნდა იყოს მონოსემიური (დაზღვეული სინონიმიისაგან, პოლისემიისა და ომონიმიისაგან), ზუსტად უნდა ასახავდეს შესაბამისი ცნების შინაარსს, უნდა გამოირჩეოდეს ლექსიკური სისტემურობით, ექსპრესიულად და ემოციურად უნდა ხასიათდებოდეს ნეიტრალურობით, უნდა იყოს მოკლე და სხარტი. აი ასეთია ის ძირითადი თვალსაზრისი, რომელსაც იზიარებს დღეს საბჭოთა ტერმინოლოგიური სკოლა და რომელიც მრავალგზის დადასტურებულა ტერმინოლოგიური პრაქტიკის მიერ.

რასაკვირველია, მოყვანილი განმარტება ბოლომდე ვერ ამოწურავს ტერმინის, ამ ენობრივად რთული ფენომენის ზუსტ, მეცნიერულ დახასიათებას. ენათმეცნიერებას ჯერ კიდევ არა აქვს აბსოლუტურად დასაბუთებული და არაწინააღმდეგობრივი თეორიები ტერმინის შესახებ, მაშასადამე, არც ზუსტი მეთოდიკა ტერმინთა აგებისა, მათი გამოყენებისა და ლექსიკოგრაფიული აღწერისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვხვდებით (მართალია, შედარებით იშვიათად) იმგვარ მსჯელობას, რომელიც არ უჭერს მხარს ტერმინის ამ ტრადიციულ დახასიათებას, არ იზიარებს ტერმინოლოგიურ ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდ მიღებულ აზრს ტერმინთა ერთმნიშვნელობიანობის, ექსპრესიული ნეიტრალურობის, ტერმინოლოგიაში სინონიმიისა და პოლისემიის არარსებობის შესახებ და ა. შ. მაგალი-

---

129 ასეთ სპეციფიკურ, განსხვავებულ კონტექსტს, რომელიც ტერმინს მნიშვნელობების მიხედვით შეიძლება გაუჩნდეს, დანილენკო „სტანდარტულ კონტექსტს" უწოდებს, ხოლო კრილოვი „შინაგან კონტექსტს" (იხ. Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 64).

თად, ტერმინის პრინციპულად სხვა დახასიათებაა მოცემული ნ. კოტელოვას სტატიაში (თითქმის იმისი გამომრიცხველი, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ტერმინის შესახებ)[130].

ავტორის აზრით, ტერმინის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება შეიძლება ახასიათებდეს საერთო ენის სიტყვებსაც. ჩამოთვლის რა ტერმინოლოგიაში ანტონიმიის, სინონიმიის, პოლისემიის კონკრეტულ მაგალითებს, იგი ასკვნის: ა) ტერმინოლოგიაში ანტონიმები არანაკლებია, ვიდრე საერთო ენაში (абсорбция—десорбция, автократия—демократия, аксиома—теорема, актив—пассив, анод—катод, антоним —синоним და ა. შ.). ცნებათა დაპირისპირება ობიექტების მეცნიერული აღწერაა, ანუ „ათვლის წერტილია“, საიდანაც იწყება მეცნიერება. ბ) ტერმინებს ახასიათებს სინონიმიაც (მაგ. абсолютизм, монархия, самодержавие, автократия), რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ახლო მდგომი ცნებების სანომინაციოდ, ასევე სტილისტური (ვთქვათ, არქაიზებული, მოდერნიზებული, სპეციალიზებული) და ევფემისტური მიზნებისათვის. გ) ტერმინი არაა მონოსემიური[131]. მას შეიძლება ახასიათებდეს პოლისემიაცა და ომონიმიაც. მას მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, რომლებშიც ტერმინს ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს ერთი და იმავე ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებშიც კი (მაგ., შდრ.: грамматика—ერთი მხრით, როგორც გრამატიკული წყობა, და, მეორე მხრით, — მეცნიერება გრამატიკულ წყობაზე). ასახელებს ომონიმიის შემთხვევებს, როდესაც ერთი და იგივე ჟღერადობის ტერმინი (მაგ., ლიგატურა და მისთ.) სამ და მეტ სრულიად განსხვავებულ ცნებას გამოხატავს.

ავტორი ჩამოთვლის საერთო ლექსიკასთან ტერმინის საზიარო თვისებების სხვა შემთხვევებსაც (რომელიც უკავშირდება ტერმინთა სემანტიკური და გრამატიკული სტრუქტურის საკითხებს) და ასკვნის, რომ: ძირითადი, განუმეორებელი განსხვავება ტერმინისა ჩვეულებრივი საერთო ლექსიკისაგან — ესაა მისი კონვენციურობა ანუ პირობითობა. ტერმინი ორგვარადაა კონვენციური და აი რატომ: ჯერ ერთი, პირობითია თვითონ ნომინაცია — ცნებას შეიძლება სახელი უწოდო მოლაპარაკის განზრახვის მიხედვით და ამდენად კონვენციურია ტერმინის, როგორც ნიშნის მნიშვნელობა. მეორეც. სახელდება და

---

130 Котелова Н. З. К вопросу о специфике термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 122—126.

131 მონოსემია რომ მხოლოდ ტერმინის დამახასიათებელი ნიშან-თვისება არაა და რომ ამით ჩვეულებრივი სიტყვებიც ხასიათდება, ამას ტ. ბერტაგაევიც უსვამს ხაზს (იხ. Бертагаев Т. А.—Вопросы терминологии, 1961, с. 103).

მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ პირობით იქნეს მიღებული და ორივე პირობით დადგენილი[132].

სუბიექტური საწყისის, შეთანხმებულობის, პირობითობის აი ეს შესაძლებლობა განასხვავებს ენის ამ უბანს (იგულისხმება, ტერმინოლოგიას) ენის ობიექტური სტიქიისაგან. სწორედ ეს თავისებურებანი გამოჰყოფენ ტერმინებს ჩვეულებრივი სიტყვისაგან[133].

ტერმინის მეორე თავისებურებად კოტელოვას ის მიაჩნია, რომ მას აქვს ზუსტი დეფინიცია. ეს ზუსტი დეფინიცია უნდა გავიგოთ როგორც წინასწარ შეთანხმებული, მკაცრად დათქმული განსაზღვრება, რაც კვლავ პირობითობას გულისხმობს.

შეგნებული ტერმინირება და ტერმინის მტკიცედ დათქმული შინაარსი — აი რა განაპირობებს, მისი აზრით, ტერმინის თავისებურებას.

ავტორი გრძნობს, რომ ჩამოთვლილი თავისებურებებით არ განისაზღვრება სხვაობა ტერმინებისა და ჩვეულებრივი სიტყვებისა. მას მიაჩნია, რომ სპეციალურ შესწავლას ითხოვს საკითხი ტერმინის აღსანიშნის, ანუ დენოტატის შესახებ. არის თუ არა ტერმინისათვის აღსანიშნი რეალია, თუ მისი აღსანიშნია ცნება? ტერმინის ჩვეულებრივი განმარტების მიხედვით (ტერმინი — ეს არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს სამეცნიერო ცნებას), თითქოს სამეცნიერო ცნება რეალიად არის ქცეული. თუ ეს ასეა, მაშინ არსებითი სხვაობა სწორედ ეს ყოფილა და ეს უნდა იქცეს სპეციალური შესწავლის საგნადო.

და ბოლოს ასკვნის: ამ საკითხს (ე. ი. ტერმინთა სპეციფიკურობის საკითხს) ალბათ შუქს მოჰფენს ურთიერთდაპირისპირება ტერმინებისა და არატერმინებისა მორფოლოგიის, სემანტიკის, სინტაქსისა და მისთანათა დონეზეო (იქვე).

ტერმინის არსისა და ფუნქციის თავისებურ შეფასებას იძლევა ა. მოისეევიც, რომელიც არა მხოლოდ ტერმინის ერთმნიშვნელობიანო-

---

132 ტერმინის კონვენციური ხასიათის შესახებ საინტერესოა ამავე ავტორის დამატებითი მსჯელობა, სადაც ხაზგასმულია, რომ „ტერმინთა კონვენციურ ხასიათზე ლაპარაკი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ტერმინი შემოღებულია პირობითად. არის ბევრი ტერმინი, რომელიც შექმნილია ისტორიულად ცალკეული ადამიანების ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ის ფაქტი, რომ ტერმინი შეიძლება შემოღებულ იქნეს პირობითად, განასხვავებს ამ ტერმინებს არატერმინებისაგან“ (იხ. К о т е л о в а Н. З. Семантическая характеристика терминов в словарях. — Проблематика определений терминов в словарях разных типов. М., с. 37).

133 კუტინა კატეგორიულად გამორიცხავს ტერმინის კონვენციურობას. მისი აზრით, ტერმინებს ტრადიციულობა ახასიათებს (ისინი განპირობებული არიან ენობრივი ტრადიციით) და არა კონვენციურობა (იხ. К у т и н а Л. Л. Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 83).

ბაში, სისტემატურობაში, სინონიმიის უქონლობაში და ა. შ. არ ხედავს ტერმინის სპეციფიკას, არამედ არც ტერმინის მნიშვნელობის სიზუსტე მიაჩნია განსაკუთრებულ, ტერმინის თავისებურების ამსახველ ფაქტად[134].

მოისეევის აზრით, ტერმინის მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრულობა, ასეთი კატეგორიულობით მისი ამ ნიშან-თვისების წინ წამოწევა, არაა მართებული. მისი აზრით, ძალიან ბევრ ტერმინს შეიძლება ჰქონდეს მიახლოებითი, ბუნდოვანი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა (მაგ., ენათმეცნიერულ ტერმინებს: გვარი, ფორმათწარმოქმნა, ძლიერი და სუსტი მართვა და ა. შ.). და, პირიქით, სრულიად გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვები (როგორიცაა: მარჯვნივ და მარცხნივ, ან მარჯვნიდან და მარცხნიდან) — არ იყოს ტერმინები.

გარდა ამისა, რეალური ტერმინები შეიძლება იყოს მრავალმნიშვნელობიანი (მაგ., გრამატიკა — ენის სტრუქტურა და მეცნიერება ენის სტრუქტურის შესახებ). ტერმინს შეიძლება ჰქონდეს სინონიმები (მაგ., ხშული, მსკდომი, მოკლე, მყისიერი, ექსპლოზიური თანხმოვნები). არ შეიძლება ასევე ტერმინოლოგიათა სისტემურობის გაზვიადება და, მეორე მხრით, არატერმინოლოგიური სფეროს ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის სისტემური ხასიათის დამცრობა.

მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვნად უნდა იქნეს მიჩნეული ტერმინის ენობრივი ფუნქციის სპეციფიკა და მისი გარკვეული დარგით შემოფარგლული გავრცელების სფერო[135].

ამავე სტატიაში მოისეევი იძლევა რამდენიმე საინტერესო დაკვირვებას, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს ტერმინისა და ტერმინოლოგიის არსის საკითხის გარკვევას[136]. ავტორის მტკიცებით,

1) ტერმინოლოგია იყოფა ორ (არათანაბარ) ნაწილად: ა) სპეციალურ ტერმინოლოგიად, რომელსაც აქვს ხმარების თავისი სფერო და რომელსაც იცნობენ მხოლოდ სპეციალისტები, და ბ) ენის ყველა მატარებლისათვის ცნობილ საერთო სახმარებელ ტერმინოლოგიად.

2) ტერმინოლოგიაში გვხვდება საგნობრივი და ცნებობრივი ტერმინები (მაგ., глюкоза, голье, дезинтегратор და ა. შ. და абсолютная величина, интеграл, поляризация და სხვა).

---

134 Моисеев А. И. О языковой природе термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 127—138. მოისეევი კრიტიკულად განიხილავს გალკინა-ფედორუკის განმარტებას, რომლის მიხედვითაც ტერმინი ისეთი სიტყვაა, რომელსაც შეესაბამება ერთი რომელიმე სრულიად განსაზღვრული ცნება ტექნიკის, მეცნიერების, ხელოვნების დარგებიდან (იხ. Галкина-Федорук Е. М. Современный русский язык. Лексика (курс лекции). М., 1954, с. 117).

135 იქვე, გვ. 126.

136 ა. მოისეევი, დასახ. ნაშრ., გვ. 131—138.

3) ძირითადი (თუ ერთადერთი არა) ენობრივი ფორმა ტერმინისა არის არსებითი სახელის ფორმა და მის ბაზაზე მიღებული შესიტყვებები.

4) ტერმინის ენობრივი ფუნქცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც დასახელებითი, ნომინაციური ფუნქცია: ტერმინები ასახელებენ საგნებს, სინამდვილის მოვლენებსა და ცნებებს მათ შესახებ.

5) ტერმინები სრულიად თავისუფალია რაიმე ემოციურ-ექსპრესიული დანაშრევებისაგან. ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა არის ყოველი ტერმინის აუცილებელი ნიშან-თვისება და ყოველგვარი ტერმინოლოგიის საერთო თავისებურება.

ტერმინის ორიგინალური შეფასებაა მოცემული ნ. კუზკინის მიერ, რომელიც ამტკიცებს: „საერთო გავრცელების სიტყვასა და ტერმინს შორის სხვაობა არც მათ ფორმაშია და არც მათ მნიშვნელობაში. რეალური, ობიექტური სხვაობა ამ ორი ტიპის სიტყვებს შორის — ეს არსებითად არაენობრივი სხვაობაა: საერთო გავრცელების, არასპეციალური ლექსიკის სიტყვა საყოველთაოდ ცნობილ ობიექტს შეესაბამება, ხოლო ტერმინოლოგიური ლექსიკის სიტყვა — სპეციფიკურ ობიექტს, რომელიც მხოლოდ გარკვეული წრის სპეციალისტებისთვისაა ცნობილი. არავითარი სხვაობა ამ ორი ტიპის სიტყვებს შორის არ არსებობს“[137]. მოისეევი კრიტიკულად განიხილავს კუზკინის ამ თვალსაზრისს და აღნიშნავს: კუზკინს ტერმინსა და არატერმინს შორის სხვაობა თვით ამ სიტყვების სპეციფიკაში კი არა აქვს დანახული, არამედ აღსანიშნი ობიექტების სპეციფიკაში, და კიდევ უფრო მეტიც, ეს სხვაობა მისთვის აღსანიშნი ობიექტის სპეციფიკაზე კი არაა იმდენად დამოკიდებული, რამდენადაც იმ ფაქტზე — იცნობენ თუ არ იცნობენ ამ ობიექტს სპეციალისტების ვიწრო წრის გარდა სხვები[138].

მოისეევს მიაჩნია, რომ ტერმინი მაინც რჩება ტერმინად, თუ მას და მის მიერ აღნიშნულ ობიექტს, ვიწრო წრის სპეციალისტებს გარდა, იცნობენ სხვებიც.

ამ დებულებას, მისი აზრით, მხარს უჭერს სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის პრაქტიკაც: ტერმინოლოგებს თავის ლექსიკონებში შეაქვთ სიტყვები და შესიტყვებები იმისდა მიუხედავად, იცნობენ თუ არ იცნობენ მას სპეციალისტებს გარდა სხვებიც, რამდენადაც ამ დროს მთავარია გაითვალისწინო ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია ენობრივი ურთიერთობის მოცემული სფე-

---

[137] Кузькин Н. П. К вопросу о сущности термина. — Вестник ЛГУ, 1962, № 20, вып. 4, с. 145.

[138] Моисеев А. И. დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

როსათვის, და არა ის, რაც არავისთვის არაა ცნობილი სპეციალისტებს გარდა.

მოისეევი, უსვამს რა ხაზს ტერმინის ენობრივი ფუნქციის სპეციფიკასა და მისი ხმარების სფეროს განსაზღვრულობას, მიიჩნევს, რომ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი ტერმინის არსის დასადგენად[139].

ტერმინის შესახებ განსხვავებულ თვალსაზრისთა საილუსტრაციოდ კიდევ სხვა ავტორების დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ნათქვამიდანაც ადვილი მისახვედრია, რომ სხვადასხვა ავტორთან ტერმინის რაობა სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. ტერმინის სხვადასხვაგვარი შეფასების საფუძველი უმთავრესად კრიტერიუმების სხვადასხვაობით აიხსნება.

მიუხედავად თვალსაზრისთა ამგვარი სიჭრელისა, ვფიქრობთ, ძირითადი ნიშნები ტერმინისა, სიტყვის ტერმინოლოგიური სტატუსი, როგორც ენობრივი სისტემის ელემენტისა, ამ ეტაპზე მაინც შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:

ტერმინი — ესაა სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგის გარკვეულ ცნებას გამოხატავს. ეს ცნება თავის მხრივ სისტემის გარკვეულ ელემენტს წარმოადგენს. აქედანაა სწორედ ტერმინთა სისტემური ხასიათიც: ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით, ტერმინი ცნების უბრალო დასახელება კი არ არის, არამედ იგი გარკვეულ სისტემაში მყოფ ცნებას წარმოგვიდგენს და, თავის მხრივ, ტერმინთა შესაბამის სისტემას ქმნის: მისი ადგილი ყოველთვის გარკვეულია სხვა ტერმინებთან მიმართებაში, ისევე როგორც გარკვეულია ყოველი ცნების ადგილი ცნებათა სისტემაში.

რაც შეეხება ტერმინთა ძირითად სემასიოლოგიურ დახასიათებას (როგორიცაა: ერთმნიშვნელობიანობა, სინონიმების არქონა, ემოციური ნეიტრალურობა თუ სხვა), ცხადია, რომ ყველა ეს ნიშან-თვისება ტერმინში ერთდროულად არ ხორციელდება. ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ კუტინას სიტყვები: „ძირითადი სემასიოლოგიური დახასიათება ტერმინებისა (მონოსემია, სინონიმიის არქონა და სხვ.) არსებობს როგორც წამყვანი ტენდენცია სიტყვათა მოცემულ ფუნქციონალურ კლასში, მაგრამ არასოდეს არ რეალიზდება მთლიანად“[140]. ანდა დანილენკოს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მონოსემიისა და სინონიმიის თავიდან აცილების მოთხოვნა — ეს ტერმინოლოგიური

---

[139] Моисеев А. И. დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[140] Кутина Л. Л. დასახ. ნაშრ., с. 94.

ლექსიკის უფრო სასურველი თვისება შეიძლება იყოს, ვიდრე ნამდვილი და რეალური თვისებაო[141].

და მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ჩვენ მაინც ტერმინთა ამ ნიშან-თვისებებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ისევე როგორც ენაში რომელიმე გრამატიკული კატეგორიის (ვთქვათ, ქცევისა და მისთანათა) არსებობა იმაზე არაა დამოკიდებული, თუ რამდენად საყოველთაოდაა გამოხატული იგი ზმნის ფორმებში, ანუ რამდენადაა შევსებული ამ თვალსაზრისით პარადიგმატიკის ყველა რგოლი, ასევე ყველა ამ თვისების ქონა შეიძლება ყოველთვის არ იყოს სავალდებულო თითოეული ტერმინისათვის.

ტერმინოლოგიის ადგილი საერთო ენის სტრუქტურაში

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ტერმინის როგორც ნიშნის ბუნება და მისი სემიოტური რაობა, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მთლიანი ტერმინოლოგიური სისტემის იმ თავისებურებათა შესახებ, რომელიც გამოყოფს მას საერთო ენის ლექსიკური სისტემისაგან და გავარკვიოთ მისი ადგილი საერთო ენის სტრუქტურაში.

ტერმინოლოგიური სისტემის სალიტერატურო ენასთან ურთიერთობის საკითხი ტერმინოლოგიის ლინგვისტურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში მას ამიტომაც ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. ამ საკითხზე საგანგებოდ მსჯელობენ ენათმეცნიერ-ტერმინოლოგები, რომელთა ლინგვისტური შეფასების კრიტერიუმები ხშირად არაერთგვაროვანია და ზოგჯერ სრულიად წინააღმდეგობრივი თვალსაზრისების გამომხატველი.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ტერმინოლოგიას საერთო ენის ლექსიკის შემადგენელ ნაწილად თვლის, ან საერთო-სალიტერატურო ენის ქვესისტემას უწოდებს[142].

ზოგის მიხედვით, „განსხვავება ტერმინოლოგიასა და საყოველთაოდ სახმარებელ ლექსიკას შორის თვისობრივი ხასიათისა კი არაა,

---

[141] Даниленко В. П. Лингвистическое изучение терминологии и культура речи. М., 1970, с. 307.

[142] Реформатский А. А. Введение в языковедение, М., 1967, с. 111; Петушков В. П. Термин и язык. Семиотические проблемы языков науки, терминологии, информатики, ч. 2. М., 1971, с. 415—416; Фомина М. И. Современный русский язык. Лексикология. М., 1983, с. 170—171, 175 და ა. შ.

არამედ რაოდენობრივი ხასიათისაა, რომ მკაფიო საზღვრები ტერმინოლოგიასა და დანარჩენ ლექსიკას შორის არ არსებობს“[143].

კიდევ უფრო გაუფერულებულია ტერმინისა და ტერმინოლოგიის როლი, როგორც დამოუკიდებელი და გარკვეული სისტემის მქონე ერთეულისა, შჩედროვიცკის სტატიაში, სადაც ეს საკითხი „სპეციალისტ-ტერმინოლოგისტების პრაქტიკულ, საინჟინრო-კონსტრუქციულ საქმიანობამდეა“ დაყვანილი[144].

იმ ნაშრომთა შორის, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება საერთო ენისა და ტერმინოლოგიის მიმართების საკითხებს, ცალკე უნდა გამოვყოთ ტოლიკინას სტატია, რომელშიც ვრცელ ფაქტობრივ მასალაზე დამყარებული, მეცნიერულად არგუმენტირებული დასკვნებია მოცემული[145].

საერთო ენის ლექსიკურ სისტემასა და ტერმინოლოგიურ სისტემაზე დაკვირვებას ტოლიკინა იმ სისტემური ხასიათის ენობრივი მოვლენების განხილვიდან იწყებს, რომელიც უფრო მეტადაა შესწავლილი და გამოვლენილი. ასეთებად მას პოლისემიურ, ომონიმურ და სინონიმურ სიტყვათა ურთიერთობანი მიაჩნია. ავტორის აზრით, საერთო ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემას ძირითადად ახასიათებს ნიშანსა და აღსანიშნს შორის ერთი და მრავალსახა დამოკიდებულება (სინონიმური მწკრივი ვარაუდობს ნიშანთა სიმრავლეს ერთ აღსანიშნთან, პოლისემია — პირიქით: ესაა ერთი ნიშანი რამდენიმე აღსანიშნთან. ფორმალურად იგივეა ომონიმიაც).

გამოხატვის პლანსა და შინაარსის პლანს შორის ასეთი არარეგლამენტირებულობა, რომელსაც იწვევს საერთო ენობრივი სემანტიკის რთული ხასიათი, არის სტატიის ავტორისათვის ენობრივი სისტემის განსაზღვრის ძირითადი საფუძველი[146]. ამასთანავე, იგი თვლის, რომ სინონიმიკაც, პოლისემიაცა და ომონიმიაც სამართლიანადაა მიჩნეული სალიტერატურო ენის ღირსებად.

რაც შეეხება ტერმინოლოგიურ სისტემას (თუ ამოვალთ მნიშვნელობის პლანის იდეალური მდგომარეობიდან, როცა დადგენილია მნი-

[143] Скороходько Е. Ф. Лингвистические основы автоматизации информационного поиска (машинопись). Киев, 1971, с. 110. ციტირებულია ბ. გოლოვინის სტატიის მიხედვით (Головин Б. Н. О некоторых проблемах изучения терминов. — Вестник Московского университета, 1972, с. 50).

[144] Щедровицкий Г. П. Методологические замечания к проблеме существования термина. — Актуальные проблемы лексикологии. Тезисы докладов третьей лингвистической конференции 3—7 мая 1971 г. Новосибирск, с. 5.

[145] Толикина Е. Н. Некоторые лингвистические проблемы изучения термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 53—67.

[146] იქვე, გვ. 58.

შვნელობის საზღვრები და როცა ამ ცნებას უჭირავს გარკვეული ადგილი კლასიფიკაციაში), ავტორის აზრით, პრინციპულად გამორიცხულია სინონიმური, ომონიმური და პოლისემიური ურთიერთობანი. „ნიშანთა სისტემის ის თვისებები, რომლებიც საერთო ენის სისტემაში განიხილება როგორც აშკარა ღირსებები, ტერმინოლოგიურ სისტემაში უდავო ნაკლოვანებადაა მიჩნეული. თანამედროვე მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს დღევანდელი ტერმინოლოგიური სისტემა, სწორედ ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებაა"[147]. და იქვე: „ტერმინოლოგიურ სისტემაში ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთობა ამგვარი უნდა იყოს — ერთი აღსანიშნი — ერთი ნიშანი, ერთი ნიშანი — ერთი აღსანიშნი, ე. ი. ნიშანთა სისტემა ცნებათა სისტემის იზომორფულია"[148].

ამავე სტატიაში საერთო ენის სისტემა და ტერმინოლოგიური სისტემა დაპირისპირებულია ერთმანეთთან სხვა თვალსაზრისითაც, კერძოდ: ავტორი საერთო ენის სემანტიკაში გამოყოფს შინაარსის რამდენიმე ფენას — ინტელექტუალურს, ანუ საგნობრივ-ცნებობრივსა და ექსპრესიულ-ემოციურს.

რაც შეეხება ტერმინს, მას აქვს მკაცრი ინტელექტუალური შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ემოციურ-ექსპრესიულ მომენტებს და სწორედ ეს ხდის ტერმინს ნეიტრალურ ენობრივ ნიშნად.

ნაშრომში კონკრეტულ მაგალითებზე კარგადაა ნაჩვენები კონტრასტული სურათი, რომელსაც ავლენს, ერთი მხრით, საერთო ენის სემანტიკურად მრავალშრეული ხასიათი (სემანტიკური ველების, მათი ლოგიკური და გადამკვეთი კავშირების, ენობრივი ნიშნის სემანტიკური განვითარების ფაქტები) და, მეორე მხრით, ტერმინოლოგიურ ნიშანთა ის სპეციფიკა, რომელიც ცნებებს შორის მხოლოდ და მხოლოდ საგნობრივ-ლოგიკურ ურთიერთობებს ასახავს და გამორიცხავს ნიშნის სემანტიკური განვითარების, ასოციაციური, მეტაფორული, მეტონიმიური ხმარების შემთხვევებს.

ტერმინოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებათა დარღვევის ცალკეულ ფაქტებს ავტორი ასე ხსნის: „რადგანაც ტერმინოლოგიური სისტემა იყენებს საერთო ენის ნიშნებს და ფუნქციონირებს ბუნებრივი ენის კანონების მიხედვით, ამიტომ ყველა ტენდენცია ენობრივი ნიშნისა, კერძოდ კი, ტენდენცია პოლისემიისა, პოტენციურად შენახულია ტერმინში და მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება[149].

---

147 Толикина Е. Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

148 იქვე, გვ. 57—58. ტერმინ „იზომორფულობის" შესახებ საინტერესოა გ. სამბუროვას მსჯელობა (იხ. Лингвистические проблемы научно-технической терминологии (выступление), с. 221—223.

149 იქვე, გვ. 59.

ტერმინისა და ტერმინოლოგიური სისტემის შესახებ თავის თვალსაზრისს ტოლიკინა ასე აყალიბებს: „ტერმინოლოგია ისეთი სემიოტური სისტემაა, რომელსაც აქვს ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთცალსახა დამოკიდებულება, გამორიცხავს საერთო ენისათვის დამახასიათებელ სისტემურ ურთიერთობებს (საერთო ენობრივ სინონიმიას, პოლისემიას, ომონიმიას) და, აქცევს რა სიტყვას ტერმინად, ახდენს ამ ენობრივი ნიშნის თვისებების რეგლამენტირებას.

ენობრივი ნიშანი ტერმინის ფუნქციით პრინციპულად ერთმნიშვნელობიანია (თუმცა ინარჩუნებს პოლისემიისადმი ტენდენციას), კლასიფიკაციურად სისტემურია, ფუნქციურად შეზღუდულია (მას აქვს ნიშნის პირველადი ფუნქციები — ნომინაციური და განმასხვავებელი, და არა აქვს ემოციურ-ექსპრესიულ ან მოდალურ შინაარსთან დაკავშირებული ფუნქციები), სტილისტიკურად ნეიტრალურია და ზუსტი (იგი გამოხატავს ცნებას შემეცნების მოცემულ ეტაპზე, ე. ი. აქვს დეფინიცია). ყველა ·ეს თვისება ენობრივ ნიშანს აქვს ტერმინოლოგიისა და სპეციალური ურთიერთობის ფარგლებში“[150].

რაც შეეხება ტერმინოლოგიის საერთო ენასთან მიმართების საკითხს, ტოლიკინა, გვაძლევს რა საერთო ენისა და ტერმინოლოგიური სისტემის სხვაობისა, მსგავსებისა და ურთიერთგავლენის კონკრეტულ ფაქტებს როგორც ლექსიკურ, ისე სტრუქტურულ ასპექტში, აკეთებს დასკვნას, რომ ტერმინოლოგიური სისტემა სხვა სემიოტური ბუნებისაა, ვიდრე ბუნებრივი ენის სისტემა და ამ საერთო ენაში შედის როგორც ენობრივ ნიშანთა სრულიად განკერძოებული სისტემა.

ენის ლექსიკურ სისტემაში სამეცნიერო ტერმინოლოგიის ადგილის შესახებ საინტერესო დასკვნებია მოცემული დანილენკოს გამოკვლევებში. ტერმინოლოგიისა და საერთო-სალიტერატურო ენის მიმართების საკითხი დანილენკოს იმდენად არსებითად მიაჩნია, რომ, მისი აზრით, ვიდრე არ იქნება გაცემული ზუსტი პასუხი კითხვაზე, — თუ როგორია ეს მიმართება, მანამდე არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს ტერმინთა შესწავლის ლინგვისტური ამოცანები[151].

დანილენკო არ იზიარებს იმ ტრადიციულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად ტერმინოლოგია მიჩნეულია სალიტერატურო ენის ლექსიკის ნაწილად, ან სალიტერატურო ენის სახესხვაობად[152].

---

150 Толикина Е. Н., გვ. 62—63; მისივე: Термин в терминосистеме. — Актуальные проблемы лексикологии. Новосибирск, 1971, с. 9—10.

151 Даниленко В. П. Лингвистическое изучение терминологии и культура речи. — Актуальные проблемы культуры речи. М., 1970, с. 305.

152 მისივე: О месте научной терминологии в лексической системе языка.—

მისთვის სამეცნიერო ტერმინოლოგია საერთო-სალიტერატურო ენის დამოუკიდებელი ფუნქციური სახესხვაობაა, იგი მეცნიერების ენას განეკუთვნება და დგას იმავე ცნებათა რიგში, როგორიცაა სალაპარაკო ენა და მხატვრული ლიტერატურის ენა.

საერთო ენის თითოეულ სახესხვაობას — მეცნიერების ენას, სალაპარაკო ენასა და მხატვრულ ლიტერატურას — აქვს თავისი დამახასიათებელი ფუნქციები და გამოხატვის სტრუქტურულად განსხვავებული საშუალებები. თითოეული მათგანი სცილდება საერთო-სალიტერატურო ენის ჩარჩოებს და იძენს უფრო ფართო საზღვრებს. მეცნიერების ენა საერთო-სალიტერატურო ენასთან შედარებით, ერთი მხრივ, უფრო ვიწრო ცნებაა, რადგანაც მას არა აქვს ყველა ის ფუნქცია, რაც აქვს სიტყვას სალიტერატურო ენაში. მეცნიერების ენისათვის არსებითია გნოსეოლოგიური, ინფორმაციულ-ლოგიკური ან ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქცია, რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია საერთო-სალიტერატურო ენის სხვა სახესხვაობებისათვის. მას ასევე აკლია ზოგი ის ფუნქცია, რაც სალაპარაკო და მხატვრული ლიტერატურის ენას აქვს — ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია. მეორე მხრით, მეცნიერების ენა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საერთო-სალიტერატურო ენა, რადგანაც იგი მოიცავს სამეცნიერო ცნებათა გამომხატველ სპეციალურ ტერმინოლოგიას, რომელიც ურთიერთობის არაპროფესიული სფეროს მიღმა დგას.

ამგვარად, მეცნიერების ენა საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკურ სისტემაში ასე უნდა შეფასდეს: ტერმინოლოგია მეცნიერების ენის ლექსიკის შედგენილობაში შედის. მეცნიერების ენა საერთო-სალიტერატურო ენის დამოუკიდებელი ფუნქციური სახესხვაობაა, ანუ დამოუკიდებელი ქვესისტემა, რომელსაც აქვს თავისი ფუნქციები, გამოხატვის საშუალებები, სპეციფიკური ხერხები და შეფასების განსაკუთრებული კრიტერიუმები.

საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკასთან ტერმინოლოგიას საერთო გენეტური არხები და საერთო სიტყვაწარმოებითი ბაზა აკავშირებს. იგი საერთო-სალიტერატურო ენის ბაზაზეა აღმოცენებული და, ბუნებრივია, მის საფუძველს საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკა, სიტყვაწარმოება და გრამატიკა შეადგენს. მაგრამ მეცნიერების ენას აქვს დამატებითი საშუალებები, რომლითაც იგი სცილდება როგორც საერთო-ეროვნულს, ისე საერთო-სალიტერატურო ენას, ვითარდება სხვა კანონებისა და პროცესების მიხედვით და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საერთო ენის ლექსიკასა და სიტყვაწარმოების განვითარების ტენდენციებზე.

ВЯ. 1976, № 4, с. 64—71. მომდევნო მსჯელობა დანილენკოს სწორედ ამ ბოლო ნაშრომს ემყარება.

დანილენკოს თავისი თვალსაზრისი ტერმინოლოგიური სისტემის დამოუკიდებლობის, მისი ავტონომიურობის შესახებ კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით აქვს გამოთქმული თავის მონოგრაფიაში[153]. აქ ტერმინოლოგია განხილულია როგორც ძირითადი, ცენტრალური, ყველაზე მეტად ინფორმაციული ნაწილი იმ ლექსიკისა, რომელსაც მეცნიერების ენა ჰქვია და რომელიც მას საერთო-სალიტერატურო ენის ფუნქციურ სახესხვაობად მიაჩნია. ვფიქრობთ, ავტორის ამ მსჯელობაში რეალური ვითარების დამაკმაყოფილებელი შეფასებაა მოცემული და საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული. თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ საკითხი ლექსიკური სისტემისა და ტერმინოლოგიის მიმართების შესახებ, ისევე როგორც თვით ტერმინის განსაზღვრების საკითხი, ამოწურულად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის ნაირგვარ და მრავალრიცხოვან თვალსაზრისებს ვხვდებით.

ამ რთულ და მრავალასპექტოვან პრობლემასთან დაკავშირებით მყარი თეორიის შესაქმნელად ჯერ კიდევ დამატებითი და საგანგებო კვლევა-ძიება იქნება საჭირო.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ურთიერთობა ამ ორ — ტერმინოლოგიურ და არატერმინოლოგიურ სისტემას შორის, მათი ურთიერთგავლენის, განვითარების გზებისა და ხმარების სფეროების თვალსაზრისით.

საერთო ენასა და ტერმინოლოგიურ სისტემას შორის მუდმივი კონტაქტი არსებობს, რომელიც ძირითადად ორი მიმართულებით ხორციელდება: ლექსიკური და სტრუქტურული ასპექტით[154].

ცნობილია, რომ ტერმინოლოგიური ლექსიკა მუდმივი წყაროა საერთო-ენობრივი სემანტიკის, მისი ლექსიკური შედგენილობის გასამდიდრებლად[155].

---

153 Даниленко В. П. Русская терминология. 1977, с. 201.

154 ჩვენ აქ ძირითადად ლექსიკური კონტაქტების, და ისიც მისი ერთი ეტაპის (კერძოდ, ტერმინოლოგიური ლექსიკის საერთო ენაზე გავლენის), შესახებ გვექნება საუბარი. რაც შეეხება უკუპროცესს, ე. ი. საერთო ენის ტერმინოლოგიურ ლექსიკურ სისტემაზე ზემოქმედებისა და ასევე ამ სისტემებს შორის სტრუქტურული ურთიერთობის საკითხებს, ნაშრომის მომდევნო თავებში შევეხებით (იხ. შესაბამისად თავი III და თავი IV).

155 რუსული ენის ლექსიკის განვითარების ისტორიაში დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემიდან სიტყვების საერთო ენაში გადასვლის ფაქტები. ნაჩვენებია ამ ტერმინთა ევოლუციის, მათი სემანტიკური ტრანსფორმაციის ეტაპები და ის ვარიაციები, რომელსაც სიტყვა განიცდის ტერმინოლოგიიდან საერთო ენაში მოხვედრამდე (იხ. Сорокин Ю. С. Развитие словарного состава русского литературного языка. 30—90-е годы XIX в. М., Л., 1965.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იყო ტერმინოლოგიური ლექსიკის გავლენა საერთო ენაზე წინათ, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის დასაწყისში, სამეცნიერო აზრის მძაფრი განვითარების პერიოდში, როდესაც მეცნიერების უჩვეულო მიღწევები, ახალი აღმოჩენები მოიცავდა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებას, არამედ საზოგადოების ფართო წრეებს. ანდა ვინ მოთვლის, რა რაოდენობით ითვისებს საერთო ენა ტერმინოლოგიურ ლექსიკას დღეს, თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სხვადასხვა სოციალურ ფაქტორთა გავლენით უჩვეულოდაა გაზრდილი ენის ფუნქციები, როდესაც ასობით და ათასობით ტერმინი შემოდის ენაში მასობრივი კომუნიკაციის — კინოს, რადიოს, ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთების, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის წყალობით.

მეცნიერებისა და ტექნიკის ტერმინების ვიწროსპეციალური ხმარების სფეროდან გამოსვლასა და არასპეციალისტების სიტყვახმარებაში გზის გაკაფვას თავისი განსაკუთრებული არხები და საშუალებები აქვს[156].

ტერმინთა მიგრაცია, მათი ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე სისტემაში გადასვლა, ხანგრძლივი და რთული პროცესია. ტერმინი ზოგჯერ თუ ადვილად იკაფავს გზას საერთო ენისაკენ და იოლად ეგუება ამ ახალ გარემოს, სხვა შემთხვევაში ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, რადგანაც ტერმინი ყოველთვის ერთბაშად არ კარგავს თავისთავადობას და კავშირს სპეციალურ სფეროსთან. იგი თანდათანობით აკლიმატიზდება ახალ გარემოში, თანდათანობით იცვლის ფუნქციას და იფართოებს ხმარების სფეროს[157].

საერთო ენაში ტერმინის გადასვლა, ჩვეულებრივ, უკავშირდება ტერმინის გადატანითი მნიშვნელობით, ანუ მეტაფორული ხმარების პროცესებს.

ზოგჯერ ტერმინოლოგიური სისტემიდან სიტყვის ფუნქციური გამიჯვნა, მისი ამ სფეროდან გამოყოფა და საერთო ენის კუთვნილებად

ქართული ენის მასალა სპეციალური და საერთო ლექსიკის ურთიერთობის თვალსაზრისით შესწავლილი აქვს ბ. ფოჩხუას, სადაც შეგვიძლია თვალი ვადევნოთ იმ ცვლილებებს, რომელიც აისახება ენაში, მის ლექსიკაში, ერთი მხრით, ტერმინების მნიშვნელობათა გადატანისა თუ გაფართოების და, მეორე მხრივ, საერთო სიტყვათა ვიწრო სპეციალიზაციის შედეგად (იხ. ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში. — იკე, XVII, 1970, გვ. 231—250; მ ი ს ი ვ ე: ლექსიკოლოგია, გვ. 215—230).

156 К а п а н а д з е Л. А. Взаимодействие терминологической и общеупотребительной лексики. — Развитие лексики современного русского языка. М., 1965, с. 86—103.

157 Т о л и к и н а Е. Н. Некоторые лингвистические проблемы изучения термина. — Лингв. проблемы научно-технической терминологии, с. 63—64.

ქცევა ხდება ისე, რომ ტერმინი სრულიად წყვეტს კავშირს თავის პირვანდელ მნიშვნელობასთან, კარგავს ტერმინისათვის დამახასიათებელ ფუნქციურ, სისტემურ და სემანტიკურ შეზღუდულობას, იცვლის მნიშვნელობას და პოტენციურად მასში არსებულ საერთოენოვანი ნიშნის ტენდენციებს იძენს. ასეთ შემთხვევაში ტერმინის დეტერმინოლოგიზაციაზე ლაპარაკობენ[158]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დეტერმინოლოგიზაცია საერთო ენისათვის დამახასიათებელი პროცესია, თორემ ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინი კვლავ რჩება ტერმინად თავისი დამახასიათებელი ენობრივი თვისებებით[159].

საერთო ენაში, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში, ტერმინმა შეიძლება ახალ მნიშვნელობასთან ერთად ახალი სტილისტიკური დატვირთვაც მიიღოს[160].

საერთო-სახალხო ენისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის ამგვარი ურთიერთობა (სიტყვის ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში გადასვლა) ამ ორი სისტემის დამოუკიდებელ არსებობას უჭერს მხარს: „თავისთავად ერთი და იმავე ნიშნის ორი სხვადასხვა ფორმით არსებობის ფაქტი უკვე ერთი ზედმეტი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდი სხვაობაა ტერმინოლოგიისა და საერთო ენის ლექსიკურ სისტემებს შორის“[161]. ამასვე უსვამს ხაზს ლ. კაპანაძეც, რომლის მიხედვით, ტერმინოლოგიასა და საერთო-სალიტერატურო ენას შორის არსებული მუდმივი კონტაქტი, სიტყვათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელია სწორედ იმ დიდი განსხვავების წყალობით ხდებოდეს, რომელიც არსებობს ტერმინსა და არატერმინს შორის[162].

---

158 დეტერმინოლოგიზაციის კონკრეტული ფაქტები სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემებში გარკვეული სინქრონული ჭრილის მიხედვით მოცემულია წიგნში: Лексика русского литературного языка XIX — начала XX века. М., 1981, с. 248—268.

159 Толикина Е. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

160 Капанадзе Л. А. დასახ. ნაშრ., გვ. 86—91; Толикина Е. Н. Термин в литературном языке. — Нормы современного русского литературного словоупотребления. М.-Л., 1966, с. 43—65; მწერლების ენაში ზოგჯერ მეტისმეტი გატაცებაც კი შეიმჩნევა ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით. ეს ფაქტი კარგადაა აღწერილი ქართული ენის მასალაზე ლ. გელენიძის სტატიაში: ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით.—ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, 1981, გვ. 87—92.

161 Толикина, Е. Н. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

162 Капанадзе Л. А. О понятиях „термин“ и „терминология“. გვ. 80.

სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. პირველ ჯგუფს შეადგენს ყველაზე მინიმალური სტრუქტურული ერთეული — ერთსიტყვიანი ტერმინები (ლითონი, აირი, ქანი, ლილვი, ლინზა).

ერთსიტყვიანი ტერმინები, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი (იხ. ზემოთ დასახელებული მაგალითები), ნაწარმოები (ლითონური, აირიანი, ქანობი, ლილვაკი, ლინზისებრი და ა. შ.) და რთული (წყალსადენი, მტვერსასრუტი, ლიმონმჟავა, გემთსაშენი).

2. მეორე ჯგუფს შეადგენს შესიტყვებები, ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმები (რეაქტიული გენერატორი, ჩამკეტი მექანიზმი, მიმწოდი გორგოლაჭი, ხრახნული კუთხვილი).

შესიტყვებები შეიძლება სხვადასხვა ტიპისა იყოს: ა) შედგენილი ანუ ანალიტიკური, რომლის დაშლა შეიძლება სხვადასხვა შემადგენილ ნაწილებად (მაგ.: მოლეკულური წონა, სითბური ეკვივალენტი, მარგი ქმედების კოეფიციენტი). სხვაგვარად ამას თავისუფალი, ანუ დენოტაციური შესიტყვება ეწოდება. ასეთ შესიტყვებაში ცალკეული კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და კომბინაციურად სხვადასხვა სიტყვებთან შეიძლება შეგვხვდეს. ამგვარი შესიტყვების მნიშვნელობა უდრის შემცველი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. ბ) არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები შეიძლება არ იყოს ტერმინები (მაღალი წნევა, ცივი იარაღი, თეთრი ღამე). გ) სინთეზური ანუ იდიომატური, რომლის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება (არქიმედეს ბორბალი, ქართა ვარდი, ბენგალიური ცეცხლი, მტირალი ტირიფი, მიწის თხილი)[163]. თავისუფალ, ანუ დენოტაციურ შესიტყვებებს ა. ტირპიგორევი რამდენიმე ტიპად ყოფს. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, ა) პირველ ტიპს განეკუთვნება ისეთი შესიტყვებები, რომლის ორივე ელემენტი ტერმინოლოგიური ხასიათისაა (карбюраторный двигатель, электрический автомобиль).

ბ) მეორე ტიპს—შესიტყვებები, რომლებშიც საზღვრული ელემენტი ტერმინია, ხოლო მსაზღვრელი—ჩვეულებრივი სიტყვა (высокое давление, сухой пар).

გ) მესამე ტიპს — შესიტყვებები, სადაც მსაზღვრელია ტერმინი, ხოლო საზღვრული — არატერმინი, ან ისეთი ტერმინი, რომელიც

---

[163] შესიტყვებათა ტიპების შესახებ იხ. Котелова Н. З. К вопросу о специфике термина.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии, გვ. 124; „ანალიტიკური" და „სინთეზური" ტერმინების შესახებ იხ. Овчаренко В. М.

საერთო სიტყვის ომონიმს წარმოადგენს (голова автосцепки, шейка оси). ტერპიგორევი ცალკე ჯგუფში აერთიანებს (მეოთხე ტიპს უწოდებს) ტერმინებს, რომლებშიც არც ერთი ელემენტი არ არის ტერმინი (მაგ.: ласточкин хвост, мальтийский крест, мальтийская звезда[164], ე. ი. ისეთ გამოთქმებს, რომელთაც ჩვენ სინთეზურ ანუ იდიომატურ შესიტყვებებს ვეძახით.

სინტაქსური გზით შედგენილი ტერმინები, ანუ ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში საკმაოდ დიდი გავრცელებისაა. ტერმინოლოგიური სისტემების მნიშვნელოვან პროცენტს სწორედ ამგვარი ტერმინები შეადგენს. ბუნებრივია, ტერმინი რაც უფრო სხარტია და ეკონომიური, მით უცრო მეტია მისი ღირებულება, როგორც ენობრივი ნიშნისა. ამ თვალსაზრისით შესიტყვებები ტერმინების როლში მოუქნელია და ძნელად მოსახმარი. მაგრამ ასეთ ტერმინებს ერთი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეთ ერთსიტყვიან ტერმინებთან შედარებით და აი რატომ: ცნობილია, რომ ტერმინისათვის სასურველია გამჭვირვალე შინაგანი ფორმის ქონა, ანუ მოტივირებულობა. სინტაქსური საშუალებებით შედგენილი ტერმინები სწორედ შინაარსის გამჭვირვალობით ხასიათდება. ამასთანავე, შესიტყვებაში შემავალი ტერმინები თუ სიტყვები მეტწილად გვარეობით და სახეობით ცნებებს წარმოგვიდგენენ (მსაზღვრელი სახეობითი ცნების გამომხატველია, საზღვრული — გვარეობითისა), ე. ი. ტერმინოლოგიური იერარქიის გარკვეულ საფეხურს ქმნიან და საკლასიფიკაციო რიგშიც სრულიად განსაზღვრულ ადგილს იკავებენ, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს მათ სემანტიკურ სიცხადეს[165].

სიზუსტისა და ობიექტზე სწორი ორიენტაციის თვალსაზრისით ისინი ისეთსავე მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდნენ, როგორც ერთი ლექსემისაგან შემდგარი ტერმინები. სტრუქტურის მიხედვით ასეთი ტერმინები შეიძლება ორ-, სამ- და მეტკომპონენტიანიც იყოს. ჩვეულებრივ გავრცელებულია ბინარული, ანუ ორშემადგენლიანი (მსაზღვრელ-საზღვრულიანი) ტერმინები[166].

ცალკე უნდა გამოიყოს ის ჯგუფი ტერმინებისა, რომლებიც მხოლოდ სიტყვიერად კი არ ასახელებენ ცნებას, არამედ სიმბოლოების

Термин, аналитическое наименование и номинативное определение.—Современные проблемы терминологии в науке и технике. М., 1969, с. 92—96.

[164] Терпигорев А. М. Об упорядочении технической терминологии.—ВЯ, 1953, № 1, с. 74.

[165] Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 89—91.

[166] შედგენილ ტერმინთა დასახასიათებლად საინტერესოა სოლოვიოვის ნაშრომი: Соловьев В. П. Терминологические словосочетания как составная часть системы терминологии.—Вопросы разработки научно-технической терминологии. Рига, 1973, с. 161—170.

(ციფრების, ასოების, ნახატების, სხვადასხვა გრაფიკული ნიშნების) საშუალებით გამოხატავენ მას[167].

ამგვარად, სულ ტერმინთა სამი სტრუქტურული ჯგუფი გამოიყოფა: 1. ერთსიტყვიანი ტერმინები, 2. შესიტყვებები და 3. სიმბოლოებით გამოხატული ტერმინები[168].

რა გრამატიკული ინვენტარია გამოყენებული ტერმინებად?

რადგანაც ტერმინი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ამიტომაც, ბუნებრივია, მის გადმოსაცემად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილებია არჩეული, კერძოდ: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ზმნები. აქედან, ძირითად ბირთვს არსებითი სახელები და მის ბაზაზე შედგენილი სიტყვები წარმოადგენს[169]. ეს აღიარებულია თითქმის ყველა მკვლევრის მიერ, ოღონდ ზოგ ავტორთან ეს დებულება უკიდურესობამდეა მიყვანილი: ისინი მხოლოდ არსებით სახელს მიიჩნევენ ტერმინებად. ს. ბურდინი წერს: „სამეცნიერო ტერმინების როლში ძირითადად არსებითი სახელები გვევლინება, დანარჩენი მეტყველების ნაწილები კი, თუ ისინი არ წარმოადგენენ ტერმინის შედგენილობაში სტრუქტურულ კომპონენტს, საჭირონი არიან მხოლოდ გარკვეული ცნების ფორმათა ხმარების დროს, მეცნიერული თხრობის პროცესში.

ჩვენი თვალსაზრისით, სხვა მეტყველების ნაწილთა ტერმინოლოგიური უსუსურობა, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ძნელია ამ სიტყვათა ლოგიკური კოორდინირება მათი აბსტრაქციის გამოხატვის ხარისხის მიხედვით, როგორც ეს შეიძლება მოვახდინოთ არსებით სახელთან. ამისი მიზეზი, გარდა მათ მიერ გამოხატული სემანტიკური არსისა, მათ გრამატიკულ თვისებებში უნდა ვივარაუდოთ“[170].

ამავე აზრისაა მოისეევიც, რომლის მიხედვით, არამართებულად იქცევა ის ლინგვისტი, რომელსაც ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ზედსართავები შეაქვს. იგი ასახელებს ჟ. მარუზოსა და ო. ახმანოვას ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონს, სადაც უხვადაა შესული ზედ-

---

[167] ამ საკითხს ეძღვნება შემდეგი შრომა: Зорин З. М., Черемисина М. И. О специфике языка слов и языка символов в научном описании (на примере физики).—Исследования по русской терминологии. М., 1971, с. 68—77.

[168] სტრუქტურული ტიპების განხილვისას დანილენკო ტერმინების პირველ ჯგუფში განიხილავს აგრეთვე აბრევიატურებსაც (იხ. Даниленко В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 37).

[169] ტერმინების ნომინაციურ ხასიათზე მიუთითებენ: Даниленко В. П. Русская терминология, გვ. 37. ტერმინთა გრამატიკული სტრუქტურის დახასიათება შოცემელია ამავე მონოგრაფიის 41—51 გვერდებზე.

[170] Бурдин С. М. (выступление)—Вопросы терминологии. М., 1961, с. 107. ტერმინოლოგიაში სახელის უპირატესობაზე მიუთითებს ს. კაუფმანიც

სართავი სახელები, არა მხოლოდ როგორც სტრუქტურული ელემენტი, არამედ როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული[171].

მოისეევს კიდევ უფრო უმართებულოდ მიჩნია ლინგვისტ-ტერმინოლოგთა მიერ საკვლევ ობიექტად ზედსართავების არჩევა. მისი აზრით, ზედსართავი სახელები დამაზუსტებელი დომინანტია აღწერით ტერმინთა შემადგენლობაში და სხვა არაფერი.

მოისეევი არა მხოლოდ ზედსართავებს, არამედ არც ზმნურ ფორმებს მიიჩნევს ტერმინებად. მისი აზრით, ზმნები ტერმინთა სუბსტიტუტებია ანუ შემცვლელებია, აზრის გამოხატვის საშუალებაა და არა მოვლენის სახელწოდება[172].

საკამათო არ არის, რომ ტერმინთა ფუნქციური დატვირთულობა ძირითადად არსებით სახელზე უნდა მოდიოდეს, მაგრამ, ჩვენის აზრით, არც ზედსართავი სახელების როლია მთლიანად გამოსარიცხი. გარდა იმისა, რომ შედგენილ ტერმინთა აბსოლუტურ უმრავლესობაში მსაზღვრელთა როლში ჩვეულებრივ ზედსართავები გვხვდება, მხედველობაშია მისაღები მათი თავისებური სემანტიკური დატვირთულობაც: ბევრზე ბევრი შესიტყვება დაკარგავდა ტერმინოლოგიურ ასპექტს, თუ მას სათანადო ზედსართავი გამოეცლებოდა. უფრო მეტიც, ხშირად ორ- და მეტსიტყვიან გამოთქმებში ძირითად ტერმინოლოგიურ „ტვირთს“ სწორედ ზედსართავი ეწევა (მანახშირბადიანებელი აბაზანა, გადაბრთველი ჩანგალი, საცვლელი კბილანების გიტარა, საფხვერებელი ფათი, პოტენციური ზღურბლი, მერმევულკანური მოვლენა, ბლოკური სახლი და ა. შ.). ისმის კითხვა: რა ტერმინოლოგიური ღირებულება ექნებოდა ამ გამოთქმებს ზედსართავების გარეშე? ცალკე აღებული არსებითები ამ მაგალითებში არ მიუთითებენ მათ ტერმინოლოგიურ დანიშნულებაზე მაშინ, როდესაც ზედსართავები კონტექსტის გარეშე თავიანთ ტერმინოლოგიურ წარმომავლობას წარმოაჩენენ. ასე, რომ ზედსართავის ფუნქციების უგულებელყოფა და მის ერთგვარ დამატებად, მეორეხარისხოვან ან ზედმეტ ელემენტად მიჩნევა მართებულად არ გვეჩვენება.

აღარას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როცა ზედსართავი არსებითი სახელის როლში გვევლინება, ე. ი. გაარსებითებულია (თუთიის ყვითელი, მინერალური ლურჯა, ხმოვანი, თანხმოვანი და ა. შ.).

რაც შეეხება ზმნებს, ვფიქრობთ, რომ ისინი მართებულად არაა მიჩნეული მკვლევართა უმრავლესობის მიერ ტერმინებად, მიუხედა-

---

(იხ. Кауфман С. И. Об именном характере технического стиля (на материале американской литературы).—ВЯ, 1961, № 5; с. 103—108.

[171] Моисеев А. И. О языковой природе термина. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии, გვ. 134.

[172] იქვე, გვ. 135.

ვად იმისა, რომ ცნებათა რთულ სისტემაში პროცესების აღმნიშვნელი კატეგორია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა[173].

პროცესების აღსანიშნავად ტერმინოლოგიურ სისტემებში ზმნების ნაცვლად ნაზმნარი სახელები, ანუ მოქმედების სახელებია გამოყენებული, „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ჩვენ საქმე გვაქვს მოქმედებათა სახელებთან, — წერს ვინოკური, — და არა თვით მოქმედებებთან, რომლებიც კონკრეტულად ცხოვრებაში გვხვდება. ეს აიხსნება როგორც თვით ტერმინის ბუნებით, რომლის თანახმად ტერმინი არის დასახელების ფუნქციის მქონე სიტყვა, ასევე იმ გარემოებით, რომ ტექნიკა სამუშაო პროცესის ჩამოყალიბების გარკვეული სახეა, ე. ი. უპირველეს ყოვლისა, გააზრებაა ამ პროცესისა"[174]. და იქვე: „ზმნურობა, როგორც მოქმედების გრამატიკული კატეგორია, ტექნიკურ ტერმინოლოგაში გადმოცემულია არა ზმნების ფორმით, რომელთაც არ შეუძლიათ გამოხატონ ლოგიკური სუბიექტი, არამედ ისეთი განყენებული არსებითი სახელების ფორმით, რომლებიც ინარჩუნებენ მოქმედების მნიშვნელობას, მაგრამ ისე, რომ უთავსებენ ამას აბსტრაქტული საგნობრიობის მნიშვნელობას. რასაკვირველია, ისეთი სიტყვები, როგორიცაა — закалять, обжигать, травить და ა. შ., გამოხატავენ გავრცელებულ ტექნიკურ პროცესებს. მაგრამ ამ პროცესების ტერმინოლოგიური დასახელება იქნება არა ეს ზმნები, არამედ მათთან დაკავშირებული ნაზმნარი განყენებული არსებითი სახელები — закалка, обжиг, травление. ამით მე არ მინდა იმის მტკიცება, თითქოს ტექნიკურ ენაზე შესაბამისი ცნებები ყოველთვის მხოლოდ სახელის გრამატიკული ფორმით გადმოიცემოდეს. ზმნები ტექნიკურ ენაში იხმარება ალბათ არა უფრო იშვიათად, ვიდრე საერთოდ ენაში. მაგრამ ერთია ტექნიკური ლიტერატურის ენა, და მეორეა ტექნიკური ტერმინოლოგია. ეს ორი ცნება არ ემთხვევა ერთმანეთს".

ამ დებულების საილუსტრაციოდ ვინოკურს მოჰყავს გერმან ამანის ციტატა, რომელიც უბრალო ცხოვრებისეულ მაგალითზე გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვანი ლოგიკური პროცესი იმალება ზმნის იმგვარ არსებით სახელად გარდაქმნაში, რომელიც მოქმედების აბსტრაქტულობას გამოხატავს: „დავუკვირდეთ იმ შეგრძნებებს, რომელიც ჩვენ გვაქვს მიწისქვეშა ბიძგების დროს. პირველ წუთში მე ვგრძნობ, თუ როგორ ირყევა იატაკი, მეორე წუთს ეს რყევა მოდის ჩემს ცნობიერებამდე, როგორც რაღაც განპირობებული თითქოს უფრო ზოგადი რყევით, და მე ვგრძნობ: „მიწა ინძრევა". მე შემიძლია წარმოვთქვა ეს სიტყვები იმ შემთხვევაშიც კი, როცა მე არასოდეს არ

---

[173] Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[174] იქვე, გვ. 13.

განმიცდია მიწისძვრა და თვით ცნებაც ჩემთვის სრულიად უცხოა. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მე წამოვიძახებ: „მიწისძვრა!“ ამ შემთხვევაში მე უკვე დავასახელე ეს მოვლენა და ამავე დროს გავიგე იგი და სწორედ აი, მიწისძვრის წინასწარ მოცემული ცნების დახმარებით მე განვმარტე ეს მოვლენა, როგორც მიწისძვრა და იმავდროულად გავაცნობიერე მისი მნიშვნელობა“[175].

ვინოკურის მიხედვით „სწორედ ასეთი აზრი აქვს ზმნურობის მნიშვნელობის მქონე განყენებულ არსებით სახელებს, რომლებიც ტერმინოლოგიებში გვხვდება. ამ არსებითი სახელების საშუალებით ხდება დასახელება და გაგება პროცესებისა, განმტკიცება დროში მიმდინარე ჭრობადი მოვლენებისა და მათი ცნებებად ქცევა“[176].

ამგვარად, ტერმინოლოგიაში წამყვანი როლი ეკისრებათ არსებით სახელებს და მის ბაზაზე შედგენილ სიტყვებს, გარკვეულ პირობებში ზედსართავ სახელებს (ამაში შედის, რასაკვირველია, მიმღეობებიც) და მოქმედების სახელებს (იმ ტიპისას, როგორიცაა: ცვეთა, ბურღვა, გაანგარიშება, განაწილება, დეტონაცია, დეფორმაცია, მართვა, რეგულირება და სხვა)[177].

---

[175] Herman Amman, Die menschliche Rede, ტ. II, 1928, გვ. 80—81 (ვასახელებ ვინოკურის შრომის მიხედვით, გვ. 13—14).

[176] Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 14. სწორედ ამ განყენებულ არსებით სახელთა ანალიზს, რომელთა საშუალებითაც გადმოიცემა მოქმედების აღმნიშვნელი ცნებები რუსულში, ეძღვნება მთლიანად ვინოკურის ეს ფუნდამენტური შრომა.

[177] როდესაც არსებით სახელზე ვლაპარაკობთ, როგორც ძირითად ტერმინოლოგიურ ინვენტარზე, რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს, ჩვეულებრივ, საზოგადო არსებითი სახელები. იშვიათად ტერმინებად საკუთარი არსებითი სახელებიც (გვარები და გეოგრაფიული სახელწოდებებიც) შეიძლება შეგვხვდეს. იმგვარი საკუთარი სახელები, რომელთაც გაწყვეტილი აქვთ კავშირი საკუთარ სახელებთან და ტერმინებად ქცეულან (როგორიცაა: ომი, ვატი, ვოლტი, ჯოული, კულონი, ამპერი და ა. შ.), ბუნებრივია, საზოგადო სახელებთან არიან გათანაბრებული. მაგალითები აღებულია დანილენკოს მონოგრაფიიდან (იხ. Даниленко В. П. Русская терминология, с. 37).

აქვე უნდა შევნიშნოთ მეორეც: გრამატიკული სტრუქტურა ტერმინებისა ყველა დარგისათვის შეიძლება ერთგვარი არ იყოს. ყველასათვის ცნობილია, რომ სამხედრო ტერმინოლოგიასა და საზღვაო ტერმინოლოგიაში ხშირად შევხვდებით კომანდებს, რაც, ჩვეულებრივ, ქართულში ზმნური (ბრძანებითის) ფორმებით ან ზმნისართებით გადმოიცემა. ცალკე დგას ასევე სპორტის ტერმინებიც, სადაც გარკვეული ბრძანებითობაა გამოხატული. ყველა ეს დარგი თავისი სპეციფიკის გამო გამონაკლისს შეადგენს საერთო ტერმინოლოგიური სისტემებიდან და ვერ შეცვლის იმ ზოგად დებულებას, რომლის მიხედვით ზმნა არ უნდა იყოს შესული ტერმინოლოგიაში ცალკე ერთეულად.

საკითხი ნომენკლატურის შესახებ შედარებით ახალია და ნაკლებად დამუშავებულიც. მას ძალიან ცოტა მკვლევარი თუ ირჩევს თავისი კვლევის ობიექტად[178]. არ არის მოცემული თვით ტერმინ „ნომენკლატურის“ სრული განსაზღვრებაც. ო. ახმანოვას ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „ერთობლიობა სპეციალური ტერმინ-დასახელებებისა, რომლებიც იხმარება მოცემულ სამეცნიერო დარგში“[179]. მიხ. ჭაბაშვილის მიხედვით: „სია ტერმინთა და სახელწოდებათა, რომლებიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების და სხვათა ამა თუ იმ დარგში[180].

ბუნებრივია, ნომენკლატურის ეს ზოგადი დახასიათება არ შეიძლება იძლეოდეს სრულ წარმოდგენას ამ სიტყვის მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ (ეს სცილდება ლექსიკონის დანიშნულებას), თუმცა გარკვევით მიგვანიშნებს ნომენკლატურის არსებით ნიშანზე, რომლის მიხედვითაც იგი „სპეციალური დასახელებაა“, „სიაა ტერმინთა და სახელწოდებათა“[181].

რუსული ენის სპეციალურ სახელმძღვანელოებში ნომენკლატურა და ნომენკლატურული დასახელებები ან სულ არაა ნახსენები, ან ტერმინების კონტექსტშია მოკლედ განმარტებული. ამ განმარტებათა მეტი წილი ასეთ სახეს ატარებს: „ნომენკლატურული ნიშნები — პირობითი აღნიშვნაა გარკვეული საგნებისა: თვითმფრინავებისა, მანქანე-

---

178 დავასახელებთ რამდენიმე შრომას: Канделаки Т. Л. К вопросу о номенклатурных наименованиях. — Вопросы разработки научно-технической терминологии. АН Латв. СССР. Рига, 1973; Лейчик В. М. Номенклатура — промежуточное звено между терминами и собственными именами. — Вопросы терминологии и лингвистической статистики. Воронеж, 1974; Веселов П. В. Номенклатурное наименование и научно-технический термин. — «Стандартизация», 1965, № 2; Шарашова М. К. К разграничению терминов и номенклатурных единиц (на примере названий растений). — Учен. зап. Калининского пединститута им. М. И. Калинина, 1969, т. 66, ч. I და სხვ.

179 Словарь лингвистических терминов, М., 1966.

180 უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973.

181 ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვები „ნომენკლატურა“ და „ნომენკლატურული დასახელება“ ხშირად სინონიმებად იხმარება, რაც უმართებულოდაა მიჩნეული (იხ. კანდელაკის ზემოთ დასახელებული შრომა, გვ. 65). ვფიქრობთ, ამ ტერმინების გარჩევაა საჭირო. პირველი — ნომენკლატურული დასახელებების ჩამოთვლაა, საგანთა და სახელწოდებათა ერთობლიობაა, ხოლო მეორე — ცალკეული საგნის სახელია. ამ უკანასკნელს ზოგი ნომენკლატურულ სიტყვას უწოდებს, ზოგი ნომენკლატურულ ნიშანს, ზოგი ნომენკლატურულ სახელწოდებას, ზოგი კი — ნომენს. ქიმიის ნომენკლატურის მიმართ პოლინომებიცაა ნახმარი.

ბისა, ტელევიზორებისა, მიმღებებისა, მაგნიტოფონებისა, ფირფიტა-საკრავებისა, მტვერსასრუტებისა, სუნამოებისა, ვიტამინებისა და ა. შ. ნომენკლატურულ ნიშნებად გამოიყენება სიტყვები ან სიტყვათა მარცვლები (ციფრობრივი გამოხატულებით ან უინდისოდ) და ლათინური ანბანის ასოები: ТУ—114, Ил—18, „Волга“, „Чайка“; „Горизонт—107“, „Рубин—711“, A, B, C, D (ვიტამინების აღმნიშვნელი) და ა. შ.

ტერმინებისაგან განსხვავებით, ნომენკლატურა არ გამოხატავს ცნებებს და თავისი ფუნქციის მიხედვით ერთგვარად უახლოვდება საკუთარ სახელებს“[132]. ანდა: „ნომენკლატურა და ნომენკლატურული ნიშნები თავისი ბუნების მიხედვით განსხვავდება ტერმინებისაგან. ნომენკლატურული ნიშანი წარმოადგენს საგნის ეტიკეტს, რომელიც მიეკუთვნება მას პირობითად. ნომენკლატურულ ნიშნებად შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, სხვადასხვა სახის ვიტამინების სახელები... პირობითი სახელები სუნამოებისა, სახელწოდებები მანქანებისა, ტელევიზორებისა, სიტყვათა ციფრობრივი გამოხატულებანი. ნომენკლატურული ნიშნები გვევლინება როგორც საგანთა საკუთარი სახელები[133].

გაკვრით ნომენკლატურის შესახებ ლაპარაკობს ე. გალკინა-ფედორუკიც[134].

მეცნიერული თვალსაზრისით ნომენკლატურის შეფასება მოცემული აქვს რეფორმატსკის და კიდევ უფრო ადრე ვინოკურს.

ვინოკური, განსაზღვრავს რა ტერმინის სპეციფიკას, რომელიც გამოიხატება მის განსაკუთრებულ ფუნქციაში, ერთი მხრით, და მის ლოგიკურ ურთიერთობაში სათანადო ცნებასთან, მეორე მხრით, იძლევა ნომენკლატურის შემდეგ დახასიათებას: „ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, ნომენკლატურა — ესაა სრულიად აბსტრაქტულ და პირობით სიმბოლოთა სისტემა, რომლის ერთადერთი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოგვცეს პრაქტიკული თვალსაზრისით მარტივი სიმალურად მოსახერხებელი საშუალება საგნების, ნივთების აღნიშვნისა იმგვარად, რომ არ საჭიროებდეს მიმართებას თეორიულ აზრთან, რომელიც იყენებს ამ საგნებს. რატომ ჰქვია მოცემულ საგანს ასე და არა სხვაგვარად — ნომენკლატურული დასახელებისათვის მეტ-ნაკლებად სულერთია, მაშინ როდესაც ტერმინისათვის, რომელიც ცდილობს ჰქონდეს გააზრებული შინაგანი ფორმა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი

---

[182] Современный русский язык, ч I. Фонетика. Лексика и фразеология. Минск, 1979, с. 195.

[183] Введенская Л. А., Дыбина Т. В., Шеболева И. И. Современный русский литературный язык. Ростов, 1963, с. 108.

[184] Современный русский язык. Лексика. М., 1954, с. 120.

საკითხია"[185]. რეფორმატიკის მიხედვით „ტერმინოლოგია", უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მეცნიერების ცნებათა სისტემასთან, ნომენკლატურა კი მხოლოდ ეტიკეტს უკეთებს მის ობიექტებს. აქიტომაცაა, რომ ნომენკლატურა შეიძლება იყოს ანბანის ასოების თანამიმდევრობა (ვიტამინი А, ვიტამინი Б...), ასევე რიცხვების (МАГ—5, МАГ—8) და სხვა ნებისმიერი პირობითი აღნიშვნების თანამიმდევრობა. ნომენკლატურა უშუალოდ არაა დაკავშირებული მეცნიერულ ცნებებთან. ამიტომაც იგი არ წარმოადგენს მეცნიერებას როგორც ცნებათა სისტემას"[186].

ნაშრომის ამავე თავში რეფორმატსკი იძლევა რა ვინოკურის თვალსაზრისის დადებით შეფასებას, ამასთანავე ეკამათება მას და აი რა პოზიციებიდან: უპირველეს ყოვლისა, იგი არ კმაყოფილდება ტერმინის შესახებ ვინოკურის განმარტებით, კერძოდ, არ იზიარებს თეზისს იმის თაობაზე, რომ ტერმინის განსაკუთრებული ფუნქცია — დასახელებაა[187].

რეფორმატსკის აზრით, ნომინაციური ფუნქცია საერთო ფუნქციაა ყველა სიტყვისა და არა მარტო ტერმინისა. მეორეც ის, რომ ნომენკლატურა სწორედ უფრო ნომინაციურია, ვიდრე ტერმინოლოგია[188]. რეფორმატსკი კრიტიკულად განიხილავს ვინოკურის შემდეგ თეზისსაც: „არ შეიძლება ავურიოთ ტერმინი, როგორც აზროვნების საგნის სახელწოდება, არც საკუთარ სახელში და არც ნომენკლატურაში" (იქვე, გვ. 8).

რეფორმატსკის მიხედვით, ზოგჯერ საკუთარი სახელებიც შეიძლება იყოს „ნომენკლატურული ნიშნები" და ნომენკლატურაც — „აზროვნების საგნის სახელწოდებები", რადგანაც, მისი აზრით, ის, რაც იმალება „ნომენკლატურულ ნიშნებში" და თვით საკუთარ სახელებში, ესეც აზროვნების საგნებია, ოღონდ სხვა ფუნქციით (იქვე, გვ. 48).

ა. რეფორმატსკი უპირისპირდება იმათ, ვინც ცდილობს სიტყვები „ტერმინოლოგია" და „ნომენკლატურა" მიიჩნიოს სინონიმებად, ან იხმაროს ისინი სინონიმურ შესიტყვებებში. მაგალითად, არ მიაჩნია მართებულად, როდესაც გეოგრაფები სიტყვა „ზღვას", „მდინარეს", „ყურეს", „ქედს", „მთას", „უდაბნოს", „ქალაქს" და ა. შ. ეძახიან ნომენკლატურულ ტერმინებს.

---

[185] Винокур, Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 8.
[186] Реформатский А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 47.
[187] Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 6.
[188] Реформатский А. А. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

მისი აზრით, სწორედ გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში ძალიან მნიშვნელოვანია გაარჩიო ამგვარი ტიპის სიტყვები ისეთებისაგან, როგორიცაა „კასპიური“, „ვოლგა“, „ბისკაიური“, „ხინგენი“, „აიუდაგი“, „გობი“, „მოსკოვი“. მისი აზრით, სწორედ ესაა გეოგრაფიული ნომენკლატურა.

ასევე ბოტანიკაშიც უნდა გაირჩეს, ერთი მხრით, ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მცენარე“, „ხე“, „წიწვოვანი“, „ფოთლოვანი“, „მტვრიანები“, „ბუტკო“, „ვარჯი“, „ტანი (ხისა)“, „ფოთლები“ და ა. შ., და, მეორე მხრით, „ვიქტორია-რეგია“, „ივან-და-მარია“, „დედა-და-დედინაცვალი“, „თეთრუყავილა“ და ა. შ....“ (იქვე. გვ. 49).

რეფორმატსკის აზრით, მეორე რიგის სიტყვები — ესაა მეცნიერების ონთოლოგიური ინვენტარის ჩამოთვლა: გეოგრაფიაში ზღვებისა, მდინარეებისა, ტბებისა, ბოტანიკაში — მცენარეებისა, ხეებისა, ფერებისა. ენათმეცნიერებაში — ამა თუ იმ ენის სინტაქსური, მორფოლოგიური და ფონეტიკური მოვლენებისა. ეს მეორე ჯგუფის სიტყვები — ნომენკლატურაა. თუმცა ნომენკლატურაც დაკავშირებულია ცნებებთან, მაგრამ უფრო ნომინაციურია, ვიდრე ტერმინები. ნომენკლატურა აუცილებელია. პირველი ჯგუფის სიტყვები ტერმინებია. ტერმინები აღრიცხვადია და იძულებით არის დაკავშირებული მოცემული დარგის ცნებებთან, რამდენადაც სიტყვიერად გამოხატავენ მოცემული დარგის ცნებათა სისტემას (იქვე, გვ. 49).

როგორც აღინიშნა, ნომენკლატურის საკითხს სპეციალური შრომა უძღვნა კანდელაკმა[189], რომელიც ხაზს უსვამს ნომენკლატურის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მზადდება ტერმინოლოგიური სტანდარტები და მთელი სიმწვავით დგება „შემოკლებული აღნიშვნების“ საკითხი, და აღნიშნავს იმ გულგრილობას, რომელსაც იჩენენ ენათმეცნიერები ამ საკითხისადმი.

მთავარ პრობლემად კანდელაკს ნომენკლატურული სახელწოდებებისა და ტერმინის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა მიაჩნია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კანდელაკის რამდენიმე დაკვირვება.

უპირისპირებს რა ერთმანეთს ტერმინსა და ნომენკლატურულ სახელს, კანდელაკი აღნიშნავს: ტერმინის მნიშვნელობა ამოიცნობა დეფინიციის საშუალებით.

ტერმინთა მნიშვნელობის გასარკვევად ხშირად ადგენენ ცნებათა საკლასიფიკაციო ჯგუფებს: ცნებებს ანაწილებენ უახლოეს გვარეობით და მასზე დაქვემდებარებულ სახეობით ცნებებად. თანაც მოცუ-

189 დასახ. ნაშრ., გვ. 60—70.

ლობა ამ ამოსავალი ცნებისა იყოფა ნაშთის გარეშე და მიღებული დაქვემდებარებული ცნებები გამორიცხავენ ერთმანეთს[190].

რაც შეეხება ნომენკლატურულ სახელწოდებას, მისი მნიშვნელობის ამოსაცნობად ასევე საჭიროა უახლოესი გვარეობითი ცნების დადგენა; მაგრამ სახეობითი ნიშნის ნაცვლად მოცემული უნდა იყოს მითითება ზოგ ინდივიდუალურ ნიშანზე. მაგალითად, ტუმბოებისათვის ნაჩვენებია მათი მთავარი საექსპლუატაციო პარამეტრები, მწარმოებლურობა, დაწნევა, სიმძლავრე, გაბარიტული ზომები და მთელი რიგი სხვა კონსტრუქციული თავისებურებანი.

ამდენად, ყოველი ასეთი ცნება განსხვავდება მეორე ასეთივე გვარის ცნებისაგან არა სახეობითი განსხვავებით (როგორიც ეს ტერმინშია), არამედ რაღაც დამატებითი ნიშნებით, რომელთა ნაწილი სრულიად სხვაგვარია და ინდივიდუალური (იმავე გვარის სხვა კონსტრუქციებს ასეთი ტიპის ნიშნები შეიძლება საზოგადოდ არ გააჩნდეთ. ასეთი ცნებებისათვის იგება არა დეფინაცია, არამედ აღწერა).

თავისთავად ცხადია, — დასძენს ავტორი, — დღის წესრიგში დგება ტერმინებისა და ნომენკლატურული სახელწოდებების უფრო ღრმა და დაწვრილებითი შესწავლის აუცილებლობა (გვ. 62—63).

მეორე პრობლემად კანდელაკს ნომენკლატურული სახელწოდებების ცნებათა კატეგორიებთან მიმართება მიაჩნია. იგი ასე სვამს საკითხს: ცნებათა რომელ კატეგორიებს აქვს ნომენკლატურული სახელწოდება? მისი აზრით, ძირითადად ეს საგნობრივ კატეგორიებს გააჩნია, მაგალითად, მრეწველობის მასობრივ პროდუქციებს, რომლებიც დამზადებულია ერთი და იმავე ნიმუშის მიხედვით რამდენჯერმე.

ამჟამად ყველაზე ცნობილი სახე ნომენკლატურული სახელწოდებებისა — ესაა სახელები ნედლეულისა, მანქანებისა, მანქანის ნაწილებისა, მექანიზმებისა, მასალებისა და ა. შ. და ამასთან დაკავშირებული შემოკლებული აღნიშვნები — მარკები, ინდექსები, ტიპები, მოდელები. მაგრამ კანდელაკი არ გამორიცხავს იმას, რომ ნომენკლატურული სახელწოდებები შეიძლება შეეხებოდეს ცნებათა სხვა კატეგორიებსაც (თვით პროცესების კატეგორიებსაც კი). სხვადასხვა პროცესები, ოპერაციები ისევე, როგორც სერიული გამოშვების სამრეწველო პროდუქცია, შეიძლება მეორდებოდეს ერთი და იმავე სქემის მიხედვით რამდენჯერმე. ოპერაციის შესრულების ამ სქემას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე კონკრეტული მოდიფიკაცია... ყველა ამან, რასაკვირველია, უნდა მიიღოს თავისი ნომენკლატურული აღნიშვნა.

კანდელაკი ასკვნის, რომ ნომენკლატურულ სახელწოდებათა საკითხის შესწავლა საჭიროა სხვადასხვა კატეგორიების ცნებათა მიხედვით (იქვე, გვ. 64—67).

---

[190] კონკრეტული მაგალითები იხ. იქვე, გვ. 62.

მესამე პრობლემა, კანდელაკის აზრით, ნომენკლატურით გამოხატული ცნებების შესაბამისი ცოდნის დარგის ცნებათა სისტემასთან ურთიერთობაა: შედის თუ არა ნომენკლატურით გამოხატული ცნება შესაბამისი დარგის ცნებათა სისტემაში?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნომენკლატურა უშუალოდ არაა დაკავშირებული მეცნიერებისა და ტექნიკის ცნებათა სისტემასთან ტერმინებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოხატავენ რა მეცნიერულ ცნებებს, ქმნიან შესაბამისი დარგის ცნებათა სისტემას[191].

ამიტომ, ავტორის აზრით, თვით ცნებათა სისტემის აგებულების თავისებურებანი უნდა გახდეს სპეციალური შესწავლის საგანი (იქვე, გვ. 67—69).

მეოთხე და ბოლო პრობლემად კანდელაკი ნომენკლატურულ სახელწოდებათა დინამიკის საკითხს თვლის.

კანდელაკის აზრით, პრაქტიკული მუშაობისათვის ძალიან საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ ხდებოდა ტერმინის მნიშვნელობის ცვლა, რა ცვლილებებს იწვევდა ეს შესაბამის ცნებათა კლასიფიკაციებში. მისი აზრით, ტერმინოლოგიის სხვადასხვა სინქრონიული ჭრილებისა და მასთან დაკავშირებული კლასიფიკაციების შესწავლა გამოავლენს ტერმინთა დინამიკისა და გენეზისის საკითხს, მის თავდაპირველ ნომენკლატურულ ხასიათს (იქვე, გვ. 68—69).

კანდელაკის ეს სტატია, უპირველეს ყოვლისა, საკითხის დასმის თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას, თუმცა არანაკლებ საინტერესოა და მნიშვნელოვანი სტატიაში ამ საკითხთან მოცემული ავტორის მსჯელობანი. სადავო არ არის, რომ ნომენკლატურული სახელწოდებანი მართლაც მეცნიერთა სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

საბოლოოდ უნდა იქნეს გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რა არის ტერმინოლოგია და რა არის ნომენკლატურა[192], უნდა მკაფიოდ იქნეს დადგენილი მათი განმასხვავებელი ნიშნები.

---

191 ეს თვალსაზრისი ეკუთვნის ი. კოსოის, რომელსაც კანდელაკი იმოწმებს თავის ნაშრომში (იხ. К о с о й И. М. Вопросы построения научно-технической терминологии. Приморский сельскохозяйственный институт. Шестая научная конференция, посвященная 50-летию Великой Октябрьской революции. Тезисы докладов. Уссурийск, 1967, с. 213—229).

192 ზოგადია და მიმოხილვით ხასიათს ატარებს მოისეევის სტატიის ის ნაწილი, სადაც ნომენკლატურაზეა ლაპარაკი. ნათლად არ ჩანს ავტორის პოზიცია სხვების მიერ გამოთქმულ თვალსაზრისებთან დაკავშირებით (იხ. М о и с е е в А. И. დასახ. ნაშრ., გვ. 132—133). ნომენკლატურის საკითხი დასმულია ე. გირშფელდის სტატიაშიც (იხ. Г и р ш ф е л ь д Е. Проблемы технической терминологии в ЧССР.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии, с. 114—115), სადაც მოცემულია ერთგვარი ცდატერმინთა და ნომენკლატურულ სახელწოდებათა გარჩევისა.

იგივე კითხვაა დასმული ა. რეიცაკის სტატიაშიც[193]. ტერმინისა და ნომენკლატურული სახელწოდების განსხვავება ავტორს ასე აქვს წარმოდგენილი: „ტერმინი ისევე, როგორც სიტყვა, აღნიშნავს მიზანმიმართული კონკრეტულ-საგნობრივი და თეორიულ-შემეცნებითი მოღვაწეობის საგნებს და გამოხატავს შესაბამის ცნებებს. სხვაგვარად, ტერმინი შესაბამის ცნებასთან მიმართების გზით ასახელებს ობიექტს, იქნება ეს კონკრეტული საგანი თუ აბსტრაქტული, ერთადერთი თუ მრავალი, ე. ი. როგორც ნიშანი, ასრულებს დენოტაციურსა და სიგნიფიკაციურ ფუნქციას.

კომუნიკაციის გარკვეულ პირობებში ჩვენ არ გვჭირდება გავამახვილოთ ყურადღება ყველაფერზე, რაც ვიცით საგნის თვისებების შესახებ. საკმარისია მხოლოდ მითითება რომელიღაც სპეციალურ ობიექტზე. ასეთ შემთხვევაში ტერმინი ჩვენ წარმოგვიდგება თავისი დენოტაციური ფუნქციით, როგორც შემცვლელი ამ ობიექტისა, ე. ი. მხოლოდ როგორც ნომენკლატურული სახელწოდება.

მაშასადამე, ნომენკლატურა — ესაა ჩამოთვლა (უპირატესად სისტემატიზებული ჩამოთვლა) საგნებისა მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროში“.

და ბოლოს ასკვნის: „ტერმინთა ერთობლიობა, აღებული დენოტაციური ფუნქციით, არის ნომენკლატურა. ტერმინთა ერთობლიობა დენოტაციური და სიგნიფიკაციური ფუნქციით შეადგენს ტერმინოლოგიას“[194].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ნომენკლატურის შესახებ განყენებულია და ერთგვარად ბუნდოვანიც. შესაძლებელია, ტერმინისა და ნომენკლატურის დენოტაცია-სიგნიფიკაციის ფუნქციით განსაზღვრა რაციონალური გზა იყოს ამ ორი ცნების სადიფერენციაციო ნიშნების დასადგენად, მაგრამ გვეჩვენება, რომ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას მაინც ვერ შეაქვს სასურველი გარკვეულობა ნომენკლატურის რაობის დასადგენად და ისევ ღიად ტოვებს ბევრ საკითხს, მათ შორის ყველაზე კარდინალურ საკითხს იმის შესახებ, თუ ბოლოსა და ბოლოს — რა უნდა გავიგოთ ტერმინოლოგიად და რა — ნომენკლატურად.

რიგ შემთხვევაში ამისი გადაწყვეტა სრულიად მარტივია. მაგ., არავისთვის არ დგება საკითხი, რასთან გვაქვს საქმე (ტერმინოლოგიასთან თუ ნომენკლატურასთან), როცა ვამბობთ: მოსკვიჩი — 408, ან ტუ—134, ან ვიტამინი—C, შავი ზღვა, კასპიის ზღვა, ხრამჰესის

---

193 Рейцак А. К. Терминология и номенклатура. — Вопросы разработки научно-технической терминологии. Рига, 1973, с. 71—91.

194 იქვე, გვ. 85—86.

ელექტროსადგური და მისთანანი, ერთი მხრით, და ავიაცია, საავიაციო ტექნიკა, მანქანა, დეტალები, ზღვის ჰავა, ელექტროსადგური და სხვა, მეორე მხრით.

მაგრამ დღემდე სადავოა, რას მივაკუთვნოთ, ვთქვათ, ქიმიაში ქიმიური დასახელებები, ბოტანიკაში — მცენარეების, ხეების, ყვავილების, ბალახებისა და მისთანათა სახელწოდებანი, კულინარიაში — სხვადასხვა კერძის სახელები, მედიცინაში — ავადმყოფობათა სახელები, ზოოლოგიაში — ფრინველთა, ცხოველთა, ქვეწარმავალთა და მისთ. სახელწოდებანი და ა. შ. ნომენკლატურა ვუწოდოთ მათ, თუ ტერმინოლოგია?

ფაქტობრივი ვითარების მიხედვით ჭრელი სურათია: ტერმინოლოგიურ სიტყვათხმარებაში ხან ქიმიის ტერმინოლოგიაზე ლაპარაკობენ, ხან ქიმიის ნომენკლატურაზე (თუმცა ერთსა და იმავე ობიექტს გულისხმობენ[195]; ასევე ხან ორნითოლოგიურ ნომენკლატურაზე და ხან ორნითოლოგიურ ტერმინოლოგიაზე, ბოტანიკურ ნომენკლატურაზე და ბოტანიკურ ტერმინოლოგიაზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ნომენკლატურა ზოგჯერ უპირისპირდება ტერმინოლოგიას, ზოგჯერ კი შედის მის შემადგენლობაში. ეს ფაქტი კარგად აქვს ნაჩვენები ქიმიის ტერმინების მასალაზე ვ. ლეიჩიკს თავის სტატიაში[196].

ლეიჩიკი იხილავს რა სხვადასხვა ავტორის სხვადასხვა თვალსაზრისს, საგანგებოდ ჩერდება მ. შარაშოვას მიერ გამოთქმულ დებულებებზე, რომლის მიხედვითაც, ტერმინებს აქვთ ლოგიკური, შინაგანი სისტემურობა, მაშინ როდესაც ნომენკლატურას — მხოლოდ საგანთა გარეგნული, მათი ბუნებრივი ჯგუფების ამსახველი სისტემურობა[197].

ვ. ლეიჩიკის აზრით, შარაშოვას ეს ფორმულირება კარგად აჩვენებს ნომენკლატურის შესახებ ტრადიციული თვალსაზრისის შეზღუდულობასა და სუბიექტურობას. მას, უპირველეს ყოვლისა, არადამაკმაყოფილებლად ეჩვენება დაპირისპირება „ლოგიკური“ და „ბუ-

---

195 Капанадзе Л. А. Взаимодействие терминологической и общеупотребительной лексики. — Развитие лексики современного русского языка. М., 1965, с. 97.

196 Лейчик В. М. Номенклатура — промежуточное звено между терминами и собственными именами. — Вопросы терминологии и лингвистической статистики. Воронеж, 1974, с. 13; Веселов П. В. Номенклатурное наименование и научно-технический термин. — «Стандартизация». М., 1965, № 12.

197 Шарашова М. К. К разграничению терминов и номенклатурных единиц (на примере названий растений). — Учен. записки Калининского пединститута им. М. И. Калинина, 1969, т. 66, ч. 1, с. 75—81 (ვიმოწმებ ლეიჩიკის სტატიის მიხედვით).

ნებრივი“ სისტემურობისა (თითქოს და ლოგიკა არ ემყარებოდეს საგანთა ბუნებრივ კავშირებს!). გარდა ამისა, ამ თვალსაზრისს ახასიათებს ერთგვარი დაუნაწევრებელი მიდგომა ნომენკლატურული ერთეულების მიმართ, სადაც არ გამოიყოფა შინაარსის პლანი და გამოხატვის პლანი. და ბოლოს, მასალა, რომელსაც შარაშოვა ემყარება — ეს არის მცენარეთა ხალხური და დიალექტური დასახელებანი, — რომელიც სრულიად უსაფუძვლოდაა ჩათვლილი ნომენკლატურად. ფაქტობრივად მცენარეების ეს ხალხური დასახელებანი, ისევე როგორც ავადმყოფობების სახელწოდებანი, სხეულის ნაწილების სახელები და სხვა, წარმოადგენს სტიქიურად ჩამოყალიბებულ მოუწესრიგებელ ტერმინოლოგიურ სისტემას[198].

ლეიჩიკის მიხედვით, სხვაობა ტერმინოლოგიასა და ნომენკლატურას შორის უნდა ვეძებოთ, უპირველეს ყოვლისა, იმ ცნებათა განსხვავებაში, რომლებსაც ისინი გამოხატავენ, ანუ მათ „მნიშვნელობის პლანში“. მას მოჰყავს ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისი ტერმინის განმარტების შესახებ — რომ ეს არის სიტყვა (ან შესიტყვება), რომელიც წარმოადგენს ენობრივი ნიშნისა და მასთან დაკავშირებული ცნების ერთიანობას მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგის ცნებათა სისტემაში, და აყენებს დასკვნას: „ტერმინი არის დაკავშირებული აბსტრაქტულ ცნებასთან. იგი ახდენს აბსტრაქტულ სამეცნიერო და ტექნიკურ ცნებათა ფიქსირებას. მაგრამ აბსტრაქტული ცნებების გვერდით, რომლებიც გამოხატავენ ობიექტების არსს თვით ამ რეალური ობიექტებისაგან მოწყვეტით ანუ განყენებულად, გვხვდება ცალკეული ცნებები, რომლებიც წარმოადგენენ უნიკალური ობიექტებისა ან მასობრივი ობიექტების განსაკუთრებული (და არა ზოგადი) თვისებების შემეცნების შედეგს. ქვეყანაზე არის მხოლოდ ერთი ლენინგრადი. მზის სისტემაში არის მხოლოდ ერთი მარსი, ივან ივანეს ძე ივანოვს, რომელიც ცხოვრობს გორკის ქუჩაზე, ჰყავს ერთი შვილი ივანე“ და ა. შ. (იქვე, გვ. 16—18). აი, ესაა ნომენკლატურა.

ლეიჩიკის აზრით, ნომენკლატურას შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ერთი საწარმოს ნაკეთობათა დასახელებები (მაგ., ერთი ქარხნის „ЧТЗ“-ს ტრაქტორების ყველა მოდელი), რომელიმე მაღაზიის საქონლის სახელწოდებანი, ჯიშები და ხელოვნურად გამოყვანილი სახეობანი მცენარეთა, ხილისა და ა. შ.

და დასასრულ: ნომენკლატურული ერთეულები დაკავშირებული არ არიან ცნებებთან გვარეობით-სახეობითი ურთიერთობებით.

ნომენკლატურული ერთეული ისევე, როგორც ტერმინი, აღნიშნავს აბსტრაქტულ ცნებას, მაგრამ (ტერმინისაგან განსხვავებით) არა

---

[198] Лейчик В. М. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

ყოველგვარს, არამედ — სპეციფიკურს. ამ ცნების სპეციფიკა, რომელიც წარმოადგენს ნომენკლატურული ერთეულის შინაარსის პლანს, მდგომარეობს იმაში, რომ იგი (ეს ცნება) აუცილებლად წარმოადგენს იმ რამდენიმე ერთგვაროვან ცნებათა წევრს, რომლებიც განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან მეორეხარისხოვანი ნიშნებით (მაგ., ყველა რევოლვერს აქვს ერთნაირი ფუნქცია და მოქმედების პრინციპი, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისაგან კონსტრუქციით; ყველა ვაშლი ეკუთვნის ერთ ბიოლოგიურ სახეობას, ე. ი. აქვთ ქრომოსომათა[199] ერთნაირი ერთობლიობა, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმით, ზომით, ფერით, გემოთი). ამგვარად, ნომენკლატურული სახელით შეიძლება გამოხატული იყოს არა ყოველგვარი ცნება, არამედ მხოლოდ ის, რომელიც შედის განსაკუთრებული სახის სისტემაში. ზოგადად რომ ვთქვათ, ასეთი სისტემა ეკუთვნის უმარტივეს ტიპს და წარმოადგენს ისეთ ერთგვაროვან ცნებათა ჩამოთვლას, რომლებიც აბსტრაქციის ერთ დონეზე მდებარეობს და გამოხატავს ერთგვაროვან საგანთა კლასებს (იქვე, გვ. 19—21).

დასასრულ, კიდევ ერთი სტატიის შესახებ, რომელშიც ნომენკლატურის თაობაზე ბევრ საინტერესო მსჯელობასთან ერთად გამოყოფილია ნომენკლატურის სახეები[200]. აქ განსხვავებულია ერთმანეთისაგან: ა) ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა ნომენკლატურა, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ ბუნების შემეცნების ეტაპებს, ბ) ტექნიკური ნომენკლატურა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ საგნებს (წარმოების ნომენკლატურას) და გ) კომერციული ნომენკლატურა, რომელიც სპეციალურად შექმნილია იმისათვის, რომ კარგად იქნეს გასაღებული საქონელი[201].

---

199 **ქრომოსომა** ბიოლოგიური ტერმინია და ნიშნავს: უჯრედის ბირთვის იმ ნაწილს, რომელიც იღებება და ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს უჯრედის გაყოფის დროს (იხ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

200 Суперанская А. В. Терминология и номенклатура. — Проблематика определений терминов в словарях разных типов. Л., 1976, с. 73—83.

201 კომერციული ნომენკლატურის ანუ კომერციული ნიშნების მნიშვნელობით სხვა ტერმინებიც იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში: **სასაქონლო ნიშნები** (Москвич В. А. Товарные знаки—„Ономастика". М., 1969, с. 256), **პრაგმონიმები** (Комолова З. П. Структура и мотивировка глагольных товарных марок. — Актуальные проблемы лексикологии, вып. II, ч. 2. Новосибирск, 1969, с. 186; მისივე: Лексико-семантическая система прагмонимов. — Научный симпозиум «Семиотические проблемы языков науки, терминологии и информатики". М., 1971, с. 386—399; მისივე: Эмоциональность прагмонимов. — Актуальные проблемы лексикологии. Новосибирск, 1971, с. 65—66. აქ, სხვათა შორის, მოცემულია ავტორის მიერ შემოთავაზებული ტერმინ „პრაგმონიმის" განმარტებაც; მისივე თანაავტორობით: Асланян С. А., Комолова З. П. Универсалии прагмони-

როგორც ავტორი აღნიშნავს, სამივე ნომენკლატურა სპეციალურად იქმნება დაინტერესებული პირების მიერ, მაგრამ იქმნება სხვადასხვა საფუძველზე, სხვადასხვა მიზნებითა და სხვადასხვა პრინციპების მიხედვით[202].

უნდა ითქვას, რომ ნომენკლატურული მასალის ასეთი დიფერენცირება ერთგვარად აწესრიგებს ნომენკლატურის შესწავლის საკითხს.

ამგვარი კლასიფიკაციის გარეშე ძნელია, უთუოდ, თავი გაართვა ამ მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან მასალას, დააკვირდე მის სპეციფიკას, მის ადგილს საერთო ენის სისტემაში. ვფიქრობთ, ასეთი დაყოფა იძლევა საშუალებას ამ სახელწოდებათა ერთგვარი სისტემატიზაციისას, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მათი შეფასება-დახასიათება. მართლაცდა, ძნელია სინქრონიული მსჯელობა, ერთი მხრით, ქიმიისა, ზოოლოგიისა, ბოტანიკისა და ა. შ. სახელწოდებებისა და, მეორე მხრით, სავაჭრო საქონლისა და სხვათა სახელწოდებების შესახებ[203].

ამგვარად, ნომენკლატურის შესახებ სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა გვაძლევს შესაძლებლობას გავაკეთოთ შემდეგი ზოგადი ხასიათის დასკვნები: ნომენკლატურა ტერმინოლოგიაზე უფრო ახალი კატეგორიაა. იგი ცალკე მდგომი სისტემაა, რომელიც გამოხატავს სპეციფიკურ ობიექტებს არა მათი შესაბამისი ცნებების გვარეობით-სახეობითი ურთიერთობების მიხედვით, არამედ ერთმანეთისაგან განსხვავებული კერძო ნიშნებით (იქნება ეს სერიული გამოშვება რაიმე სამრეწველო თუ სასურსათო პროდუქციისა — მანქანებისა, აპარატებისა, აგრეგატებისა, თვითმფრინავებისა, ტელევიზორებისა, სარეცხი მანქანებისა, მტვერსასრუტებისა და ა. შ., ან სხვადასხვა ჯიშები ყურძნისა, ვაშლისა, მსხლისა და საზოგადოდ მცენარეებისა — ციცქა, რქაწითელი, ცოლიკაური, კრახუნა და ა. შ. დასახელება სხვადასხვა სახის ავადმყოფობებისა, ვირუსებისა, ვიტამინებისა, წამლებისა და სხვ.)[204].

ამგვარად, ნომენკლატურული დასახელებები ცნებებს არ გამოხატავენ, თუმც გარკვეული კავშირი ცნებებთანაც აქვთ. ამიტომაცაა,

---

мов.—„Вестник общественных наук" АН Арм. ССР, 1975, № 6. с. 71—76), პრაგმატონიმები, ქტომონიმები და სხვ.

[202] Суперанская А. В. დასახ. ნაშრ., გვ. 80.

[203] ბოტანიკური ნომენკლატურის შესახებ საინტერესო მასალას შეიცავს ნ. ზაბინკოვას შრომა (იხ. Забинкова Н. Н. Термины и номенклатурные слова в ботанических словарях.—Проблематика определений терминов в словарях разных типов. Л., 1976, с. 91—101.

[204] ნომენკლატურის საკითხი მრავალმხრივ საინტერესო მასალას მოიცავს და საგანგებო კვლევას ითხოვს.

რომ მათი ლოგიკური დეფინაცია არ შეიძლება. ტერმინის ყველაზე ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ მისი ცნებობრივობაა. ნომენკლატურულ სახელწოდებათა რაოდენობა ენაში აურაცხელია. ტერმინთა რიცხვი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია, რაც ცნებათა სისტემასთან მათი ურთიერთობით აიხსნება. ნომენკლატურულ სისტემას განაპირობებს ექსტრალინგვისტური მიზეზები, რაც საგანთა რეალური ურთიერთობითაა განსაზღვრული. ნომენკლატურისათვის ხშირად დამახასიათებელია რიცხვობრივი ან ასოითი ინდექსაცია: ТУ—104, ГАЗ—21.

ტერმინებში სიმბოლოებით ცნების დასახელება იშვიათია.

დროთა განმავლობაში, სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, ნომენკლატურული დასახელება შეიძლება იქცეს ტერმინად[205], მაგრამ ამისათვის მან უნდა შეიძინოს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. და კიდევ ერთი: ნომენკლატურა, როგორც სპეციალური ლექსიკის გარკვეული ფენა, ტერმინოლოგიასთან შედარებით უფრო დინამიკურია და სწრაფცვალებადი[206]. ეს მჭიდროდაა დაკავშირებული სათანადო ობიექტის „სიცოცხლისუნარიანობასთან“. როდესაც ასეთი ობიექტი გამოდის ხმარებიდან ან იცვლება მისი სტატუსი, ბუნებრივია, ეს იწვევს ამ სახელწოდების გაუქმებას, ხმარებიდან ამოღებას.

აი, ასეთ სურათს გვაძლევს ტერმინთა და ნომენკლატურულ სახელწოდებათა შეპირისპირება.

ჩვენს ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა (ბოტანიკის, ზოოლოგიის, ქიმიისა და ა. შ.) ნომენკლატურა ამ დარგების შესაბამისი ტერმინოლოგიური სისტემებისათვისაა მიკუთვნებული. ვლაპარაკობთ და ვწერთ — ბოტანიკის ტერმინოლოგია, ზოოლოგიის ტერმინოლოგია, ქიმიის ტერმინოლოგია და ა. შ.[207]

---

[205] Суперская, А. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 77; Веселов П. В. Номенклатурное наименование и научно-технический термин. — «Стандартизация», 1965, № 12, с. 30.

[206] Березникова Р. Е. Подача номенов в словарях различных типов. — Проблематика определений терминов в словарях разных типов, с. 84.

[207] თუმცა ვგრძნობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ეს ტერმინოლოგიები სხვა ტერმინოლოგიებისაგან თვისობრივად განსხვავებულია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენს ლექსიკონებში ყოველთვის ერთგვარობა დაცული არაა. მაგალითად, ერთგვარი კომპრომისული დასახელება აქვს მ. კუტუბიძის მიერ შედგენილ სალექსიკონო მასალებს: „ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია“, 1973, რაც მართებული არაა. მას ან ნომენკლატურა უნდა ეწოდებოდეს, ან ტერმინოლოგია. ჩვენი თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი უფრო მართებული იქნებოდა.

ასეთი გადაწყვეტის საფუძველს ქმნის, უპირველეს ყოვლისა, მრავალი სხვა ენის ტრადიცია და, მეორე მხრით, ამ დარგის ცნებათა სისტემურობაც. ჩვენის აზრით, ამ დარგებში შემავალი დასახელებები სათანადო ცნებებთან ისეთსავე მიმართებას ავლენენ, როგორსაც ტერმინები ცნებათა გვარეობით-სახეობით იერარქიაში.

რაც შეეხება ტექნიკურ ნომენკლატურასა და სასაქონლო ნიშნებს, ანუ ე. წ. პრაგმონიმებს, რომელთა რაობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია, აქ სხვა სირთულეები იჩენს თავს. შესწავლას ითხოვს ამ სახელწოდებათა ტიპები, სახელწოდებათა შერჩევის პრინციპები, სემანტიკური მოდელები, მათი სტანდარტიზაცია, ომონიმიისა და სინონიმიის საკითხები და ბევრი სხვ. ყველა ეს საკითხი საგანგებო კვლევის საგნად უნდა იქცეს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ამგვარ ნომენკლატურულ დასახელებათა სხვა ენიდან თარგმნის საკითხი. ისმის კითხვა, ითარგმნოს რუსული თუ სხვა ენის ნომენკლატურული სახელწოდება ქართულად, თუ უთარგმნელად დარჩეს, ანუ მექანიკურად იქნეს გადმოტანილი სხვა ენიდან? (ბუნებრივია, მსჯელობა ეხება ისეთი ტიპის ნომენკლატურულ სახელწოდებებს, რომლებიც არა ციფრებით ან სხვა რაიმე სიმბოლოებითაა გადმოცემული, არამედ მნიშვნელობის მქონე საზოგადო სახელებით, როგორიცაა, მაგალითად: სუნამო „Красная Москва“, კანფეტი „Мишка“, მაღაზია „Светлячок“, სიგარეტი „Прима“, ფხვნილი „Новость“ და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ნომენკლატურულ სახელწოდებათა თარგმნა-უთარგმნელობის საკითხი ძირითადად იმით უნდა იყოს გაპირობებული, თუ რა ხასიათისაა მოცემულ ენაში ესა თუ ის ნომენკლატურული სახელწოდება, აქვს თუ არა მას რაიმე სემანტიკა, ანუ მოტივირებულია დასახელება თუ არა, თუ მოტივირებულია, რის მიხედვით— ლინგვისტური თუ, რაც უფრო მოსალოდნელია, ექსტრალინგვისტური, სოციალური ფაქტორების მიხედვით, რა ენდო საფუძვლად მათ თავდაპირველ ნომინაციას და სხვ.

მიგვაჩნია, რომ, როდესაც ნომენკლატურული სახელწოდება, არჩეული ამა თუ იმ ტიპური ობიექტის გამოსახატავად, გამჭვირვალე სემანტიკის მქონეა და საგანზე ორიენტაციაც მეტ-ნაკლებად სწორი აქვს, უნდა ითარგმნოს: კანფეტი „დათუნია“, სუნამო „წითელი მოსკოვი“, მაღაზია „ციცინათელა“, ფხვნილი „სიახლე“ და ა. შ.

თუ ეს სახელწოდებანი საკუთარი სახელებითაა გადმოცემული, ბუნებრივია, მათი თარგმნის საკითხი არ დაისმის. არ ითარგმნება ბევრი სხვა დასახელებაც, რომელიც საკუთარ სახელებთანაა გათანაბრე-

ბული. ასეთ შემთხვევებში ქართულში მოცემულია მათი ტრანსლიტერირებული ფორმა, სადაც დაცულია ნაციონალური ორთოგრაფია.

ნომენკლატურათა სემიოტური ბუნება რთული და თავისებურია[208]. ყველა ამ საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

---

208 სასაქონლო ნიშნების სემიოტური ანალიზისათვის საინტერესოა შრომა: Василевский А. Л. Семиотический анализ товарных знаков. — Научный симпозиум «Семиотические проблемы языков науки, терминологии и информатики», М., 1971, с. 474—478.

თავი მეოთხე

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია და შემდგომი განვითარების გზები

ქართული ტერმინების ისტორია სათავეს იღებს ქართული მწერლობის შექმნის დასაწყისიდანვე, როდესაც ბუნებრივი ენის წიაღში ისახებოდა უამრავი ცნება და მისი გამომხატველი ტერმინები.

ჯერ კიდევ V საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ფუნქციონირებდა დამუშავებული სალიტერატურო ენა და მოგვეპოვებოდა წერილობითი ძეგლები, არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ შექმნილიყო და განვითარებულიყო მდიდარი ტერმინოლოგიური ლექსიკა[1].

ხელშესახები მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ მეცნიერული ლექსიკის ქართულ ენაზე შექმნის ცდებს, X—XI—XII საუკუნეებს უკავშირდება.

ამ დროისათვის ჩვენში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა მდიდარი თეოლოგიური და მხატვრული ლიტერატურა, ინტენსიურად ვითარდებოდა ჰუმანიტარული დარგები, ფილოსოფიური აზროვნება, ფართოდ იკიდებდა ფეხს მთარგმნელობითი მუშაობა, ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ინტელექტუალური აღორძინების ხანა იდგა.

ერის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეებისა და მწიგნობრების მონაწილეობას. ესენი იყვნენ: ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებლები იოანე მთაწმიდელი (920—1005) და ეფვთიმე მთაწმიდელი (955—1028), ეფვთიმე მთაწმიდლის ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმიდელი (1009—1065), XI ს. II ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე, თვალსაჩინო ქართველი მოაზ-

---

[1] ტერმინოლოგიის შექმნის ისტორიის საკითხებს ეხება ვუკ. ბერიძის სტატია: ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. — „მეცნიერება და ტექნიკა", 1952, № 7, გვ. 29—33.

როვნე და ფილოსოფოსი, პეტრიწონული სკოლის მამამთავარი იოანე პეტრიწი (XI—XII), XI—XII ფილოსოფოსი და მწერალი, გელათის აკადემიის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი და სხვები.

სწორედ ამ საუკუნეებს უკავშირდება ჩვენში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრების — იყალთოს აკადემიისა და გელათის აკადემიის დაარსება[2].

ორივე ეს აკადემია ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა. აქ ისწავლებოდა ჰუმანიტარული დარგების (ფილოსოფიის, რიტორიკის, გრამატიკის) გარდა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა. იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა"), მევენახეობა-მეღვინეობა[3]. აქ ითარგმნებოდა და იწერებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი ქართულ ენაზე[4].

კულტურის მძლავრ კერებად ითვლებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ დაარსებული საგანმანათლებლო ცენტრებიც, სადაც ინტენსიური მწიგნობრული და სამეცნიერო საქმიანობა წარმოებდა[5].

ჩვენი ნაშრომის მიზანს არ შეადგენს ამ მოღვაწეობისა და მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა. აღვნიშნავთ მხოლოდ იმდროინდელ ზოგად ვითარებას: X—XI—XII საუკუნეები — ეს არის ჩვენში ეპოქა სამეცნიერო აზრის განვითარებისა, მწიგნობრობისა, მთარგმნელობითი საქმიანობისა, დაძაბული ენობრივი გამომგონებლობისა. სწორედ ამ დროს შეიქმნა მყარი ტრადიციები სიტყვათა წარმოებისა და თხზვისა.

---

2 იყალთოს აკადემია დაარსდა საქართველოში XI—XII სს-ში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსენ იყალთოელის მიერ. გელათის აკადემია — 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივით. აქ მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი და გარკვეულ დროს არსენ იყალთოელიც, XIII ს-ში — ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმის ძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი და სხვ. (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 59).

3 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკვ. I, 1938; ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, 1948.

4 XIV ს-ში გელათშია შექმნილი იურიდიული ძეგლი „გარიგება ჭელმწიფის კარისა" და საისტორიო წყარო „გელათური ქრონიკონი" (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74; ასევე: ქსე, 1978, ტ. III, გელათის აკადემია).

5 ქართული საგანმანათლებლო ცენტრების ისტორია, ამ მოღვაწეთა საქმიანობა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, კარგადაა შესწავლილი და გაშუქებული ქართველი მეცნიერების (ალ. ცაგარლის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ალ. ბარამიძის, ი. აბულაძის, ლ. მენაბდისა და სხვათა) და ზოგი უცხოელი მკვლევრის შრომებში.

ქართული ენის განვითარებამ ამ დროისათვის ისეთ დონეს მიაღწია, რომ მას შესწევდა უნარი გადმოეცა მაშინდელი განვითარებული აზროვნების თითქმის ყველა ნიუანსი.

ზემოთ დასახელებულ მოღვაწეთა მიერ ნახმარი თუ შემოღებული ბევრი სიტყვა დღესაც ერთადერთია სამეცნიერო ლიტერატურაში. ესენია: არსი, არსება, არსებითი, მეტყველება, ბუნებათა მეტყუელება (დღევანდელი: ბუნებისმეტყველება), სიბრძნის მეტყუელება, ძლიერება, გონება, გონიერი, გონიერება, აგებულება, განცდა, გრძნობა, ვითარება, მგრძნობელობა, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, უგუნური, უგუნურება, უძლური, უძლურება, თვითმყოფობა, წარმოება, ურთიერთობა, მონაცვლეობა, უმსგავსოება, მსგავსებითი, ხილული, ცნობიერება, მოძღვრება, ჭეშმარიტება,, შეზავება, შეხება, არარაობა, სისრულე, სიმარტივე, სივრცე, უპირატესი, უმეცრება, მეცნიერება, შუამდგომლობა, თანამზრახველობა, ჭელოვნება, მხედველობა, მდგომარეობა, მოძრაობა, უძრაობა, სიტყვერება, იგივეობა, სხუადასხუაობა, ჰამადი, ცვალებადი, ქმნადობა, ხილვა, ჴორციელი, გულისჴმა, ღირსი. მსგავსი, შემოქმედებითი, მეშვეობითი, უმსგავსი, მოქმედებითი, ხედვითი, მსგავსებითი, ჭელყოფა, ცვალებადი, თჳთმპყრობელობა, რომელობა, რაოდენობა, განჯრწნადობა, მოუნდომლობა, ვარსკვლავთმრიცხუელობა, თანამზრახველობა, მიმართება, უკუდავება და ბევრი სხვ.[6]

დასახელებულ სიტყვათა უმრავლესობა დღევანდელ ენაში იმდროინდელი მნიშვნელობითაა გავრცელებული.

დღეს ჩვენში საგანგებოდ შეისწავლება ამ მოღვაწეთა მემკვიდრეობა, თარგმანების ენა და ტერმინოლოგია[7]. აღწერილია მათი ტერ-

---

6 მაგალითები აღებულია ა. შანიძის, ს. ყაუხჩიშვილის, დ. მელიქიშვილის, ნ. შალამბერიძისა და სხვათა შრომებიდან, რომლებიც მე-7 სქოლიოშია ჩამოთვლილი.

7 საკუთრივ ენისა და ტერმინოლოგიის საკითხებს ეხება: ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის წყაროები (იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, პროკლე დიადოხოსისი პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, 1940); ა. შ ა ნ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით, ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946; მ. კ ა ხ ა ძ ე, ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ. შესავალი, ძეგლის ზოგი ენობრივი თავისებურება, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II, 1947; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის — „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1964; ნ. კ ე ჭ ა ღ მ ა ძ ე, იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის — თსუ შრ., 61, 1953; დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ენის თავისებურების ზოგიერთი საკითხი.— „მნათობი“, 1966, № 2; მ ი ს ი ვ ე: იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახ-

მინოლოგიური პერიოდი XIII ს. მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის დამდეგამდე ჩვენში ტერმინოლოგიის განვითარების დაღმავლობის ხანად ითვლება. ეს არის პერიოდი სასულიერო მწერლობის დაკნინებისა და დაცემისა, რომლის მიზეზი ძირითადად იმდროინდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება იყო: მეცამეტე საუკუნიდან საქართველოს შემოესივნენ მონგოლები, ხოლო XV საუკუნიდან — ოსმალები. განადგურდა საეკლესიო მწერლობის ცენტრები. საზღვარგარეთის ცენტრებთან შეწყდა კონტაქტი. ბუნებრივია, საქართველოში შექმნილი იმდროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება დაღს ასვამს ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურულ წინსვლას, მეცნიერების და ტერმინოლოგიის განვითარებისა და აღმავლობის საქმეს[8]. ეს პერიოდი ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისა სრულიად შეუსწავლელია, თუმცა არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ აღორძინების კლასიკური ხანის ეს შემდგომი პერიოდიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო უინტერესო მეცნიერულ-ტერმინოლოგიური ძიების თვალსაზრისით[9]. ამ პერიოდის შესწავლა ისევე, როგორც საზოგადოდ ტერმინოლოგიის საკითხების დიაქრონიული კვლევა, რომელიც სამეცნიერო იდეათა და ცნებათა ევოლუციის რთულ საკითხებს უკავშირდება, უთუოდ ბევრ საინტერესო მასალას გამოაელენს ქართული მეცნიერული აზროვნებისა და სამეცნიერო ენის განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სრული აღმავლობა გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის (1658—1725) სახელს უკავშირდება, როდესაც მწერლობასთან ერთად კვლავ აღორძინდა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურა. მისი ლექსიკონი ცნებათა უჩვეულო დეტალიზაციისა და მეცნიერული განსაზღვრის თვალსაზრისით დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს.

სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ სიტყვა „ქვის“ საბასეული განმარტება: „ქვა ქვაჲცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ სილა არს ქვა,

---

მარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის. — „მაცნე“, 1968, № 1; მისივე მონოგრაფია: იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975; ნ. შალამბერიძე. სამედიცინო ბიოლოგიური ტერმინოლოგია „დაბადებისათჳს კაცისა“ გიორგი მთაწმიდლის თარგმანში. — „მაცნე“, 1970, № 1; ვასილ წერეთლის მიერაა შედგენილი ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით. ქუთაისი, 1916 (ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა, 48 გვ.) და სხვ.

[8] ფეოდალური მონარქიის დაცემის ეს ხანა საქართველოში დეტალურადაა აღწერილი კ. კეკელიძის წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 65—66.

[9] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

ვითარცა გაცრილი; ქვიშა (ქჳშა) ხვარბალთა ოდენი; კენჭი — ცერცუთა ტოლი და უდიდესი; ღორღი არს ნამტურევი და კენჭთ უდიდესი, ვიეთნი ჰოჭყს უჴმობენ; ხჳნჭა (ღვინჭა) არს კენჭი წყალთა შინა; რიყე არს ქვაქვიშა წყლის კიდურისა; კაჭარი არს უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა; ლოდი არს ქვა დიდი; არძანი არს ქვა კაცთაგან აღებად საჭირო, მარილის ქვაჲც არძანად ითქმის; ბალავარი არს უდიდესი არძანისა, საძირკულად დასადები კედელთათჳს; კარკალი არს ქვანი ლოდარძანნი სიმრავლით მიყრილი ვრცელად; კარკარი არს სალი წყლტუ კლდე; სალა არს ქვა ბრტყელი, ვაჟთ სამღერელი, ფიქალი არს ქვის ფიცარი; სპონდიო არს წყალთა მიერ ქვაქმნილი; სასრევი არს ქვა მახჳლთ აღმლესუელი; სიპი არს ქვა გლუსუნი და ცეცხლში მტკრცოლელი; კოხი არს ქვა მჭისე და ცეცხლში არ მტკრცოლელი; კაცი არს ქვა ცეცხლის მშობელი; ქარწბია არს ქვა ჭიქის მსგავსი; გოხი არს ქვა ქვითკირისა მსგავსი. ვიეთნი სოდომის ნალეწს უჴმობენ; კიდონტი არს ქვა გიშრის ფერი, ოქროსა და ვეცხლის გამომცდელი; აღრალები არს ქვა: ძოწი, ამარტა, ლაჟვარდი და მისთანანი: სპეკალი არს ქვა ყოველივე თუალი პატიოსანი და ძვირფასი".

ბუდის ბოლოს არის მითითება ქვების იმ სახეობებზე, რომლებიც დასახელებულ ბუდეში ან სულ არაა შეტანილი, ანდა თავის მხრივ ბუდეს ქმნის და ქვის სხვადასხვა სახეობას აერთიანებს: (ნ. ასპიტის ქვა, აღრალების ქვა, ოქროს ქვა, პორფირის ქვა, ძელქვა). მითითებულ ადგილას კიდევ უფრო დაზუსტებულია ამ ქვების მნიშვნელობა და ჩამოთვლილია მათი ძირითადი ქვესახეობანი (მაგ.: აღრალების ქვა არს: ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაჟვარდი, ქარვა და მისთანანი ქვები, ხოლო სპეკალი: ალმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები)[10].

საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი შემდეგდროინდელი ქართველი მოღვაწეების, სულხან-საბა ორბელიანის ტრადიციების ნიჭიერი გამგრძელებლების — ვახტანგ VI-ის (1675—1737), ვახუშტი ბატონიშვილის (იგივე ბაგრატიონის) (1696—1756), ანტონ I ანუ ანტონ კათალიკოსის (1720—1788), დავით რექტორის (1745—1824), დავით (1767—1819) და იოანე ბაგრატიონების (იგივე ბატონიშვილების) (1768—1830), ნიკო (1720—1847) და დავით ჩუბინაშვილების (1814—1891) და სხვათა მემკვიდრეობაც.

ვახტანგ VI უშუალოდ მიიღო მონაწილეობა სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის გასრულებაში და სწორედ იმან შეარქვა ამ დიდებულ ნაშრომს „სიტყვის კონა".

---

10 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928.

პირადად ვახტანგ VI და მის მიერ თანამშრომლად შერჩეული პირები ამუშავებდნენ მედიცინის, ქიმიის, ფიზიკის, ასტრონომიისა და მეცნიერების სხვა დარგის სახელმძღვანელო წიგნებს. ვახტანგ VI გამართა დედაქალაქში ქართული ეროვნული სტამბა და წამოიწყო წიგნების ფართო მასშტაბით ბეჭდვა. მის სტამბაში სხვა წიგნებთან ერთად იბეჭდებოდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა[11].

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან („დაბადებამიდან“) XVIII ს. პირველ ნახევრამდე და რომელიც საქართველოს ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერილობაა, წარმოადგენს თავისი ეპოქის მეცნიერულ დონეზე დაწერილ ნაწარმოებს. მასვე აქვს რუსულიდან ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელო „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ (1752)[12].

ვახუშტი ბატონიშვილის ამ წიგნებში მრავლადაა გაფანტული გეოგრაფიულ-ისტორიული და საბუნებისმეტყველო ტერმინები[13].

ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის სასკოლო ქართული გრამატიკა. მის მიერაა შექმნილი ამ გრამატიკის არა ერთი და ორი ტერმინი. მასვე აქვს მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა. ანტონ I მიერაა ნათარგმნი სხვა ენებიდან ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკისა და სხვა დარგების სახელმძღვანელოები. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ანტონ I ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში[14].

დავით რექტორი, თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, ნობარი და პედაგოგი, მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი იყო. სემინარიაში ასწავლიდა გრამატიკას, თეორიულ ფიზიკას, ეთიკას. ლექსიკოგრაფიულ-ტერმინოლოგიური მუშაობა მისი მოღვაწეობის საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავდა[15].

განსაკუთრებულია დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა[16]. ისინი არა მარტო საბას ტრადიციების გამგრძელებლები არიან, არამედ ავტორები ახალი ტიპის ორენოვანი, სამენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონებისა. იოანე ბაგრატიონის

---

11 ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები (ალ. ბარამიძის რედაქციით), 1975.

12 ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969.

13 ეკ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

14 ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970.

15 ეკ. ბერიძე, დავით რექტორი — სულხან-საბა ორბელიანის გამგრძელებელი. — თსუ შრ., 1935.

16 სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მათი დამსახურება (იხ. ალ. ღლონტი, ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრა-

მიერ 1814 წელს შედგენილი ბუნებისმეტყველების სპეციალური რუსულ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი შეიცავს 3 000 სალექსიკონო ერთეულს. იგი პირველი ცდაა დარგობრივი ლექსიკონის შედგენისა, სადაც საკუთრივ ტერმინოლოგიური ნაწილის გარდა, მოცემულია ქართულ ტერმინთა წარმომავლობა და ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები.

დიდძალ ტერმინოლოგიურ მასალას შეიცავს მისივე ექვსტომიანი (40 000 სიტყვის შემცველი) რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი 1807 წელს; მასში შეტანილია, ერთი მხრით, ტერმინები ცოდნის ისეთი დარგებიდან, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ისტორია და, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობასთან, რელიგიურ რიტუალებსა და სამხედრო ცერემონიალთან დაკავშირებული სიტყვები, სამედიცინო, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინები. მხოლოდ ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინები 5 000-მდეა. ეს თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, თანამედროვე ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისითაც დიდ ინტერესს იწვევს.

იოანე ბაგრატიონს რამდენიმე ენაზე მიუწვდებოდა ხელი. ეს ენებია: რუსული, თურქული, არაბული, სპარსული, სომხური, ფრანგული, ლათინური, ამიტომაცაა მისი დარგობრივი ლექსიკონები რუსულ-ქართულ-თურქული, ქართულ-ფრანგულ-სპარსული, ქართულ-არაბულ-სპარსულ-თათრულ-ლათინურ-სომხური.

იოანე ბაგრატიონის ლექსიკონები წმინდა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი არაა, ისევე როგორც საგანგებოდ შესწავლილი არაა რამდენიმე ათეული იმდროინდელი (XVIII—XIX საუკუნის) ხელნაწერი ლექსიკონი, ძირითადად დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებისა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდებში[17].

დის კოლექციაში. — ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის შრომები, II, 1955. იქვე, მისივე: რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის, 1956; ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967; მისივე: იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი", თბ., 1975).

17 ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხების გასაცნობად საინტერესო მასალას შეიცავს მ. კელენჯერიძის შრომა „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები

აღარას ვამბობთ ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობაზე. მათი ლექსიკონები დღეს სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნებადაა ქცეული.

საგანგებო შესწავლას მოითხოვს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით XIX საუკუნის გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეების მდიდარი მემკვიდრეობა — ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, რაფიელ ერისთავისა, იაკობ გოგებაშვილისა, ივ. მაჩაბლისა, მიხეილ და კოტე ყიფიანებისა და სხვათა[18].

ილია ჭავჭავაძის შემოღებულადაა მიჩნეული დღეს ჩვენში დამკვიდრებული ტერმინები: მიმართულება, ღირებულება, სინამდვილე, უარყოფა, უფლება, შინაარსი, თვალთახედვა, ნაფიცთა მსაჯულება და სხვ.

ინტენსიურ ტერმინოლოგიურ მუშაობას ეწეოდა XIX საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოცდაათიან წლებში რაფიელ ერისთავი. მას შედგენილი და გამოქვეყნებული აქვს მცირე მოცულობის ტერმინოლოგიები: ქიმიისა და ფიზიკისა, საზომ-საწყაოსი, ასტრონომიისა და ასტროლოგიისა, ზღვისა და ზღვაში ცურვისა, სამხედრო და საომარი, არითმეტიკისა და გეომეტრიისა, თანამდებობებისა, სადურგლო და სამშენდლო ტერმინები და სხვ.

1873 წ. დაიბეჭდა რ. ერისთავის „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, რომლის ვრცელი შევსებული და შესწორებული რედაქცია გამოქვეყნდა 1884 წელს შემდეგი სახელწოდებით: „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან“.

ეს ლექსიკონი, რომელიც 2 000-მდე სიტყვას შეიცავს, იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ, გარდა სამენოვანი დასახელებისა, ითვალისწინებს ქართული დიალექტების (იმერულის, გურულის, რაჭულის,

---

XVIII—XIX საუკუნეებისა“. თბ., 1961. აქ თავმოყრილია და გაანალიზებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი ამ საუკუნეების რამდენიმე ათეული ხელნაწერი ლექსიკონი, რომელთა შესწავლა წმინდა ტერმინოლოგიურ თვალსაზრისითაც იქნებოდა საინტერესო.

18 ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური საქმიანობა ნაწილობრივ გამოკვლეულია იმ სტატიებში, რომლებიც მწერლის ენისა და ლექსიკის საკითხებს ეძღვნება: იხ. არნ. ჩიქობავა, ი. ჭავჭავაძე ენის შესახებ, 1938; ა. შანიძე, ილ. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის (საიუბილეო კრებული, 1939); ივ. გიგინეიშვილი, ი. ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ შრ., ტ. 69, 1958; ქ. ძოწენიძე, არქაიზმები ილ. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში. — ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, 1958; შ. ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე, სალექსიკონო მასალა.— „მნათობი“, № 10, 1957; მისივე: ილია ჭავჭავაძე და ქართული ლექსიკა. — „მნათობი“, № 1, 1963; გ. შალამბერიძე, ი. ჭავჭავაძის ენა, 1966.

ფშაურის, მთიულურის) და ერთ-ერთი ქართველური ენის (მეგრულის) მონაცემებს.

რ. ერისთავს ხელნაწერი სალექსიკონო მასალაც უხვად დარჩენია. ეს მასალა ძირითადად დარგობრივია და უმთავრესად ხალხური მეტყველების, ან კიდევ ბიბლიისა და ოთხთავის ლექსიკის ნიმუშებს წარმოგვიდგენს. კერძოდ, აქ ვხვდებით ურმისა და შენობის ნაწილების სახელწოდებებს, დაკლული საქონლის ნაწილების სახელწოდებებს, ადამიანთა ხმების სახელებს, მცენარეთა და ფრინველთა სახელებს, გეოგრაფიულ სახელთა და ზოდიაქოთა სახელწოდებებს და ა. შ. აქვეა მოცემული ფერთა ვრცელი სია, ამასთან, არა მარტო ძირითადი ფერებისა, არამედ თანაფერთა მრავალრიცხოვანი ნიუანსებისაც კი[19].

რ. ერისთავმა მრავალი რუსული ტერმინი და ტერმინოლოგიური გამოთქმა გადმოაქართულა მარჯვედ და დაამკვიდრა ჩვენს ენაში. მანვე გამოიყენა ტერმინებად ისეთი ძველი სიტყვები, როგორიცაა: კონცხი, აფრა, ოწინარი, აზარმაცი, ბუნიობა, კუნძული, რუკა, ქურო და სხვ.[20]

ქართული საზოგადოებრიობის ტერმინოლოგიის საკითხებით დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს XIX საუკუნის ქართული პრესა, რომელშიაც სისტემატურად იბეჭდებოდა ტერმინოლოგიური მასალები, ტერმინოლოგიის საკითხებზე გამართული კრებებისა და დისკუსიების შედეგები, რეცენზიები გამოქვეყნებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე და სხვა[21].

---

19 რ. ერისთავის ტერმინოლოგიური მემკვიდრეობა მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ლ. იორდანიშვილს (იხ. რაფიელ ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები, 1968, იქვე. XVI; მასვე ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი რ. ერისთავის ენის თავისებურებათა შესახებ (იხ. მისი საკანდ. დისერტ., 1966: მ ი ს ი ვ ე: რაფიელ ერისთავის ნაწარმოებთა ენის ზოგი თავისებურება, „მაცნე", 1965, № 4). ჩვენი ცნობები რაფიელ ერისთავის შესახებ ძირითადად ამ შრომებზეა დამყარებული. დამატებით შესწავლილია პირველწყაროებიც.

20 იხ. ლ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რაფიელ ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები, გვ. 113.

21 იმდროინდელ პრესაში ტერმინოლოგიის საკითხებზე გამოქვეყნებული მასალა ჩვენ მიერ მთლიანადაა აღნუსხული და შესწავლილი. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან წერილს: რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, რაოდენად მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს, „დროება", 1880, № 212, ანდრ. ღ უ ლ ა ძ ე, იოს. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, სახელმძღვანელოებში სახმარი ტერმინების თავმოყრისა და გაერთმნიშვნელიანების შესახებ, „დროება", 1882, № 225; კრების დღიური, აკ. წ ე რ ე თ ლ ი ს წინადადება ტერმინების შესამუშავებელი კომისიების შედგენისა და სახელმძღვანელოების გადასინჯვის შესახებ, „დროება", № 1882, № 246; მ. ქ ვ ლ ი ვ ი ძ ე, ქართული სამეცნიერო ტერმინების გამომკვლეველი კრების საყურადღებოდ (ქართული თვლის წესების შესახებ), „დროება", 1882, № 254; ქართული ტერმინების შემუშავება (სხდომებზე მიღებული არითმეტიკის ტერმინების

XIX—XX საუკუნის მოღვაწეთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ ქართველი განმანათლებელი, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი სოლომონ დოდაშვილი (1805—1836). 1830 წ. დაიბეჭდა მისი სასკოლო გრამატიკა: „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“, რომელიც გამოირჩევა დახვეწილი ტერმინოლოგიით; დიმიტრი ყიფიანი (1814—1887), მის ქართულ გრამატიკას ახლავს მის მიერვე შედგენილი ლექსიკონი; მიხეილ, კონსტანტინე და ვასილ ყიფიანები, რომლებიც გამალებულად ქმნიდნენ სხვადასხვა დარგის (ალგებრის, გეომეტრიის, ტექნიკის) ტერმინებს. ერთ-ერთმა მათგანმა (კონსტანტინემ) 1896 წელს გამოსცა თბილისში „რუსულ-ქართული ლექსიკონი ასტრონომიისა, ზოოლოგიისა, მინერალოგიისა და სხვადასხვა ტერმინებისა და ტექნიკური სიტყვებისა“ (2500 ტერმინს შეიცავს); პლატონ იოსელიანი (1809—1875), ქართული გრამატიკისა და ტერმინოლოგიის საკითხებზე მზრუნველი; პოლიევქტო კვიცარიძე (1849—1904) „საგრამატიკო ტერმინოლოგიის“ ავტორი[22]; ანდრია ბენაშვილი (1868—1941), უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მას აქვს შედგენილი პირველი ქართული სახელმძღვანელოები ტოპოგრაფიაში,

---

დამტკიცება), „დროება“, 1882, №№ 258, 261; რ. ერისთავი, წერილი რედაქტორთან (გაზეთში გამოსაქვეყნებელი და განსახილველი არითმეტიკის ტერმინების სია), „დროება“, 1883, № 251; პ. კვიცარიძე, საგრამატიკო თერმინოლოგია, 1885, № 187; ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, ტფილისი, 1887; ლ. ბოცვაძე, ბუნებისმეტყველების ტერმინების შესახებ, „ივერია“, 1893, № 49; ალ. მირიანაშვილი, ტონელი თუ გვირაბი?, „ივერია“, 1904, № 141; ა. ხახანაშვილი, ერთი იურიდიული ტერმინის განმარტება. „ივერია“, 1904, № 10; გვარამაძე, კ. მესხი, მასალა სამეცნიერო სიტყვაკრებულის შესადგენი, „მოსავალი“, 1911, №№ 9, 13; ილ. ალხაზიშვილი, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (ანატომიის ტერმინოლოგია), „განათლება“, 1913, № 6, 7, 8; ვ. რცხილაძე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, „განათლება“, 1914, № 4, 5; ე. ალშიბაია, ცოტა რამ ქიმიურ ტერმინებზე, „განათლება“, 1914, № 6; ლ. ცაგარელი, ანატომიური, პსიხოლოგიური ტერმინების და სხვადასხვა დარგის სიტყვების შესახებ, „განათლება“, 1914, № 6; ლ. ბოცვაძე, საართველო ტერმინები, „განათლება“, 1915, № 7; ილ. ალხაზიშვილი, ბუნება და სამყურნალო მეცნიერება, „განათლება“, 1915, № 8—9; ი. ავალიშვილი, სახელები და ზოგიერთი ხშირად სახმარებელი სიტყვები დასაბამით მათემატიკაში, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 678, № 695 და სხვ.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული პრესის მასალებზე საინტერესო შრომა აქვს დაბეჭდილი პ. გაჩეჩილაძეს „ლექსიკოლოგიის და ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან“, იქვე, 1959, გვ. 193—212. სასურველი იქნებოდა ანალოგიური შრომის გამოქვეყნება ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიური მასალის შესახებაც.

22 იხ. „დროება“, 1885, № 187. მასვე ეკუთვნის „ქართული სწორმეტყველება“, თბ., 1888.

სფერულ ტრიგონომეტრიაში, სფერულ ასტრონომიაში და ცდომილებათა თეორიის დარგში და სხვ.[23]

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ვასილ პეტრიაშვილისა და პეტრე მელიქიშვილის დამსახურებაზე.

ვასილ პეტრიაშვილი (1845—1908) ჩვენში ქართული ქიმიური ენის ფუძემდებლად ითვლებოდა[24]. იგი სისტემატურად ბეჭდავდა სამეცნიერო სტატიებს ქართულ ენაზე იმდროინდელ პრესაში, განსაკუთრებით კი ჟურნ. „მეურნეში“ (1888—98), ადგენდა სახელმძღვანელოებს, ქმნიდა ამ სახელმძღვანელოებისათვის საჭირო ტერმინებს. 1895—96 წლებში ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ორი საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომი ვაზის მოვლის, ღვინის დაყენებისა, რძისა და მისი სხვადასხვაგვარი გამოყენების შესახებ.

ქართულ ტერმინებზე ზრუნვა ვ. პეტრიაშვილს არც საფრანგეთში (იქ დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია) და არც ოდესაში ყოფნის დროს (ძირითადად აქ მოღვაწეობდა იგი, ოდესის უნივერსიტეტის ოქტორიც კი იყო) არ შეუწყვეტია[25].

ვინ მოთვლის, რამდენი საჭირო ტერმინი შესძინა ვასილ პეტრიაშვილმა სამეცნიერო ლიტერატურას თავისი მოღვაწეობის დროს.

მის მიერაა შემოტანილი ქიმიის ტერმინოლოგიაში დღეს საყოველთაოდ სახმარი ტერმინი „ჟანგბადი“[26].

ასევე დიდი ამაგი დასდო ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და მისმა პირველმა რექტორმა პროფ. პეტრე მელიქიშვილმა (1850—1927). ფართო განსწავლულობისა (იგი სწავლობდა ჯერ ოდესაში, შემდეგ საზღვარგარეთ) და დიდი დიაპაზონის მქონე მეცნიერმა ბევრი ტერმინი შექმნა და გამოიყენა თავის შრომებში. მისი ღვაწლი ტერმინოლოგიის საქმეში ჯერ სათანადოდ შესწავლილი არაა.

ამგვარად, ცნობები XIX—XX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა დამსახურების შესახებ ტერმინოლოგიის დარგში არც სისტემატუ-

---

23 გრამატიკული ტერმინოლოგიის შესახებ საყურადღებოა დ. გეწაძის შრომა „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის ისტორიიდან“, თსუ შრომები, ტ. 200, 1976.

24 რ. ნიკოლაძე, ზოგადი ქიმიის ქართული ტერმინოლოგია და ნომენკლატურა. საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნ. ინსტიტუტის შრომები, VI, 1950, გვ. 156.

25 ცნობები მომაწოდა ქიმიკოსმა, პროფესორმა არკ. ჩხენკელმა, რომელიც ამზადებს მონოგრაფიას ვასილ პეტრიაშვილის მოღვაწეობის შესახებ.

26 იხ. რ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155; ასევე: ილ. ალხაზიშვილი; „განათლება“, 1913, № 6, გვ. 470—480. პროფ. რ. ნიკოლაძის ცნობით, 1870-იან წლებში რუსული кислород-ისთვის მჟავბადი იხმარებოდა, 1900-იან წლებში ვ. პეტრიაშვილმა ჟანგბადი დაამკვიდრა.

რია, და მაშასადამე, არც სრული და ამომწურავი, თუმც ზოგადი დასკვნის გასაკეთებლად სრულიად საკმარისი. ამ ცნობათა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ადვილად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ფართო იყო იმდროინდელი ინტელიგენტების ინტერესთა წრე, როგორი განსაკუთრებული მონდომებით ადევნებდნენ თვალყურს ისინი ერის კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებულ მრავალ საჭირბოროტო საკითხს და მათ შორის ენისა და ტერმინოლოგიის საკითხებს. უფრო მეტიც, ისინი არა მხოლოდ მონაწილეობდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეში, არამედ სხვებსაც მოუწოდებდნენ და მათ აქტიურ მონაწილეობას ითხოვდნენ, რადგანაც, მათი თვალსაზრისით, ქართული ენისა და ტერმინოლოგიის საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულება პიროვნების პირადი ღირსების შელახვას უტოლდებოდა და თითოეულის სინდისისა და მოვალეობის საქმედ იყო მიჩნეული.

იმის საილუსტრაციოდ, თუ ქართულისა და მისი მეცნიერული ენის საკითხები რა საზრუნავად ჰქონდათ გადაქცეული არა მხოლოდ იმ საუკუნის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებს, რომელთაც უნდა მინდობოდათ ენისა და ერის ბედი, არამედ ჩვეულებრივ ქართველ მოღვაწეებს, ინტელიგენციის მოწინავე ფენის წარმომადგენლებს, შეგვიძლია დავასახელოთ ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მიერ იმ დროს გამოქვეყნებული ვრცელი წერილები ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის თაობაზე[27]. ეს წერილები იმ მხრივაა საინტერესო, რომ ავტორი პრაქტიკულად სვამს საკითხს ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის თაობაზე, მსჯელობს ამასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებზე და სახავს კონკრეტულ გეგმას სამეცნიერო ტერმინოლოგიის დარგში მუშაობის წარმართვისათვის. განსაკუთრებით ფასეულია ამ წერილებში მითითებული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესაკრებად საჭირო ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალის ვრცელი ნუსხა, რომელსაც წინ უსწრებს იმ დარგების სია, რომელთა ტერმინოლოგიაც უნდა დამუშავდეს.

ქართულ ენაზე მეცნიერული ტერმინოლოგიის საჭიროების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა XX საუკუნის დასაწყისისათვის, ერთის მხრივ, მეცნიერების მრავალი სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, სკოლების გაეროვნულებასთან, ქართული უნივერსიტეტისა და სხვადასხვა ტიპის უმაღლეს თუ სპეციალურ სასწავლებელთა დაარსებასთან დაკავშირებით[28].

---

27 იხ. „მწყემსი“, 1892, № 15—16, იქვე: № 20.

28 ამ პერიოდის ტერმინოლოგიური მუშაობის შესახებ იხ. რ. ღამბაშიძე, Разработка грузинской научной и технической терминологии в связи с развитием высшего технического образования в Грузинской ССР. — Научно-техническая революция и функционирование языков мира. М., 1977, с. 126—131.

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში ძირითადი საგნები ყველა დარგში ქართულ ენაზე იკითხებოდა, ეს კი ითხოვდა ინტენსიურ მუშაობას ეროვნული ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ეს მუშაობა მართლაც დაიწყო. ამ საქმიანობაში ჩაებნენ არა მხოლოდ მეცნიერები, რომელთაც ადრევე ჰქონდათ წამოწყებული ქართულ ტერმინებზე ზრუნვა, არამედ ქართული გიმნაზიის, სხვადასხვა საშუალო სკოლის მასწავლებლები. იყო გარკვეული, არც თუ იშვიათად ნაყოფიერი, ცდები შეექმნათ სახელმძღვანელოები და შესაბამისი ტერმინები ქართულ ენაზე ისტორიაში, პედაგოგიკაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ალგებრაში, არითმეტიკაში, გეომეტრია-პლანიმეტრიაში, ბუნებისმეტყველებაში, კანონთმცოდნეობაში, ფსიქოლოგიაში, სიტყვიერების თეორიაში და სხვ.

მშობლიურ ენაზე სკოლის სახელმძღვანელოთა შედგენაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელთა ღვაწლი[29].

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიურ ფრონტზე გაშლილმა ინტენსიურმა მუშაობამ გარკვეული შედეგები გამოიღო ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების საქმეში, მაინც აშკარად იგრძნობოდა ტერმინოლოგიური ლექსიკის უკმარობა. განსაკუთრებით ჩამორჩენა გვქონდა ტექნიკის დარგში, რომელიც იმ დროისათვის ახლად იდგამდა ფეხს. ტერმინოლოგიური მუშაობა ამ უბანზე საგანგებო ყურადღებას ითხოვდა.

პირველი თაოსნობა ქართულ ენაზე ტერმინოლოგიის შედგენის საქმეში ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას, რომელმაც 1920 წ. გამოსცა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)". ამ წიგნის მეორე შევსებული გამოცემა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი, 296 გვერდი), გამოვიდა 1921 წელს[30].

---

[29] ვუკ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 30. 1917 წლიდან მოყოლებული, სკოლებში გამოიყენებოდა სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი შემდეგი სახელმძღვანელოები: ალგებრა (გედევან წერეთლისა), ძველი აღმოსავლეთი (დიმიტრი უზნაძისა), გეოგრაფია (გერასიმე ცაგარეიშვილისა), ალგებრის ამოცანათა კრებული (კოწია კანდელაკისა), საქართველოს გეოგრაფია (მელქისედეკ ხელიძისა), სიტყვიერების თეორია (მელიტონ კელენჯერიძისა), ალგებრა, გეომეტრია, პლანიმეტრია (იოსებ და სიმონ ოცხელებისა), ფიზიკა (ალექსანდრე ჯანელიძისა), რომის ისტორია (დიმიტრი უზნაძისა), პირველყოფილი კულტურის ისტორია (მისივე), საშუალო საუკუნეების მოკლე ისტორია (ალიოშა წერეთლისა), კანონთმცოდნეობა (ია ეკალაძისა, ანუ იგივე იაკობ ცინცაძისა), არითმეტიკა (სიმონ შარაძენიძისა), ბუნებისმეტყველება (არკადი ჩხენკელისა) და ბევრი სხვ.

[30] ლექსიკონის შემდგენლები იყვნენ: სამხედრო ინჟინერი, არტილერისტი, იმ დროისათვის ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე და სატერმინო სექციის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გედევანიშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ქიმიკო-

ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილმა ამ ტერმინოლოგიამ უთუოდ დიდი როლი ითამაშა: ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას დასაბამი მიეცა. ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ შემოღებული ბევრი ტერმინი დღეს ისე გაჯდა და დაინერგა ჩვენს მეტყველებაში, თითქოს ამ სიტყვების გარეშე არასოდეს ყოფილა ქართული ენა. ასეთებია დღეს ყველასათვის ცნობილი: წნევა, დენი, სადენი, სინჯარა, ხრახნი, ხსნარი, წნეხი, წინაღობა, ნათურა, სანთურა, ძრავა, ბრჯენი, კუთრი, ბუდობი, მინარევი, მდგრადი, მართი კუთხე, მართობი, სამკაპი, საცხი, ჯვარედინი და მრ. სხვ.[13]

ცნობილია ისიც, რომ ამ ლექსიკონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს ბუნებრივიც იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ხანებში არ იყო სათანადო გამოცდილება და შემუშავებული პრინციპები ტექნიკური ტერმინების შერჩევისა და აგებისა. ლექსიკონის შემდგენლებს პირველად უხდებოდათ ამ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა.

ამას თან ერთვოდა სხვა მიზეზიც: ავტორებისათვის მთავარი ლოზუნგი იყო ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა, ყველა ტერმინისათვის ქართული შესატყვისის დაძებნა.

ამიტომაც იყო, რომ საერთაშორისო ტერმინთა ქართული თარგმანები ლექსიკონში ხელოვნურ ხასიათს ატარებდა (бензин ბანჯვინი, кантора ანგარანი, депо საყუდი, комплект სავსი, монополия ხოლოუფლება, термин სახელსახი, инструкция ხელსაძღვანო, класс განწილი, радий სხივარა, радиация სხივარობა, секция განწევრი, спирт ძალარი, цилиндр გოდლი, этажерка თარნარა, телеграф ელწერი, резервуар მარგა, кран ბოჭი, машина ქმოსი, фосфаты ციცინადები, молекула წიარა, морф წანახში და სხვ.)[32]

სი, სატერმინო სექციის თავმჯდომარე და ტექნიკური საზოგადოების მდივანი ვასილ კაკაბაძე, იმ დროისათვის თბილისში გახსნილი რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სატერმინო სექციის მდივანი დავით ბერიკაშვილი, პეტროგრადში კურსდამთავრებულები, ქიმიკოსი, იმჟამად ჯიხაიშის გიმნაზიისა და ოთხწლედის მასწავლებელი რუსუდან ნიკოლაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი, მათემატიკოსი გიორგი ნიკოლაძე, ინჟინერი ივანე ბერიძე და ქიმიკოს-ორგანიკოსი, ლაიფციგიდან ახლად დაბრუნებული მიხეილ შალამბერიძე (იხ. ვ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავების გარშემო. „ტექნიკა და შრომა", 1935 წ.).

31 იხ. რ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981, გვ. 154—166.

32 ტერმინთა შექმნისას ავტორებისათვის ხან ხალხური ეტიმოლოგიზაციის პრინციპი იყო ამოსავალი, ხან ემოციურ-ექსპრესიული, ხან კეთილხმოვანებისა (ანუ ევფონიისა), ხან კი ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით სრულიად გაუ-

ავტორები თვითონაც კარგად გრძნობდნენ, რომ ასეთი, უკიდურესად პურისტული ტენდენცია — აბსოლუტურად ყველაფრის ქართულ ნიადაგზე დამყნობა, რეალურად შეუძლებელი იყო, მაგრამ, როგორც ამას ვუკ. ბერიძე წერდა, „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელური გამარუსებელი პოლიტიკისა“[33], პოლიტიკისა, რომელიც ყოველგვარი ეროვნულისაგან ხელის აღებას ქადაგებდა. ამასვე ადასტურებს გ. ნიკოლაძის დღიურში ჩანაწერი მისივე სიტყვები: „მე გაქართულებას, ცხადია, გაღმა გადავების მიზნით ვქადაგებ, თორემ გიჟი ხომ არა ვარ, რომ მათემატიკას, ქიმიას ან ფიზიკას სახელების შეცვლას ვუპირებდე ან მოველოდე ჩვენი პლანეტის რომელიმე კუთხეშიო“[34].

ამ დროისათვის, ტექნიკური ტერმინოლოგიის გარდა, ქართულ ენაზე შედგენილი რამდენიმე სხვა დარგის ლექსიკონიც გვაქვს: ჯერ ერთი, იმავე რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონს (სიტყვარს) თან ერთვის გიორგი ნიკოლაძის მიერ ადრევე შედგენილი რუსულ-ქართული „საშევარდენო ტანვარჯიშის ტერმინოლოგია“[35]; 1917 წელს გამოიცა იოსებ ავალიშვილის მიერ შედგენილი „მათემატიკური ტერმინები“ (68 გვ.); 1918 წელს—რკინიგზის მოხელეებისათვის სახელმძღვანელოდ შედგენილი „მასალები რკინის გზათა უწყების ტერმინოლოგიისათვის“ (გზათა სამინისტროს გამოცემა, 44 გვ.); 1919 წ. — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიული პათოლოგიის კათედრის მიერ შედგენილი „საზოგადო ქირურგიის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია“ (16 გვ.), იმავე წელს — სახელმწიფო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრის მიერ შედგენილი ტერმინოლოგია „თავისა და სახის კუნთები“ (10 გვ.); 1920 წელსაა გამოცემული „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“ (ტფილისი, იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 140 გვ.), პროფ. ივანე თიკანაძის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული სამეანო და საგინეკოლოგო ტერმინოლოგიის მასალები“ (ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 38 გვ.), „მასალები დიაგნოსტიკის ტერმინოლოგიისათვის“ (პრ. ა. ალადაშვილის წინასიტყვაობით) (15 გვ.), „მოკლე კომერციული სიტყვარი“ (საქართვე-

---

ბებარი გზა იყო არჩეული (არ იყო გამჟვირვალე სიტყვის შედგენილობა, მისი კომპონენტები — ძირი, მაწარმოებელი აფიქსები და სხვ.). ამიტომაც იყო, რომ ეს ფორმები ფეხს ვერ იკიდებდა და ენა ადვილად იცილებდა მათ თავიდან.

33 „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952, გვ. 30.

34 რ. ნიკოლაძე, მოგონებები (ხელნაწერი), რვ. 6, გვ. 133.

35 იგი ჯერ კიდევ 1911—1913 წლებში ჩეხური სატანვარჯიშო ლექსიკონის მიხედვით ყოფილა ავტორის მიერ შედგენილი და შემდეგ, 1918 წელს თბილისის სპორტული საზოგადოების „შევარდენის“ მიერ შესწორებული და შევსებული (იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონის დამატება, გვ. 265—278).

ლოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამოცემა, 30 გვ.), პოლკოვნიკ ლ. ცაგარელის მიერ შედგენილი „სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი“ (90 გვ.) და სხვ.[36]

სისტემატური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში 1921 წლიდან დაიწყო, როდესაც ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში და ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის ხანა დაიწყო. ამ დროიდან ტერმინოლოგიური მუშაობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად იქნა მიჩნეული. 1921 წელს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებაც მიენდო. ამ საბჭოს თავმჯდომარედ პროფ. ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში სრულიად განსაკუთრებულია. მის სახელს უკავშირდება ჩვენში ტერმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარება, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება. ივ. ჯავახიშვილი, ამგვარად, არა მხოლოდ უნივერსიტეტის დამაარსებელია, არამედ ახალი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფუძემდებელიც.

ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხი ივ. ჯავახიშვილის წინაშე ჯერ კიდევ მისი მოღვაწეობის ადრეულ წლებში დაისვა. საქართველოს ცენტრალურ არქივში, ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ არქივსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში[37] უხვადაა შენახული მეცნიერის მრავალმხრივი საქმიანობის ამსახველი მასალა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მის მიერ პირველწყაროებიდან ამოწერილი ტერმინოლოგიური მასალა ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. რა დარგის მასალას არ შევხვდებით აქ. ესაა: მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ისტორიის (ტანისამოსის, მშენებლობის, ავეჯის, იარაღისა და სხვ.) ამსახველი ლექსიკა, იურიდიული ტერმინები ანუ ტერმინები ქართული სამართლის ისტორიისათვის, ეკონომიკური ისტორიისათვის, პალეოგრაფიული ტერმინები, ტერმინები ქართული დიპლომატიკის ისტორიისათვის, ნუმიზმატიკის ხე-

---

36 ამ პერიოდის (როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი) ლექსიკონები, სამწუხაროდ, სრულად აღრიცხული არ არის.

37 ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შედგენილი ა. ბაქრაძისა და ნ. ჯავახიშვილის მიერ, გამოიცა 1976.

ლოვნებისა და ყოფა-ცხოვრების, სააღმშენებლო საქმის (საეკლესიო და საერო), საეკლესიო მოწყობილობა-მორთულობის; სამხედრო საქმის ტერმინები; საგეოგრაფიო ტერმინები და სახელები; ქრონოლოგიისა და წელთაღრიცხვის ტერმინები; ტერმინები, ამოწერილი აბო ტფილელის წამებიდან და გ. მთაწმიდელის თხზულებიდან; საფილოლოგიო ტერმინები; ტერმინები, ამოწერილი სხვადასხვა წყაროდან (კატიღორია, მზა მეტყველება, ეთიკა ბასილ დიდისა, დიალექტიკა და სხვ.); ტერმინები, ამოწერილი ნემესიოს ემესელის თხზულებიდან „ბუნებისათვის კაცისა"; ანატომიური ხასიათის ტერმინები, ამოწერილი „კაცისა შესაქმე"-დან, ბერძნული შესატყვისებით; სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ტერმინები, ამოწერილი ძირითადად ქამთააღმწერლის თხზულებიდან; თვალთან დაკავშირებული ტერმინები, ამოწერილი იოანე [ბატონიშვილის] ბუნებისმეტყველებიდან; მათემატიკური ტერმინები, ამოწერილი წყაროებიდან (არითმეტიკის, შემოკლ. ფიზიკისა და ვახტანგის ქიმიის წიგნიდან და სხვ.); მათემატიკის, ფიზიკის, ვარსკვლავთმრიცხველობის, საენათმეცნიერო ტერმინები; ტერმინები, ამოწერილი გ. ვულფიუსის, დ. უზნაძის, ალ. წერეთლისა და გ. ნათაძის სახელმძღვანელოებიდან[38] და სხვ. გვხვდება უამრავი ცალკეული სხვადასხვა ხასიათის ტერმინიც და ზოგჯერ მათი განმარტებანიც[39].

არქივებში შენახულია სხვა ხასიათის მასალაც, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ტერმინოლოგიური მუშაობის სხვა მხარეებს შეეხება, კერძოდ, მასალა სატერმინოლოგიო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (ქართული ტერმინების დამუშავების გეგმა, მომუშავეთა სიები, სამუშაო გეგმები და ანგარიშები, ხელშეკრულებები, განცხადებები), მასალები საბუნებისმეტყველო — საექიმო ტერმინოლოგიის შედგენის შესახებ, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ და სხვ.[40]

ჯერ კიდევ 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის" № 305-ში გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც ხელს აწერდა იმ დროს უკვე კარგად ცნობილი ცხრა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, იოსებ ყიფშიძე, სერგო გორგაძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა და აკაკი შანიძე), განზრახული იყო ვრცელი სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა, რომელიც ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საუნჯეს, ძველ მწერლობას უნდა დამყარებოდა. ასეთი

---

38 იხ. ივ. ჯავახიშვილის არქივი, დოკუმენტები: №№ 462—473, 479—482, 484, 488—492, 496—498, 504, 513, 518—520, 522, 524, 526—536, 539—543.

39 იქვე: №№ 458—460, 477, 501—502, 507—510, 512, 514—517, 544, 1855.

40 იქვე: №№ 1024, 1027—1032, 1036, 1040—1042, 1047—1054, 1060, 1063, 1067—1068, 1070—1072, 1077—1080, 1614, 1847.

ლექსიკონის შესადგენად თითოეული დარგისათვის გამოყოფილი იყვნენ სათანადო პირები, შედგენილი და დაბეჭდილი იყო „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის მასალების დასამზადებლად“, რომელშიც მუხლობრივად იყო მოცემული პროგრამა და ის პრინციპები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მასალების შემგროვებლებს და შემდეგ ლექსიკონის შემდგენლებს[41]. ამ საქმეს სათავეში ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა.

ივ. ჯავახიშვილს ეს სამუშაო ბევრად ადრე ჰქონდა წამოწყებული. იგი დიდი ხნის წინათ შესდგომია მასალების შეგროვებას და დიდძალი ტერმინებისთვისაც მოუყრია თავი. შემდეგ უკვე, როდესაც მიზანშეწონილად მიუჩნევია ამ საქმეში სხვების ჩაბმაც, სწორედ ზემოთ დასახელებული პირებისათვის მიუმართავს და მათთვის დარგებისდა მიხედვით სხვადასხვა უბანი ჩაუბარებია. სამუშაო ასე განაწილებულა: ქ. კეკელიძეს ღვთისმეტყველების, აგიოგრაფიისა და ლიტურგიკის ტერმინები უნდა დაემუშავებინა, ი. აბულაძეს, როგორც ქართულ-სპარსული პოეზიის მცოდნეს, ამ დარგიდან უნდა მოეწოდებინა მასალა, ს. გორგაძეს ტერმინები ფილოსოფიური მწერლობიდან უნდა შეეგროვებინა, პ. ინგოროყვას ძველი სასულიერო პოეზია უნდა დაემუშავებინა, ვ. ღამბაშიძეს — სამკურნალო და საბუნებისმეტყველო დარგები, იოსებ ყიფშიძეს, აკ. შანიძეს და ვუკ. ბერიძეს — ქართული ენათმეცნიერება და ქართული ზმნა. თვითონ ივ. ჯავახიშვილს — ძველი ქართული (V—XVIII სს.) სამართლის, ეკონომიკური მეცნიერების, ხელოვნების, ისტორიის და სამხედრო ტერმინოლოგია, აგრეთვე ქართულ-ბერძნული მწერლობის ენა. ამ სამუშაოში, გარდა დასახელებული პირებისა, ივ. ჯავახიშვილს სტუდენტებისა და ქალთა სამეცნიერო წრის წევრებიც ჰყოლია ჩაბმული. მათ XVIII ს. ქართული სახელმძღვანელოებიდან მასალის შეგროვება ევალებოდათ[42].

ამ დროიდან ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მუშაობის ახალი ეტაპი დაიწყო და დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული ეს საჭირო და საშური საქმე ადგილიდან დაიძრა.

კარგა ხანს ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა. დაგროვდა მასალის გარკვეული ნაწილიც, რომელიც ივ. ჯავახიშვილთან იყრიდა თავს. თითქოს არსებობდა ყველა პირობა მიზნის მისაღწევად, მაგრამ, როგორც დასახელებული წერილიდან ვიგებთ, ამ ბრწყინვალედ დაწყებულ საქმეს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, ვრცელი ტერმი-

---

41 ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის. — „მნათობი“, № 6, 1979, გვ. 176—181.

42 იქვე, გვ. 177—178.

ნოლოგიური ლექსიკონი არ გამოქვეყნებულა[43], თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ წინასწარ ჩატარებულ საკმაოდ დიდი ხნის მოსამზადებელ სამუშაოებსა და კონკრეტულად დასახულ ამოცანებს ტყუილად არ ჩაუვლია. ქართველ მეცნიერთა საზოგადოებას დარჩა ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული პროგრამა და თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ვრცელი სახელმძღვანელო, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ტერმინოლოგიურ მუშაობას ჩვენში. რაც შეეხება მის მიერ დაგროვილ დიდ ფაქტობრივ მასალას, რომელსაც მან თავისი მოღვაწეობის საუკეთესო წლები მოანდომა, იგი სხვადასხვა დარგის ტერმინების დამუშავების დაუშრეტელ წყაროდ და მისივე ფუნდამენტური შრომების საყრდენად იქცა.

1921 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მრავალი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ჰქონდა მინდობილი, ძირითად თავის ამოცანად ტერმინოლოგიური მუშაობა დაისახა[44]. ივ. ჯავახიშვილს საშუალება მიეცა ტერმინების დამუშავების საკითხი კვლავ დაესვა და სასურველი გზით წარემართა, სხვა მეცნიერულ პრინციპებზე დაემყარებინა. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა-მოღვაწეობა ძირითადად ახლად გახსნილ უნივერსიტეტში იყო კონცენტრირებული. საბჭოს ხელმძღვანელმა სპეციალისტების დიდი ჯგუფი შემოიკრიბა და მათთან ერთად სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური სალექსიკონო მასალის შემუშავებას შეუდგა. ამგვარი კოლექტიური მუშაობის შედეგად 1925 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით კიდეც გამოქვეყნდა „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული მათემატიკის ტერმინოლოგია“, რომლის შედგენაში მონაწილეობდნენ ამ დარგის უშუალო სპეციალისტებიდან: ა. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. ხარაძე, ჰუმანიტარული დარგებიდან, ხელმძღვანელის გარდა, — გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე.

სამეცნიერო საბჭომ დიდი შრომა გასწია — განიხილა, შეასწორა და შეავსო ლ. ცაგარლის მიერ 1920 წ. შედგენილი მცირე რუსულ-ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონიც, რომელიც 1925 წელს ხელმეორედ გამოიცა. ამ სამუშაოს სამეცნიერო საბჭო თითქმის მთელი ერთი წლის განმავლობაში მოუნდა. ამას ითხოვდა ლექსიკონისათვის ძველი ქართული წყაროებიდან საჭირო მასალის ამოკრება და მწერლობაში თუ ზეპირმეტყველებაში გაბნეული სპეციალური ტერმინების ამოწერა და თავმოყრა. დასახელებული ლექსიკონის სა-

---

43 ამავე სტატიაში დაწვრილებითაა მოთხრობილი საკითხის ისტორია და ის მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალა ამ საქმის დაგვირგვინებას (გვ. 179—180).

44 სამეცნიერო საბჭოს მუშაობის შესახებ საინტერესო მასალას შეიცავს ს. ჯორბენაძის მონოგრაფია „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, 1981, გვ. 351—353.

რედაქციო კოლეგიის მუშაობაში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, შემდგენლის გარდა, პროფესორები გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი და ვ. ყიფშიძეც იღებდნენ მონაწილეობას. სარედაქციო კოლეგიაზე განსახილველად გასატან ყველა ტერმინს ივ. ჯავახიშვილი პირადად თვითონ წინასწარ ეცნობოდა და ამოწმებდა[45].

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელიც მაშინ საქართველოს უზენაეს სამეცნიერო დაწესებულებად ითვლებოდა, პარალელურად სხვა დარგების — ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიის, კლიმატოლოგიის, ასტრონომიისა და სხვა ტერმინოლოგიური მასალის შეკრებასა და დამუშავებას ხელმძღვანელობდა.

მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს სამეცნიერო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ის გახლავთ, რომ დასახელებულმა საბჭომ უარყო ის უკიდურესად პურისტული ტენდენციები, რომელიც 1920—1921 წლებში გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენლებს ჰქონდათ და სრულიად სხვა პრინციპები დაუდო საფუძვლად თავის მუშაობას. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა დამოკიდებულება უცხო ენებიდან მომდინარე სიტყვების მიმართ.

1925 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს რეორგანიზაცია მოხდა. ამ დროიდან ივ. ჯავახიშვილს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობა დაეკისრა[46], თუმცა ტერმინოლოგიური მუშაობისათვის თავი მას არც შემდეგ მიუნებებია. ამისი დასტურია მისი ფუძემდებელი გამოკვლევები, რომლებშიც არა მხოლოდ თავმოყრილია და გამოყენებული მისი მოღვაწეობის დროს შეკრებილი მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა, არამედ გაანალიზებულია და შეფასებული მრავალი ცალკეული ტერმინის ისტორია და მნიშვნელობა[47].

მდიდარი ტერმინოლოგიური მასალის შემცველია მისი მონოგრაფიები: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (1907), „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ (1925). აქ ქართული საფას-საზომთამცოდნეობის ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის მრავალი ტერმინის მნიშვნელობაა შესწავლილი და გაანალიზებული. ასევე „ქართული სამართლის ისტორია“ 1928—1929, რომელიც შემდგომ-

---

45 იხ. დასახელებული ლექსიკონის წინასიტყვაობა.

46 ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 353; აბ. კიკვიძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. — ივანე ჯავახიშვილი (მიძღვნილი დაბადების 100 წლისთავისადმი), 1977, გვ. 5—19.

47 იხ. Ломтатидзе К. В. И. А. Джавахишвили и вопросы истории лексики грузинского языка.—Доклады объединенной научной сессии АН Груз. ССР и ТГУ, посвященной 100-летию со дня рождения акад. И. А. Джавахишвили, Тб., 1976.

ში იურიდიკული ტერმინოლოგიის საფუძვლად იქცა, „საქაროველოს ეკონომიური ისტორია“ (ტ. I, 1930, ტ. II, 1935), „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938), „ხელოვნების ტერმინები და ძირითადი ცნობები ხელოვნების ძეგლებისა და მატერიალური კულტურის შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში. — მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ (I, თბ., 1946)[48] და ფაქტობრივად ყველა მისი ნაშრომი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ძველ ქართულ მწერლობაში გამოყენებული ტერმინების ანალიზს ემყარება.

სამწუხაროდ, დღემდე ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა სრულად შესწავლილი და დამუშავებული არაა. მისი ამომწურავი შესწავლა რამდენიმე თაობის მეცნიერთა კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

1925 წლიდან სამეცნიერო საბჭო განათლების სახალხო კომისარიატის საბჭოსთან არსებულ „ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად“ გადაკეთდა, 1936 წლიდან ტერმინოლოგიური მუშაობა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს დაუკავშირდა. აქ შეიქმნა სპეციალური განყოფილება სამეცნიერო ტერმინოლოგიისა, რომელიც 1941 წლიდან, ჩვენში მეცნიერებათა აკადემიის შექმნის დღიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდა. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი ამ განყოფილებას სათავეში პროფ. ვუკ. ბერიძე ედგა და დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა[49].

ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტის მუშაობაში იმთავითვე ჩაება ქართველ მეცნიერთა დიდი კოლექტივი, როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (ალექსანდრე ჯანელიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ანდრია ბენაშვილი, არჩილ ხარაძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი გედევანიშვილი, ვასილ ყიფშიძე, ვიქტორ კუპრაძე და სხვ.), ასევე ქართული ენათმეცნიერული

---

[48] ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიათა საინტერესო მიმოხილვაა მოცემული დ. ჩხუბიანიშვილის სტატიაში „ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიიდან“. — იკე, XXII, თბ., 1980; მისივე: Джавахишвили И. А.—Исследователь грузинской научной терминологии (Тезисы докладов конференции по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья. Ереван, 13—14 сент., 1977); იხ. აგრეთვე: ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 379-381, 431-432, 441.

[49] განყოფილების მუშაობისა და ამოცანების შესახებ იხ. რ. ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, 1972, გვ. 14—27.

სკოლისა და ჰუმანიტარული დარგების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები (გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვ.). ისინი ახდენდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების ერთობლივად განხილვა-დაზუსტებას, დადგენასა და უნიფიკაციას, ერთი სიტყვით, ასრულებდნენ იმ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის ძნელია შეფასდეს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მეცნიერთა იმ თაობის მუშაობამ განსაზღვრა ის გზები, საითკენაც უნდა წარმართულიყო შემდგომი ტერმინოლოგიური მუშაობა და განაპირობა ის მიღწევები, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს.

ცენტრალური სამეცნიერო კომიტეტის ჩამოყალიბებიდან დღემდე ჩვენში გამოქვეყნებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგის 57 ტერმინოლოგიური ლექსიკონი[50].

გარდა ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა, ქართულ ენაზე გამოცემულია განმარტებითი დარგობრივი ლექსიკონებიც[51].

---

50 ამ ლექსიკონთა სრული ბიბლიოგრაფია ნაშრომს თან ერთვის (იხ. გვ. 179).

51 საქონელთმცოდნეობისა, ხუროთმოძღვრებისა, პოლიგრაფიული საქმისა, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა, სამედიცინო, მუსიკალური, ოფთალმოლოგიისა, პატენტთმცოდნეობისა, ლიტერატურათმცოდნეობისა, კლინიკური ნევროლოგიისა, ვირუსოლოგიისა, დერმატოლოგიისა, ბეჭდვის ხელოვნებისა, სამხედრო და სხვ.

თავი მესამე

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკური გაზა და ძირითადი წყაროები

ტერმინოლოგიური ლექსიკის შექმნის ძირითად წყაროს, უპირველეს ყოვლისა, თვით ქართული ენის ლექსიკური მასალა წარმოადგენს. თანამედროვე ტერმინოლოგია მზამზარეულად იღებს და იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ სიტყვებს და მათ სპეციალური დარგის კუთვნილებად აქცევს. ამ ტიპისაა: საძირკველი, წირთხლი, დუღაბი, რკინა, ფოლადი, სარქველი, კაჟი, მინანქარი, ალმადანი, ქუშტარა, კირი, თიხა, ქანჩი და მრ. სხვ.

ტერმინოლოგიური ლექსიკა თავისი შემადგენლობის მიხედვით ერთფეროვანი არ არის. საკუთრივ ტერმინების გარდა, მასში უხვადაა არატერმინოლოგიური მასალა, სალიტერატურო ენის ლექსიკა. საერთო ენის ლექსიკური სისტემიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინთა მიგრაციის შემთხვევები ყველა ენის მასალაზე უხვად მოიპოვება. ჩვეულებრივია იგი ქართულშიც, სადაც ტერმინებად შეიძლება შეგვხვდეს: სამოსი, ლოყა, სახელო, ყბა, თავი, ყური, მკლავები, ფეხი, ყელი, ჩანგალი, ბრჭყალები, თასი, დაღლილობა, მეხსიერება, ხანგრძლივობა, ხანგამძლეობა, მაგარი, სალი, სიჩქარე, ძალა, კუდი, სავარცხელი, მარწუხი, თითები და სხვ.[1]

საერთო ენის წიაღიდან აღებულ ამ სიტყვებს ტერმინების როლში ხმარების სხვა სფერო აქვთ და ფუნქციაც განსხვავებული ენიჭებათ. განსხვავებული არიან ისინი სემანტიკური მოცულობის თვალსაზრისითაც. სალიტერატურო ენის ლექსიკაში ამ სიტყვებს ერთი მნიშვნელობა აქვთ და ერთ რომელიმე კონკრეტულ რეალიაზე მიუთითებენ (მაგ. სამოსი — ტანსაცმელი, ტანისამოსი; ლოყა — ადამიანის სახის ნაწილი ყვრიმალის ძვლიდან ქვედა ყბამდე; სახელო— ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ხელს, მკლავს ფარავს მთლიანად; მუხ-

---

[1] ჩვეულებრივი ლექსიკის ტერმინებად გამოყენების შემთხვევები ვრცლადაა განხილული ვ. ლიხოდნევსკის სტატიაში (იხ. Лиходневский В. О. Бытовые слова в роли технических терминов.—РЯШ, 1962, № 3, с. 70-72).

ლუხი — მწერის მოზრდილი მატლი; დაღლილობა — ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველია; ენა — ანატომიური ორგანო, პირის ღრუში მოთავსებული), ხოლო ტერმინოლოგიურ სისტემაში ისინი სხვა დენოტატს უკავშირდებიან და სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენენ (მაგ., შდრ. ტექნიკაში: სამოსი — ჩარჩო ან ბუდე რისამე ჩასადებად; ლოყა — გვერდითი, ბრტყელი ზედაპირი რაიმე მოწყობილობისა, მექანიზმისა და ა. შ., სახელო — მილგაყვანილობის ერთ-ერთი განშტოება; მუხლუხი — სახსრულად შეერთებული წევრებისაგან შემდგარი ლენტი ან ჯაჭვი, რომელიც ზოგი მძიმე მანქანის (ტრაქტორის, ტანკის...) თვლებზეა გადაცმული; დაღლილობა — ლითონის თვისება, როცა მას სიმტკიცე უქვეითდება მრავალგზის განმეორებულ დატვირთვათა ზემოქმედების შედეგად; ენა — საბერვლის ნაწილი ჰაერის შესასრუტად და გამოსაშვებად და ა. შ.)[2].

ამისდა მიხედვით, ბუნებრივია, განსხვავებულია თითოეული ამ სიტყვის დეფინიციაც.

ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობისა და დეფინიციის მოხდენილი მაგალითი აქვს დასახელებული ვ. დანილენკოს თავის' მონოგრაფიაში (შდრ. полночь: ა) სალიტერატურო ენაში ეს ნიშნავს „შუა დრო დაღამებიდან გათენებამდე, შეესაბამება ღამის 12 საათს“. ბ) იგივე სიტყვა გეოგრაფიის ტერმინოლოგიაში — „დროის ის მომენტი, როდესაც ნამდვილი მზე ან საშუალო მზე გადაკვეთს მერიდიანს ჰორიზონტის ქვეშ, ე. ი. როცა იგი იმყოფება უდაბლეს კულმინაციაში)“[3].

საერთო-ენობრივი სემანტიკა ლექსიკის გამდიდრების დაუშრეტელი და მუდმივი წყაროა[4]. ყველა ენის ტერმინოლოგიურ სისტემაში ჩვეულებრივი სიტყვა ტერმინის როლში, გარდა იმისა, რომ იცვლის ხმარების სფეროსა და ფუნქციას, სხვაგვარი სინტაგმატიკითაც ხასიათდება. იგი სინტაქსურად სრულიად სხვა, საერთო ენისაგან განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს უკავშირდება (შდრ., ერთი მხრით, სარტყელი სალიტერატურო ენაში: კაბის სარტყელი, ვერცხლის სარტყელი და, მეორე მხრით, გეოფიზიკაში: ზომიერი განედის სარტყელი, დედამიწის სითბური სარტყელი, სეისმური სარტყელი, სუბტროპიკული სარტყელი, კლიმატური სარტყელი, ანდა სატყეოში:

---

[2] მაგალითების განმარტება აღებულია რვატომიანი ქართული განმარტებითი ლექსიკონიდან და რუსულ ენაზე გამოცემული პოლიტექნიკური განმარტებითი ლექსიკონიდან, 1980.

[3] Даниленко В. П. Русская терминология. М., 1977, с. 24.

[4] ტერმინისა და საერთო ენის დაპირისპირებაა მოცემული შრომაში: Шуригин Ю. М. Термины и общелитературные слова. — Вопросы теории и методики изучения русского языка. Казань, 1970, с. 242—248.

სატარიფო სარტყელი, სელურას სარტყელი, გვერგვების სარტყელი და ა. შ.).

საერთო ენის სიტყვათა ტერმინოლოგიზაცია, ჩვეულებრივ, სიტყვის მნიშვნელობას ცვლის, ანუ სემანტიკური განვითარების გზით ხორციელდება.

ტერმინოლოგიას ახასიათებს მნიშვნელობის განვითარების ყველა სახე: სიტყვის მეტაფორული და მეტონიმიური ხმარება, ანუ მომიჯნავეობის მიხედვით მნიშვნელობის ცვლა, გაფართოება და შევიწროება მნიშვნელობისა, მნიშვნელობათა დიფერენციაცია და სხვ. ხდება ისეც, რომ ზოგჯერ სიტყვას ტერმინად ქცევისას სპეციალიზებული მნიშვნელობა ენიჭება და სრულიად ახლებურად გაიაზრება.

მეტაფორული ხმარების მაგალითია სიტყვა **ჯიბე** (=ზედა ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი ფულის, ცხვირსახოცის და მისთ. ჩასადებად), გამოყენებული ანატომიაში (სადაც იგი ასეა განმარტებული: ღრუ უპე, რომელშიც თავსდება ზოგიერთი ორგანო: ელენთის ჯიბე, ბადექონის ჯიბე), ან ბოტანიკაში (=ზოგიერთი სოკოს უჯრედი, რომელშიც სპორები ვითარდება). ანდა სიტყვა **ფითხის** (=„რკინის ნიჩაბი ნაკვერცხლის ასაღები“ საბა) დღევანდელი მნიშვნელობა მედიცინაში (=ენის დასაწევი იარაღი პირის ღრუსა და ხახის გასინჯვისას ქგლ): **კოტა** — „ულღის რიკი, გინა ჯრმლის ხეტარი“ (საბა). (შდრ. =იატაკისა და კედლის ფიცრებში ჩაყენებული რიკი ფიცრების ერთმანეთთან მჭიდროდ დასაკავშირებლად ქგლ); **წინწანაქარი** — „პირველ გამონადენი ტყბილი“ (საბა) (შდრ. = გამოხდისას პირველად გადმოსული არაყი, — თავი არაყი ქგლ): **წკირი** — „წვრილი ჩხირი“ (საბა) (შდრ. = სპეც. დეტალების ერთმანეთზე გადასაბმელი ცილინდრული ჩხირი, — შტიფტი ქგლ) და მრ. სხვ.

მნიშვნელობის გაფართოების მაგალითად გამოდგება სიტყვა **ხომალდი**, გამოყენებული, ერთი მხრივ, საზღვაო ტერმინოლოგიაში, ხოლო მეორე მხრივ, კოსმოსურ ტექნიკაში, და უამრავი სხვ.[5]

---

[5] სიტყვის მეტაფორული ხმარების შესახებ საინტერესო დაკვირვებაა მოცემული ვ. დანილენკოს სტატიაში (იხ. Даниленко В. П. О месте терминологии в системе общелитературного языка. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 188). ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური წესი ტერმინთა შექმნისა ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, მას ზოგი ნაკლიც აქვს: ნაგ., ცნობილია, რომ ამ წესით შედგენილი სიტყვები იმის გამო, რომ ისინი არ შეიცავენ ცნების დამახასიათებელ ნიშნებს, ვერ უზრუნველყოფენ ტერმინთა სისტემურობას, რომელიც საფუძვლად ედება ცნებათა ლოგიკურ კლასიფიკაციას.

მეტონიმიის ფაქტია, როდესაც სიტყვა **წრე** (სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით) გამოიყენება **წრეხაზის** მნიშვნელობით.

მეტონიმიური გააზრების სისტემატურ ფაქტებთან გვაქვს საქმე, როდესაც ერთი და იმავე სახელით აღინიშნება ორი სხვადასხვა დენოტატი, ვთქვათ, ხეხილი და მისი ნაყოფი, მცენარე და მისი ყვავილი და ა. შ. (მაგ. კაკალი — კაკლის ხე და ამ ხის ნაყოფი; ბალი — ხეხილი, ბლის ხე და ამავე ხეხილის ნაყოფი; იასამანი — დეკორაციული ბუჩქი, რომელსაც იისფერი პატარა სურნელოვანი ყვავილები აქვს, და ამ ბუჩქის ყვავილი; წიწიბურა — ერთწლიანი მარცვლოვანი მცენარე და ამ მცენარის მარცვალი) და ა. შ.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის ისტორიულ განვითარებაში, როდესაც სიტყვას ოდესღაც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და შემდეგ, დროთა ვითარებაში ახალი მნიშვნელობა შეიძინა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ზოგჯერ თვით დენოტატის ცვლასთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული (იცვლება საგანი, მაშ იცვლება მისი დასახელებაც).

მნიშვნელობის გაფართოების მაგალითებია: **მუხრუჭი** „ცხენთ ცხჯრთ მოსაგრეხი“ (საბა) (შდრ. ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა: მოწყობილობა მანქანების მოძრაობის შესანელებლად ან გასაჩერებლად); **ჩოხა** — მონაზვნების ზედა ჩასაცმელი, ანაფორა“ (Иерусалимский канонарь, გვ. 340) (შდრ. დღევანდელი: ზედა სამოსელი (ჩვეულებრივ, მამაკაცისა) — წელში გამოყვანილი, ღრმად გულამოჭრილი, გახსნილსახელოებიანი და განიერკალთებიანი ქგლ): **გლემურძი** — „ღორის ხორცსა და ტყავს შუა მომსუქნო ადგილი“ (ჩუბ.) (შდრ. გლემურძი, გამოყენებული რუსული мездра-სათვის (=ტყავქვეშა უჯრედის ფენა ცხოველებში). მნიშვნელობის ცვლის საუკეთესო ნიმუშებია ძველსა და ახალ ქართულში გამოყენებული ტერმინები: ლიანდაგი, დგუში, არდადეგი, გვარლი, ლოგინი, აფრა, აბაზანა, ეშვი, ზეწარი, ლითონი, წამწე და ბევრი სხვ.

მნიშვნელობის დავიწროებაა სიტყვაში **მნე**, რომელიც, საზოგადოდ, მოხელეს აღნიშნავდა ძველად, ახლა კი სამეურნეო ნაწილის გამგეა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში: **მაზარა** — „ზედ წამოსასხმელი“ (საბა) (შდრ. = სამხედრო ფორმის პალტო — ფარაჯა ქგლ): **ლიბსი** — ჩარჩოში ჩასმული თხელი ფიცარი (შდრ. ტექ. ტერმ. = თხელი ფიცრის ან ფანერის ნაჭერი, ფარი, რომლითაც ამოვსებულია კარის, კარადის და მისთ. კარკასის ღია ნაწილი) და სხვ. მნიშვნელობის დავიწროების სისტემატურ ფაქტებთან გვაქვს საქმე, ფაქტობრივად, პრაგმონიმების, ანუ სავაჭრო ნიშნების ხმარებისას, როდესაც რაიმე კონკრეტული რეალიის მიხედვით აქვს ამა თუ იმ

საგანს (სიგარეტებს, ღვინოებს, მაცივრებს და ა. შ.) შერქმეული სახელი.

ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ანალოგიური მაგალითები ასობით შეიძლება იქნეს დაძებნილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში სემანტიკური დერივაციის მრავალი სხვადასხვა შემთხვევაა აღწერილი. მოცემულია გარკვეული მოდელები და მათი ნაირსახეობანი[6].

სიტყვათა ტერმინოლოგიზაციასთან ერთად ყურადღებას იქცევს დეტერმინოლოგიზაციის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ტერმინი კარგავს ტერმინისათვის და ტერმინოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელ თვისებებს და ქართული საერთო ენის სამყაროში იკაფავს გზას[7].

დღეს ლექსიკის განვითარების ეს მძლავრი ტენდენციები, ტერმინოლოგიზაციისა და დეტერმინოლოგიზაციის ფაქტები, ენათა განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებენ და დღის წესრიგში აყენებენ ტერმინოლოგიის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შემდგომი კვლევის ამოცანას.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფა, მისი ლექსიკური გამდიდრება ხდება არა მარტო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბაზაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძველი ქართული ლექსიკა და ქართული ენის მრავალრიცხოვანი დიალექტებიც.

ძველი ქართულიდანაა დღეს ტერმინოლოგიურ ლექსიკაში დამკვიდრებული სიტყვები: კაპარჭი, ბოვი, კარაკინი, ფურჩი, გნდე, წკირი, მანჭვალი, კაჟი, დირე, კინტი, კრიჭა, კაჭარი, ძოწი, აზარმაცი, არინება, როკვა, ფოლხვა, მთხრებლი, მრჩობლი, წამწე, გაჯირჯვება,

---

[6] Лексика современного русского языка. Социолингвистическое исследование под ред. Панова М. В. М., 1968; Купина Н. А. К проблеме выделения семантической модели — Научные труды, т. 205. Закономерности словопроизводственного процесса в ономасиологическом аспекте. Курск, 1980, с. 3—7; იქვე: Фетисова С. И. Трансформация как способ словопроизводства, с. 69—71; Лопатин В. В. Субстантивация как способ словообразования в современном русском языке. — Русский язык. Грамматические исследования. М., 1967 და სხვ.

[7] ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალაა გაანალიზებული შრომებში: Блинкена А. Я. Соотношение научных терминов и общеупотребительной лексики. — Вопросы разработки научно-технической терминологии. Рига, 1973; ლ. გელენიძე, ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით.—ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, V, 1981, გვ. 87—92; Петушкоь В. Г. Взаимодействие терминов и лексики общелитературного языка.—Актуальные проблемы лексикологии. Новосибирск, 1971, с. 39—41.

გლემურძი, გლინვა, გისოსი (=გისსოი)[8], წინწანაქარი, ღიღველი, ცახი, ლიპი, ძალაყინი, შოლტი, ჰრეთი, ჰყანტი, ხაშური, თუთქი, ხოფი, ხიფი და სხვ. მრ.

დიალექტებიდანაა სალიტერატურო ქართულში მოსული სიტყვები: ლილვი, დოინჯი, ბაზო, ნაჩხატი, ბურული, ხირხატი, მოკეკვა, ლეჟერი, ტაბუცი, თოში, ფუჟვა, მაწევანა, ღარკავი, ოლე, კვეჟო, რაყა, ჯიფთი, ჯორგი, ბუჯერი, გვერგვი და მრ. სხვ.

დიალექტური წარმომავლობისააა ოდესღაც ლოკალური მნიშვნელობის მქონე და დღეს საყოველთაოდ სახმარ ტერმინებად ქცეული ასობით და ათასობით დასახელებები სოფლის მეურნეობის დარგებიდან — ბოტანიკიდან, ზოოლოგიიდან, ორნითოლოგიიდან, იქთიოლოგიიდან და სხვ.

დიალექტური ლექსიკის ასეთი სიუხვე ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ რეალიათა მთელი ჯგუფი დაკავშირებულია იმ საქმიანობასთან, რომელიც სოფლად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში სრულდება[9].

გარდა ქართულისა, ახალი ტერმინების შემუშავების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა. ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან პროცენტს სწორედ ეს ნასესხები სიტყვები ქმნიან.

ქართულში უცხო ენებიდან სიტყვებისა და ტერმინების სესხების პრობლემა დღეისათვის დაუმუშავებელია[10]. იგი საკითხების ფართო

---

[8] იხ. გისსოი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (გამოცემული პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, 1928).

[9] დიალექტური მასალების ტერმინოლოგიური მიზნისათვის გამოყენებას დიდად უწყობს ხელს: ა) მრავალრიცხოვანი დიალექტური და დარგობრივი ლექსიკონები, რომლებიც შედგენილია ქართველი მკვლევრების მიერ სხვადასხვა დროს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ბ) შინამრეწველობის მასალები, რომლებიც შეკრებილი იყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში აკად. ივ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით (ამჟამად ეს მასალა იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ. ღვინისათვის გამოქვეყნებულია 3 ტომი: I. მშენებლობა და ხელობა, 1976. 55 თაბახი, II. მეთუნეობა, ტ. 1, 1979, 30 თაბახი, III. ქსოვა, ღებვა; გ) ალ. მაყაშვილის მიერ შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი (1961 წ. გამოცემული). სადაც მოცემულია არა მხოლოდ ახალი სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის დიალექტებისა და საზოგადოდ ქართველური ენების მასალა, არამედ რუსული და ლათინური ეკვივალენტები; დ) ეთნოგრაფების შრომები და სხვ.

[10] რუსულსა და უცხოურ ლიტერატურაში სესხების პრობლემებს ეძღვნება მრავალი საინტერესო შრომა (იხ. ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც დართული აქვს წიგნებს: Лотте Д. С. Вопросы заимствования и упорядочения иноязычных терминоэлементов. М., 1982 და Leroy L. L'emprunt linguistique. Paris, 1956). მიუხედავად ამისა, საკითხის ბევრი მხარე ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

წრეს მოიცავს. უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული სესხების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზები; სესხების წყაროები: ერთი მხრით, კლასიკური ენები და მეორე მხრით, ახალი ევროპული ენები; სესხების პროცესები ქართული ენის განვითარების სხვადასხვა დროს (სინქრონიული ჭრილების მიხედვით); ნასესხები სიტყვების შეთვისების გზები (მწიგნობრული თუ ზეპირი, უშუალო თუ სხვა ენის მეშვეობით); რუსული ენის როლი როგორც ძირითადი შუამავლისა თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკის ინტერნაციონალური ტერმინებით გამდიდრების საქმეში; უცხო სიტყვათა მსესხებელ ენაში ფუნქციონირების საკითხი, მათი სემანტიკურ-სინტაქსური ურთიერთობის სახეები და ბევრი სხვ.

ცნობილია, რომ უცხო სიტყვათა შემოჭრას ენაში ძირითადად ხალხთა შორის ხანგრძლივი ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურული ან რელიგიური ურთიერთობა განაპირობებს. ისტორიულ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყოველ ენაში შემოდის და მკვიდრდება სტიქიური ნაკადი უცხო სიტყვებისა. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ენა შეურეველი და თავისუფალი სხვა ენის ზეგავლენისაგან.

ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე სესხების საკითხები შესწავლილი აქვს ბ. ფოჩხუას. მას დეტალურად აქვს აღწერილი კონკრეტული ენების — ოსურის, სომხურის, აზერბაიჯანულის, ირანულის, თურქულის, არაბულის ქართულთან ლექსიკური შეხვედრები, მწიგნობრული თუ ზეპირი გზით, უშუალო კონტაქტების შედეგად თუ რომელიმე ენის მეშვეობით განხორციელებული[11]. საგანგებოდაა ხაზგასმული ის გავლენა, რომელიც ქართულ ენაზე იქონია არაბულმა ენამ ჯერ არაბების ბატონობის ხანაში (VII ს. შუა წლებიდან XI ს. დასაწყისამდე), როდესაც ქართველებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ არაბებთან, და შემდეგაც, სხვა ენების მეშვეობით, არაბთა პოლიტიკური ძლიერების გაჭრობის ხანაში, როდესაც არაბული კიდევ დიდხანს იყო ახლო აღმოსავლეთის რელიგიისა და მეცნიერების ენად მიღებული.

ამ ენობრივ ურთიერთობათა წარმოსაჩენად მონოგრაფიაში დიდძალი საილუსტრაციო მასალაა დასახელებული. ავტორის მიერ ქართულ ენაში მრავალი საუკუნის წინ დამკვიდრებული იმგვარი სიტყვებია მოხმობილი, რომელთა წარმომავლობის დადგენა დღეს, შესაძლებელია, თვით ენათმეცნიერისთვისაც კი არ იყოს ყოველთვის ხელმისაწვდომი.

ასე მაგ., ჩვეულებრივი მკითხველისათვის არაა უთუოდ ცნობილი, რომ ოსურიდან შეთვისებულად მიიჩნევენ სიტყვებს: ამინდი, ბევრი, ბუნიობა, ვირთხა, ლუდი, მონა, ობი, ობობა, ორმო, სულგუნი, ფასი,

11 ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, § 253—260.

ჭუდი, ხავსი და სხვ., რომ სპარსულიდანაა ქართველი მწიგნობრების მიერ შემოტანილი: აივანი, ბაღი, ბაღჩა, ვარჯიში, ზანგი, ზეიმი, ზიანი, თასი, თუმანი, თუნგი, იასამანი, კაბა, კაკაბი, ლაჟვარდი, ლაღი, ლაშქარი, ლილა, მუქარა, მუშტი, ნაზი, ნამუსი, ნიავნგი, ნიშანი, ნოხი, ნუსხა, ოსტატი, პასუხი, პერანგი, ტაშტი, ტახტი და ბევრი სხვ.

ლექსიკური თურქიზმებია: ბათქაში, ბაიყუში. ბასმა, ბოლმა, ყოჩი, თეფში, ფარა, იარაღი, იორღა, ოთახი, ყაბალახი, ყადაღა, ყავარი, ყაჩაღი, ჩოხა და სხვ.

უშუალოდ არაბულიდან არის ნასესხები: ბასრი, ბედაური, დახლი, აბი, ავეჯი, ამანათი, არაყი, დავა, დაირა, დოვლათი, ვექილი, ექიმი, ეშხი, ზამთარი, ზარალი, ზეთი, თამაში, თათბირი, მანძილი, მიჯნური, ნაბადი, ოქმი, რეჰანი, რუკა, საათი, უნაბი, ქილა, ღალატი, ყადრი, შარვალი, ციფრი, ხურჯინი, ჯავრი, ჯამი, ჯარიმა, ჯანდაბა, ჯიში და ა. შ.[12]

ცალკეა გამოყოფილი ბერძნული ენა და მისი როლი ქართული ლექსიკის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში.

ბევრი ბერძნული სიტყვა ქართულში უშუალო ურთიერთობის დროს ადრიდანვეა შემოსული, როდესაც ქართველებს სხვა ევროპულ ხალხთან არ ჰქონდათ უშუალო კონტაქტი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული სიტყვები: ანგელოსი, დიაკონი, ეკლესია, ეპისკოპოსი, კათალიკოსი, მიტროპოლიტი, მონასტერი, პარაკლისი და სხვა ხასიათის სიტყვებიც: დისკო, ზაფრანა, ზეფირი, თეატრი, ისტორია, კალამი, კანონი, კიტრი, კლიტე, ლექსი, ლიტრა, მარგალიტი, მილიონი, მელანი, პალატა, საბანი, საპონი, სინდისი, სტაფილო, ფილოსოფია, ფასი, ქაფური, ჰაერი და სხვ. მრ. კვირეულის დღეთა სახელებიდან — კვირა და პარასკევი.

ქართულის ინტენსიური ურთიერთობა ბერძნულთან საუკუნეების შანძილზე გრძელდებოდა. გრძელდებოდა იგი საშუალო სპარსულთან, არაბულთან და ახალ სპარსულთან ურთიერთობის პარალელურადაც (მანამ, სანამ ბიზანტიური სამყარო თურქების მიერ არ იქნა განადგურებული).

ბერძნულ ენასთან კონტაქტმა ქართულის ლექსიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ბერძნულთანაა დაკავშირებული ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება ჰუმანიტარულ დარგებში, როდესაც გაცხოველებული მთარგმნელობითი მუშაობის შედეგად საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური აღორძინების ოქ-

---

12 საილუსტრაციო მასალა მთლიანად ბ. ფოჩხუას ზემოთ დასახელებული მონოგრაფიიდანაა ამოკრებილი. აქ არაფერს ვამბობთ იმ პირუკუ გავლენებზე, რომელიც თითოეულ ამ ენაზე ქართულს მოუხდენია. დასახელებულ მონოგრაფიის იმავე პარაგრაფებში საამისო მასალაც უხვადაა მოყვანილი.

როს ხანაში ინტენსიურად იქმნებოდა ახალი ტერმინები, ახალი ცნების გამომხატველი ქართული შესატყვისები.

სესხება ხდებოდა ლათინურიდანაც, რომელიც ევროპაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო მეცნიერების საერთაშორისო ენა.

ამ ენებთან ინტენსიური კონტაქტის შედეგად ქართულ ენაში დიდი ხნის წინათ შემოვიდა და დამკვიდრდა ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც მოგვიანებით, დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებისა და საყოველთაოდ გავრცელების შემდეგ, ინტერნაციონალიზმებად იქცა[13].

XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველო გამოეთიშა აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ-თურქულ) ენობრივ სამყაროს და ქართული ენის სხვა ენებთან კონტაქტები ახალი გზით წარიმართა, განსაკუთრებით გზა გაეხსნა რუსულ სიტყვებს და კიდევ უფრო მეტად, რუსულის გზით ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე ინტერნაციონალიზმებს[14]. რუსული გზითაა დღეს ქართულში გავრცელებული საერთაშორისო ტერმინთა უმრავლესობა.

როგორც ითქვა, ნასესხებ სიტყვათა წარმომავლობის დადგენა ყოველთვის ადვილი არ არის. ხშირად არაა ცნობილი, რომელი ენიდანაა და რა გზითაა ესა თუ ის სიტყვა მოსული. ამიტომაა, რომ მთელ რიგ ნასესხებ სიტყვათა სადაურობის დასადგენად სპეციალური ლინგვისტური ანალიზი, საგანგებო ეტიმოლოგიური ძიებაა ჩასატარებელი.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ნასესხებ სიტყვათა ის ჯგუფები, რომლებიც ზეპირი ურთიერთობის გზით არიან მოსული და რომელთაც ფონეტიკური პროცესების წყალობით გარეგნობა აქვთ შეცვლილი (ეს მით უფრო საგრძნობია, როდესაც საკითხი სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებს შეეხება).

დროთა ვითარებაში ეს ფონეტიკური სახეცვლილება ისე შორსაა წასული, რომ ხშირად ძნელდება პირველადი უცხოური სიტყვისა და სახეცვლილი ფორმის ერთმანეთთან დაკავშირება. შ. ძიძიგური ამის ნიმუშად სიტყვა **პწკალას** (კიბე) ასახელებს, რომელიც ქართულის დიალექტებში (გურულსა და აჭარულში) იხმარება და რომელიც ლათინური **სკალა** სიტყვის სახეცვლილ ფორმას უნდა წარმოადგენდეს[15].

---

13 ბერძნულ-ლათინური ნასესხობები განსაკუთრებით იკიდებდა ფეხს (X—XI—XII საუკუნეებში), როდესაც ჩვენში ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა მიმდინარეობდა (იხ. ნაშრომის II თავი, გვ. 114—116).

14 ბ. ფოჩხუა, იქვე: § 263, გვ. 363.

15 შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 53. დღეს ეს სიტყვა ტერმინოლოგიურ ლექსიკაშიცაა გამოყენებული **стремянка**-ს (ფიცრებზე გარდიგარდმო დაკრული ძელებისაგან გაკეთებული სახელდახელო კიბე სამშენებლო უბნებზე, შახტებში და სხვ.) შესატყვისად.

როგორც იყო აღნიშნული, სესხებას მრავალგვარი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, ძირითადად კი — კულტურულ-ისტორიული კონტაქტები, როდესაც სტიქიურად ხორციელდება ერთი ენის მეორე ენაზე ინტენსიური ზემოქმედების პროცესები. ზოგჯერ სესხების ფაქტი შესაძლებელია სოციალურ სინამდვილეში მომხდარ სხვადასხვა ცვლილებასთან იყოს დაკავშირებული. ხშირად სესხება საკუთარი ენის ლექსიკის უკმარობითაა გამოწვეული. ზოგჯერ ეს შეიძლება სტილის საკითხებთანაც იყოს დაკავშირებული ან ენის განვითარების სხვა კანონზომიერებებითაც იყოს ახსნილი[16].

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს სესხებასთან დაკავშირებული პრობლემების თეორიული საფუძვლების რკვევა და სესხების მიზეზების ლინგვისტური ინტერპრეტაციები. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ის ზოგადი ტენდენციები, რომელიც შეინიშნება სესხებასთან დაკავშირებით დღეს დღევანდელ ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში.

შემდგომი მსჯელობისათვის მნიშვნელობა ექნებოდა უთუოდ იმის გარკვევას, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ამ ტერმინებში: „სესხება“, „ნასესხები სიტყვები“, „ინტერნაციონალიზმები“.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი ამ ტერმინთა გაგებაში.

ზოგის მიხედვით, „ნასესხები ლექსიკა“ და „ინტერნაციონალური ლექსიკა“ მნიშვნელობის თვალსაზრისით არ უნდა იყოს დიფერენცირებული. ისინი სინონიმებადაა ჩათვლილი. ამაში გულისხმობენ ლექსიკის იმ ფენას, რომელიც შემოჭრილია სხვა ენიდან (ძირითადად უცხო ენებიდან) და მშობლიური ენის უძველეს (მკვდარ) ლექსიკაშია ფეხმოკიდებული.

მკვლევართა მეორე ნაწილი „ინტერნაციონალიზმებსა“ და „ნასესხებ სიტყვებს“ ერთმანეთს უპირისპირებს და თითოეული მათგანის ცალკეულ დახასიათებას იძლევა. რუსი ლინგვისტის ვ. გრიგორიევის

---

16 ტერმინის სესხებასთან დაკავშირებით საინტერესოა რუსული ენის სინამდვილიდან ნ. შანსკის საილუსტრაციო მასალა, რომლის მიხედვით სესხების საფუძველი ენაში (ამ შემთხვევაში რუსულში) სათანადო რეალიის, მოვლენის, ცნების არქონაა. როგორც ავტორი წერს, რუსულში зонтик ჰოლანდიური ენიდანაა შემოსული, диск—ბერძნულიდან, вензель—პოლონურიდან, бульвар — ფრანგულიდან, бокс—ინგლისურიდან, помпа—ლათინურიდან, квартет—იტალიურიდან, штатив—გერმანულიდან და ა. შ. არ იყო სათანადო სიტყვები, ბუნებრივია, არ იყო არც მათი დასახელებები, მაგრამ ბევრი იმათგანი,შანსკის მიხედვით, შემოვიდა ამა თუ იმ ცნობილი ფაქტის სახელად. მაგ., რუსულმა ფრანგულიდან ისესხა სიტყვები: специфический, вояж, ინგლისურიდან—денди, ლათინურიდან—феррал, მაშინ როდესაც რუსულში იყო ამ სიტყვათა ზუსტი შესატყვისები: особенный, путешествие, щёголь, лютый (იხ. Шанский Н. М. Лексикология современного русского языка. М., 1972, с. 397). ამგვარი და სხვა ხასიათის მაგალითები ყველა ენაში შეიძლება უხვად იქნეს დასახელებული.

მიხედვით, სესხების საკითხის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მოეპოვება დიდძალი ლიტერატურა და გარკვეული შედეგებიცაა მიღწეული. კულტურულ-ისტორიული და ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სიტყვის თუ შესიტყვების სესხების დროსა და წყაროს. რაც შეეხება ინტერნაციონალიზმებს, გრიგორიევი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მისი აზრით, ინტერნაციონალიზმის პრობლემა, რომელიც დღეისათვის გაურკვეველია, უნდა ემყარებოდეს, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ენების თანამედროვე მდგომარეობის სინჭრონიულ კვლევას. ამ საკითხის სიმძიმის ცენტრი მომავალშია, ხოლო მეორის არსი — წარსულშია. ის რაც გაკეთებულია „ინტერნაციონალიზმების“ შესწავლის საკითხში, ატარებს წინასწარი დაზვერვის ხასიათს და არ წარმოადგენს ვრცელი მასალის ფართო, ყოველმხრივი და გეგმაზომიერი კვლევისა და ანალიზის შედეგებსო.

მართალია, — განაგრძობს იგი, — ჩვენ ვსარგებლობთ ამ ტერმინით, მაგრამ იგი შემოვიდა ჩვენს სიტყვახმარებაში სრულიად სტიქიურად და აქამდე ლინგვისტიკაში ზუსტად განსაზღვრული არაა[17].

ამ საკითხს სპეციალურად განიხილავს მ. მაკოვსკიც[18].

მ. მაკოვსკის მიხედვით, ეს ტერმინები არაა ერთგვარი მნიშვნელობის მქონე. „როდესაც ჩვენ ვიკვლევთ ერთ რომელიმე ენაში ნასესხებ სიტყვებს, — წერს იგი, — ჩვენ მაშინ საქმე გვაქვს სესხებასთან. თუ კვლევის მიზანია — გავარკვიოთ ეს ნასესხობანი რამდენიმე ენაში ერთდროულად, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ინტერნაციონალიზმთან“ (იქვე). ამ თვალსაზრისის ავტორს საერთოდ არ მოსწონს ტერმინი „ინტერნაციონალიზმი“, და „ინტერნაციონალური ლექსიკა“. მას მიაჩნია, რომ ეს ტერმინი არაა ადეკვატური, თუმცა არ უარყოფს იმას, რომ ეს საკმაოდ გავრცელებული სიტყვებია ენათმეცნიერებაში. მისი აზრით, „ინტერნაციონალური“ იქნებოდა სწორი, თუკი სიტყვა გავრცელებული იქნებოდა აბსოლუტურად ყველა ენაში. სპეციალისტებს კი, რომლებიც „ინტერნაციონალიზმებზე“ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ ხუთი ენა, ე. წ. მსოფლიო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური). მაკოვსკი აქვე გვიჩვენებს სხვადასხვა სპეციალისტის სხვადასხვა თვალსაზრისს და იმ არევდარევას, რომელიც ტერმინ „ინტერნაციონალიზმთანაა“ დაკავშირებული[19].

---

[17] Григорьев В. П. Так называемые интернациональные сложные слова в современном русском языке. — ВЯ, 1959, № 1, с. 77.

[18] Маковский М. М. К проблеме так называемой «интернациональной» лексики. — ВЯ, 1960, № 1, с. 44—51.

[19] ერთი ნაწილი თვლის, რომ „ინტერნაციონალიზმებზე“ შეიძლება ლაპარაკი, თუ ორ ენაში მაინცაა შესული სიტყვა, ზოგის მიხედვით — სამი ენის მონაცემია

მ. მაკოვსკის აზრით, გადამწყვეტი ფაქტორი აქ ის კი არაა, თუ რამდენ და როგორ ენებშია შესული ერთნაირი სიტყვები, არამედ რომელ ტერიტორიულ არეალს განეკუთვნება ეს ენები. მ. მაკოვსკი თვლის, რომ პარალელური ენობრივი ნასესხობანი ხშირად გავრცელებულია სხვადასხვა მონათესავე და არამონათესავე ენებს შორის, ოღონდ ისეთ ენებში, რომლებიც მიეკუთვნება გარკვეულ ტერიტორიულ არეალს და რომელთა მატარებლები მჭიდრო ეკონომიკურსა და კულტურულ ურთიერთობებში არიან ერთმანეთთან. ეს არ ეხება იმ ენებს, რომლებიც გავრცელებულია სხვა არეალებში.

ამიტომაც, მ. მაკოვსკის აზრით, მართებული იქნებოდა ასეთი ლექსიკური ერთეულებისათვის გვეწოდებინა „რეგიონალიზმები“. მისი აზრით, ეს არეალები ტერიტორიულად დაცილებულიც კი შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან (ე. ი. სრულიად სხვადასხვა ქვეყანაშიც იყვნენ მოთავსებული).

დასასრულ, იგი განასხვავებს „საერთაშორისო სიტყვებსა“ და „ინტერნაციონალიზმებს“. მისი აზრით, საერთაშორისოა სიტყვები, თუ ის საერთოა რამდენიმე ხალხის ენისათვის, ხოლო ინტერნაციონალიზმია — თუ ის საერთოა ყველა ხალხისათვის. რეგიონალიზმები და საერთაშორისო სიტყვები მნიშვნელობით აბსოლუტურად ფარავენ ერთმანეთსო[20].

სხვა სიბრტყეში სვამს საკითხს ლ. კრისინი, რომელიც არ ხმარობს ტერმინებს „ინტერნაციონალური ლექსიკა“ ან „ინტერნაციონალიზმები“ და მხოლოდ „სესხებისა“ და „ნასესხები“ სიტყვების განსაზღვრებას იძლევა[21].

სტატიაში მიმოხილულია მრავალი სხვადასხვა ავტორის, როგორც უცხოელი (გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, დანიელი), ისე რუსი ლინგვისტების განსხვავებული შეხედულებები სესხების პროცესისა და ნასესხები ლექსიკის არსის შესახებ, რაც ამ ავტორთა სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისს ავლენს. კითხვაზე, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ სიტყვა ჩაითვალოს ნასესხებ სიტყვად, ისინი ცალსახა პასუხს არ იძლევიან.

ამისათვის საკმარისად. ზოგი აცხადებს, რომ სიტყვა „ინტერნაციონალურია“, თუ იგი ყველა „კულტურულ ენაშია“ შესული. აზრთა სხვადასხვაობაა სხვა თვალსაზრისითაც, კერძოდ, ზოგის მიხედვით, ეს ენები — მონათესავე ენები უნდა იყოს, ზოგის მიხედვით კი — არამონათესავე (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 44).

[20] იქვე, გვ. 46.

[21] Крысин Л. П. К определению терминов «заимствование» и «заимствованное слово». — Развитие лексики современного русского языка. М., 1965.

მკვლევართა ერთი ნაწილი ნასესხები სიტყვის არსებით ნიშნად ამ სიტყვის მსესხებელ ენაში შეთვისებულობის ხარისხს მიიჩნევს. ზოგის მიხედვით — მსესხებელ ენაში სიტყვათა ფუნქციონირების საკითხია გადამწყვეტი, ზოგის მიხედვით — მსესხებელი ენის ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემასთან შეგუებადობის საკითხი, ზოგი რაოდენობრივ-სტატისტიკურ მეთოდს აძლევს უპირატესობას. ზოგი ამ ნასესხებ სიტყვათა საკითხს ენათა ინტერფერენციის საკითხებს უკავშირებს და ა. შ.

კრისინს, რომელიც იძლევა ნასესხებ სიტყვათა დამაკმაყოფილებელ დახასიათებას, სესხების ძირითად კრიტერიუმად მიაჩნია:

ა) უცხო სიტყვის მსესხებელი ენის გრამატიკულ კლასებთან და კატეგორიებთან შეფარდება.

ბ) უცხო სიტყვის ფონეტიკური შეთვისება.

გ) სიტყვაწარმოებითი აქტიურობა.

დ) უცხო სიტყვის სემანტიკური შეგუება: მნიშვნელობის სიცხადე, მნიშვნელობათა და მათი ნიუანსების დიფერენცირება ენაში ადრე არსებულ სიტყვებსა და ახალ, ნასესხებ სიტყვებს შორის.

ე) ნასესხები სიტყვის რეგულარული გამოყენება და გარკვეული პარადიგმატული ურთიერთობა მოცემული ტერმინოლოგიური ველის ტერმინებთან.

ეს ჩამოთვლილი მუხლები კრისინს მიაჩნია ერთგვარ საზომ საშუალებად, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ყოველი ცალკეული სიტყვის მსესხებელი ენის ტერმინოლოგიურ სისტემაში შეფასებას.

იგი არ იზიარებს ტრადიციულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ნასესხები სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გადმოცემული მსესხებელი ენის ფონეტიკური და გრაფიკული საშუალებებით, ანდა აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს სიტყვაწარმოებითი აქტიურობით. ნიმუშად ასახელებს სიტყვებს: джем, джемпер, джигит, колледж, бостон, досье, оазис, болеро, модерато, кофе, жюри, пальто, меню, бордо, пенсне, шоссе, интервью და ბევრ სხვას, რომლებიც დამკვიდრდნენ მსესხებელ ენაში მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ფონეტიკურად და ზოგი კი გრამატიკულად არაა ასიმილირებული ამ ენაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნასესხები ლექსიკისა და ინტერნაციონალური ლექსიკის შესახებ ნაირგვარი ინტერპრეტაციებია მოცემული. არაა ერთგვაროვნება არც ამ ცნებათა გაგების თვალსაზრისით და არც მათი შესაბამისი ტერმინების გამოყენების მხრივ.

ჩვენ ამჟამად ამ რთული პრობლემის მხოლოდ ერთი მხარე გვაინტერესებს — ტერმინოლოგიურად გავარჩიოთ უცხო ლექსიკის ორი განსხვავებული ფენა: ერთი მხრით, ის ლექსიკა, რომელიც სხვადასხვა

ისტორიულ პერიოდში ერთი ენიდან მეორეში შემოსულა და ამ ენის კუთვნილებად გამხდარა, ხოლო, მეორე მხრით, ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც რამდენიმე ენაში დამკვიდრებულა და საერთაშორისო სიტყვებად ქცეულა. პირველი ჯგუფის სიტყვებს მკვლევართა უმრავლესობა ნასესხებ ლექსიკას უწოდებს, ხოლო მეორე ჯგუფის სიტყვები— ინტერნაციონალიზმებად იწოდება[22].

ნასესხები ლექსიკა დიაქრონიული კატეგორიაა და იგი ერთი რომელიმე ცალკეული ენის ფაქტია. ლექსიკის ეს ფენა ადრეული სესხების შედეგია და საერთო ენის კუთვნილებადაა ქცეული. ამგვარ სიტყვათა მოსვლასა და დამკვიდრებას იმდენად დიდი ხნის ისტორია აქვს, რომ დღეს საკითხი მათი ნასესხობის შესახებ არც დგება. მაგ.: ვის დაებადება კითხვა, რომ რუსული тетрадь, сахар, вишня, кровать და ა. შ. ამ ენის ძირეული სიტყვა არაა და ბერძნულიდანაა შეთვისებული[23], ანდა ქართულში სიტყვები — ქალი, ბალი, ძირი, კომში და მისთ. სხვა ენიდანაა ნასესხები.

ინტერნაციონალიზმებთან გვაქვს საქმე, როდესაც უცხო ენებიდან შემოსული სიტყვა რამდენიმე ენაშია გავრცელებული და დამკვიდრებული. ერთ კონკრეტულ ენაში ინტერნაციონალიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამ კატეგორიის სიტყვათა ლინგვისტური დახასიათების საშუალებას მხოლოდ ენათა სინქრონიული დაპირისპირება იძლევა. ინტერნაციონალურ სიტყვებს სხვაგვარად საერთაშორისო სიტყვები ჰქვია.

ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო სიტყვები უმთავრესად ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა და ძირითადად ტერმინოლოგიური დანიშნულებისათვის გამოიყენება[24]. ბუნებრივია, რომ ქართულ მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინოლოგიებში ეს ინტერნაციონალიზმები უხვად გვხვდება.

ინტერნაციონალური სიტყვებია: ა) ბერძნულიდან მომდინარე — დემოკრატია, სქემა, სისტემა, სინტაგმა, პროგრამა, პოემა, ფონემა, ლი-

---

22 აღნიშნულ ცნებათა გამომხატველ ამ სიტყვებს ტერმინოლოგიური სიზუსტე აკლია. კერძოდ „ნასესხები ლექსიკა" ზოგადი პროცესის — სესხების ამსახველია და ერთნაირად შეიძლება მოიცავდეს როგორც ლექსიკის უძველეს ნაწილს, რომელიც მრავალი საუკუნის წინათ სხვა ენიდან მოსულა და ასიმილირებულა, ასევე საერთაშორისო სიტყვებსაც, რომლებიც სხვადასხვა ენაში გავრცელებულა. ჩვენს სიტყვახმარებაშიც „ნასესხები ლექსიკა" ზოგჯერ ორივე ცნების მომცველი იქნება.

23 Микитич Л. Д. Иноязычная лексика. Л., 1967, с. 8.

24 რუსული ენის მასალაზე ინტერნაციონალიზაციისა და ინტერნაციონალიზმის საკითხები მონოგრაფიულადაა შესწავლილი (იხ. Авилова Н. С. Слова интернационального происхождния в русском литературном языке нового времени. М., 1967; Акуленко В. В. Вопросы интернационализации словарного состава языка. Харьков, 1972; Лотте Д. С. დასახ. ნაშრომი და სხვ.

რიკა, ფილოსოფია; ლათინურია: ფაბრიკა, ფაუნა, მასა, ლიტერატურა, სტრუქტურა, რესპუბლიკა, მერიდიანი, პროლეტარიატი, დიქტატურა და ბევრი სხვ.

ინტერნაციონალურ სიტყვათა შორის არის მთელი რიგი ტერმინები, რომლებიც ბერძნულიდან და ლათინურიდან მთლიანად მზამზარეულად კი არაა ნასესხები, არამედ ნასესხებია ამ ენათა ცალკეული ელემენტები[25]. ამგვარია: ავტომობილი (ბერძ: autos თვით, ლათინ. mobilis მოძრავი), ტელევიზია (ბერძნ. tēle შორს და ლათინ. visio ხედვა), ტელეფონი (ბერძ. tēle შორს და phōnē ბგერა), თერმომეტრი (ბერძნ. thermē სითბო და metreō ვზომავ), ტელეგრაფი (ბერძნ. tēle შორს და graphō ვწერ), მიკროფონი (ბერძ. mikros პატარა და phōnē ბგერა) და ა. შ.[26]

გარდა ბერძნულ-ლათინურისა, ინტერნაციონალიზმებში ახალი ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვებიც გვხვდება (მაგ.: ფრანგულიდანაა სხვა ენებში, და მათ შორის ქართულშიც, შემოსული: რეჟისორი, აფიშა, ლოჟა, დირიჟორი, ორანჟერეა, ბეტონი, ტრანშეა, ბატარეა; ინგლისურიდანაა — მიტინგი, ბენტონიტი, ლიდერი, სპორტი, ბალასტი; გერმანულიდანაა — შტაბი, ბუღალტერი, ბაგერი, ბინტი, ბორტი, ბრემსბერგი, გრუნტი; იტალიურიდანაა: ბალერინა, გალერეა, გვარდია, გრანიტი და ა. შ.)[27].

თუ როგორია ამგვარ სიტყვათა ხვედრითი წონა ქართულს სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, მათი მიმართება ძირეულ ქართულ ტერმინებთან, ქართული ენის დამოკიდებულება სესხების ცალკეული ფაქტების მიმართ და ა. შ. საგანგებო კვლევის საგანია და, სამწუხაროდ, ამაზე მსჯელობა აქ ვერ მოხერხდება.

ცალკე უნდა გამოიყოს თარგმნითი სესხების, ანუ ენობრივი კალკების საკითხი, რომელიც სესხების გარკვეულ სახეს წარმოადგენს. კალკი თარგმნითი სესხების შედეგად მიიღება. ჩვეულებრივი სესხებისაგან განსხვავებით, კალკირების დროს საკუთარი ენის მასალის სა-

---

25 Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

26 Калинин А. В. Лексика русского языка, М., 1978, с. 64.

27 საინტერესოა, რომ სხვადასხვა დარგი ინტერნაციონალიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. მაგალითად, საზღვაო ტერმინოლოგიაში ძირითადად ჰოლანდიური სიტყვებია (ტრაპი, კატერი, მატროსი, კომპასი, ბოცმანი, ბრაშპილი, ბუი). იტალიური სიტყვები შეადგენს ხელოვნების, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის ტერმინების დიდ ნაწილს (ოპერა, ტენორი, ფლეიტა, არია, სონეტი, ლუეტი, აკვარელი, ტემპერა). ინგლისურიდანაა ნასესხები სპორტის ტერმინები (მატჩი, ჩემპიონი, სტარტი, სპორტი). ფრანგულიდანაა შემოსული, გარდა დიდძალი ყოფითი სიტყვებისა, სამხედრო ტერმინები (ავანგარდი, არიერგარდი, მარშალი, ესკადრა, გრენადერი) და ახალი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ტერმინები (რევოლუცია, პარტია, პარტიზანი და ა. შ.).

შუალებით ზედმიწევნით ზუსტად გადმოიცემა სხვა ენის ლექსემის შინაარსი[28].

მაგ:, სიტყვა **წარმოდგენა** რუსული представление-ს კალკია, რომელიც, თავის მხრივ, გერმანულის Vorstellung-ის კალკს წარმოადგენს (შდრ.: რუს. пред|ставл|ени|е, გერმ. Vor|stell|ung და ქართ. წაორმ||დგენ|ა).

კალკები სხვადასხვა სახისაა. ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფენ: ა) სემანტიკურ კალკებს და ბ) სტრუქტურულ ანუ სიტყვაწარმოებით კალკებს.

სემანტიკური სესხება — ეს იგივე მნიშვნელობის სესხებაა და ვარაუდობს ენაში სხვა ენის გავლენით ამა თუ იმ სიტყვისათვის დამატებითი მნიშვნელობის გაჩენას, ასე მაგალითად: სემანტიკური კალკის ნიმუშად რუსულში სიტყვა потолок-ს (ჭერი) ასახელებენ. ფრანგულში ამავე დენოტატის აღსანიშნავად plafon იხმარება, რომელსაც, გარდა თავისი ძირითადი მნიშვნელობისა, ფრანგულშივე მეორე, გადატანითი მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, **უმაღლეს წერტილს** აღნიშნავს. სწორედ ეს მეორე მნიშვნელობა შეიძინა რუსულმა потолок-მაც და იგი უმაღლესი წერტილის, ზღვარის, რაიმეს ზღვრული ხარისხის აღსანიშნავად გამოიყენა (მაგ. потолок нагрузки).

ამგვარად, რუსული სიტყვის პირველი მნიშვნელობა არაა კალკი. იგი ამ ენის კუთვნილებაა, ხოლო მეორე — ფრანგულის აზრობრივი თარგმანის შედეგადაა მიღებული. რუსულიდან შემდეგ ქართულში უნდა იყოს გადმოტანილი ჭერის ის მნიშვნელობა, რომელიც ქართულ განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც სასაუბრო (რისამე, რაიმე მიღწევის ზღვარი) (იხ. ქგლ. ჭერი, მნიშვნ. 5). ამგვარადვეა მიღებული რუსულში სიტყვა тонкий-ს (თხელი) მეორე მნიშვნელობა (изысканный: тонкий вкус, изысканный вкус). ამისი წყარო ფრანგული fin (თხელი) სიტყვის გადატანითი მნიშვნელობაა. ასევეა მიღებული რუსული живой-ს გადატანითი მნიშვნელობაც (жизнерадостный, подвижный), იგი ფრანგული vif (живой, резвый, быстрый) სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობიდანაა გამოყვანილი.

---

[28] ლ. ეფრემოვი წინააღმდეგია კალკებისა და კალკირების ამგვარი განმარტებისა, რომელიც ტრადიციულადაა მიღებული. მისი აზრით, კალკირებასა და სესხებას შორის მოჩვენებითი მსგავსებაა, თორემ კალკირება ეს სესხებაზე უარის თქმაა და, ამდენად, იგი არ შეიძლება სესხების ერთ-ერთ სახეობად იყოს მიჩნეული. სტატიაში ავტორი ამ დებულების დასაბუთებას იძლევა და ამავე დროს კალკირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც განიხილავს (იხ. Ефремов Л. П. Калькирование как одна из причин возникновения омонимии.—Изв. АН Казах. ССР, серия филологии и искусствоведения. Алма-Ата, 1962, вып. 2, с. 51.

ქართულ ენაში მნიშვნელობის სესხების თვალსაჩინო ფაქტებს წარმოადგენს სიტყვების — მუხტი, ანთება, განათლება, დამკვრელი, დაფარვა, ფესვი, ფხიზელი, ღარიბი, ფრთა, ფუძე და მისთანათა — გარკვეული მნიშვნელობით გამოყენება[29].

სემანტიკური კალკები იშვიათი მოვლენაცაა და ამავე დროს სრულიად შეუსწავლელი[30], ყოველ შემთხვევაში, ტერმინოლოგიურ პრაქტიკისათვის დაუმუშავებელი. კალკირების შემთხვევათა განხილვისას მხოლოდ სტრუქტურული კალკები აქვთ მხედველობაში.

რას ეწოდება სტრუქტურული ანუ სიტყვაწარმოებითი კალკები? ეს იმგვარი სიტყვებია, როდესაც ნიმუშად აღებულია სხვა სიტყვის მოდელი (ძირითადი კომპოზიტი ან ნაწარმოები სიტყვა) და ქართული შესატყვისი მის ყაიდაზეა შედგენილი, ე. ი., ფაქტობრივად, ამ სიტყვის შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად გადმოსაცემად მისი აგებულებაა ნათარგმნი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კალკირება სტრუქტურულ დამთხვევათა პრინციპს ემყარება (შდრ. ფრ. impression, რუს. впечатление, ქართ. შთაბეჭდილება).

სპეციალურ სიტყვათა საგრძნობი ნაწილი ქართულში, ისევე როგორც მსოფლიო ენების უმრავლესობაში, კალკებს წარმოადგენს. ამ რიგისაა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ნახმარი და მკვიდრად ფეხმოკიდებული სიტყვები: მტვერსასრუტი (შდრ. რუს. пылесос, გერმ. Staubsauger), ბეტონსარევი (რუს. бетономешалка, გერმ. Betonmicher), ცეცხლსაქრობი (რუს. огнотушитель, გერმ. Feuerlöscher), ხმამაღლამოლაპარაკე (რუს. громкоговоритель, ფრ. haut-parleur), მარცვალსაღერღი (რუს. зернодробилка, ფრ. broyeur à grains), წყარო-ენა (რუს. язык-источник, ფრ. source-language), რკინიგზა (რუს. железная дорога, ფრ.chmin de fer), უკუქმედება (რუს. противодействие, გერმ. Gegenwirkung), უკუწნევა (რუს. противодавление, გერმ. Gegendruck), ბენზინსაზომი (რუს. бензомер, გერმ. Benzinmesser), წყალსაზიდი (რუს. водонос, გერმ. Wasserträger), რადიოაქტიურობა (რუს. радиоактивность, გერმ. Radioaktivität) და ბევრი სხვ.

ქართულში გვხვდება თარგმნითი სესხების სხვადასხვა ტიპები. კალკირების გზითაა მიღებული ტერმინები: ხეკვეული (древовал), საშვრიტული (нащельник), ზოზინა (ленивец), რბია (бегун), მთის ბროლი (горный хрусталь), მთვარის ქვა (лунный камень), დროულა (времянка), ნემსთევზა (игла-рыба,) თეთრთვალა (белоглазка), შხეფია (брызгун), მუცელწვეტა (востробрюшка) და მრ. სხვა.[31]

[29] იხ. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, § 272.

[30] Будагов Р. А. Введение в науку о языке. М., 1958, с. 112.

[31] იშვიათად ფრაზეოლოგიური კალკებიც გვხვდება (იმ ტიპისა, როგორიცაა: ღუნვაზე გამოცდა, სიხისტეზე გაანგარიშება და სხვ.), მაგრამ, რადგანაც ამგვარი ტერ-

ამგვარად, ლექსიკური სესხებაც და კალკირებაც ტერმინოლოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელი ინტენსიური ენობრივი პროცესებია.

რომ შევუდაროთ ერთმანეთს ამ თვალსაზრისით სალიტერატურო ენა და ტერმინოლოგია, ვნახავთ, რომ სპეციალურ ლექსიკაში ნასესხებ სიტყვათა ხვედრითი წონა შეუდარებლად მეტია. ეს ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტერმინოლოგიის სემანტიკური სისტემა გაცილებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ენათა აზრობრივ წყობასთან, ვიდრე საერთო-სალიტერატურო ენა. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო დაცულია და ლიმიტირებული.

ამგვარად, ნასესხები სიტყვები ქმნიან დღეს ტერმინოლოგიური ლექსიკის ვრცელსა და მნიშვნელოვან ფენას.

ქართულში ისევე, როგორც სხვა ენების ტერმინოლოგიურ სისტემებში, სესხება ძირითადად ახალ ცნებათა ნომინაციის საკითხთანაა დაკავშირებული და ამიტომაცაა, რომ ენაში დიდია საჭიროება უცხო ტერმინთა სესხებისა. ამას ითხოვს ჩვენი ეპოქის სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია, მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე და ის უჩვეულო ძვრები, რომელიც ჩვენ მოღვაწეობის სხვადასხვა უბანზე ხდება.

მაგრამ სესხება, უცხო ენებიდან სიტყვების შემოჭრა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი განუსაზღვრელი ენობრივი პროცესი იყოს, რომელიც სტიქიურად ხორციელდება და რომელსაც თავისი კანონზომიერებები არა აქვს.

ქართულ ენას, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მოეპოვება თავისი მდიდარი და ამოუწურავი შესაძლებლობანი ახალ სიტყვათა საკუთარ ნიადაგზე საწარმოებლად.

განუკითხავი სესხება საზარალოა ისევე, როგორც გაუმართლებელია ყველაფრის თარგმნა[32]. ცნობილია, რომ პურისტულ ტენდენციებს, რომელიც წინათ ქართულშიაც და რუსულშიაც შეინიშნებოდა, მეცნიერების წინსვლისათვის არაფერი სარგებლობა მოუტანია. პირიქით, პრაქტიკიდან ვიცით, რომ ამას ზოგჯერ სავალალო შედეგებიც მოჰყოლია.

მინები უმნიშვნელო პროცენტს ქმნიან, მათზე საგანგებოდ შეჩერება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

[32] სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია „გადაჭარბებული“ სესხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ფაქტები (იხ. Лотте Д. С. დასახ. ნაშრ. გვ. 64; Терпигорев А. М. Об упорядочении технической терминологии. — ВЯ, № 1, 1953, с. 75—76; Гречко В. А. Каким должен быть термин? — Актуальные проблемы лексикологии и словообразования. Новосибирск, 1976; Блинова О. И. Термин и его мотивированность. — Терминология и культура речи, М., 1981, с. 35).

„აუცილებელი უცხო სიტყვები, — წერს ენგელსი, — რომლებიც წარმოადგენენ უმეტესად საერთოდ მიღებულ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოთქმებს, სრულებით არ იქნებოდა. საჭირო, რომ ხერხდებოდეს მათი თარგმნა, ე. ი. თარგმანი ამახინჯებს აზრს და იმის მაგივრად რომ გაგიმარტოს, თავ-გზას გიბნევს“[33].

სესხება, რასაკვირველია, ენის გამდიდრების გზაა, მაგრამ სესხების პროცესებთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული ზომიერება და ენობრივი ალღო, თითოეული ენისათვის სესხების პრობლემებისა და ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება.

სესხების გზები და ტრადიციები ჩვეულებრივ რთულ ენობრივ ოპერაციებს გულისხმობს. ქართულში საგანგებო კვლევას ითხოვს, ერთი მხრით, სესხების პროცესთან დაკავშირებული სემანტიკური საკითხები, კერძოდ, ის თვისობრივი ცვლილებები, რომლებსაც შეიძლება განიცდიდეს ნასესხები სიტყვები, ან რომლებიც შეიძლება ხდებოდეს შემოსული სიტყვების ზეგავლენით მსესხებელ ენაში, და, მეორე მხრით, ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკურ-მორფოლოგიური ადაპტაციის საკითხები.

ქართულში შესწავლილია უცხოურ ტერმინთა სესხების პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები, შემუშავებულია უცხო სიტყვათა გადმოსაცემად გარკვეული ტრადიციები და ნორმები[34].

---

[33] Энгельс Ф., Развитие социализма от утопии к науке. — Собр. сочинений, XV, с. 624.

[34] „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (I, 1970), რომელიც დამტკიცებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ დაბეჭდილია უცხო (უშუალოდ თუ რუსული გზით შემოსულ) სიტყვათა ფონეტიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებული შემდეგი ნორმები:

ა) გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში (გვ. 33—35).

ბ) ევროპის ენებიდან მომდინარე la და lu ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში (გვ. 36—39).

გ) ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში.

დ) ю-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში (გვ. 23—25).

ე) я-ს შემცველ რუსულ და რუსული გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში (გვ. 26—27).

ვ) ё-ს შემცველ რუსულ და რუსული გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში (გვ. 28—29).

ზ) უმახვილო о-ს შემცველ რუსულ და რუსული გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში (გვ. 30—32).

თ) რუსულის გზით შემოსულ ея-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში (გვ. 50—53);

უცხოური სიტყვების ქართულში გრამატიკული (მორფოლოგიური) გაფორმების საკითხები, რომელიც სიტყვაწარმოების აფიქსაციის საკითხებს უკავშირდება, ცალკეა შესწავლილი[35]. იქვეა მოცემული უცხო წარმომავლობის სიტყვათა გასაფორმებელი აფიქსების დახასიათება (პრეფიქსული, სუფიქსური და კონფიქსური წარმოებანი) და მათი ფუნქციური ტრანსფორმაციები.

რუსული ენიდან უშუალოდ ტერმინების სესხება, ჩვეულებრივ, იშვიათად ხდება, მაგრამ საგრძნობია რუსული ენის როლი კალკირების ანუ თარგმნითი სესხების შემთხვევებში. როდესაც ამა თუ იმ ტერმინისათვის სათანადო ფარდი ქართულში არ მოიპოვება, კალკირება სწორედ რუსული ენიდან ხდება. ამ გზითაა შექმნილი ქართულში ტერმინთა, განსაკუთრებით კომპოზიტების, დიდი წყება: მტვერსასრუტი, ბეტონსარევი, ცეცხლსაქრობი, ზეთსაცივარი და ბევრი სხვა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შესაძლებელია, ზოგჯერ თვით რუსულშიც ეს სიტყვები უცხოური ენის კალკს წარმოადგენდეს (შდრ. რუს. пылесос და გერმ. Staubsauger, რუს. бетономешалка და გერმ. Betonmicher და სხვ.), მაგრამ, ცხადია, ქართული ტერმინის შესაქმნელად რუსული სიტყვის მოდელია გამოყენებული და არა უცხო ენისა.

რუსულ ენას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქართული სამეცნიერო ტერმინების უცხო ტერმინებით გამდიდრების საქმეშიც. უცხო ტერმინების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები, სწორედ რუსული ენის მეშვეობითაა დამკვიდრებული. ამიტომაა, ქართულში რომ გვაქვს **კაბინა** (ისევე როგორც რუსულშია, და არა მისი ფრანგული ვარიანტი cabine — კაბინი), **ბობინა** (რუს. бобина, და არა ფრ. bobine — ბობინი), **აკუმულაცია** (რუს. аккумуляция და არა ფრ. accumulation, ანდა ლათ. accumulatio), **იაპონია** (და არა ნიპონი, ნიხონი ან ჯაპანი) და სხვ.

ი) რუსულის გზით შემოსულ a-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში (გვ. 54—60).

„ქართული მეტყველების კულტურის საკითხებში“ (1984, VI) დაბეჭდილია ლ. კაიშაურის სტატია: გერმანული ch გრაფემის ქართულად გადმოცემის საკითხისათვის (გვ. 337—344), ამავე წიგნში — მ. ოსაძის სტატია: უცხო ენიდან მომდინარე რუსული ენის შემაერთებელხმოვნიანი კომპოზიტების ქართულად გადმოცემისათვის (გვ. 330—336).

35 იხ. მ. ოსაძის საკვალიფიკაციო თემა (ხელნაწერი): „თვისების კატეგორიის აღმნიშვნელ უცხო წარმომავლობის ტერმინთა მორფოლოგიური გაფორმების საკითხები ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიაში“; მისივე: 1985 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები: „უცხო სიტყვათა მორფოლოგიური ადაპტაციის ზოგი საკითხი ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიაში“.

თავი მეოთხე

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება

ტერმინების შექმნის უწყვეტ ბაზას ქართულში სიტყვაწარმოება (სიტყვის მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით ტერმინების აგება) და სიტყვათა თხზვა ანუ კომპოზიცია წარმოადგენს.

აფიქსაციის საშუალებითაა მიღებული ქართულში მრავალი სამეცნიერო ტერმინი, რომელსაც ქართული სალიტერატურო ენა მანამდე არ იცნობდა (უჯრედი, სახრახნისი, მილისი, ჭაური, კრებსითი, მწარმოებლურობა, ლილვაკი, გაუწყლოება, მერყევი, მერხევი და ბევრი სხვ.). სიტყვათა კომპოზიციის გზითაა აგებული ტერმინები: სამკუთხედი, მარილმჟავა, ხმამაღლამოლაპარაკე, ბენზინსაცავი, ფირფიტასაკრავი, წყალსადენი, მანძილსაზომი, აირგენერატორი და სხვ.

არაა დარჩენილი სიტყვაწარმოებისა და სიტყვათა თხზვის არცერთი ნაცადი გზა საერთო ქართულისა, რომელიც არ გამოიყენებოდეს ტერმინოლოგიაში.

და მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით სისტემას და თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად იყენებს ყველა იმ (სემანტიკურ, მორფოლოგიურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ) საშუალებას, რომლითაც ივსება და ვითარდება საერთო სალიტერატურო ენა, იგი ამავე დროს შეიმუშავებს თავის საკუთარ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას, დამოუკიდებელ წესებსა და მოდელებს, რომელიც განასხვავებს მას სალიტერატურო საერთო ენისაგან. ამას განაპირობებს ტერმინოლოგიური ლექსიკის სპეციფიკური ფუნქცია.

ტერმინოლოგიურ მასალაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ტერმინოლოგიაში მორფოლოგიური ინვენტარი ქართულად გასაფორმებელი სიტყვებისა გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე სალიტერატურო ენაში.

დავიწყოთ იქიდან, რომ ზოგი წარმოება უფრო პროდუქტიულია ტერმინოლოგიურ სისტემაში, ვიდრე სალიტერატურო ენაში. მაგალითად:

1. განყენებულ სახელთა **სი — ე**-თი, განსაკუთრებით კი **-ობა, -ება**-თი წარმოება (ისიც გართულებული ფუძეებისაგან) ტერმინოლოგიაში უჩვეულო რეგულარულობით ხასიათდება. იმგვარი მაგალითების გვერდით, როგორიცაა: სიბრტყე, სიგრძე, სივრცე, სიზუსტე, სითხე, სიჩქარე, სიმძიმე, სიღიდე, სიმრავლე; მდგრადობა, ფარდობა, ჟღერადობა, დაღლილობა და ა. შ., გვხვდება: სიბურცე, სიდუნე, სიზრქე, სიირიბე, სიმდორე, სიმჭიდე, სიტუტე, სიხამე; ჭაობიანობა, მყიცეირობა, ულტობობა, ციცაბობა, ფერჭარბობა, მისადგომობა, მისაწვდომობა, დაუყვანობა, სართულიანობა, შხამიანობა, ფრენოსნობა, მკაფიოობა, მთბარობა, მდნარობა, გამადიდებლობა, დაუნაწილებლობა, უმტყუნებლობა, გაუწონასწორებლობა, ტელემაუწყებლობა, რენტაბელურობა, ცარიელობა, ბგერათმზომელობა, გამავლობა, ნელმავლობა, წრთობილობა, ლპობილობა, ცვეთილობა, შესწავლილობა, დაბრეცილობა, მსრბოლობა, შემკვრივებულობა, განათებულობა, აგრიგალებულობა, დამრგვალებულობა, დასახლებულობა, გაწყლოვანებულობა, დაქანებულობა, ცილინდრულობა და ა. შ.

აბსტრაქტულ სახელთა წარმოებაში **ად + ობ + ა** მოდელის მიხედვით შექმნილი ტერმინები ხომ ასეულობით დაითვლება: შეჭიდებადობა, დამუშავებადობა, გამოსხივებადობა, განმაგნიტებადობა, გაჯირჯვებადობა, პოლარიზებადობა, თვითაალებადობა, დასველებადობა, განხორციელებადობა, აორთქლებადობა, გამოყენებადობა, გაფართოებადობა, გავარვარებადობა, ორიენტირებადობა, დიფერენცირებადობა, კრებადობა, განმეორებადობა, დაბრიკეტებადობა, ადვილდნობადობა, ჟანგვადობა, წიდვადობა, მსხვრევადობა, ტევადობა, ჭიმვადობა, თელვადობა, ხილეადობა, ზომეადობა, კოქსვადობა, ფქვადობა, წვადობა, აქროლადობა, ამოჭმადობა, კოროზიამდგრადობა, მიკვრადობა.

2. ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან თავისთავად გამომდინარეობს **-ად** მაწარმოებლიანი მოდელის სიხშირეც, რამდენადაც ეს უკანასკნელი -ად-ობ-ა წარმოების საყრდენი ფუძეა:[1] ფეთქებადი, კლებადი, მილღვადი, გამოსხივებადი, ანთებადი, ინდუქციებადი, აალებადი, აგზნებადი, განშტოებადი, სწრაფმყარებადი, კრებადი, ინტეგრირებადი, აგლომერირებადი, კონდენსირებადი, დაშლადი, განმეორებადი, შევუებადი, აფუებადი, შეხებადი, შრობადი, ლხობადი, ჭედადი, ზრდადი, წებვადი, ჟანგვადი, წიდვადი, რკვევადი, დამთხვევადი, ტევადი, წრფევადი, შექცევადი, შეღწევადი, დნობადი, ფუქვადი, ჯირჯვებადი, კოქსვადი, განმუხტვადი.

---

1 სამეცნიერო და ტექნიკურ ენაში საწყისებიდან **-ად** სუფიქსით წარმოების ინტენსიურობა აღნიშნულია სხვების მიერაც (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 146).

3. ანალოგიური პროდუქტიულობით ხასიათდება **ით-ი** წარმოებაც: ტევადობითი, ნიშანდადებითი, სტრიქონგამოშვებითი, მიერთებითი, გადანაცვლებითი, შენაცვლებითი, თვითდინებითი, თვისებითი, აფეთქებითი, სამთო-ამოღებითი, შედეგობითი, სიბრტყითი, ფუთობითი, მხაზველობითი, ბგერამხედველობითი, მოცულობითი, თერმოჟანგვითი, დაწნევითი, გაზომვითი, არეკვლითი, წინსვლითი, გაცვლითი, მანძილზომითი, კუთხეზომითი, შთანთქმითი, წირითი და სხვ.

4. ხშირია **-ის** სუფიქსით წარმოებაც: მისარგისი, სათავისი, უჯრედისი, საწყისი, ვაკისი, თვალისი, შუაკედლისი, მილისი, საცეცხლისი, ჯაგრისი, საბურისი, საყურისი, აფრისი, საყრისი, გასაყრისი, საკაწრისი, საჭრისი, მისამხრისი, საფეხისი, საფეთქისი.

წარმოების ეს მოდელი, რომელიც ძველი ქართულის გადმონაშთია, საკმაოდ მარჯვეა ახალ ტერმინთა საწარმოებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი მაწარმოებლების ასეთი სიხშირით ხმარება ტერმინოლოგიაში, ბუნებრივია, სათანადო ცნებათა სიუხვითაა გაპირობებული.

მნიშვნელოვნად იფართოებს მოქმედების არეს სუფიქსები:

5. **-ობ**: ტაფობი, ჭენჭყობი, მაღლობი, დაბლობი, ბექობი, ეელობი, ბეგობი, ბიცობი, მლაშობი, ბუდობი, მართობი, ფართობი, ქვიშრობი, კუთხობი, ნავთობი, რბილობი, ზედობი, ფერდობი, ლილვობი, ღიობი, ქანობი, თანობი, გვერდობი, ღარობი, ცერობი, ვიწროები.

6. **-ედ**: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, სწორკუთხედი, ჩონჩხედი, რიკულედი, კუდედი, თანავარსკვლავედი, კარვედი, ქვედი, ზედი, ფრთედი, თვალედი, კანკლედი, წინწკლედი, ბორჯღლედი, განედი, თაროედი, ჯვარედი, ცალკარედი, ორკარედი. ქორედი, ყურედი, ფიცრედი, წრედი, უჯრედი, თაღედი, გრძედი, ფეხედი, ბრძმედი, მორბედი, მწკრივედი, კარედი, კუთხედი და სხვ.[2]

7. **-აკ**: ღარაკი, ბაგირაკი, ბორაკი, ღილაკი, ნაწილაკი, წონაკი, ფურნაკი, ჯორაკი, ქარსაკი, ლილვაკი, ავზაკი, თვალაკი, ძელაკი, კბილაკი, რგოლაკი, სხეულაკი, ლულაკი და სხვ. ენტომოლოგიაში გვაქვს **-უკა** სუფიქსით წარმოებაც: ულვაშუკა (მრ. ულვაშუკები), მწვანუკები, ლომუკები და მისთ.

---

[2] იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 125. შეინიშნება, რომ დღეს ტერმინოლოგიაში კვლავ სუსტდება ამ სუფიქსის მაწარმოებელი ძალა (ამ სუფიქსის ტერმინოლოგიური ფუნქციის შესახებ იხ. ი. ჯიბუტის მოხსენების თეზისები, წაკითხული საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე, 1985 წ.).

8. ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთულობა აქვს -ა სუფიქსს. ჩვეულებრივი დანიშნულების გარდა, იგი გამოიყენება:

ა) საობიექტო მიმღეობისაგან მანქანების, იარაღების, ხელსაწყოების და ა. შ. სახელწოდებათა საწარმოებლად: სათესელა, საკაწრელა, სადრესელა, სატკეპნელა, საცეხველა, საგორველა, სწრაფსახვნელა, საკეტელა, სამსხვრეველა, საპობელა, საჟონველა, სატყლეჟელა, საფხეკელა, საღვენთელა, საჩხვლეტელა, საკიდელა, საჩხრეკელა, საცხებელა.

დასახელებული ტერმინები ორსიტყვიანი გამოთქმების შეკუმშულ ფორმას წარმოადგენს (აქ ყველგან იგულისხმებოდა: სათესელი მანქანა, საკაწრელი იარაღი და ა. შ.). სათანადო არსებითის დაკარგვის შემდეგ ეს ფუნქცია -ა სუფიქსმა იკისრა და აღწერითი ფორმის ნაცვლად ერთსიტყვიანი ტერმინი გაჩნდა. ელიფსისის ეს შემთხვევა კარგად აჩვენებს ტერმინოლოგიურ სისტემათა ტენდენციას ერთსიტყვიანობისაკენ.

ბ) რუგულარულია -ა-ს დართვა **-იან, -ოვან, -ოსან, -ურ-||-ულ** სუფიქსებზე ენტომოლოგიაში მწერების სახელწოდებათა აღსანიშნავად: ფრთიანა, ფარიანა, ცრუფარიანა, პეწიანა, კუდფეხიანა, დუჟიანა, ბოლორქიანა, ლორწოვანა, ჯვაროსანა, ფაროსანა, ფრაკოსანა; ტალღურა, ქოლგურა, ჭრელურა, ნაღმურა, ბენძღურა, ესპანურა, სათავსურა, ლენტურა, ოქროთვალურა, ალურა, თეთრულა, მდიდრულა, მკერდულა. ჯვარულა, ვარდულა, ჩხირულა, წკირულა[3].

წარმოების ეს მოდელი საკმაოდ ფეხმოკიდებულია ტექნიკურ მეცნიერებათა ენაშიც: წებოვანა, შარდოვანა, ფრთოვანა, კაუჩუკოვანა, მინაბოჭკოვანა, ნისლოვანა, ნიჟაროვანა, ქარსოვანა, მიკაქარსოვანა, მინაქარსოვანა, ღობურა, წყობურა, ცხობურა, გუბურა, კუბურა, ბადურა, ბრძმედურა, საკვეთურა, ტაბიკურა, კოშკურა, ძელურა, დოლურა, ზოლურა, ქიმურა, ფასონურა. წვეტურა. შახტურა, ჭიქურა, შუქურა, ბატისფეხურა, გოხურა, ღარულა, კაწრულა, მილიმეტრულა, ჭერისულა, გვირისტულა, ხარატულა, თარაზულა, ბურთულა, დროულა, გვერდულა, ირიბულა, ყავრულა[4].

ანალოგიური შემთხვევების დასახელება მრავლად შეიძლებოდა.

9. ყურადღებას იქცევს საწარმოებელ საშუალებათა რაციონალური გამოყენების შემთხვევები. მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესა-

---

[3] უთუოდ ამ ფორმათა ანალოგიით უნდა აიხსნას იმგვარ ფორმათა გაჩენა, როგორიცაა: კბილანა, მთელანა, თეთრანა, წივანა და მისთ.

[4] ასევე ანალოგიით გაჩენილი ჩანს ბუშტულა, გლინულა, კოპიტულა, ცვილულა და მისთ.

ხელებინა ქიმიის ტერმინოლოგია, სადაც ერთი და იმავე სემანტიკის მქონე **-иан, - овый** სუფიქსები სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული (ისინი მჟავაში ჟანგბადის მოლეკულების შემცველობის საპირისპირო რაოდენობას გამოხატავენ). (შდრ. ქლოროვანი хлористый და ქლორიანი хлорный, ნახშირბადოვანი углеродистый და ნახშირბადიანი углеродный, ქრომოვანი хромистый და ქრომიანი хромовый)[5].

10. ტერმინოლოგიური დანიშნულებისათვის ჩვეულებრივია მაწარმოებელ აფიქსთა სპეციალიზაცია, ანუ ენაში არსებულ აფიქსთა იმგვარი მნიშვნელობით გამოყენება, რომელიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის. მაგალითისათვის გამოდგება არქაული ფორმის მქონე **раз-**||**рас-** ზმნისწინით სათანადო რუსული **раз-**||**рас-** ზმნისწინის სემანტიკის გადმოცემა ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: განმინება, განმუხტვა, განლამვა, განწერტება, განმაგნიტება, განჟანგვა, განწებება, განმოქლონვა, განმუხრუჭება, განმუხტვა, განპირაპირება, განცოცვა, განღრუება, განქარგილება, განსოლვა, განცორვა, განწერტება, განხრახნა, განმრთავი, განმშლამავი, განრთვა, განრჩილვა, განსახლება (ცალ-ცალკე დასახლება), განბლოკირება, განდიდება, განთითება, განფენა, განფუთვა, განქარგილება, განღვრა, განღრუება, განღუნვა, განყალიბება, განშლამვა, განშრევება, განშუნტვა, განწიდვა, განწნეხა, განჭილიბუურება და სხვ.[6]

11. ტერმინოლოგიაში ზოგჯერ ახალი საშუალებაა შექმნილი ზოგი იმგვარი კატეგორიის გადმოსაცემად, რომელიც უცხოა ქართულისათვის. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ზოგიერთ რუსულ მიმღეობათა ქართული შესატყვისებისა და მათი მორფოლოგიური გაფორმების საკითხი.

ცნობილია, რომ რუსულ მიმღეობათა ფორმები ქართულში წარმოების თვალსაზრისით მეტისმეტად ჭრელ სურათს იძლევა. ტრადიციულ წარმოებას თანმიმდევრულად აგრძელებს მხოლოდ მიმღეობათა

---

[5] ქიმიის ტერმინოლოგიის მიმართ აღებული ეს კურსი, რომელიც სხვა დარგებისთვისაცაა გამოყენებული, უთუოდ უცხო და რუსულ ტერმინოლოგიებში შექმნილი ვითარების ამსახველია (იხ. Даниленко В. П. Лингвистическое изучение терминологии и культура речи.—Актуальные проблемы и культура речи. М., 1970. გვ. 318).

[6] იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 251. აფიქსთა რაციონალური გამოყენების გვერდით, სამწუხაროდ, გვხვდება მათი სინონიმური ხმარების შემთხვევებიც (იხ. რ. ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, 1972, გვ. 24; მისივე, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, 1984, გვ. 182—191.

ერთი წყება, სახელდობრ, რუსულ უკუქცევით ზმნათა ნამყოს მიმღეობების შესატყვისები: возобновившийся განახლებული; установившийся დამყარებული, остекловавшийся გამინებული და სხვ.

რაც შეეხება რუსული მოქმედებითი და ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობებს, ერთი მხრით, და უკუქცევით ზმნათა აწმყოს მიმღეობებს, მეორე მხრით, მათ საწარმოებლად გამოყენებულია მიმღეობათა ქართულ ენაში ხმარებული პრეფიქს-სუფიქსური ან ოდენ სუფიქსური წარმოების თითქმის ყველა არსებული შესაძლებლობა. უკუქცევით ზმნათა აწმყოს მიმღეობათა (იმ ტიპისა, როგორიცაა кокующийся და სხვ.) შესატყვისების საწარმოებლად, რამდენადაც ეს კატეგორია უცხოა ქართულისათვის და წარმოების მხრივ ჩამოყალიბების პროცესშია, ახალი ნაბიჯიცაა გადადგმული: აღებულია პირიანი ზმნის გაადიექტივებული ფორმა (კერძოდ, ვნებითი გვარის ზმნის აწმყო დროის ფორმა და მისგან გაკეთებულია სახელი): განშტოვდება → განშტოვდებადი разветвляющийся. ყირავდება → ყირავდებადი, იკოქსებადი, თვითმუხტებადი, იგრიხებადი, მეშავდებადი, ვიწროვდებადი, სქელდებადი, თვითყენღებადი, ვარდებადი, თვითვარვარდებადი, მუხრუჭდებადი, მალეფუჭდებადი, არასველდებადი, იწვებადი, თვითიზეთებადი, თვითიტვირთებადი, თვითიცენტრებადი, თვითიკეტებადი, არაიფიტებადი, თვითიწრთობადი[7].

პირიანი ფორმისაგან სახელის წარმოებას თუმცა არ ვხვდებით ახალ ქართულში, მაგრამ იგი უჩვეულო არ იყო ძველი ქართულისათვის. ზმნის პირიანი ფორმისაგანაა ნაწარმოები, მაგ., რომელიმე **ნეტარ-არიან-ი, უგალობდით-ი, აქებდით-ი, აკურთხევს-ი, მოიკსენენ-ი, ღა-ღადყავს-ი, აღვივსენით-ი** და სხვ.[8]

ამგვარადაა ნაწარმოები დღეს სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვები: **ღირს-ი, არს-ი, მრწამს-ი** და სხვ.

---

[7] დღეს მეცნიერებისა და განსაკუთრებით ტექნიკის ენა ითხოვს ფორმობლივ გამიჯვნას ისეთი სიტყვებისას, როგორიცაა ქოქსვადი коксуемый და იკოქსებადი коксующийся. ისინი სხვადასხვა ნიუანსზე მიუთითებენ: коксуемый ნიშნავს—კოქსვის უნარის მქონე, ის, რაც შეიძლება საზოგადოდ იკოქსებოდეს, ხოლო коксующийся მიუთითებს საგანზე, რომელიც ამჟამად კოქსვის პროცესშია, იკოქსება.

ამგვარ ფორმათა ერთნაირი საშუალებებით გადმოცემასა და ზემოთ ღაბახელებულ ცნებათა შორის ამ ხელშესახები ნიუანსების არდანახვას, სპეციალისტების მტკიცებით, ზოგჯერ პრაქტიკულ შეცდომებამდე მიყვანაც კი შეუძლია.

[8] იხ. Кекелидзе К. С. Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия). Тифлис, 1912, с. 323—342.

ზემოთ დასახელებული წარმოება ამჟამად თანდათან იკიდებს ფეხს ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში და საფიქრებელია, რომ იგი ერთ-ერთ მყარ მოდელადაც შეიძლება იქცეს მომავალში[9].

12. ცალკე უნდა გამოვყოთ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში (ზოოლოგიაში — ენტომოლოგიაში, იქთიოლოგიაში, ორნითოლოგიაში,—,ბოტანიკაში, პალეონტოლოგიაში და ა. შ.) გამოყენებული აფიქსებისა და აფიქსოიდების ერთი წყება, რომელიც ამ დარგების სისტემატიკაში არსებული ტაქსონომიური ერთეულების (ტიპის, კლასის, რიგის, ოჯახის, გვარის და მათი ქვესახეობების) გადმოსაცემად არის შემოღებული. ეს მორფემებია: **-ები, -იანები, -იანნი, -ოვანნი, -ოსანნი, -ებრნი, -ნაირნი, -მაგვარნი, -მსგავსნი** და ა. შ.[10]

სისტემატიკაში სპეციალიზებულია:

-ები: ცხვირგრძელები, ხავერდულები, სამწიფარები, პეპლურები, მჭრეთელები, მოხიზნეები, თათუნები, თეთრულები, მორიელურები, ძუძუმწოვრები, ბურცობები.

-იანები (-იან-ებ-ი): სამქიმიანები, რბილფეხიანები, წინალაყუჩიანები, საკრელკბილიანები, სავარცხელალაყუჩიანები, ორსაგდულიანები, ორლებნიანები, ორკუნთიანები, შოლტფეხიანები, ნისკარტთავიანები, ნაწლავღრუიანები, ნაირკბილიანები, ნავფეხიანები, მუცელფეხიანები, მაჯაფარფლიანები, კლიტიან-საგდულიანები, კენტჩლიქიანები, თბილსისხლიანები, თანასწორკუნთიანები, თავჯავშნიანები, გარენიჟარიანები, ეკალკანიანები, შიშველთესლიანები, ღეროსახსრიანები, ულვაშფეხიანები, ფირფიტალაყუჩიანები, ფოთოლფეხიანები, დუმიანები. ჩანთიანები, ფესვღერძიანები, ცრუხორთუმიანები, შეზრდილმუცლიანები, შაქტანიანები, ღრუმკერდიანები, ბადიფრთიანები, ბეწვფრთიანები, ხეშეშფრთიანები, ფირფიტაულვაშიანები, ტყავფრთიანები, სხვადასხვაგვარძარღვიანები, ორფრთიანები, მრავალფეხიანები, მრავალმუხლიანები, მარტივტრაქეიანები, მარაოფრთიანები, ბუშტფეხიანები, თითებფრთიანები, ხორთუმიანები, ბოლოფეხიანები, ქერცლფრთიანები.

-იანნი (-იან-ნ-ი): ორსაფრიანნი, ორლებნიანნი, მრავალშოლტიანნი, ბუტკოიანნი, მილყვავილიანნი, ერთდღიანნი, გონაპოდიანნი, ბოლქვიანნი, ბადეფრთიანნი, ქაჩაჩიანნი, მთლიანსაცეცებიანნი, კვერცხსადებიანნი;

---

[9] ტერმინოლოგიური ლექსიკის სრულიად განსაკუთრებულობაზე ლაპარაკობს დღეს სპორტის, ქიმიის, მედიცინისა და სხვა მრავალ დისციპლინათა ენა. შედგენილი უჩვეულო ხერხებითა და საშუალებებით. სამწუხაროდ, მათზე შეჩერება აქ არ გვიხერხდება.

[10] ეს მორფემები სისტემატიკაში მიღებული იერარქიის მიხედვით არაა დალაგებული, რამდენადაც ჩვენთვის ენის მორფოლოგიური ინვენტარია ამოსავალი.

-ოვანნი (ოვან-ნ-ი): კენკროვანნი, თესლოვანნი, ვაშლოვანნი, ვარდოვანნი, ერთწლოვანნი, ენტომოფრთოვანნი, გუტაპერჩოვანნი, აბედოვანნი, რთულყვავილოვანნი, ნაყოფჩანთოვანნი, ფირფიტოვანნი, წიწვოვანნი, ციტრუსოვანნი, ნარინჯოვანნი, ქოლგოვანნი;

-ოსანნი (-ოსან-ნ-ი): ტუჩოსანნი, ტაროსანნი, ჯვაროსანნი;

-ებრნი (ებრ-ნ-ი): არყისებრნი, არაუკარიასებრნი, ჰანჭყატასებრნი, ჰადრისებრნი, წყლისუროსებრნი, წიფლისებრნი, ძირმწარასებრნი, ცაცხვისებრნი, ჩაისებრნი, შინდისებრნი, ყაყაჩოსებრნი, ქაშაყისებრნი, ქაფშიასებრნი, ყარყატისებრნი, შევარდნისებრნი, ციყვისებრნი, ცხენისებრნი, ძაღლისებრნი, ფუტკრისებრნი, ხვლიკისთავასებრნი, გირჩისებურასებრნი, ბოლობაწარასებრნი, ხოკერასებრნი, ნემსმუცელასებრნი, თითისტარასებრნი, შხეფიასებრნი, მელაზვიგენისებრნი, აკროპომისებრნი, ამფილიისებრნი, ქამსისებრნი, ჩიბუხასებრნი, თეთრისისხლასებრნი, თვალდიდასებრნი, ჯავშნოსანასებრნი.

-ნაირნი (-ნაირ-ნ-ი): წეროსნაირნი, შევარდნისნაირნი, ყარყატისნაირნი, მტრედისნაირნი, მეთოვლიასნაირნი, ვეშაპისნაირნი, ბატისნაირნი, ნემსთევზასნაირნი, ბოლოგრძელასნაირნი, ღორჯოსნაირნი, ზვიგენისნაირნი, ჰინჭრისნაირნი, ხეჭრელისნაირნი, ჰანჭყატისნაირნი, წიფლისნაირნი, ყაყაჩოსნაირნი, ფურისულასნაირნი, რძიანასნაირნი, ნემსიწვერასნაირნი, მატიტელასნაირნი;

-მაგვარნი (-მაგვარ-ნ-ი): ხოკერასმაგვარნი, მარაოსმაგვარნი, ღორჯოსმაგვარნი, დორაბისმაგვარნი, ანოტოპტერისმაგვარნი, ანაბასისმაგვარნი, უროსმაგვარნი, სიმინდისმაგვარნი, წივანასმაგვარნი, ქერისმაგვარნი, ფეტვისმაგვარნი, ვაციწვერასმაგვარნი.

-მსგავსნი (-მსგავს-ნ-ი): ღორჯოსმსგავსნი, გამბუზიისმსგავსნი, ტუჩოსნისმსგავსნი, თევზგველასმსგავსნი.

როგორც მაგალითებმა გვიჩვენეს, თითოეული ეს აფიქსი, მხოლოდ ტერმინის უბრალო დასახელებაში კი არ იღებს მონაწილეობას, არამედ მას გარკვეულ კლასიფიკაციურ მწკრივში წარმოგვადგენინებს, აფიქსთა ეს მაკლასიფიცირებული ფუნქცია საკუთრივ ტერმინოლოგიური ფუნქციაა, რაც მათ სალიტერატურო ქართულში არ გააჩნიათ.

როგორც იყო ნათქვამი, ასეთი სპეციალიზაცია ტერმინოლოგიური საშუალებებისა და მათი გამოყოფა სალიტერატურო ქართულის განვითარების საერთო გზიდან გაპირობებულია თვით ტერმინოლოგიის სპეციფიკური ფუნქციით, რაც შემდეგში გამოიხატება: ტერმინოლოგია სპეციალური ცნებების აღმნიშვნელ სიტყვათა ერთობლიობას წარმოადგენს და გამოყენებულია საურთიერთო საშუალებად ენობრივი კოლექტივის არა რიგითი წევრებისათვის, არამედ გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, ვიწრო დარგის, ვიწრო პროფესიის წარმომადგენელთა შორის. იგი თავს უყრის ამ დარგისათვის თუ სპეციალო-

ბებისათვის საჭირო, დეტალიზებულ, ერიმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებულ ცნებებს და ტერმინებს.

ფაქტობრივად ყველა დარგის ვიწრო სპეციალისტს თავისი „ენა“ სჭირდება, რომელიც მოცულობის თვალსაზრისით პერმანენტულად იზრდება მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესთან ერთად, მეცნიერებათა განუწყვეტელი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პირობებში. ყოველდღიურად იზრდება ახალი ცნებებისა და ტერმინების საჭიროება.

ბუნებრივია, მეცნიერების ენა ვერ ელოდება საერთო ენის განვითარების სტაბილურსა და მყარ კანონებს და იგი ხშირად ტერმინის შესაქმნელად საკუთარ გზებსა და საშუალებებს იყენებს, თავისებურად ეპყრობა ენობრივ მასალას, ანაწილებს და ზოგჯერ ფუნქციებს უცვლის ტრადიციულ სიტყვაწარმოებას ან სიტყვათა მაწარმოებელ აფიქსებს, ხელოვნურად აგებს ტერმინთა მოდელებს, მთელს სისტემებს.

ასე რომ, ტერმინების შექმნა მთლიანად შეგნებული ენობრივი ოპერაციებია, რომელსაც აქტიური ჩარევა და მოწესრიგება ესაჭიროება. აი რას წერს ამის შესახებ ენათმეცნიერი გ. ვინოკური: „Термины не „появляются“, а „придумываются“, „творятся“ по мере осознания их необходимости“[11].

ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ხშირად ცნობილია ასაკი და ავტორი ამა თუ იმ ტერმინისა, რაც სალიტერატურო ენისათვის, როგორც წესი, უჩვეულოა. ვამბობთ, იოანე პეტრიწის შემოღებულია ტერმინები: გონიერი, წირი, უპირატესი, ეფრემ მცირესია — არსი, მეცნიერება, ილია ჭავჭავაძისეულია — მიმართულება, ღირებულება, სინამდვილე, უარყოფა, შინაარსი; დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის ტერმინები — აღქმა, განწყობა და მთელი წყება ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ტერმინებისა; გიორგი ნიკოლაძისაა — ტანვარჯიში, მსაჯი, მთასვლელობა (შემდეგში მთამსვლელობა) და ბევრი სხვა სატანვარჯიშო ტერმინებისა; ალექსანდრე ჯანელიძის მიერაა შექმნილი სიტყვა ასანთი; ნიკო მუსხელიშვილისაა — განტოლება;[12]; ვუკ. ბერიძისაა — შვებულება, ნიკო ნიკოლაძისაა — ლიანდაგი, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლისაა — ორთქლმავალი; ვასილ პეტრიაშვილისაა ტერმინი ჟანგბადი; ანდრია რაზმაძისაა — შეთანასწორება და სხვ.

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება რთული და მრავალასპექტო-

---

[11] იხ. Винокур Г. О. დასახ. ნაშრ., გვ. 24; Даниленко В. П. Русская терминология. М., 1977, გვ. 91.

[12] ნ. მუსხელიშვილის მიერ თავდაპირველად გატოლება ფორმა იყო შემოღებული. შემდგომში მანვე, გ. ახვლედიანის წინადადებით, გა-ზმნისწინის ძველი ფორმა აღადგინა და დღევანდელი განტოლება მივიღეთ.

ვანი საკითხია. ტერმინთა დერივაციული მოდელების სისრულით გამოვლენა, აღწერა-კლასიფიკაცია, მათი საფუძვლების დაძებნა და ახსნა ცალკე შესწავლის საგანია.

რთულ სიტყვათა მოდელები და მათი სტრუქტურული ანალიზი

ტერმინოლოგიზაციის გრამატიკულ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული და ეფექტური საშუალება, წარმოებასთან ერთად, რთული სიტყვების შედგენაა. სიტყვათა შედგენის ანუ კომპოზიციის პროდუქტიულობა ტერმინოლოგიაში იმდენად საგრძნობია, რომ საერთო სალიტერატურო ენისა და ტერმინოლოგიის შესაპირისპირებლად ზოგჯერ ტერმინის სწორედ ამ სტრუქტურულ თვისებაზე მიუთითებენ.

ტერმინოლოგიაში რთულ სიტყვათა შედგენის ინტენსიური პროცესი, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ისე სხვა ენების ტერმინოლოგიური სისტემებისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც იგი ურთულეს ცნებათა მნიშვნელობის შედარებით კომპაქტურად გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა, და თანაც ისე, რომ რელიეფურად იყოს წარმოჩენილი სიტყვის მოტივაცია, მისი შინაგანი ფორმის გამჭვირვალობა.

სიტყვათა შედგენას, ისევე, როგორც წარმოებას, ტერმინოლოგიაში ძირითადად საერთო სალიტერატურო ენის საშუალებები უდევს საფუძვლად[13].

ტერმინოლოგიისათვის არაა უცხო რთული სიტყვის არც ერთი მოდელი: გვხვდება ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტებიც და ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტებიც.

ტერმინოლოგიაში რთულ სიტყვათა აგებულების შესწავლისას იგივე საკითხები ისმის, რაც საერთო ქართულში: როგორია ამ სიტ-

---

13 სიტყვათა შეერთების ხერხები და შემთხვევები სალიტერატურო ქართულის მასალაზე სრულად აქვს აღწერილი აკ. შანიძეს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, 1973, გვ. 147—162; კომპოზიტების საკითხს საგანგებოდ განიხილავს არნ. ჩიქობავა, რთული ფუძე (კომპოზიტი) და მისი სახეობანი. — ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 224—228; ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959; მ. მრევლიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში. — თუშ, ტ. 67, 1957; ა. კიზირია, კომპოზიტი ახალ ქართულში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, 1981, გვ. 75—90; ლ. სანიკიძე (საკანდიდატო დისერტაცია) და სხვ. სიტყვაწარმოებისა და კომპოზიციის საკითხები ძველი ქართულის მასალაზე სანიმუშოდაა გაშუქებული დ. მელიქიშვილის ნაშრომში „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“, 1975.

ყვათა შემადგენელი ნაწილები და რა სინტაქსური ურთიერთობაა მათ შორის — თანწყობა თუ ქვეწყობა. თუ თანწყობაა — როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ნაწილები („და“ კავშირით, თუ უკავშიროდ)[14], თუ ქვეწყობაა — მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაა გამოხატული, თუ სინტაქსურად სხვა მიმართებაა ნაჩვენები. თუ მსაზღვრელ-საზღვრულია, მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორია მსაზღვრელის ტიპი: ატრიბუტული თუ მართული; დგება საკითხი, თუ რას წარმოადგენს მორფოლოგიურად მსაზღვრელი და საყრდენი ფუძე; რა მეტყველების ნაწილითაა წარმოდგენილი თითოეული მათგანი, როგორფუძიანია I კომპონენტი — ხმოვნიანი თუ თანხმოვნიანი; რა ბრუნვის ფორმითაა იგი შესიტყვებაში, როგორაა წარმოდგენილი ეს ფუძე — სრულად, შეკუმშულად თუ შეკვეცილად და ა. შ.

ტერმინოლოგიაში რთულ სიტყვებთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს სხვა საკითხებიც: რთული სიტყვის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი[15], შესიტყვებათა რთულ სიტყვებად ქცევის პროცესები, უცხო რთულ სიტყვათა მიხედვით შედგენილი მოდელები და ბევრი სხვ.

ამ საკითხებზე უფრო დეტალურად აქ ვეღარ შევჩერდებით[16]. ზოგადი დასკვნები, რომელთა გაკეთების საშუალებას იძლევა კონკრეტული მასალის ანალიზი, ასეთია: მეცნიერების ენის სიტყვათა შედგენის წესები მთლიანად დამყარებულია სალიტერატურო ქართულის სისტემაზე, მის გრამატიკულ საშუალებებზე, ოღონდ ტერმინოლოგიაში გაცილებით ძლიერია ტენდენცია გაკომპოზიტებისაკენ. განსხვავებულია ასევე ამა თუ იმ ცალკეული მოდელის ხმარების ინტენსივობაც.

ის, რაც განასხვავებს ტერმინოლოგიურ სისტემას და გამოყოფს მას სალიტერატურო ქართულის განვითარების საერთო გზიდან, ეს გახლავთ რთული სიტყვების ის მოდელები, რომელიც აფიქსოიდების საშუალებითაა შედგენილი.

---

[14] ტერმინოლოგიაში საკმაოდ ხშირია აპოზიტიური ტიპის შესიტყვებებიც იმ ტიპისა, როგორიცაა: ინჟინერ-ქიმიკოსი, კონტრ-ადმირალი, მატჩ-ტურნირი, გროტ-ანძა და მისთ. (ამის შესახებ იხ. Вартапетов С. С. Устойчивые словосочетания аппозитивного типа в современное русском языке (Автореф.). М., 1969; ასევე: Абакшина Г. М. Теория и практика современной лексикографии.—Сборник научных трудов. М., 1984, с. 135.

[15] ტერმინოლოგიაში ხშირია ინვერსიულ მსაზღვრელსაზღვრულიანი კომპოზიტის ტიპი (წყალუხვი, კალამცრე, ანთრაციტღერღილი, ფრთამაღალი, მიწატკეპნილი, ქვაყრილი, ზომამცირე, ზომასრული და სხვ.).

[16] ამ თვალსაზრისით ჩვენ მიერ შესწავლილია ტერმინოლოგიური ლექსიკონების ვრცელი მასალა.

აფიქსოიდები სხვა ენებიდან (ძირითადად ბერძნულ-ლათინური ენებიდან) მზამზარეულად შემოტანილ სტრუქტურულ ელემენტებს ეწოდება, რომლებსაც ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონია (ეს მნიშვნელობა, შესაძლებელია, დღესაც მთლიანად დაკარგული არ ჰქონდეს), მაგრამ დროთა განმავლობაში ეს დამოუკიდებლობა დაუკარგავს და რთული სიტყვის ისეთ შემადგენელ ნაწილად ქცეულა, რომელსაც სიტყვის მაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია მიუღია. აქედანაა მისი სახელწოდებაც — აფიქსოიდი ანუ (აფიქსი+ბერძნ. eidos) აფიქსის მსგავსი, აფიქსისნაირი. სიტყვებში — ანემოგრაფი, ოსცილოსკოპი, ფსიქრომეტრი, ეკოლოგია და ა. შ. — მორფემები: -გრაფ-ი, -სკოპ-ი, -მეტრ-ი, -ლოგია აფიქსოიდებია.

თითოეულ ამ აფიქსოიდს თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს: -გრაფ-ი აღნიშნავს ხელსაწყოს, რომლითაც ავტომატურად იწერენ რაიმეს (იშვიათად შეიძლება მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს), -სკოპ-ი — ოპტიკურ ხელსაწყოს ან ინსტრუმენტს, რომლითაც აკვირდებიან რაიმეს, -მეტრ-ი—საზომ ხელსაწყოს, რომლითაც ზომავენ რაიმე სიდიდეს, -ლოგია გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინათა სახელწოდებებისათვის და ა. შ.

აფიქსოიდები ხან თავში დაერთვიან სიტყვას, ხან ბოლოში. ამისდა მიხედვით ისინი განიყოფებიან პრეფიქსოიდებად და სუფიქსოიდებად. ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ყველგან სუფიქსოიდები გვქონდა (-გრაფი, -სკოპი, -მეტრი, -ლოგია). პრეფიქსოიდებია: აერო-, გეო-, კვაზი-, მიკრო-, მაკრო-, ვიდეო- და სხვ. (აეროვაგზალი, გეომაგნეტიზმი, კვაზიელექტროიდი, მიკროანალიზი, მაკროსტრუქტურა. ვიდეოსიგნალი და ა. შ.):

ტერმინთა ასაგებად გამოყენებული ეს ელემენტები, ანუ აფიქსოიდები საერთაშორისო ენობრივ მასალადაა ქცეული და თითქმის ყველა ენაშია გამოყენებული, ამიტომ მათ საერთაშორისო ტერმინელემენტებს, ანუ საერთაშორისო აფიქსოიდებს უწოდებენ[17].

---

17 აფიქსოიდს სამეცნიერო ლიტერატურაში მეტწილად ტერმინელემენტს („терминоэлемент“) უწოდებენ (ლოტე, კანდელაკი, დანილენკო, იუშმანოვი და ბევრი სხვ.). მაგრამ, რადგანაც სიტყვა „ტერმინელემენტი“ თავისი მნიშვნელობით მეტად ზოგადია (იგი არა მხოლოდ აფიქსოიდებს მოიცავს, არამედ ა) მორფოლოგიური წარმოების ყველა ცალკეულ კომპონენტს (ძირს, პრეფიქსს, სუფიქსს); ბ) სინტაქსური წესით შედგენილი ტერმინების ცალკეულ კომპონენტებს და გ) ზოგიერთ ავტორთან — სიმბოლურად, ციფრობრივად და გრაფიკულად გამოხატულ ტერმინებსაც), ამიტომ ჩვენ ძირითადად ტერმინ „აფიქსოიდს“ ვიხმართ. ეს უკანასკნელი უფრო კონკრეტულად ასახელებს ჩვენთვის საჭირო ცნების შინაარსს.

საერთაშორისო აფიქსოიდები რიცხობრივად ძალიან დიდ ჯგუფს ქმნის და საკმაოდ დიდი რეგულარობითაც ხასიათდება[18].

საერთაშორისო აფიქსოიდები სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს ქმნის. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ამ ტიპის ტერმინთა ძირითადი ჯგუფები[19].

ქართულში აფიქსოიდები როგორც ფორმობრივად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო ფონეტიკურ ცვლილებებს), ისე სემანტიკურად ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ, როგორსაც რუსულ-

---

[18] რუსულში ეს აფიქსოიდები აღრიცხულია და თავმოყრილი ნ. იუშმანოვის მიერ შედგენილ სპეციალურ ლექსიკონში „Элементы международной терминологии", რომელიც ერთჯერადა უცხო სიტყვათა ლექსიკონს და რამდენჯერმე იყო გამოქვეყნებული (1933, 1937, 1941 წლებში). 1968 წ. იგი გამოიცა ცალკე წიგნად, ხოლო 1979 წელს—კვლავ, როგორც დამატება წიგნისა: Краткое методическое пособие по разработке и упорядочению научно-технической терминологии, с. 99—125). ავტორს სალექსიკონო მასალა მის მ-ერვე დამუშავებული უცხო სიტყვათა გრამატიკიდან ჰქონია ამოკრებილი.

დასახელებულ ლექსიკონში რუსულში გამოყენებული 1100 ტერმინელემენტია შეტანილი, აქვეა მოცემული მათი წარმომავლობა და მნიშვნელობა. ამ ტიპის ლექსიკონები სხვა ავტორებისა და სხვა ენებისთვისაც არის ცნობილი. მათ შორის ყურადღებას იქცევს ინგლისური ენის მასალაზე შედგენილი ვ. ფლუდის ლექსიკონი: „ტერმინები, მათი სტრუქტურა და მნიშვნელობა" (იხ. W. E. Flood, Scientific words. Their structure and meaning. Oldbourne, Londone, 1960), რომელშიც მოცემულია თითქმის ყველა საერთაშორისო ტერმინელემენტი (1150 ერთეული), ნაჩვენებია მათი წარმომავლობა, ისტორია და სემანტიკური სპეციალიზაცია. ასევე დ. ჰელერისა და დ. სვინსონის წიგნი: „ტექნიკური ტერმინოლოგიის ელემენტები" (იხ. J. L. Heller and D. C. Swanson. Elements of technical terminolcgy. Illini Union Bocksfore, 1962), რომელშიც დასახელებულია 1129 ელემენტი (იხ. კანდელაკის შრომა „Об одном типе словаря международных терминоелементов." М., 1967, с. 42—49). კანდელაკი მიმოიხილავს რა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ავტორის მიერ გამოცემულ აფიქსოიდების ლექსიკონებს, დაწვრილებით ჩერდება ჰოლანდიელი ენათმეცნიერის ჰ. ბიუისკულის ლექსიკონზე (იხ. H. E. Buiskool, Ontstaan en de vorming oon nieuwe woorden. Tweede druk, Centrale Taalcommissie voor Techniek (C. T. T.), Centraal Normalisatienbüreau, 1942), რომელიც, მისი აზრით, ტერმინელემენტების პოვნისა და გამოყენების თვალსაზრისით უჯრო რაციონალურ პრინციპზეა აგებული, ვიდრე სხვა ლექსიკონები.

კანდელაკის დასახელებული ნაშრომი კიდევ იმითაა საყურადღებო, რომ ავტორი წარმოადგენს მეტად საინტერესო პროექტს ტერმინელემენტების რუსული ლექსიკონების შესადგენად, მათ შესაძლო სტრუქტურას, რომელთა მიხედვით, უნდა მოხერხდეს საჭირო ტერმინელემენტების ოპტიმალური ხერხებით მიგნება და ტერმინის აგების ზუსტი ტექნიკის დადგენა.

[19] Григорьев В. П. Так называемые интернациональные сложные слова в современном русском языке.—ВЯ, 1959, № 1, с. 65—78. აფიქსოიდების შესახებ საგანგებო მსჯელობაა ლოტეს, ვინოგრადოვის, გალკინა-ფედორუკის, სმირნიცკის, კანდელაკის, დანილენკოსა და სხვათა შრომებშიც.

ში. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საერთაშორისო აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინები ძირითადად რუსულის გზითაა შემოსული და დამკვიდრებული ჩვენში. სხვაობა მხოლოდ აფიქსოიდების ფუძეებთან კომბინაციაში შეიძლება იჩენდეს თავს.

ქართულში საერთაშორისო პრეფიქსოიდებიდან განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება: აერო- (აეროგრაფია, აეროდინამიკა), ავტო- (ავტომატი, ავტომოდულაცია), ანტი- (ანტიციკლონი, ანტიდეტონატორი), ასტრო- (ასტროფიზიკა, ასტრომეტრია), ბი- (ბივარიანტული, ბიკარბონატი), ბიო- (ბიოტექნიკა, ბიოსფერო), გეო- (გეომორფოლოგია, გეომაგნეტიზმი), ექსტრა- (ექსტრაპოლაცია, ექსტრასისტოლოგია), ვიდეო- (ვიდეოსპექტრი, ვიდეოტელეფონი), იზო- (იზოგამები, იზომეტრია), ინტერ- (ინტერმოდულაცია, ინტერპოლაცია), კვაზი- (კვაზიევტექტოიდი, კვაზიმოლეკულა), კონტრ- (კონტრბარომეტრი, კონტრრეზერვუარი), მაგნიტო- (მაგნიტოგრამა, მაგნიტოოპტიკა), მაკრო- (მაკროკოსმოსი, მაკროსტრუქტურა), მიკრო- (მიკრორელიეფი, მიკროოპტიკა), მონო- (მონოსილიკატი, მონორელსი), ნევრო- (ნევროპათია, ნევროპათოლოგია), ნეირო- (ნეიროქირურგია, ნეიროფსიქოლოგია), პირო- (პიროტექნიკა, პიროფოსფორმჟავა), პოლი- (პოლიკარბონატები, პოლიმორფიზმი), რე- (რეპროდუქცია, რეორგანიზაცია), სუბ- (სუბსილიკატი, სუბსტანდარტი), სუპერ- (სუპერპოზიცია, სუპერჰეტეროდინი), ტელე- (ტელეგრამა, ტელეგრაფი), ტეტრა- (ტეტრაედრი, ტეტრაქლორეთილენი). ულტრა- (ულტრამიკრონი, ულტრამიკროსკოპი), ფონო- (ფონოგენერატორი, ფონოგრაფი), ფოტო- (ფოტოთერაპია, ფოტობიოლოგია), ფსევდო- (ფსევდოსფერო, ფსევდოტენზორი), ჰელიო- (ჰელიოფიზიკა, ჰელიოაკუმულატორი), ჰიდრო- (ჰიდროაკუსტიკა, ჰიდროგეოლოგია), ჰიპერ- (ჰიპერკომპაუნდირება, ჰიპერემია), ჰიპო- (ჰიპოცენტრი, ჰიპოპლაზია) და სხვ. სუფიქსოიდებიდან: -გრამა (რადიოგრამა, სეისმოგრამა), -გრაფი (ჰელიოგრაფი, პნევმოგრაფი), -გრაფია (კრისტალოგრაფია, ტოპოგრაფია), -დრომ-ი (აეროდრომი, კოსმოდრომი), -თეკა (ბიბლიოთეკა, ფონოთეკა), -კარ-ი (ავტოკარი, ელექტროკარი), -ლით-ი (ოსცეოლითი, ქრიზოლითი), -ლოგ-ი (ფილოლოგი, ოკეანოლოგი), -ლოგია (ორნითოლოგია, სენელოგია), -ლოკაცია (რადიოლოკაცია, ჰიდროლოკაცია), -მეტრ-ი (ალტიმეტრი, ლაქტომეტრი), -მეტრია (რადიომეტრია, დოზიმეტრია), -ნავტ-ი (კოსმონავტი, აერონავტი), -ნავტიკა (კოსმონავტიკა, აერონავტიკა), -ნომ-ი (პოლინომი, მეტრონომი), -ნომია (ასტრონომია, მონოდრომია), -პლან-ი (ცენტროპლანი, ჰიდროპლანი), -სკოპ-ი (სტეთოსკოპი, ფონენდოსკოპი), -სკოპია (სპექტროსკოპია, დეფექტოსკოპია), -სტატ-ი (ჰომეოსტატი, სტრატოსტატი), -ტიპ-ი (მონოტიპი, ლინოტიპი), -ტორ-ი (ფლოტატორი, როტატორი), -ტრონ-ი (ნეგატრონი, ტრიგატრონი), -ფიკაცია (გაზიფიკაცია, ელექ-

ტრიფიკაცია), -ფირ-ი (კალაფირი, ვიტროფირი), -ფონ-ი (ფოტოფონი, მაგნიტოფონი), -ფონია (ტელეფონია, სტერეოფონია), -ქრომ-ი (ინფრაქრომი, ორთოქრომი, ფეროქრომი) და სხვ.

ეს აფიქსოიდები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა ტერმინოლოგიურ სისტემებში იჩენს თავს და იმდენად იკიდებს ფეხს, რომ დღეს მათი საშუალებით შედგენილი რთული სიტყვები ტერმინოლოგიური ლექსიკის მნიშვნელოვან ფენას შეადგენს.

თითოეულ ამ აფიქსოიდს ბერძნულსა და ლათინურში თავისი გამჭვირვალე სემანტიკა აქვს[20]. მაგრამ ერთია ის მნიშვნელობა, რომელიც მათ ამ კლასიკურ ენებში აქვთ, და, მეორეა ის მნიშვნელობა, რომელიც მათ სხვა ენებში უჩნდებათ. მსესხებელ ენებში ზემოთ დასახელებული აფიქსოიდები დამოუკიდებლად არ გვხვდება და, ჩვეულებრივ, ახალ ტერმინთა მაწარმოებელ საშუალებადაა გამოყენებული. ამ როლში აფიქსოიდები ხშირად განსხვავებულ, სპეციალიზებულ შინაარსს იძენენ და ტერმინის მნიშვნელობის ერთგვარ მოდიფიკაციას ახდენენ. მაგალითად, ტერმინ **ანემოგრაფში**, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება (ბერძ. anemos ქარი და graphō ვწერ), აფიქსოიდად გამოყენებული გრაფ-ი პროცესს კი არ გამოხატავს, არამედ იხმარება როგორც ზოგადი მნიშვნელობის მქონე მორფემა ავტომატურად ჩამწერი ხელსაწყოს აღსანიშნავად. ერთ სიტყვად შეერთებული ეს ორი ნაწილი კი გამოხატავს ხელსაწყოს, რომელიც ავტომატურად იწერს ქარის სისწრაფესა და მიმართულებას. ანდა: **ოსცილოსკოპი** (ლათ. oscillum რხევა და ბერძნ. skopeō ვუყურებ) — ხელსაწყო ელექტრულ პროცესებზე ვიზუალური დაკვირვებისათვის, **დინამომეტრი** (ბერძნ. dynamis ძალა და metreō ვზომავ) — ძალის გასაზომი ხელსაწყო, **ეკოლოგია** (ბერძნ. oikos სახლი და logos მოძღვრება) — ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას და ა. შ.[21]

როგორც ვხედავთ, აფიქსოიდების მეცნიერული სპეციალიზაციის შედეგად ტერმინში მოცემულია ზუსტი მოტივირება, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვევით დავადგინოთ, როგორია ტერმინით გამოხატული ცნების კატეგორიის ტიპი, ე. ი. ცნება პროცესების კატეგორიას განეკუთვნება, საგნებისას, საზომი ერთეულებისას, მეცნიე-

---

[20] იუშმანოვის ზემოთ დასახელებულ ლექსიკონში მითითებულია თითოეული მათგანის ზუსტ მნიშვნელობაზე.

[21] უცხო სიტყვათა განმარტებანი ამოღებულია მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან", 1973.

რებათა კატეგორიას ან სხვას, თუ გამოხატავს კატეგორიათა შიგნით უფრო ვიწრო კლასებსა და ქვეკლასებს[22].

ტერმინის იმ ნაწილს (კერძოდ აფიქსოიდს), რომელიც ცნების კატეგორიას განსაზღვრავს, კანდელაკი საკატეგორიო ტერმინელემენტს უწოდებს, ხოლო სიტყვის ძირს, რომელიც უფრო კონკრეტულ სპეციფიკურ ნიშანზე მიუთითებს — სპეციფიკურ ტერმინელემენტს[23].

ზოგჯერ სპეციალიზაცია ხდება არა მხოლოდ აფიქსოიდებისა, არამედ ძირებისაც.[24]

საერთაშორისო აფიქსოიდების საშუალებით თვით ბერძნულ-ლათინურ ენებშიც ბევრი სიტყვაა შედგენილი. სხვა ენები მზამზარეულად სესხულობენ კლასიკურ ენებში შედგენილ ამ უცხო სიტყვებს, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, მათი მნიშვნელობა მსესხებელ ენაში ხშირად მოდიფიცირებულია: **ანტითეზისი** (ბერძნ. antithesis დაპირისპირება) — მსესხებელ ენაში: ამოსავალი დებულების (თეზისის) საწინააღმდეგო დებულება; **ინტერპოლაცია** (ლათ. interpolatio განახლება, შეცვლა) — 1. რაიმე ნაწარმოების ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის; 2. (მათემ.) ფუნქციის შუალედ მნიშვნელობათა მონახვა მისი ზოგიერთი ცნობილი მნიშვნელობის მიხედვით; **პოლიმერია** (ბერძნ. polymereia მრავალი ნაწილის არსებობა) — (ქიმ.) მოვლენა, რომლის დროსაც ერთი და იმავე შემადგენლობის ნივთიერებანი მოლეკულაში შეიცავენ ერთი და იმავე ატომების ორმაგ, სამმაგ და მეტ რაოდენობას; **რედუპლიკაცია** (ლათ. reduplicatio გაორმაგება) — (ლინგვ.) სიტყვაწარმოება ფუძის გაორმაგებით. ამ რიგისაა სიტყვები: გეომეტრია, ანტინომია, ანტიპათია, ანტიციპაცია, კონტრაქტურა, მონოლოგი, პოლიგლოტი, პოლიგრაფია,

---

22 მაგალითად, -გრაფ-ით ნაწარმოები ტერმინები ყოველთვის საგნების კატეგორიას გამოხატავს, -აცია — ყოველთვის პროცესების კატეგორიას, -ლოგია — სამეცნიერო დისციპლინას და ა. შ.

საკატეგორიო ტერმინელემენტის ეს კლასიფიკაცია კარგადაა მოცემული გრიგორიევისა და კანდელაკის სტატიებში (იხ. Григорьев В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 66—78; Канделаки Т. Л. დასახ. ნაშრ., გვ. 39—41).

23 ლოტე ამ.სათვის სხვა ტერმინებს ხმარობდა: განსაზღვრელი ნაწილი (определяемая часть) და განმსაზღვრელი ნაწილი (определяющая часть) (იხ. Лотте Д. С., დასახ. ნაშრ. გვ. 86).

24 კანდელაკი ამის ნიმუშად ბერძნულ „კრიო“ (kryos სიცივე, ყინული) და „პირო“ (pyr ცეცხლი) სიტყვებს ასახელებს. პირველი სიტყვა ტერმინოლოგიაში გამოყენებულია დაბალი ტემპერატურის აღსანიშნავად (კრიოგენური, კრიოსფერო, კრიოსტატი, კრიოჰიდრატი და ა. შ.), ხოლო მეორე — მაღალი ტემპერატურისათვის (პირომეტალურგია, პირომეტრი, პიროსკლეროზატები და ა. შ.). (იხ. Канделаки Т. Л. დასახ. ნაშრ., გვ. 41).

პოლიფონია, რეგენერაცია, რეკუპერატორი, რეკუპერაცია, ტეტრალოგია, ფსევდონიმი, ჰიპოთეზა და სხვ.

როგორც ითქვა, ეს სიტყვები ბერძნულსა და ლათინურ ენებშივეა შედგენილი საკუთარი ტერმინელემენტებისაგან და შემდეგაა გადმოტანილი სხვა ენებში. მაგრამ ზოგჯერ მსესხებელ ენაში კლასიკური ენებიდან მხოლოდ ცალკეული ელემენტებია ნასესხები (ან აფიქსოიდი, ან ძირი, ან ორივე ელემენტი, მაგრამ ისეთი ელემენტები, რომლებიც არ გვხვდება დამოუკიდებლად სხვა ენებში) და მთლიანი სიტყვა ამ მსესხებელ ენაშია გაფორმებული. მაგალითად: **ტელევიზია** (ინგლ. television) თუმცა ბერძნულ-ლათინური ელემენტებისაგან შედგება (ბერძნ. tēle შორს+ლათ. visio ხედვა), მაგრამ ინგლისურშია შედგენილი, **აეროდრომი** (ფრ. aérodrome<ბერძნ. aēr ჰაერი+ბერძნ. dromos სარბენი ადგილი) ფრანგულშია შედგენილი, **კონტრაბასი** (იტალ. contrabasso) — იტალიურში, **კონტრაპუნქტი** (გერმ. kontrapunkt) — გერმანულში და ა. შ.

ამ რიგისაა ტერმინები: ტელეტაიპი, ტელეგრაფი, ტელეფონი, აეროპლანი, თერმომეტრი, კინემატოგრაფი, მეტროპოლიტენი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრაქტორი, კოსმოდრომი, კოსმოგრაფია, კოსმოლოგია, აერონომია, ასტრონავტი, აერონავტი, ტელესკოპი, მიკროსკოპი, პოლიტიპაჟი, პლანიმეტრია, ტერმინოლოგია, ტექნოლოგია, ტექსტოლოგია, აგრობიოლოგია, რემილიტარიზაცია, ცინკოგრაფია, ელექტროლიზი, აეროსტატი, აეროდინამიკა, ავტოკლავი, კონტრაბანდა, კონტრაბასი, კონტრალტო, პოლიგამია, პოლივიტამინი, პოლიპერსონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, რენტგენოგრაფია და ბევრი სხვ.[25]

ამ ტიპის ტერმინებში ცალკეული ელემენტები შეიძლება სხვადასხვა ენის კუთვნილებასაც კი წარმოადგენდეს, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებიდან ამგვარი ჰიბრიდული ტერმინებია, მაგალითად: ტელეტაიპი (ბერძნ.+ინგლ.), პოლიტიპაჟი (ბერძნ.+ფრ.), პლანიმეტრია (ლათ.+ბერძნ.), რემილიტარიზაცია (ლათ.+ფრ.), ცინკოგრაფია (გერმ.+ბერძნ.) და სხვ.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ამა თუ იმ უცხო ენის მორფემების (აფიქსოიდების, ძირების, აფიქსების) ქონა სიტყვაში ჯერ კიდევ არ

---

[25] უცხო ელემენტებისაგან რუსულ ენაში შედგენილი ტერმინების მაგალითად ლოტე ასახელებს სიტყვებს: деформатор, дешифратор, декодатор, რომელთა ცალკეული მორფემები (პრეფიქსი де, ძირეული ფუძე — форм- და სუფიქსები -ат და -ор) ლათინური წარმომაელობისაა და რუსულში არაერთგზისაა ბევრ სხვადასხვა სიტყვაში გამოყენებული (იხ. Лотте Д. С. Вопросы заимствования и упорядочения иноязычных терминов и терминоэлементов. М., 1982, с. 11).

ნიშნავს იმას, რომ სიტყვა იმავე ენის კუთვნილებად იქნეს მიჩნეული. იგი შეიძლება რომელიმე სხვა (ამ ელემენტების მსესხებელ) ენაში იყოს შედგენილი, რაც ხშირ შემთხვევაში იოლი დასადგენი არ არის. უცხო ენათა ლექსიკონები ამგვარ ინფორმაციას ყოველთვის ვერ აწვდის მკითხველს. ამას საგანგებო ეტიმოლოგიური ძიება და შესწავლა სჭირდება.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში საერთაშორისო აფიქსოიდები ყველგან უცხო ძირებთან კომბინაციაში გვხვდებოდა, მაგრამ ამ აფიქსოიდების აქტიურობა იმდენად ძლიერია, რომ ისინი შესაძლებელია რუსულ და ქართულ ძირებსაც ერთვოდეს: антиобледенитель ანტიშემომყინავი, субсоединение სუბშენაერთი, ультразвук ულტრაბგერა, микрозернистый მიკრომარცვლოვანი, супергрупповой სუპერჯგუფური, гидростанция ჰიდროსადგური და სხვ.

აფიქსოიდებით ნაწარმოებ სიტყვებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, ზოგი მათ „ინტერნაციონალურ რთულ სიტყვებს“ უწოდებს[26], ზოგი კი ნაწარმოებ სიტყვებად მიიჩნევს[27].

ჩვენის აზრით, აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები ხელაღებით არც რთულ სიტყვებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი და არც ნაწარმოებად. ესაა ერთგვარად გარდამავალი ჯგუფი რთულსა და ნაწარმოებ სიტყვებს შორის. თუმცა ეს კია, რომ, რადგანაც ამგვარ სიტყვათა უმრავლესობაში სიტყვის შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და ამავე დროს რეგულარულად გამოიყენება როგორც ყალიბი სხვა დერივატების საწარმოებლად, ბევრი მათ

---

[26] იხ. Григорьев В. П. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[27] Виноградов В. В. Русский язык, 1947, с. 128.

ამგვარი სიტყვების შეფასებისას ვინოგრადოვი გარკვეულ მერყეობას იჩენს. აფიქსოიდებად წოდებულ ტერმინელემენტებს იგი ხან აფიქსებად მიიჩნევს და, მაშასადამე, ამისაგან შედგენილ სიტყვებს — ნაწარმოებ სიტყვებად, ხან კი მათ ნეიტრალურ სახელს „ინტერნაციონალური ტერმინების შემადგენელ ნაწილებს“ უწოდებს და თვით სიტყვებს რთულ სიტყვებად თვლის (იხ. გრიგორიევის დასახ. ნაშრ., გვ. 70). ასეთსავე ნეიტრალურ სახელს („словоэлементы“) არჩევს აფიქსოიდებს ი. პროტჩენკოც (Протченко И. Ф. Из наблюдений над интернациональной лексикой.—РЯШ, 1962, № 3, с. 6). მერყეობას იჩენს სმირნიცკიც (იხ. Смирницкий А. И. Некоторые замечания о принципах морфологического анализа основ.—Доклады и сообщения филологического факультета МГУ, вып. 5, 1948, с. 25). გალკინა-ფედორუკის მიხედვით, ეს მორფემები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან აფიქსებად არიან ქცეული. მაშასადამე, თვით სიტყვები მას აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებთან აქვს გათანაბრებული (იხ. Галкина-Федорук Е. М. Современный русский язык. Лексика. М., 1954, с. 109). ამავე აზრისაა ზ. პოტიხაც (იხ. Потиха З. А. Современное русское словообразование. М., 1970, с. 138).

ნაწარმოებ სიტყვებს უფრო უახლოვებს და ამდენად დერივაციულ ჯგუფში აქცევს. მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყვნენ ისინი კვალიფიცირებული, სულერთია. მთავარი ისაა, რომ მეცნიერების ენაში საერთაშორისო აფიქსოიდებით შედგენილ ტერმინთა მოდელები დღეს საგანგებო ყურადღებას იქცევს, რადგანაც ტერმინოლოგიური ლექსიკის ერთ მეტად მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს.

აფიქსოიდებით ტერმინების აგებას ბევრი უპირატესობა აქვს, უპირველეს ყოვლისა: ა) ამგვარი ტერმინები სემანტიკური სიცხადით გამოირჩევა, რამდენადაც ეს მორფემები ყოველთვის მოტივირებულია; ბ) ამგვარი წარმოება ხელს უწყობს ერთნაირი კატეგორიის ცნებებისათვის ერთნაირი მოდელების შემუშავებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ცნებათა სწორი და ლოგიკური კლასიფიკაციისათვის; გ) აფიქსოიდების საშუალებით ადვილად მიიღწევა სისტემურობა, რასაც ტერმინოლოგიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს; დ) ამ წესით შედგენილი ფორმები ლაკონიურია და ერთგვარი მოქნილობით ხასიათდება (ტერმინთა ცალკეული ელემენტები ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს, ხოლო მთელი სიტყვა ადვილად იძლევა შემდგომი წარმოების საშუალებას)[28].

ამგვარად, სტანდარტული ტერმინელემენტების გამოყენება საკუთრივ ტერმინოლოგიური სისტემის ნიშანდობლივი ფაქტია და იგი სალიტერატურო ენისა და ტერმინოლოგიის სიტყვაწარმომქმნელ საშუალებათა დასაპირისპირებელ ერთ-ერთ ყველაზე ხელშესახებ მასალად შეიძლება გამოდგეს.

რთულ სიტყვებზე მსჯელობისას ცალკე უნდა გამოვყოთ ტერმინების ის ჯგუფი, რომლის პირველ კომპონენტს უცხო წარმომავლობის ზედსართავების (იშვიათად არსებითების) შემოკლებული ფორმა შეადგენს. ესენია: აგრო- (აგრონომიული), ავტო-[1] (ავტომობილისა, საავტომობილო; ავტობუსისა, საავტობუსო), ავტო-[2] (ავტომატური), ასტრო- (ასტრონომიული), ბენზო- (ბენზინისა), ბიო- (ბიოლოგიური), გალვანო- (გალვანური), ელექტრო- (ელექტრული), ენერგო- (ენერგეტიკული), ვიბრო- (ვიბრაციული), ზოო- (ზოოლოგიური), თერმო- (თერმული), კოსმო- (კოსმოსური), მეტეო- (მეტეოროლოგიური), მოტო-[1] (მოტორიზებული), მოტო-[2] (მოტოციკლეტისა), პნევმო- (პნევმატიკური), რადიო- (რადიაციული, რადიოაქტიური), სეისმო- (სეისმოლოგიური). სტერეო- (სტერეოსკოპული), ტელე-[1] (ტელევიზიისა, სატელევიზიო), ტურბო- (ტურბინა), ფიზიო- (ფიზიკური), ფოტო-

---

[28] საერთაშორისო ტერმინელემენტების დასახასიათებლად საინტერესო ცნობებია მოცემული ტ. კანდელაკის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 41.

(ფოტოგრაფიული), ფსიქო- (ფსიქიური), ჰერმო- (ჰერმეტული), ჰიგრო- (ჰიგროსკოპიული).

ამგვარად, ელემენტები აგრო-, ავტო-, ასტრო-, ბენზო-, ბიო-, ვიბრო-, თერმო-, კოსმო-, პნევმო-, ელექტრო- და მისთანები იმგვარივე ფუნქციას ასრულებენ სიტყვაში, რასაც აფიქსოიდები (კერძოდ, პრეფიქსოიდები).

ეს ელემენტებიც (მეტ-ნაკლები პროდუქტიულობით), ისევე როგორც აფიქსოიდები, შესაძლებელია ქართულ ფუძეებთან კომბინაციაშიც შეგვხვდნენ: ბენზომჟავა, ელექტროამძრავი, ენერგომატარებელი, ვიბრონემსი, თერმოდამუშავება, კოსმოხედვა, ავიატყვიამფრქვევი, პნევმომტვირთავი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ეს ელემენტები წარმოების რეგულარობის, გარეგნული ფორმობლივი ელფერისა და ფუნქციის მიხედვით აფიქსოიდებს მაგივრობას ეწევიან, ჩვენ მათ ამ უკანასკნელებთან მაინც ვერ გავაიგივებთ და ცალკე ჯგუფად გამოვყოფთ.

ამგვარად, გვაქვს, ერთი მხრით, აფიქსოიდებით შედგენილი სიტყვები და, მეორე მხრით, უცხო სახელთა შემოკლების საფუძველზე მიღებულ სიტყვათა რეგულარული ტიპები.

აფიქსოიდების ქართული ეკვივალენტები

ქართულ ენაში საერთაშორისო აფიქსოიდების გვერდით ძალიან ხშირად მათი ქართული ეკვივალენტები გვხვდება. აფიქსოიდებთან დაკავშირებით შექმნილი ეს ტენდენცია — საერთაშორისო აფიქსოიდების საკუთარ ენაზე თარგმნისა — შეინიშნება არა მხოლოდ ქართულში, არამედ რუსულში და ბევრ სხვა ენაშიც (შდრ. ლათ. super-, რუს. сверх-, ქართ. ზე-; ბერძნ. avto-, რუს. само-, ქართ. თვით-; ლათ. sub-, რუს. под-, ქართ. ქვე-; ბერძნ. anti-, რუს. противо-, ქართ. წინაღ-; საწინაღო-; ბერძნ. pseudos-, რუს. лже-, ქართ. ცრუ- და ა. შ.).

რას წარმოადგენს საერთაშორისო თუ რუსული აფიქსოიდების ქართული ეკვივალენტები ენობრივად (მორფოლოგიურად, სტრუქტურულად) და როგორია მათი გავრცელების არე?

ქართულში ისევე, როგორც სხვა ენებში, აფიქსოიდების როლში, ჩვეულებრივ, გვევლინება ისეთი მორფემები, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს (გადამეტ-, ქმა-, თბო-, -ბადი, -ნაგი, -თანი და ა. შ.), თუმცა არის შემთხვევები (და არცთუ იშვიათად), როდესაც სიტყვებს ეს დამოუკიდებლობა დაკარგული არა აქვს და მაინც აფიქსოიდების ფუნქციას ასრულებს.

სრულმნიშვნელობიანი სიტყვებიდან აფიქსოიდების როლში ძირითადად გვხვდება ზედსართავები, მიმღეობები, ზმნისართები, შეკვეცილი ან სრული სახით (დაბალ-, მაღალ-, მსხვილ-, წვრილ-, -საზომი, -მავალი, -გამტარი, -მდგრადი, -მედეგი და სხვ.)[29].

დავიწყოთ პრეფიქსოიდებიდან:

1. **გადამეტ-** (შეესატყვისება რუს. **пере-**[1] ზმნისწინს). გამოყენებულია პროცესისა და თვისების კატეგორიის .იმ ტიპის სიტყვების საწარმოებლად, სადაც მოქმედების ინტენსივობა, გადაჭარბებით შესრულებაა ნაჩვენები: გადამეტბურღვა **перебур**, გადამეტაგზნება **перевозбуждение**, გადამეტდენი **переток**, გადამეტყოვნება **передерживание**, გადამეტგრეხა, გადამეტჯერება, გადამეტღარიბება, გადამეტკომპაუნდირება, გადამეტმოდულაცია, გადამეტრეგულირება, გადამეტტენიანებული, გადამეტცივებული, გადამეტნაჯერი და სხვ.[30]

ცნობილია, რომ გადა- მისი პოლისემიური ბუნების გამო ყოველთვის სიზუსტით ვერ გამოხატავს სათანადო ცნების შინაარსს[31]. მართლაცდა, მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა გ ა დ ა ბ უ რ ღ ვ ა, რომელიც თანაბრად შეიძლება ნიშნავდეს: ა) ზედმეტად ბურღვას, ე. ი. ბურღვის გადაჭარბებას, მის ინტენსივობას; ბ) მოქმედების განმეორებადობას, ანუ ხელახლა შესრულებას, კვლავ შესრულებას და გ) საბურღი ობიექტის სიდიდეს, მრავალრიცხოვნებას (ერთიანად გადაბურღა) და ა. შ. (ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში მოქმედების ინტენსივობისა და კვლავგანმეორების გარჩევის განსაკუთრებული საჭიროებაა).

---

29 ჩამოთვლისას აფიქსოიდები და აფიქსოიდებად გამოყენებული სრულმნიშვნელობიანი სიტყვები არაა დიფერენცირებული, რადგანაც ისინი ფუნქციის მიხედვით არიან კლასიფიცირებული.

30 აფიქსოიდიან სიტყვათა საილუსტრაციო მასალა აქაც და სხვაგანაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდანაა ამოღებული. სათანადო წყაროს ცალ-ცალკე ვერ ვუთითებთ. საილუსტრაციო მასალაში რუსული თარგმანები მხოლოდ რამდენიმე დასაწყის ტერმინთან იქნება მოცემული.

31 ნ. ვაჩნაძის მონოგრაფიაში „ზოგიერთი რუსული პრევერბიანი ზმნის ქართულად გადმოცემის საშუალებანი“ (1980) ამომწურავადაა შესწავლილი **пере-** და გადა- ზმნისწინების პოლისემიური ბუნება. გამოყოფილია ამ ზმნისწინთა თანაბარვალენტური მნიშვნელობების ექვსი ძირითადი ჯგუფი. აქვეა ნაჩვენები ის სემანტიკური განსხვავებანი, რომლებიც თავს იჩენს ამ ზმნისწინთა გამოყენებისას (გვ. 49—94).

ნაშრომში დიდძალი საანალიზო მასალაა მოხმობილი და მიღებულია სათანადო დასკვნებიც, რომელთა მიხედვით ქართული გადა-ს საშუალებით რუსული **пере-**ს გადმოცემა, როგორც წესი, ვერ ხერხდება და იგი აღწერითად, დამაზუსტებელი სიტყვების დახმარებითაა გადმოცემული (იქვე, გვ. 97).

სწორედ იმის გამო, რომ გადა- ზმნისწინიან ფორმებში ყოველთვის მკაფიოდ არაა დიფერენცირებული და გადმოცემული пере- ზმნისწინით გამოხატული მოქმედების სახეობის მნიშვნელობები (ხოლო რუსული ენის გავლენით ზოგჯერ ისეთი კალკიცაა შექმნილი, რომელთაც ენაში ვერ მოიკიდეს ფეხი: გადამაგრება переколоть, გადაბინავება переселить, გადამისამართება переадресовка და სხვ.), ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში გადადგმულია ნაბიჯი ახალი საშუალებების გამოსაძებნად, ე. ი. ამ ფორმათა მნიშვნელობების გასარჩევად: ინტენსივობისათვის გადამეტ- (გადა+მეტ) აფიქსოიდია გამოყენებული, განმეორებადობისათვის—კვლავ- აფიქსოიდი, ხოლო იქ, სადაც რუსულის пере-ს გადმოსაცემად გადა-ს მნიშვნელობები ასე თუ ისე გამოკვეთილია, ისევ გადა- ზმნისწინია დატოვებული[32].

2. კვლავ- შეესატყვისება რუს. пере-[2] ზმნისწინს. სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა, გამოყენებულია აფიქსოიდად პროცესის კატეგორიის იმ ტიპის სიტყვების საწარმოებლად, სადაც მოქმედების განმეორებაა ნაჩვენები: კვლავჩაწერა перезапись, კვლავგაწყობა перестройка, კვლავმუხტვა перезаряд, კვლავწრთობა перекал, კვლავწყობა перекладка, კვლავმოქლონვა, კვლავჭედვა, კვლავვულკანიზაცია, კვლავკონსტრუირება, კვლავმოკირწყვლა და სხვ.[33]

ტერმინოლოგიური საჭიროებისათვის შექმნილი ეს დერივაციული მოდელები უნაკლო არ არის. გარდა იმისა, რომ მათ გარკვეული ხელოვნურობის დაღი ასვია (განსაკუთრებით მოუქნელია ამათგან პირიანი ფორმების წარმოება — გადამეტბურღავ, კვლავმუხტავს და სხვ.), ისინი ვერ მოიცავენ ანალოგიური სემანტიკის მქონე ყველა შემთხვევას და სიჭრელე მაინც რჩება (განსაკუთრებით ეს გადამეტ-ით წარმოებას ეხება).

---

[32] ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც რუსული ენის გავლენით შექმნილი ზოგი კალკი ქართულში ადრიდანვეა დამკვიდრებული (перепечатать გადაბეჭდვა, перераспределение გადანაწილება, перепланировка გადაგეგმარება, переработка გადამუშავება, ანდა: переутомление გადაღლა, перегорание გადაწვა, перевес გადაწონა და მისთ.).

გადა- ზმნისწინის ქართულში კალკირების საკითხიც კარგადაა გაშუქებული ნ. ვაჩნაძის დასახელებულ მონოგრაფიაში, სადაც დიაქრონიულად, სხვადასხვა სისქრონიულ ჭრილში უძველესი და თანამედროვე, ხელნაწერი, ნაბეჭდი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკონების მასალაზე შესწავლილია ამ და ზოგ სხვა ზმნისწინთა ისტორია, მათი ფუნქციები და ის სემანტიკური ნიუანსები, რომლებიც ამ ზმნისწინებს ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეუძენია (იხ. ნ. ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ.).

[33] კვლავ- აფიქსოიდის როლში სანარმოებელ ფუძესთან ერთად იწერება.

მიუხედავად ამისა, ამგვარი გზა უთუოდ წინ წადგმული ნაბიჯია და უპასუხებს ტერმინისათვის წაყენებულ მოთხოვნებს ცნებასთან მისი სრული შესაბამისობის შესახებ: დასახელებული აფიქსოიდების მეშვეობით ტერმინთა უმრავლესობაში სემანტიკური გარკვეულობაა შეტანილი და ორაზროვნება, რასაც ტერმინოლოგია ვერ იგუებს, თავიდანაა აცილებული.

გადამეტ- და კვლავ- აფიქსოიდებით ტერმინთა წარმოება, რომელიც დღეისათვის საკმაოდ პროდუქტიულია და ძირითადად ტექნიკის ენისათვისაა დამახასიათებელი, შედარებით ახალია. იგი 50—60-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და თანდათანობით იფართოებს ხმარების სფეროს, თუმცა მათი შექმნის საჭიროება უფრო ადრეც იგრძნობოდა (1935 წლის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ამ ფუნქციით ჭარბ- და ხელახლა ელემენტები გამოიყენებოდა).

სალიტერატურო ენას, რამდენადაც მას ცნებათა ასეთი ზედმიწევნითი დეტალიზაცია არ სჭირდება, ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული აფიქსოიდებით შედგენილი სიტყვების ხმარების საჭიროება არ აქვს. აქ ამ ჯგუფის ზმნები ა) ან ფუძის სემანტიკითაა გამოხატული (გალიცლიცება, გაპიპინება, გაჭედვა, გატენა, გამლაშება), ბ) ან აღწერითად გადმოიცემა იმგვარი სიტყვების საშუალებით, რომლებიც თვითონ შეიცავენ ინტენსივობის ან განმეორებითობის მნიშვნელობას[34] (ესენია: გადაჭარბებით, ზედმეტად, მეტისმეტად, ჭარბად, საჭიროზე მეტ ხანს, ძლიერ, გადამეტებით, ანდა — ხელახლა, ხელმეორედ, განმეორებით, კვლავ, ახლებურად და სხვ.: ზედმეტად გახურება перегрев, გადაჭარბებით შესრულება перевыполнить, მეტისმეტად დამწიფება перезреватъ, საჭიროზე მეტ ხანს გაჩერება передержка, ძლიერ დაჭანგვა перержаветъ, ხელახლა დაწებება переклеить, ხელმეორედ შეღებვა перекрасить, განმეორებით გადაღება переснъемка, კვლავ მოწყობა переоборудовать, ახლებურად გააზრება переосмыслить და სხვ.), გ) ან არადა ისევ გადა-ს ეკისრება ეს ფუნქცია; გადაღება, გადახარჯვა, გადახარშვა, გადაჭარბება, გადაკითხვა, გადაწყობა და ა. შ.[35]

3. კმა- შეესატყვისება რუს. до- ზმნისწინს, როდესაც ეს უკანასკნელი გამოიყენება მოქმედების საბოლოო ფაზის, ბოლო მონაკვეთის დასრულების აღსანიშნავად, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში ფინალურ-შედეგობრივი (ზოგის მიხედვით, კომპლეტიური) მნი-

---

34 იხ. ნ. ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72, 88.

35 ამ ტიპის მაგალითები ამოკრებილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1956—1959-სა და 1983 წლებში გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონებიდან.

შვნელობა ეწოდება[36]: კმააირება догазовка, კმაბურღვა добуривание, კმაგამოტუტვა довыщелачивание, კმადატენიანება доувлажнение, კმამოჭერა дожим, კმამჟანგავი доокислитель, კმამუხტვა дозаряжение, კმანეიტრალიზატორი донейтрализатор, კმაფქვა домол და ა. შ.[37]

4. **უკმარ-** შეესატყვისება რუს. недо- ზმნისწინს. გამოხატავს რისამე უკმარისობას, ნაკლებობას, ზომაზე ნაკლების შესრულებას და ა. შ. недо- ზმნისწინის შესატყვისი ქართულ ზმნისწინებს შორის არ მოიპოვება და საერთო ენისათვის მისი გამოხატვის საჭიროებაც ნაკლებია[38]. სამაგიეროდ, მთელი სიმწვავით იგი ტერმინოლოგების წინაშე დგას. ტექნიკის ენაში ეს ფუნქცია უკმარ- აფიქსოიდს დაეკისრა: უკმარაგზნება недовозбуждение, უკმარბურღვა недобуривание, უკმარბურღილი недобур, უკმარგაცრილი недосев, უკმარგლინვა недокат, უკმარდაყრილი, უკმარზომა, უკმარზომილი, უკმარლბობა, უკმარმოჭერა, უკმარმჟღავნებული, უკმარმწვარი, უკმარნაბეჭი, უკმარნათრიმლი, უკმარნაკრები, უკმარნაღები, უკმარჟანგი, უკმარსობილი, უკმარტვირთვა, უკმარტვირთული, უკმარყოვნება, უკმარშენადუღი, უკმარშრობა, უკმარჩამქრალი, უკმარძაბული და ა. შ.

5. **თბო-** შეესატყვისება რუსულ тепло- აფიქსოიდს, რომელიც ბერძნული thermē-ს (სიცხე, სითბო) ეკვივალენტია და სითბოსთან, ტემპერატურასთან დამოკიდებულებას, კავშირს გამოხატავს: თბოგადაცემა теплопередача, თბოგამოსხივება теплоизлучение, თბოგამტარობა

---

36 ნ. ვაჩნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15. ავტორი დეტალურად განიხილავს ძიზმნისწინის რაობას, ფუნქციებსა და მისი ქართულად გადმოცემის საშუალებებს (გვ. 15—39).

37 ქართულ სალიტერატურო ენაში სათანადო ზმნისწინის უქონლობის გამო ფინალურ-შედეგობრივი მნიშვნელობები, ისევე როგორც ეს წრნა აფიქსოიდების სხვა მნიშვნელობების შესახებ იყო აღნიშნული, ან ზმნის ფუძის სემანტიკით გამოიხატება (დაბოლოება, დამთავრება, დასრულება довершить, მოთავება, დასრულება докончить), ანდა აღწერითად გადმოიცემა (საბოლოოდ დამუშავება, მუშაობის გათავება доработать, საკმარისად მოხარშვა доварить, ხატვის მოთავება, ბოლომდე დახატვა дорисовать, ბოლომდე თქმა досказать, სულ მოწევა дозреть) და სხვ.

ძველად გამოცემულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ამ რიგის ფორმები ან სულ არაა შეტანილი, ან არაადეკვატური შესატყვისითაა წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე დამთავრების სემანტიკა თითქმის არსადაა გადმოცემული, საჭიროება კი ამგვარი მნიშვნელობების გადმოცემისა დღევანდელს ტექნიკის მეცნიერებათა ენაში დიდზე დიდია.

38 სალიტერატურო ენაში ეს ფორმები ძირითადად აღწერითად, დამხმარე სიტყვების საშუალებით გადმოიცემა: საკმარისად არ (ვერ), მთლიანად არ (ვერ), სათანადოდ არ (ვერ), კარგად არ (ვერ), და ა. შ.: არამთლიანად შესრულება, მთლიანად არშესრულება недовыполнение, არასრული დატვირთვა недогрузить და სხვ. (იხ. ნ. ვაჩნაძე დასახ. ნაშრ., გვ. 45—46).

теплопроводность, თბოგაცემა теплоотдача, თბოდამჭერი, თბოდაცვა, თბოენერგეტიკა, თბოიზოლაცია, თბომავალი (გემი), თბომგრძნობიარე, თბომდგრადი, თბომიმღები, თბოსადენი, თბოტექნიკა, თბოუნარი, თბოქსელი, თბოცენტრალი, თბობეტონი და სხვ.

თბო- ს ი თ ბ ო-ს გამარტივებული ფორმაა, რომელიც 1920-იან წლებში „ტექნიკური ლექსიკონის (სიტყვარის)“ შემდგენლებს შემოუღიათ. მიუხედავად მისი უმართებულო წარმოებისა, იგი (უთუოდ თავისი სხარტი ფორმის გამო) ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში ფართოდ დამკვიდრდა და რთული სიტყვის შემადგენელ ელემენტად დღესაც აქტიურად მოქმედი ფორმაა.

6. ზე- ა) შეესატყვისება აფიქსოიდად გამოყენებულ რუს. сверх- წინდებულს, ლათ. super (ზევიდან, ზედ, -ზე) და ბერძნ. hyper აფიქსოიდებს. გამოხატავს რისამე ზევით არსებობას, ან რისამე უმაღლეს ხარისხს, თვისებას, გაძლიერებულ მოქმედებას, რისამე უფროსობას და ა. შ. აწარმოებს თვისების გამომხატველ ცნებათა შესატყვის ტერმინებს, იშვიათად—საგნების კატეგორიასაც: ზეადრეული сверхранний, ზეატმოსფერული сверхатмосферный, ზეაჩქარებული сверхускоренный, ზებგერითი сверхзвуковой, ზეგენერატორი сверхгенератор, ზედენადი, ზემაგნიტი, ზემაღალსიხშირული, ზემსუბუქი, ზემტკიცე, ზემძლავრი, ზესალი, ზესტრუქტურა, ზესწრაფმავალი, ზეტურნიკეტული, ზეშორეული, ზეჩქარული, ზეჯგუფი, ზეგამტარი, ზეგანაკვეთური, ზემოდულაცია და ა. შ.

ბ) შეესატყვისება რუს. над-, на- წინდებულებს, ზოგჯერ აფიქსოიდად ქცეულ верхне- ელემენტს: ზეტონალური надтональный, ზედამუშავება надработка, ზედამუშავებული надработанный, ზესადგამი надставка, надставной, ზესადები накладка, накладной, ზესასხმელი верхненаливной, ზესარტყამი верхнебойный.

ამავე სემანტიკას გადმოგვცემს ზედ- აფიქსოიდიც: ზედნაშენი надстройка, ზედდება накладка, наложение, ზედნადები накладная; накладной; наложенный, ზედსაკრავი набойка, ზედჭედვა наковка და სხვ.

7. ქვე- შეესატყვისება რუს. под- წინდებულს, ლათ. sub- (ქვეშ) პრეფიქსოიდს. მას ზე- პრეფიქსოიდის საპირისპირო ვნიშვნელობა აქვს. გამოხატავს ქვევით, რისამე ქვეშ ყოფნას. ასევე შეიძლება აღნიშნავდეს დაქვემდებარებას, ანდა — არამთავარს, არაძირითადს: ქვეამგზნები подвозбудитель, ქვეგანყოფილება подотдел, ქვეგადამტანი поднесущий, ქვედამუშავება подработка; ქვედამუშავებული, ქვედონე, ქვევარიანტი, ქვეზონა, ქვეკვანძი, ქვემოდულატორი, ქვეპროგრამა, ქვერკალი, ქვესადგამი, ქვესადგური, ქვესადები, ქვესართული, ქვე-

სინქრონიული, ქვესტანდარტი, ქვეტონალური, ქვეფაზა, ქვეშენაერთი, ქვეჩარჩო, ქვეწყება, ქვეჯგუფი და სხვ.

წარმოების ეს ორი უკანასკნელი ტიპი (ზე- და ქვე- პრეფიქსოიდებით წარმოება) ყურადღებას იქცევს ქიმიის ტერმინოლოგიაში, სადაც მათ სპეციალიზებული მნიშვნელობა აქვთ: ზე- იხმარება ელემენტის უმაღლესი დაჟანგულობის ხარისხის საჩვენებლად: ზებენზომჟავა надбензойная кислота, ზეგოგირდმჟავა надсерная кислота, ზემჟავები надкислоты, ხოლო ქვე- იხმარება ელემენტის უდაბლესი დაჟანგულობის ხარისხის საჩვენებლად: ქვეაზოტმჟავა азотноватистая кислота, ქვეიოდმჟავა йодноватая кислота, ქვემანგანუმმჟავა марганцовистая кислота, ქვეჟანგეული, სუბჟანგეული субокисел, ქვეჟანგი закись; закисный, ქვერკინაციანიდმჟავა, ფეროციანიდმჟავა железистосинеродистая (ферроциановодная) кислота, ქვექლორმჟავა хлорноватая кислота, ქვექლოროვანმჟავა хлорноватистая кислота.

8. უკუ- შეესატყვისება რუსულის სრულმნიშვნელობიან სიტყვას обратный-ს. ზოგჯერ რუს. противо-ს და ლათ. contra-ს ეკვივალენტიც შეიძლება იყოს. აღნიშნავს შექცეულ, შებრუნებულ მოქმედებას, იმის საწინააღმდეგოს ან საპირისპიროს, რაც გამოხატულია სიტყვის მეორე ნაწილით: უკუანთება обратное зажигание, უკუაფეთქება обратная вспышка, უკუბიტერი обратный битер, უკუბიძგი обратный толчок, უკუგადამრთველი, უკუგამოსხივება, უკუგამტარობა, უკუდარტყმა, უკუდენი, უკუკავშირი, უკურკალი, უკუძალა, უკუაგზნება противовозбуждение, უკუბრუნვა противовращение, უკუელექტრომამოძრავებელი противоэлектродвижущий, უკუმოქმედი, უკუმკრელი, უკუფაზა, უკუწნევა контрдавление, противодавление და სხვ.

9. წინაღ- გარკვეულ შემთხვევებში უკუ- პრეფიქსოიდის სინონიმურია, შეესატყვისება რუს. противо- და ლათ. contra- პრეფიქსოიდებს. აწარმოებს ძირითადად საგნის კატეგორიის ცნებათა აღმნიშვნელ ტერმინებს: წინაღამძრავი контрпривод, წინაღდენი противоток, контрток, წინაღდენიანი противоточный, წინაღელემენტი противоэлемент, წინაღზამბარა, წინაღთარგი, წინაღკოშკი, წინაღლილვი, წინაღორთქლი, წინაღსაპირე, წინაღსოლი, წინაღტვირთი, წინაღქანჩი, წინაღჭოკი, წინაღჯაჭვი და ა. შ.

წინაღ- ელემენტი პოზიციურად მერყეობია. იგი ხან წინ ერთვის რთული სიტყვის ძირითად კომპონენტს, ხან მოსდევს მას და სუფიქსოიდის პოზიციას იკერს: ძვრაწინაღი противоугон, აირწინაღი противогаз, ხაშერწინაღი, მინადულწინაღი противонакипь, ჟანგვაწინაღი противоокислитель, антиокислитель და ა. შ.

10. თვით- შეესატყვისება რუს. само- და ბერძნ. autos- პრეფიქსოიდებს. ძირითადად აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სრულ-

დება თვითონ, თავისთავად ანდა ავტომატურად: თვითაალება самовоспламенение, თვითაგზნება самовозбуждение, თვითამწე самоподъемник, თვითანთება самовозгарание, თვითბლოკირება, თვითგანიტვირთებადი, თვითგანმუხტვა, თვითგორია, თვითდიფუზია, თვითვულკანიზაცია, თვითმფრინავი, თვითიკეტებადი, თვითინდუქცია, თვითიწრთობადი, თვითმიმწოდი, თვითნაბადი, თვითმჟანგავი, თვითსაწონი, თვითტაცია, თვითხაპია და ა. შ.

11. **დაბალ-** და **მაღალ-** აფიქსოიდებად ქცეული სრულმნიშვნელობიანი ანტონიმური სიტყვებია, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს. შეესატყვისება რუს. низко- და высоко- ელემენტებს. აწარმოებენ თვისების კატეგორიის (ძალზე იშვიათად საგნების) კატეგორიის ცნებათა გამომხატველ ტერმინებს. დაბალ: დაბალდნობადი низкоплавкий, დაბალელასტიკური низкоэластичный, დაბალკალორიიანი, დაბალმდუღარე, დაბალტემპერატურული, დაბალტონიანი, დაბალშეცხობადი, დაბალძაბვიანი და სხვ.

მაღალ-: მაღალაქტიური высокоактивный, მაღალდაწნევიანი высоконапорный, მაღალდისპრესიული, მაღალთიხამიწოვანი. მაღალმდუღარე, მაღალმოლეკულური, მაღალპოლიმერი, მაღალპოლიმერული და სხვ.

მაღალ- აფიქსოიდის სინონიმად ზოგჯერ **დიდ-** და უხვ- ელემენტები შეიძლება შეგვხვდეს: დიდწარმოებლური высокопроизводительный, დიდპლასტიკური высокопластический, დიდცეცხლგამძლე, დიდწინაღობიანი, დიდხურებამედეგი, ან: უხვთიხამიწოვანი высокоглиноземистый, უხვმაგნიუმიანი высокомагнезиальный, ანდა პოსტპოზიციური წყობით: კალაუხვი высокооловянистый, გოგირდუხვი высокосернистый, ნახშირბადუხვი, მაგნიუმუხვი, მანგანუმუხვი.

12. **მცირე-** შეესატყვისება რუს. мало- ელემენტს. იგი აფიქსოიდად ქცეული სრულმნიშვნელობიანი სინომიმური სიტყვაა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს. აწარმოებს თვისების კატეგორიის ცნებათა გამომხატველ ტერმინებს: მცირეთერმული малотермический, მცირეკალიბრიანი малокалиберный, მცირელიტრაჟიანი малолитражный, მცირემალიანი, მცირემედეგი, მცირემოცულობიანი, მცირემწარმოებლური, მცირენაცრიანი, მცირესიმძლავრიანი, მცირეწინაღობიანი და სხვ. პრეფიქსოიდი პოზიციურად მერყეობა და ამიტომაც ზოგჯერ სუფიქსოიდის როლშიც შეიძლება შეგვხვდეს: ნაცარმცირე||მცირენაცრიანი малозольный, კალამცირე||მცირეკალიანი малооловянистый, წყალმცირე, გოგირდმცირე, ძალამცირე, ნახშირბადმცირე და სხვ.

იშვიათად, ამავე სემანტიკით **ნაკლებ-** პრეფიქსოიდიც გამოიყენება: ნაკლებპლასტიკური малопластичный, ნაკლებდაარმატურებული малоармированный, ნაკლებმგრძნობიარე малочувствительный და სხვ.

13. **ნელა-** და **სწრაფ-** ანტონიმური აფიქსოიდებია, შეესატყვისება რუს. медленно- ან слабо- და быстро- აფიქსოიდებს. აწარმოებს თვისების კატეგორიის ცნებათა აღმნიშვნელ ტერმინებს. ნელა-: ნელაგამყარებადი медленнотвердеющий, ნელაიწვებადი медленногорящий, ნელამბრუნავი медленновращающийся, ნელამილევადი, ნელამჭიდი, ნელაშლადი, ნელაცვალებადი.

ნელა- (და იშვიათად დაბალ-) აფიქსოიდის სინონიმად **სუსტ-** ელემენტიც შეიძლება შეგვხვდეს, ოღონდ ნელა- ძირითადად მიმღეობებთან გვხვდება. ხოლო სუსტ- — მიმართებით ზედსართავებთან: სუსტდენიანი слаботочный, სუსტტალღოვანი слабоволнистый.

სწრაფ-: სწრაფბრუნვა быстроходность, სწრაფდაშლადი быстрораспадающийся, სწრაფდენადი, სწრაფმაგრებადი, სწრაფმავლობა, სწრაფმბრუნავი, სწრაფმჭიდი, სწრაფმჭრელი, სწრაფსადენი, სწრაფსახვნელა, სწრაფცვეთადი, სწრაფცვლადი.

14. **ცრუ-** შეესატყვისება რუს. лже-, ложно- და ბერძნ. pseudos- აფიქსოიდებს და ნიშნავს ყალბს, არანამდვილს: ცრუევტექტიკური ложноэвтектический, ცრუშემთხვევითი псевдослучайный, ცრუანტიკლინური ложноантиклинальный, ცრუსინკლინური ложносинклинальный, ცრუკლასიციზმი, ცრუმოწმე, ცრუპატრიოტი, ცრუწინასწარმეტყველი.

15. **ნახევარ-** და **ნახევრად** სრულმნიშვნელობიანი აფიქსოიდებია. შეესატყვისება რუს. полу- აფიქსოიდს. ნახევარ- მეტწილად საგნების კატეგორიის ცნებებს გამოხატავს, ნახევრად — კი თვისების კატეგორიის ცნებებს (თუმცა იშვიათად ერთიცა და მეორეც შებრუნებული ფუნქციითაც შეიძლება გამოიყენებოდეს). ნახევარ-: ნახევარბალონი полубаллон, ნახევარღუზა полуякорь, ნახევარჭურო полумуфта, ნახევარბრუნი полуоборот, ნახევარგრაგნილი, ნახევარდიზელი, ნახევარვაგონი, ნახევარვექტორი, ნახევარინტერვალი, ნახევარკბილანა, ნახევარპირდაპირი, ნახევარსფერული полусферический, ნახევართალღიანი, ნახევართონური, ნახევარწრიული. ნახევრად: ნახევრად ავტომატური полуавтоматический, ნახევრად ამრეკლი полуотражающий, ნახევრად ბიტუმოვანი полубитуминозный, ნახევრად ბმული, ნახევრად გამომწვარი, ნახევრად განტვირთული, ნახევრად ელიფსური, ნახევრად ფულკანიზებული, ნახევრად ავტომატი полуавтомат, ნახევრად ანთრაციტი полуантрацит, ნახევრად გამტარი полупроводник, ნახევრად მარტენსიტი полумартенсит, ნახევრად მარტიტი полумартит.

16. **მსხვილ-** და **წვრილ-** ანტონიმური ზნიშვნელობის აფიქსოიდებია. შეესატყვისება რუს. крупно- და мелко- (гонко-) ელემენტებს. აწარმოებს ძირითადად თვისების კატეგორიის ცნებათა გამომხატველ ტერმინებს. მსხვილ-: მსხვილბლოკური крупноблочный, მსხვილზომიანი крупноразмерный,

მსხვილმარცვლოვანი, მსხვილმასშტაბიანი, მსხვილპანელური, მსხვილსერიული, მსხვილფირფიტოვანი, მსხვილშემვსები, მსხვილფოროვანი, მსხვილქლიბა брусовка. წვრილ-: წვრილბლოკური мелкоблочный, წვრილბოჭკოვანი тонковолокнистый, წვრილდისპერსიული мелкодисперсный, წვრილკოშტოვანი, წვრილმასშტაბიანი, წვრილმალოვანი, წვრილმსხვრეული, წვრილნიჟარისებური, წვრილსერიული, წვრილშრიანი; წვრილსაწონი разновес, წვრილძარღვი прожилок.

საგნების კატეგორიისათვის ამ ფუნქციით საერთაშორისო **მაკრო-** და **მიკრო-** აფიქსოიდები გამოიყენება: მაკრობზარი, მაკროკოსმოსი, მაკროსისალე, მაკროსხეული, მაკროწიდა, მაკროკონტიკა, მიკროელემენტი, მიკროგადამრთველი, მიკროკვლევა, მიკრომიწოდება, მიკრორადიოტალღა და სხვ. იშვიათად გვაქვს პარალელური წარმოებაც: მსხვილკრისტალური, მაკროკრისტალური крупнокристаллический, макрокристаллический, წვრილმარცვლოვანი, მიკრომარცვლოვანი мелкозернистый, микрозернистый, წვრილფოროვანი, მიკროფორებიანი мелкопористый, микропористый.

სუფიქსოიდები

17. **-საწინაღო** შეესატყვისება რუს. противо- პრეფიქსოიდს. მაშასადამე, მნიშვნელობის მიხედვით იგი წინაღ- პრეფიქსოიდის სინონიმურია, ოღონდ ფუნქციურად მისგან განსხვავებული: წინაღდართული ფორმები საგნის კატეგორიის გამომხატველი ტერმინების აღმნიშვნელია და შედარებით ნაკლებპროდუქტიულია, ხოლო საწინაღო- თვისების კატეგორიისაა და დიდი პროდუქტიულობით ხასიათდება: ამიაკსაწინაღო противоаммиачный, ატომსაწინაღო противоатомный, მეხსაწინაღო противогрозовой, რხევასაწინაღო, კოროზიასაწინაღო, ლოკაციასაწინაღო, უკუვორვასაწინაღო, დაბრკოლებასაწინაღო, გაქანებასაწინაღო, ჰრიალსაწინაღო, ნესტსაწინაღო, ტანკსაწინაღო, ძვრასაწინაღო, ფაზასაწინაღო, ფილტრაციასაწინაღო და ა. შ.

18. **-გამტარი** შეესატყვისება უმთავრესად რუს. -провод, -проводный, -проводящий; -проводник; -пропускной, -пропускающий ელემენტებს: გზავამტარი путепровод, თესლგამტარი семяпровод, ხმაგამტარი звукопроводный, დენგამტარი токопроводный, токопроводящий, токовсдущий, ფოტოგამტარი фотопроводник, ზევამტარი сверхпроводник, თევზგამტარი рыбопропускной, შუქგამტარი светопропускающий, ბვერათგამტარი, წყალგამტარი, ცეცხლგამტარი და სხვ.

19. **-სატარი** სემანტიკურად -გამტარი სუფიქსოიდის მონათესავეა. შეესატყვისება რუს. -вод, -водный, -водитель, -водило, იშვიათად— -провод ელემენტებს: ტალღასატარი волновод, წყალსატარი водовод, ჰაერსატარი воздуховод, შუქსატარი световод, ნემსსატარი игловодитель,

ძაფსატარი нитеводитель; нитеводный, რვილსატარი дышловодило, მუშტ-სატარი кулак-водило და ა. შ.

20. **-საჭერი** შეესატყვისება რუს. ელემენტებს: -держатель, -уловитель, -уловительный, -улавливающий, -ловка, -ловный ელემენტებს: მინასაჭერი стеклодержатель, ზეთსაჭერი маслодержатель, კაბელსაჭერი, ბაგირსაჭერი, კონტაქტსაჭერი, მუსსაჭერი, პუანსონსაჭერი, წიდასაჭერი шлакоуловитель, ქვასაჭერი камнеуловитель, წვეთსაჭერი, მარცვალსაჭერი, ალსაჭერი, მაქოსაჭერი, ტალახსაჭერი, ქარსაჭერი, მტვერსაჭერი пылеуловитель, пылеловка, ხრეშსაჭერი гравиеловка, მუხლუხსაჭერი гусеницеловка, თევზსაჭერი рыболовный. იშვიათად პარალელურად ამავე ფუნქციით სინონიმური აფიქსოიდი -დამჭერი-ც გვხვდება: ბგერათდამჭერი звукоуловитель, ლამდამჭერი илоуловитель, თბოდამჭერი, თვითდამჭერი, ფილადამჭერი, წყალდამჭერი. ამგვარი წარმოება საბოლოო უნიფიცირების შემდეგ (ერთგვაროვნების მისაღწევად) **-საჭერ** სუფიქსოიდით შეიძლება იქნეს შენაცვლებული (ეს უკანასკნელი უჩვეულოდ დიდი პროდუქტიულობით ხასიათდება).

21. **-მავალი** შეესატყვისება რუს. -ход, -ходный, -ходовой, -воз -вод, -водный ელემენტებს: თბომავალი (გემი) теплоход, თვითმავალი самоход, მთვარემავალი луноход, თოვლმავალი снегоход, აირმავალი, ყველგანმავალი, ორთქლმავალი паровоз, თბომავალი тепловоз, ელექტრომავალი электровоз, ძრავამავალი мотовоз, ატომმავალი атомвоз, სწრაფმავალი быстроходный, ნელმავალი тихоходный.

სემანტიკურად ცოტა სხვა ნიუანსს გამოხატავს **-სავალი** აფიქსოიდი: თევზსავალი рыбоходный, გემთსავალი судоходный, ფართოსავალი широкоходовой და ა. შ.

22. **-საზიდი** შეესატყვისება რუს. -воз, -возка, -нос, -несущий ელემენტებს: ბომბსაზიდი бомбовоз, პანელსაზიდი панеловоз, წიდასაზიდი шлаковоз, ბეტონსაზიდი, აირსაზიდი, ავტომორსაზიდი, ავტოცემენტსაზიდი, კაბელსაზიდი кабелевозка, ძნასაზიდი снопонос.

სულ რამდენიმე გამოთქმაში სინონიმური სუფიქსოიდი **-მზიდ**-იც იჩენს თავს: რაკეტამზიდი ракетоносец, ავიამზიდი авианосец, ტვირთმზიდი грузонесущий.

23. **-საზომი** შეესატყვისება რუს. -мер, -мерный, -измеритель, измерительный, -метрический და ბერძნული წარმომავლობის -метр სუფიქსოიდებს. ძალიან ფართო გამოყენებისაა, განსაკუთრებით მეტროლოგიაში, საზომ ხელსაწყოთა აღსანიშნავად: წყალსაზომი водомер, კუთხესაზომი угломер, მანძილსაზომი дальномер, ორთქლსაზომი, ტენსაზომი, ხმაურსაზომი, ხარჯსაზომი, ტალღასაზომი, სიმაღლესაზომი, ქანობსაზომი, შიგსაზომი, წამსაზომი, სიღრმესაზომი, ტელესაზომი теле-

измерительный, რადიოსაზომი радиоизмерительный, ლიანდაგსაზომი, ელექტროსაზომი, ბგერათსაზომი звукометрический, ყინულსაზომი ледомерный და სხვ.

24. **-ჩამწერი** შეესატყვისება რუს. -писец, -записывающий, -пишущий და ბერძნული წარმომავლობის -граф სუფიქსოიდებს: ტალღაჩამწერი волнописец, თვითჩამწერი самописец, самопишущий, ბგერათჩამწერი звукозаписывающий, კვლავჩამწერი, ქარჩამწერი, ხარჯჩამწერი და სხვ. ამ ფუნქციით, ჩვეულებრივ, -граф სუფიქსოიდიანი უცხო ტერმინები უფრო მეტად გამოიყენება (ოსცილოგრაფი, ანემოგრაფი, ვიბროგრაფი, კარდიოგრაფი და სხვ.).

25. **-მედეგი** შეესატყვისება რუს. -стойкий ელემენტს. იგი თვისების კატეგორიის გამომხატველ ტერმინებს აწარმოებს და მეტად პროდუქტიულია: ყინვამედეგი морозостойкий, ცვეთამედეგი износостойкий, ზრდამედეგი, კოროზიამედეგი, ტემპერატურამედეგი. ტუტემედეგი, ზეთმედეგი, მხურვალმედეგი, წყალმედეგი, ცეცხლმედეგი, ბენზინმედეგი, თბომედეგი, სეისმომედეგი, ზამთარმედეგი, ხმაურმედეგი, სულფატმედეგი, შუქმედეგი, აირმედეგი და სხვ.

26. **-მდგრადი** შეესატყვისება რუს. -устойчивый, იშვიათად -упорный, -защитный ელემენტებს: მჟავამდგრადი кислотоустойчивый, ცვეთამდგრადი износоустойчивый, არამდგრადი неустойчивый, მხურვალმდგრადი, ბენზინმდგრადი, თბომდგრადი, კოროზიამდგრადი, ულტრამდგრადი, დაბრკოლებამდგრადი помехозащитный, помехоустойчивый.

27. **-გამძლე** (იშვიათად -მტკიცე) შეესატყვისება რუს. -упорный, -прочный ელემენტებს: მჟავაგამძლე кислотоупорный, ცვეთაგამძლე износоупорный, მხურვალგამძლე, ცეცხლგამძლე, ატეხებაგამძლე, თანაბარგამძლე равнопрочный.

სალაპარაკო ენაში იდენტური მნიშვნელობის მქონე სიტყვები — მედეგი, მდგრადი, გამძლე||მტკიცე, რომლებიც სუფიქსოიდების ფუნქციას ასრულებენ, ტერმინოლოგიურ სიტყვახმარებაში ინტენსივობის მიხედვით განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებს გადმოგვცემენ. ამიტომაა ცალკე სალექსიკონო ერთეულებად შეტანილი ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში — ცეცხლმედეგი, ცეცხლმტკიცე და ცეცხლგამძლე, ანდა მჟავამედეგი, მჟავამდგრადი და მჟავაგამძლე და სხვ.

28. **-სატყორცნი** ნაკლებპროდუქტიული სუფიქსოიდია, რომელიც რუს. -мет სუფიქსოიდის ფარდია: ნაღმსატყორცნი миномет, ყუმბარასატყორცნი гранатомет, ცეცხლსატყორცნი огномет, ლოდსატყორცნი, ცემენტსატყორცნი.

29. **-შეღწევადი** შეესატყვისება რუს. -проницаемый ელემენტს: ბგერათშეღწევადი звукопроницаемый, წყალშეღწევადი, ჰაერშეღწევადი, შუქშეღწევადი.

30. **-შეუღწევი** შეესატყვისება რუს. -непроницаемый-ს. შეღწევადი-ს ანტონიმური აფიქსოიდია: ბგერათშეუღწევი звуконепроницаемый, ზეთშეუღწევი маслонепроницаемый, წყალშეუღწევი, ორთქლშეუღწევი, ცხიმშეუღწევი, ტენშეუღწევი, ბენზინშეუღწევი, სათბობშეუღწევი, ჰაერშეუღწევი, მტვერშეუღწევი, აირშეუღწევი, შუქშეუღწევი, ტყვიაშეუღწევი და სხვ.

31. **-სარიდი, -ამრიდი** შეესატყვისება რუს. -отвод, -отводный, -защититель, -защитительный, -защитный, ელემენტებს: მეხსარიდი молниеотвод, მტვერსარიდი пылезащитительный, წვიმასარიდი, ქარსარიდი, მტვერამრიდი пылезащититель, ყინულამრიდი ледозащитный, ზეთამრიდი, ცეცხლამრიდი და სხვ.

32. **-შორის-ი** შეესატყვისება რუს. меж-, между- სუფიქსოიდებს. უჩვეულოდ დიდია ამ აფიქსოიდით ნაწარმოები მოდელის პროდუქტიულობა თვისების კატეგორიის ცნებათა გადმოსაცემად: ფაზათშორისი межфазный, სისტემათშორისი межсистемный, ხვიათშორისი, ოპერაციათშორისი, კამერათშორისი, პლანეტათშორისი, სიბრტყეთშორისი, მწკრივთშორისი, ბლოკთშორისი, წერტილთშორისი, ლითონთშორისი, სადგურთშორისი, სეგმენტშორისი, ღერძთშორისი, კრისტალთშორისი, იონთშორისი, ვაგონთშორისი და სხვ.[39]

ამ სემანტიკის მქონე საგნების კატეგორიის გამომხატველი ტერმინები, ჩვეულებრივ, ლათ. inter- პრეფიქსოიდიანი ნასესხები ფუძეებითაა გადმოცემული: ინტერმოდულაცია, ინტერპოლაცია, ინტერფერომეტრი და სხვ.

33. **-ზედა** შეესატყვისება რუს. над- ზმნისწინს. აწარმოებს თვისების კატეგორიის გამომხატველ ტერმინებს: კედელზედა надстенный, მიწისზედა надземный, ჭიქურზედა надглазурный, კაპიტელზედა, კესონზედა, ფერდობზედა, დგუშზედა, შახტზედა, შტრეკზედა.

34. **-ქვეშა** შეესატყვისება რუს. под-ზმნისწინს. -ზედა სუფიქსოიდის ანტონომია. აწარმოებს თვისების კატეგორიის გამომხატველ ტერმინებს და ტერმინოლოგიურ ლექსიკაში მეტად ფეხმოკიდებულია.

ძრავქვეშა подмоторный, ნივნივქვეშა подстропильный, გუმბათქვეშა, წყალქვეშა, კამარქვეშა, ბუნკერქვეშა, კუპრქვეშა, ჭიქურქვეშა, ცხაურქვეშა, ფრთისქვეშა, ანძისქვეშა, ამწისქვეშა, წანწისქვეშა და სხვ.

35. **-ზედი** შეესატყვისება რუს. над-წინდებულს. აწარმოებს საგნების კატეგორიის ტერმინებს: ღერძზედი надосник, დოლზედი надбара-

---

39 ამჟამად დაზუსტებულია -შორისი სუფიქსოიდით ნაწარმოები სიტყვის მოდელის დაწერილობა (იხ. მ. ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, -შორის ელემენტის შემცველი რთული ფუძეების შესახებ. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, 1981).

банье, კამარზედი надсводное строение, ნისკარტზედი надклювье, კანზედი надкожница და სხვ.

36. -ქვედი||-ქვეში შეესატყვისება რუს. под-წინდებულს. აწარმოებს საგნების კატეგორიის ტერმინებს. -ზედი სუფიქსოიდის ანტონიმია: ჭაურქვედი подствольник, რესორქვედი подрессорник, წაღწისქვედი подфермменник, დოლქვეში подбарабанник, შოლტქვეში подбичник, ბალთისქვეში подбляшка, ჭანჩქვეში, ბრძმედქვეში და სხვ.

-ზედი და -ქვედი||-ქვეში აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინები შედარებით მცირე ჯგუფს ქმნის.

37. -მიერი. კარგადაა ცნობილი ამ აფიქსოიდის მეცნიერული სპეციალიზაცია ფონეტიკის ტერმინოლოგიაში: იგი მიუთითებს ფონემათა წარმოთქმის ადგილზე (ბაგისმიერი, ენისმიერი, კბილისმიერი, კბილბაგისმიერი, ნუნისმიერი, სასისმიერი, ხორხისმერი, ცხვირისმიერი). რუსულში ამ აფიქსოიდს რაიმე სპეციალური შესატყვისი არა აქვს. -მიერი აფიქსოიდით შედგენილი ეს სიტყვები რუსულში იმგვარი სემანტიკის მქონე ზედსართავებით გადმოიცემა, სადაც ნაჩვენებია ჩვეულებრივი მიმართება სათანადო არსებითთან, რაც პირობით გაგებულია, როგორც ბგერის წარმოების ადგილის დასახელება (губной, зубной, десенный, нёбный, гортанный, носовой).

საგნის კატეგორიის აღსანიშნავად ეს ტერმინები ქართულშიც და რუსულშიც მრავლობით რიცხვშია დასმული (ბაგისმიერები губные, კბილისმიერები зубные და ა. შ.).

სხვა არის -მიერი აფიქსოიდის ფუნქცია ტექნიკურსა და საბუნებისმეტყველო დარგებში, სადაც იგი თვისების კატეგორიის ცნებებს გადმოგვცემს და მიუთითებს ამა თუ იმ მიზეზს, რომელიც იწვევს სხვადასხვა მოვლენას ბუნებაში, ადამიანის ორგანიზმში და სხვ.: ქარისმიერი (ქარის მიერ გამოწვეული) ეროზია ветровая эрозия. ქარისმიერი ტალღები ветровые волны, ჭავლისმიერი წარეცხვა струйчатый размыв, თოვლისმიერი ეროზია снеговая эрозия, ტემპერატურის ადვექციისმიერი შეცვლა адвективное изменение температуры, ყინვისმიერი გამოფიტვა морозное выветривание, სოკოსმიერი (სოკოს მოქმედებით გამოწვეული) ავადმყოფობა, კაცისმიერი ძალა, ბუნებისმიერი, ვარსკვლავთმიერი, ძალისმიერი და ა. შ.

38. -ბადი შეესატყვისება რუს. -род სუფიქსოიდს. იგი „მბადი“ მიმღეობის უმართებულოდ გამარტივებული ფორმაა[40], რომელმაც მკვეთრად მოიკიდა ფეხი ქიმიის ენაში ზოგიერთი ქიმიური ელემენტის

---

40 -ბადით წარმოება XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. პირველად იგი 1900-იან წლებში ვასილ პეტრიაშვილმა გამოიყენა ტერმინ ქ ა ნ გ ბ ა დ ი ს სახელ-

სახელწოდებად: ჟანგბადი кислород, წყალბადი водород, ნახშირბადი углерод, გოგირდწყალბადი сероводород, ფთორნახშირბადი, ოთხქლორნახშირბადი, ნახშირწყალბადი, ბრომწყალბადი, კაჟბადი და სხვ.

-ბადი სუფიქსოიდით წარმოება მხოლოდ ამ ტიპის მაგალითებით შემოიფარგლება.

39. **-ნაგი** „ამონაგები“ მიმღეობის ხელოვნურად შექვეცილი ფორმაა, რომელიც სულ რამდენიმე ტერმინში გვხვდება: ქვანაგი каменный, помост, შუანაგი простил, простилочный, ფიცარნაგი помост, подмостки.

40. **-მიღმა** შეესატყვისება რუს. за- წინდებულს და ნაკლებპროდუქტიულია: კათოდმიღმა закатодный, ურანმიღმა заурановый, ბანკეტმიღმა забанкетный, ზღვისმიღმა заморский და სხვ.

აბრევიატურა როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება

ტერმინოლოგიის სტრუქტურის პრობლემების რკვევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურის საკითხს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამეცნიერო ენის საკითხებს და რომლის გამოყენება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე.

აბრევიატურა განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია. იგი ორი, სამი და მეტი სიტყვის შემოკლებით მიიღება[41]. იგი სხვადასხვა პრინციპით და სხვადასხვა მიზნით შეიძლება იყოს შედგენილი: 1. ან სიტყვათა დასაწყისი მორფემებისაგან (სახელგამი — სახელმწიფო გამომცემლობა), ან ინიციალებისაგან (მქკ — მარგი ქმედების კოეფიციენტი). აბრევიატურის ასეთ ტიპს აკრონიმი ეწოდება. აბრევიატურა ძირითადად წერისას იხმარება, თუმცა ზოგი მათგანი სალაპარაკო ენაშიც ადვილად იკიდებს ფეხს. ტერმინების აბრევიატურული სის-

---

წოდებად (იხ. რ. ნიკოლაძე. ზოგადი ქიმიის ტერმინოლოგია და ნომენკლატურა. — საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები, VI, 1950, გვ. 155), რომელიც შემდეგ სხვა ქიმიურ დასახელებათა მოდელად იქცა. მალე „ქართული ტექნიკური ლექსიკონის (სიტყვარის)“ შემდგენლებმა ეს აფიქსოიდი კიდევ უფრო უმართებულო -მანი აფიქსოიდით შეცვალეს (ჟანგმანი кислород, ნახშირმანი углерод, წყლომანი водород, კაჟმანი кремний) (ამგვარი წარმოების ხელოვნურობის შესახებ იხ. რ. ღამბაშიძის სტატია: „პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში“. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V, 1981, გვ. 162), რომელმაც ფეხი ვერ მოიკიდა და კვლავ -ბადით წარმოება დამკვიდრდა.

41 იხ. Кузьмин Н. П. Нормативная — ненормативная специальная лексика. Лингвистические проблемы, М., 1970, с. 75—76; გ. წიბახაშვილი, აბრევიატურის საკითხისათვის ქართულში. — თუშ, 1965, ტ. 114, გვ. 273—300.

ტემა საშუალებას იძლევა გრძელი და მოუხერხებელი დასახელებები შეცვლილი იქნეს სხარტი, შინაარსის ზუსტად ამსახავი მოკლე დასახელებებით. მაგრამ აბრევიატურების შედგენა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც ქმნის დიდძალი ომონიმების გაჩენის შესაძლებლობას[42]. ჯერ, პირველ რიგში, ტერმინი უნდა იქნეს დადგენილი, რომ მისი აბრევიაცია მოხდეს.

ქართულისათვის, როგორც პრეფიქსების მქონე ენისათვის, ძნელია აბრევაცია, უფრო სწორად, ქართულში აბრევაციას არახელსაყრელი პირობები ხვდება, მაგრამ მისი საჭიროება იმდენად დიდია, რომ დღეს მეცნიერება მას გვერდს ვერ აუვლის.

აბრევიატურის შედგენის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი წარმოთქმის მეტ-ნაკლებად კეთილხმოვანების პრინციპიც, მაგ.: რუსული ГОСТ ქართულში ს ა ს ტ-ითაა გადმოცემული. აკრონიმული შემოკლების შედეგად სსტი-ც შეიძლებოდა დასაშვებად მიჩნეულიყო, მაგრამ ევფონიის პრინციპის თანახმად პირველი მარცვალი იქნა დატოვებული, რამაც საგრძნობლად გააადვილა ამ შემოკლების ზეპირმეტყველებაშიც ხმარება.

დასასრულ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ აბრევიატურა ერთი რომელიმე ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებში უნდა კეთდებოდეს, თორემ შეიძლება მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს და გაუგებრობის წყაროდ იქცეს.

აბრევიატურა სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს[43]. აღწერილი უნდა იყოს მისი შედგენის ძირითადი საშუალებანი და ის თავისებურებანი, რომლებიც გზადაგზა გვხვდება. ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურის ტერმინებად ქცევის ტენდენციებს[44].

ცალკე უნდა გამოიყოს ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთი სტრუქტურული ტიპი — სიმბოლური დასახელებანი. ეს გახლავთ ასოებით, ციფრებით, ფორმულებით, სქემებით, ნახატებით და ა. შ. გამოხატული სახელწოდებანი (მაგ. α-ნაწლაკი, β-სხივები, T-სებრი, W-სებრი და სხვ.)[45].

---

[42] იხ. Лотте Д. С. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[43] აბრევიატურასთან დაკავშირებით იხ. Ицкович В. А. Новые тенденции в образовании аббревиатур. — Терминология и норма. М., 1972, с. 88.

[44] ყველასათვის ცნობილია აკრონიმების — ლაზერის, მაზერის, კვაზერის და გრაზერის მაგალითები. იხ. Беркман А. С. (Выступление). — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970. с. 183.

[45] Даниленко В. П. Русская терминология, М., 1977, с. 37.

თავი მეხუთე

ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია. უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხები

ცალკე უნდა გამოიყოს ტერმინოლოგიის დარგში პრაქტიკული მუშაობა, რომელიც ტერმინოლოგიურ ლექსიკოგრაფიას, ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს უკავშირდება. ლექსიკოგრაფია ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი კარდინალური უბანია, რომელიც თავს უყრის მრავალი პრაქტიკული თუ თეორიული მნიშვნელობის საკითხს[1].

წინამდებარე ნაშრომში არაა განხილული ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის ყველა ფუნდამენტური საკითხი: მისი ისტორია, ან მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები, არაა მოცემული ადრეული პერიოდების (ნაბეჭდი თუ ხელნაწერი) ტერმინოლოგიური ლექსიკონების ზოგადი მიმოხილვა, თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა ტიპების ანალიზი (ორენოვანი, სამენოვანი და მეტენოვანი თარგმნითი ლექსიკონები, ნორმირებული და არანორმირებული, კრებსითი და ვიწროდარგობრივი, ინვერსიული და რევერსიული, განმარტებითი და ორთოგრაფიული დარგობრივი ლექსიკონები, თეზაურუსები და ა. შ.), არაა დასმული ამ ლექსიკონთა შეფასების საკითხები, არაა აღწერილი ცალკეული ლექსიკონის აგების პრინციპები, სალექსიკონო ერთეულთა ლექსიკონში შეტანის სხვადასხვა თვალსაზრისი (ბუდობ-

---

[1] ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის სხვადასხვა საკითხს ეძღვნება მრავალი საინტერესო შრომა იხ. Сергеев В. Н. Термины как объект лексикографии. — Современные проблемы терминологии в науке и технике М., 1969, с. 122 — 148; მისივე, О типах современных терминологических словарей. — Вопросы разработки научно-технической терминологии. Рига, 1973, с. 190—200; Кузьмин Н. П. Нормативная и ненормативная специальная лексика. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 68—81; Сифоров В. И. Проблемы научно-технической терминологии. — Вестник АН СССР. М., 1975, № 8, с. 17; ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის ზოგი კერძო საკითხია გაშუქებული კრებულში: „Проблематика определений терминов в словарях разных типов". Л., 1976 და სხვ.

რივი, ანბანური, თემატური) და ბევრი სხვა საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების საქმიანობაში ყველაზე მთავარი ადგილი სწორედ ლექსიკოგრაფიულ მუშაობას უკავია[2].

ჩვენ ამ დიდი საკითხის მხოლოდ ორ მხარეს შევეხებით. ეს გახლავთ: ა) სიტყვანის და ბ) ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის საკითხები.

ტერმინოლოგიური ლექსიკონის სიტყვანი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, ლექსიკოგრაფებისა და, კერძოდ კი, ტერმინოლოგების მსჯელობის საგანი. მას სპეციალურად ეძღვნება ტ. ბრიანცევას სტატია, რომელშიც განხილულია ორენოვანი (რუსული და რომელიმე სხვა ენის) ტერმინოლოგიური ლექსიკონების სიტყვანის საკითხი[3].

როგორც სამართლიანად აღნიშნავს სტატიის ავტორი, სიტყვანი ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონისათვის უნდა დგებოდეს სხვადასხვაგვარად, ყოველი კონკრეტული ენისათვის ცალკე, იმისდა მიხედვით, თუ როგორია პრაქტიკული მოთხოვნილება რესპუბლიკისა, მისი კულტურული და ეკონომიკური ცხოვრებისა, ერთი მხრით, და ფუნქციები ამ ენისა და მისი განვითარების პერსპექტივები, მეორე მხრით. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ სიტყვანის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, თუ როგორი ტიპის ლექსიკონისათვის დგება იგი, ბუნებრივია, რაიმე უნივერსალურ სიტყვანზე, რომელიც გამოდგებოდა ყველა ენისათვის და ყოველგვარი ლექსიკონისათვის, ლაპარაკი არაა შესაძლებელი. და მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც ერთიანი ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულო უნდა იყოს ტერმინოლოგიური ლექსიკონის სიტყვანის ყველა შემდგენელისათვის: სპეციალურ სიტყვანებში თავმოყრილი უნდა იყოს მეცნიერული ცნებების გამომხატველი ტერმინები და მინიმუმამდე დაყვანილი ან სულ განდევნილი ამ ცნებებთან არაუშუალოდ და-

---

[2] ავტორს ეს ნაწილი ცალკე შრომად აქვს გათვალისწინებული.

[3] Брянцева Т. Г. О словниках терминологических словарей. — Вопросы терминологии. М., 1961, გვ. 84—87. სიტყვანის საკითხს უშუალოდ შეიძლება დავუკავშიროთ ვ. ოვჩარენკოს სტატიის ის ნაწილიც, სადაც დასმულია სხვადასხვა კონტექსტური, არატერმინოლოგიური ხასიათის შესიტყვებებიდან საკუთრივ ტერმინოლოგიური მასალის გამოყოფის საკითხი, კერძოდ კი, საკლასიფიკაციო ანალიზის შედეგად ვრცელ გამოთქმათა ცალკეულ კომპონენტებად დაშლის საკითხი, (იხ. Овчаренко В. М. Концептуальная, семантическая и семиотическая целостность термина.—Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 68—81; მისივე: Термин, аналитическое наименование и номинативное определение. — Современные проблемы терминологии в науке и технике. М., 1969, с. 91—121).

კავშირებული დამხმარე ერთეულები. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ეს ასე არ არის. ზოგჯერ ერთნაირად არ არის უზრუნველყოფილი სიტყვანის მოცულობა და შედგენილობა, არაა დადგენილი საზღვრები ამა თუ იმ დარგის ლექსიკისა, ე. ი. არაა მკვეთრად გამიჯნული ერთი დარგი სხვა დარგის მასალისაგან, არაა იგი გაცხრილული ჩვეულებრივი, ყოველდღიური ხმარების სიტყვებისაგან, რომელთა შეტანა უკარგავს ლექსიკონს სპეციალურ, მეცნიერულ ხასიათს[4].

სიტყვანისათვის მასალის შერჩევა არაა მარტივი საქმე. სპეციალისტს ზედმიწევნით კარგად უნდა ესმოდეს — რა შეიტანოს სპეციალურ ლექსიკონში და რა დატოვოს საერთო ენის ლექსიკურ მასალად. ზოგჯერ ეს საკითხი სხვადასხვა დარგის მიმართ სხვადასხვაგვარად დგას. მაგალითად, ტექნიკის რომელიმე დარგის, მედიცინის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შემდგენელთათვის თუ მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა, რა მასალასთან უნდა ჰქონდეთ მათ საქმე სიტყვანის აგებისას, ეს შეიძლება ყოველთვის ნათელი არ იყოს იმ სპეციალისტებისათვის, რომელთაც უხდებათ კულინარიისა და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საქონელთმცოდნეობის, არქეოლოგიისა და მისთანათა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა. როგორი უნდა იყოს შემდგენლის ორიენტაცია ამგვარ სიტყვანთა აგებისას? იქნეს თუ არა შეტანილი ყველა კერძის დასახელება კულინარიის ტერმინოლოგიაში, ან ყველა საქონლის დასახელება — საქონელთმცოდნეობაში? შევიდეს თუ არა ლექსიკონში სასურსათო თუ სამრეწველო მზა პროდუქციის ყველა დასახელება, რომელიც ვაჭრობის დარგში იხმარება? შეიტანოს თუ არა არქეოლოგიური ლექსიკონის შემდგენელმა ყველა რეალია, რომელიც მას გათხრების დროს ხვდება და სხვ.

ამ სირთულეს ბევრი სხვაც ერთვის. კერძოდ, რა მეტყველების ნაწილები იქნეს გათვალისწინებული სპეციალურ სიტყვანში. რა ადგილს დაიჭერს მათ შორის ზედსართავი სახელები, მიმღეობები და სხვ.

---

4 ხშირად ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონში შეხვდებით სალაპარაკო თუ საერთო ენის მასალას. მაგ., ინგლისურ-რუსულ სამშენებლო ლექსიკონში (იხ. Англо-русский и русско-английский строительный словарь. Киев, 1961) ვხვდება სიტყვები: ვედრო, შეშა, სიცხე, ყოველდღიურად, ყოველწლიურად, გვალვა, ცივი, თბილი, მწვერვალი (მთისა), ბაზარი, ძველი, ტალახი, მარგალიტი, ბლანკი, კანონი, ქარხანა, ვაგონი და სხვ. ეს სიტყვები ლექსიკონში ხან ბუდის შემკრებ სიტყვადაა გამოყენებული, ხან კი — სრულიად დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად. ორსავე შემთხვევაში ამგვარ სიტყვათა ლექსიკონში შეტანა გაუმართლებელია.

სიტყვანს, როგორც წესი, უნდა ადგენდეს სპეციალისტი (თანაც წამყვანი და გამოცდილი სპეციალისტი!) იმ დარგისა, რომლის ტერმინოლოგიაც მუშავდება. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს წიგნის მეცნიერული პროფილი. ამ ეტაპზე ლინგვისტის დახმარება სასურველიცაა და საჭიროც, მაგრამ ამას ისეთი კატეგორიული ხასიათი შეიძლება არ ჰქონდეს, როგორც სხვა სახის ტერმინოლოგიური სამუშაოს შესრულებისას.

ტ. კანდელაკის აზრით, სიტყვანი ყოველი დარგისათვის ორ ეტაპად უნდა იქნეს შესრულებული: ჯერ უნდა გაკეთდეს წინასწარი სიტყვანი და ამის შემდეგ კი — სისტემატიზებული სიტყვანი. სწორედ სისტემატიზებული სიტყვანია რომ გვაძლევს ცნებათა ლოგიკურ სქემას, რაც აუცილებელი პირობაა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესადგენად. მუშაობის პირველ ეტაპზე ხდება ცნებათა ფიქსირება იმ სახით, როგორც ეს მოცემულია ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ტერმინოლოგიაში, ე. ი. ყველა თავისი სინონიმიითა და მრავალმნიშვნელიანობით. მუშაობის ამ ეტაპზე ტერმინებს უნდა მიეცეს წინასწარი განმარტებანი, რომლებიც შეიძლება ყოველთვის ერთნაირი სიზუსტით არც ხასიათდებოდეს, რადგანაც ასახავს მეცნიერების განვითარების სხვადასხვა საფეხურს, სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების თვალსაზრისს. თითოეული ეს განმარტება ხომ თავის დროზე ცალკე იყო აგებული ისე, რომ მხედველობაში არ იყო მიღებული ცნებათა სისტემატურობის საკითხი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამგვარ მუშაობაში. ამის შემდეგ ხდება განმარტებათა დადგენა და ცნებათა და ტერმინთა ზუსტი და მეცნიერული ფორმულირება. აქვე უნდა იყოს აღნიშნული ისიც, რომ ტერმინოლოგია უნდა იქნეს შედგენილი არა ყოველი დარგისათვის (ყველა დარგი შეიძლება არ იყოს მზად იმისათვის, რომ შემუშავებული იქნეს მისი ტერმინოლოგია), არამედ იმ დარგისათვის, რომელიც მეცნიერების განვითარების მაღალ და განვითარების თანამედროვე დონეს ასახავს[5].

ეროვნულ ენებზე ტერმინოლოგიის შედგენა, ერთი შეხედვით, თითქოს არ გულისხმობს ტერმინოლოგიური სამუშაოს ყველა იმ ეტაპის გავლას, რომელიც საზოგადოდ ტერმინოლოგიის მოწესრიგებისათვისაა საჭირო. შეიძლება, იმის გამო, რომ სიტყვანის სამუშაოს ის ძირითადი ეტაპი, რომელიც ცნებათა გამოვლენასთან ანუ, როგორც ახლა უწოდებენ სამეცნიერო ლიტერატურაში, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის „ლოგიკური სქემის" შედგენასთანაა დაკავშირებული, მეტ-

---

[5] Канделаки Т. Л. Работа по упорядочению научно-технической терминологии и некоторые лингвистические проблемы, возникающие при этом. — Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 41—42.

წილ შემთხვევაში უკვე გაკეთებულია რუსული სინამდვილისათვის (და ქართულისთვის ხომ ისევე, როგორც სხვა ენისათვის, საორიენტაციოდ სწორედ რუსული ენის სიტყვანია მიჩნეული), ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვანის საკითხთან დაკავშირებული ყველა სირთულე მოხსნილია ქართულში[6]. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ჩვენ რუსულიდან აღებულ მზამზარეულ სიტყვანს ვთარგმნიდეთ და რომ ჩვენი ამოცანა მხოლოდ ქართული შესატყვისების დაძებნაში მდგომარეობდეს. ჯერ ერთი, მთელ რიგ დარგებში ასეთი გამზადებული სიტყვანი შეიძლება არც რუსულ ენაზე არსებობდეს (ან იმიტომ, რომ ამ დარგის ტერმინოლოგია, შესაძლებელია, ჯერ არც იყოს შედგენილი და გამოქვეყნებული; შეიძლება არ არსებობდეს ამ დარგში არც განმარტებითი ლექსიკონი, არც ცნობარი და არც სტანდარტი. ისიცაა შესაძლებელი, რომ ზოგჯერ დარგის სპეციფიკის მიხედვით არც როდესმე დადგეს რუსულისათვის ამა თუ იმ ლექსიკონის შედგენის პრაქტიკული საჭიროება, ვთქვათ, ისეთ სპეციალურ დარგებში, როგორიცაა: მეცხვარეობა, მევენახეობა და მისთ.); მეორეც, კიდეც რომ იყოს ასეთი გამზადებული სიტყვანი, იგი ალბათ მთლიანად არ შეიძლება ემთხვეოდეს მასალობრივად სხვა ენაზე შედგენილ სიტყვანს, ან უკმარი იყოს იმ საჭიროებისათვის, რომელიც ამ ენებს აქვს. ამგვარად, სიტყვანის შედგენა არაა უბრალო ინვენტარიზაცია რუსულ თუ სხვა რომელიმე ენაზე შექმნილი ტერმინებისა.

სიტყვანზე მუშაობას ყველა ენაში თავისი სპეციფიკა აქვს.

სიტყვანის შემდეგ დგება ქართული ეკვივალენტების შერჩევისა და შექმნის ყველა იმ რთული საკითხების წყება, რომელიც, საზოგადოდ, ყველა ტერმინოლოგიის წინაშე ისმის და რომელზედაც დაწვრილებით გვქონდა საუბარი, როდესაც ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის აგების საკითხებზე ვმსჯელობდით. ესაა გამოყენება მთელი იმ ლექსიკურ-გრამატიკული არსენალისა, რომელიც ენას გააჩნია, და მისი მისადაგება კონკრეტულ სატერმინოლოგიო მასლასთან.

ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და ნორმალიზაციის საკითხები ძალიან ვრცელსა და რთულ ოპერაციებს ვარაუდობს. აქაო და ტერმინოლოგიაში ხელოვნური ჩარევა დასაშვებიაო — ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სიტყვების „გაკეთება“ შეიძლება. ხელოვნურად ხომ მართლაც დაუბრკოლებრივ შეიძლება გამოინახოს გზები ყველა ცნე-

---

6 ცნობილია ჩვენს მუშაობაში საკავშირო სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიური კომიტეტის მიერ შედგენილ ტერმინთა პროექტების, რეკომენდაციებისა და მათი შრომების საფუძველზე შედგენილი სტანდარტების როლი. ეს მასალა უტყუარი სახელმძღვანელოა და საუკეთესო დასაყრდენი ყველასათვის, ვისაც კი ტექნიკის დარგის გარკვეული დისციპლინების ტერმინოლოგიასთან ჰქონია საქმე.

ბის დასასახელებლად: გამოგონებულ იქნეს აფიქსები, ნებისმიერი ცნებისათვის სახელდახელოდ შეიქმნას სიტყვები და ა. შ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ერთი შეხედვით „ხელოვნურობას“, თითქოს ამ თავისუფალ ოპერაციებს, თავისი კანონზომიერება აქვს. ეს მთელი ხელოვნებაა, რომელიც ენის საერთო სემანტიკურ-სტრუქტურულ ინოვაციათა შესაძლებლობის რაღაც გარკვეულ საზღვრებსა და მიჯნებს გულისხმობს. აქ არის სწორედ დამარხული ტერმინოლოგთა ენობრივი ალღოს, გემოვნებისა და ენის შესაძლებლობათა გამოვლენის საიდუმლოება.

კონკრეტულად იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენში მასალის მოპოვებისა და დამუშავების ტექნიკა, აღარ შევჩერდებით, რადგანაც ეს საკითხი ჩვენ მიერ სპეციალურადაა განხილული[7].

ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთაც ემყარება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიური სკოლა, ძირითადად იგივეა, როგორიც იყო ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის დროს, როდესაც ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში მყარ მეცნიერულ-ორგანიზაციულ საფუძველზე დაეფუძნა. ოღონდ, ბუნებრივია, ამჟამად ეს პრინციპები უფრო სრულყოფილია, დახვეწილი და შეხამებულია როგორც ზოგად თეორიულ პრინციპებთან, ისე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან, რომელიც მუშავდება ენათმეცნიერების ინსტიტუტში და მტკიცდება საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული „თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ მიერ. აქ მიღებულ ტერმინებს უკვე კანონის ძალა აქვს და სავალდებულო სახმარებლადაა მიჩნეული ტერმინოლოგიური მუშაობის ყველა უბანზე.

ლექსიკოგრაფიული მუშაობა, ცნებათა ტერმინირება და მათი სრული ნორმალიზაცია — ეს მოღვაწეობის ისეთი სფეროა, რომელიც ითხოვს არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა შეთანხმებულ მუშაობას, არამედ (რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია) ენათმეცნიერებთან ერთად მათ მოღვაწეობას. ამიტომაც ყველა ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც ჩვენში მუშავდება, სპეციალისტებისა და ლინგვისტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. სპეციალისტები ავლენენ ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში ხმარებულ ცნებებს, ასაბუთებენ მათი ფიქსირების საჭიროებას, ადგენენ ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში ტერმინოლოგიური ლექსიკის მოცუ-

---

[7] რ. გამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში.—ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. I, 1974; Гамбашидзе Р. Б. Деятельность отдела научной терминологии Института языкознания АН ГССР.— Проблемы разработки и упорядочения терминологии в Академиях наук союзных республик. М., 1983, с. 214—221.

ლობასა და მიჯნებს, იძლევიან ამ ცნებათა განმარტებებს, ხოლო ენათმეცნიერები ქართული ენის გრამატიკული ნორმებისა და ლექსიკური შესაძლებლობების მიხედვით აზუსტებენ და შეიმუშავებენ ქართულ ადეკვატურ შესატყვისებს და უზრუნველყოფენ თითოეული ტერმინის აგების სისწორეს.

ახალ ტექნიკურ დისციპლინათა განვითარებამ და უჩვეულო ძვრებმა ტექნიკის დარგში, წარმოების კომპლექსურმა ავტომატიზაციამ, გამოთვლითი ტექნიკისა და სარაკეტო ტექნიკის განვითარებამ, მათემატიკური მეთოდების დანერგვამ, საინფორმაციო პროცესთა ავტომატიზაციამ, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანათა გამოყენებამ სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და აღრიცხვის სისტემაში, ე. ი. ყველაფერმა იმან, რასაც „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“ ეწოდება, დღის წესრიგში დააყენა ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საკითხი.

სახელმწიფო სტანდარტები წინათ თუ მოიცავდა სახალხო მეურნეობის დარგების პროდუქციას, კონკრეტულ ნაკეთობათა სახეებს, ტექნოლოგიურ პროცესებს და ა. შ., დღეს სტანდარტიზაცია შეეხება ტერმინოლოგიას, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის დარგების ტერმინოლოგიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მანქანების, აპარატების, მოწყობილობების, მასალების, სხვადასხვა სამრეწველო საქონლის, წარმოების საგნების, ტექნოლოგიური პროცესების, სიდიდეების, საზომი ერთეულებისა და მისთ. დასახელებებს[8].

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციას დიდი ყურადღება ექცევა ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში. ამაზე ზრუნვა ჩვენს ქვეყანაშიც ადრე იყო წამოწყებული.

1965 წლიდან მთავრობის დადგენილების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სტანდარტიზაციის შესახებ კიდეც ჩამოყალიბდა სპეციალური ინსტიტუტი ВНИИКИ (ტექნიკური ინფორმაციის, კლასიფიკაციისა და კოდირების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციას[9].

რაში გამოიხატება ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია? რა მიმართება არსებობს ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას ანუ მოწესრიგებას შორის?

---

8 რ. დვალი, რ. ღამბაშიძე, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1977.

9 ამ ინსტიტუტის მუშაობის შესახებ იხ. ლ. ბელახოვის სტატია წიგნში: Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 176—180.

ტ. კანდელაკი და გ. სამბუროვა, გვაძლევენ რა ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის განმარტებას, უშუალოდ გვიპასუხებენ ზემოთ დასმულ კითხვებზე: ტერმინი „მოწესრიგება“, — როგორც ავტორები წერენ, — ლოტეს ეკუთვნის. მოწესრიგებული ტერმინოლოგია არის ბუნებრივად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის წესრიგში მოყვანა, გაუმჯობესება. ეს ტერმინი არ გულისხმობს ოფიციალურ მხარეს, ე. ი. ტერმინოლოგიის საყოველთაობას ან არასაყოველთაობას (ან უფრო სწორად: სავალდებულობას ან არასავალდებულობას).

მოწესრიგებული ტერმინოლოგია შეიძლება გამოიცეს რეკომენდებული ტერმინების კრებულად, სტანდარტის სახით, ნორმალად და ა. შ.

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია ორ მხარეს შეიცავს: ა) მოწესრიგებული ტერმინოლოგიის მომზადებას და ბ) ამ მოწესრიგებული ტერმინოლოგიის ოფიციალურად გაფორმებას სტანდარტების სახით. მათი აზრით, არ არის აბსოლუტურად არავითარი განსხვავება ტერმინოლოგიის მოწესრიგებასა და სტანდარტიზაციის ამ პირველ ეტაპს შორის.

სტანდარტიზაციის ხარისხი საგნებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორადაა მოწესრიგებული ტერმინოლოგია[10].

როგორც დავინახეთ, სტანდარტიზაციის წინაშე ძირითადად ის ამოცანები დგას, რაც ტერმინოლოგიის მოწესრიგებისას (ე. ი. იგივე საკითხები მრავალმნიშვნელობიანობისა და სინონიმიის თავიდან აცილებისა, არსებული ტერმინებიდან უკეთესი ვარიანტის შერჩევისა, ტერმინისა და ცნების შესატყვისობისა, უცხოური ეკვივალენტების დადგენისა და სხვ.).

სტანდარტიზაციისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის საქმეს დღეს ჩვენს ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ინსტიტუტში განსახილველად წარმოდგენილი მასალა წინასწარ უნდა იყოს შეჯერებული სახელმწიფო სტანდარტებთან. ამ პირობის გარეშე ტერმინოლოგიური მასალა არ განიხილება.

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია, ისევე როგორც მისი მოწესრიგება, საჭიროებს ტერმინოლოგიური მასალის ლინგვისტურ ანალიზსა და მისი სტანდარტიზაციის მეთოდებისა და მეთოდიკის შემუშავებას.

ამგვარად, ზოგადი მეთოდოლოგიური საყრდენები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ტერმინთა და ტერმინოლოგიების აგებისა და

---

[10] Канделаки Т. Л., Самбурова Г. Г. Вопросы моделирования систем значений упорядоченных терминологий. — Современные проблемы терминологии в науке и технике, 1969; Даниленко В. П. Русская терминология, 1977, с. 128—131.

შექმნის საქმეს, მისი უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს, ძირითადად ერთია ყველა ენისათვის, მათ შორის, ქართულისთვისაც. ტერმინოლოგთა ამოცანაა გაარკვიონ, რა სპეციფიკას გვაძლევს თითოეული ეს ენა ამ საერთო თეორიული საფუძვლების ფონზე, როგორ იყენებს ესა თუ ის ენა თავისი თუ სხვა ენის მონაცემებს, რა თავისებურებებს იჩენს იგი ტერმინის, როგორც განსაკუთრებული სემიოტური ნიშნის, საერთო პარამეტრების დადგენაში. ასეთი დასკვნების გასაკეთებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კონკრეტული ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის, მონაცემთა ჩვენება, გენეტური თვალსაზრისით მისი შეფასება, ენის დღევანდელი ვითარების გათვალისწინება, ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე გარკვევა იმისა, თუ რა ადგილს დაიჭერს ქართული ენა საერთო სისტემაში, რომელსაც ზოგადად ტერმინოლოგია ეწოდება.

РЕЗЮМЕ

Грузинский язык как язык древнеписьменный имеет устойчивые традиции по выработке терминологической лексики для разных областей знания. Уже в V веке в Грузии функционировал разработанный литературный язык и были налицо все предпосылки, способствовавшие развитию богатой терминологии.

Попытки создания грузинской научной лексики восходят к X—XII вв., к эпохе общего расцвета культуры, развития гуманитарных наук и художественной литературы, а также расширения переводческой деятельности. Созданные деятелями этих веков (Евфимия и Георгия Мтацминдели, Ефрема Мцире, Иоанна Петрици, Арсена Икалтоели и др.) многие термины и поныне употребительны в грузинской научной литературе.

Большой вклад в развитие научных терминов внес известный грузинский лексикограф Сулхан-Саба Орбелиани, в словаре которого дается беспримерная для того времени детализация различных понятий и их научная дефиниция.

Этот словарь и по настоящее время является одним из основных источников при разработке различных отраслевых терминологических словарей.

В деле обогащения грузинского литературного языка терминологической лексикой немаловажны заслуги продолжателей традиции Сулхан-Саба Орбелиани, известных грузинских деятелей Вахтанга VI-го (1675—1737), Вахуштия Багратиони (1696—1757), Антония Каталикоса (1720—1788), Давида Ректора (1745—1824), Гайоза Ректора (1746—1821), Иоанна Багратиони (1768—1830), Теймураза Багратиони (1782—1846), Нико Чубинашвили (1790—1847), Давида Чубинашвили (1814—1891) и других.

Специального изучения заслуживает с точки зрения терминологической язык научных книг и учебников, созданных на грузинском языке в XVII—XVIII вв. (по арифметике, геометрии, астрономии, физике, юриспруденции, философии, логике, грамматике, истории, географии...).

Развитию грузинской терминологии к началу XIX века значительно способствовало присоединение Грузии с Россией и установление прочных культурных связей между ними.

В 60-е гг. XIX века передовая грузинская интеллигенция, получившая высшее образование в России, со всей остротой поставила в порядок дня вопрос о создании новых научных терминов и составлении переводных двуязычных (русско-грузинских и грузинско-русских словарей).

Вопрос о создании научной терминологии на грузинском языке с особенной остротой встал к началу XX века, в особенности после Октябрьской революции, в связи с национализацией грузинских школ, с одной стороны, и с развитием различных отраслей науки, с другой стороны.

Первый опыт составления технического терминологического словаря принадлежит Грузинскому техническому обществу, издавшему в 1920 г. «Русско-грузинский технический словарь», объемом в 9000 терминов и терминологических выражений. Второе издание этого словаря, переработанное и дополненное грузинско-русской частью, было напечатано в 1921 году.

Этот словарь, составленный для практических нужд, не был лишен серьезных недостатков, которые заключались, в основном, в его крайне пуристическом характере: авторами были игнорированы все заимствованные слова, они были заменены грузинскими эквивалентами, в ряде случаев искусственными, не оправданными строем грузинского языка, терминами. Были погрешности и в области словообразования. В словаре не были в должной мере использованы традиции литературного грузинского языка.

В отдельных случаях авторами были созданы удачные термины, которые прочно вошли в грузинскую научную техническую литературу и поныне являются вполне адекватными терминами соответствующих понятий.

Систематическая, основанная на научных принципах, терминологичекая работа в Грузии развернулась с 1921 года, после установления Советской власти, когда существенные изменения произошли в политической, экономической и культурной жизни, и началась новая эпоха технического и научного прогресса. С этого времени разработка терминологии стала считаться делом государственного значения, и по решению правительства, именно с 1921 года, при Наркомпросе Грузии был организован «Государственный ученый совет», занимающийся и вопросами терминологии (под руководством проф. И. Джавахишвили).

В 1925 г Совет был реорганизован в Центральный научный терминологический комитет при Совнаркоме Грузии, а позже, с 1936 года — в Отдел научной терминологии Института языка, истории и материальной культуры при филиале АН Грузинской ССР.

С 1941 г. Отдел научной терминологии вошел в состав Института языкознания АН Грузинской ССР и с первых же дней по специальному постановлению правительства был

облечен правами санкционирования изданий терминологических словарей в масштабе республики.

Со дня учреждения Терминологического комитета, к работе которого были привлечены видные ученые Грузии, и по сей день изданы общие и узкоотраслевые терминологические словари (в количестве пятидесяти шести названий): по математике, физике и электронике, языку и литературе, библиотековедению, библиографии и полиграфическому производству, ботанике, геологии и палеонтологии, горному делу, металлургии, медицине, экономике, юриспруденции, географии, гидротехнике, химии и т. д. (полный перечень, расположенный в хронологическом порядке, дается в приложении).

Методологические принципы, лежащие в основе научной терминологии, в процессе построения и упорядочения терминологии сводятся к следующему:

Основным источником создания терминологической лексики является лексический материал грузинского литературного языка. Современная терминология в готовом виде получает и использует слова, возникшие в процессе многовекового развития грузинского языка и превращает их в специальные термины.

Процесс превращения слов из фонда общего языка в термины, естественно, иной раз увязывается с заложенными в языке возможностями пересемантизации слов — сужением, расширением, а иногда дифференциацией этих значений между существующими в языке нюансами.

В грузинском языке постоянной базой для создания новых терминов является также словообразование (богатые возможности аффиксации — префиксации, суффиксации и конфиксации, словосложения).

Помимо исконной лексики современного литературного языка, немало случаев, когда для создания нового термина привлекается лексика грузинских диалектов.

Немало случаев, когда для создания терминов применяется и способ активизации сравнительно нераспространенных словообразующих аффиксов.

Одним из важнейших источников обогащения терминологической лексики являются интернациональные слова, которые и составляют значительный процент лексики терминологических словарей.

Интернациональные слова (преимущественно слова греческого и латинского происхождения), заимствования которых имеет многовековую традицию и эквиваленты которых отсутствуют в грузинском, и, вместе с тем, употребление которых прочно вошло в словарный запас других языков, остаются без перевода, но, разумеется, с фонетической адаптацией, свойственной системе грузинского языка. При

заимствовании принимаются во внимание определенные традиции и нормы их передачи.

Особо следует выделить роль русского языка как важного источника обогащения грузинской научной терминологии.

Большая часть иностранных слов, в особенности термины, заимствованные из новых европейских языков, укореняются в грузинском посредством русского языка.

Таким образом, язык науки использует все средства литературного языка, его лексики и всевозможный словообразовательный инвентарь.

Вместе с тем терминотворчество содержит нечто новое, что отличается от словотворчества общелитературного языка. Это — новые, дополнительные пути и средства, целый арсенал возможных и мотивированных образований, необходимых для терминологических нужд и обусловленных специальной функцией терминологической лексики.

Примерами такого терминологического образования можно назвать создание в грузинском языке целой категории причастных форм, соответствующих русским причастиям средневозвратного залога настоящего времени.

К таким же специфическим образованиям можно отнести семантическую дифференциацию некоторых синонимических аффиксов в языке химии, приемы обозначения таксономических единиц животных в терминологии зоологии и др.

Говоря о принципах построения терминов, само собой разумеется, должное внимание уделяется вопросам однозначности термина, его точности, относительной краткости, стилистической нейтральности, исключающей в термине эмоционально-экспрессивные моменты, и многим другим вопросам и аспектам, связанным с терминацией.

Все перечисленные нами принципы более или менее едины и лежат в основе работы всех терминологических центров. Специфика нашей работы заключается в путях использования указанных принципов с учетом особенностей родной речи, в уяснении потенциальных возможностей нашего языка, его богатой, многовековой традиции, в привлечении всех языковых средств, не нарушающих равновесия общих законов и норм литературного языка.

1923 წლიდან დღემდე გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონების სია

1. საგზაო-სატრანსპორტო ლექსიკონი (რუსულ-ქართული, 1923, 148 გვ.).
2. საგზაო-სატრანსპორტო ლექსიკონი (ქართულ-რუსული, 1924, 152 გვ.).
3. საგზაო-ტექნიკური ლექსიკონი (რუსულ-ქართული, 1925, 126 გვ.).
4. მათემატიკის ტერმინთა ლექსიკონი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1925, 59 გვ.).
5. მათემატიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1925, 244 გვ.).
6. საამშენებლო ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1926, 122 გვ.).
7. პროფესიათა ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1926, 66 გვ.).
8. ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1928, 176 გვ.).
9. ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1928, 70 გვ.).
10. საანგარიშო მეცნიერებათა ტერმინოლოგია (1928, 80 გვ.).
11. ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია (ლათინურ-ქართულ-რუსული, ქართულ-რუსულ-ლათინური და რუსულ-ქართულ-ლათინური, 1930, 257 გვ.).
12. ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1932, 424 გვ.).
13. კლინიკური სამეანო-გინეკოლოგიური ტერმინოლოგია (ლათინურ-რუსულ-ქართული, 1934, 41 გვ.).
14. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1935, 567 გვ.).
15. სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგიის მასალები (1936, 35 გვ.).
16. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1938, 378 გვ.).
17. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, II, ენტომოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1938, 314 გვ.).
18. გეოლოგიის, პალეონტოლოგიისა და მინერალოგიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1941, 516 გვ.).
19. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული მასალები გეოგრაფიული ტერმინოლოგიისათვის (1941, 187 გვ.).
20. მოკლე სააღრიცხვო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1942, 228 გვ.).
21. ტექნიკური ტერმინოლოგია სახელოსნო სასწავლებელთათვის (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1942, 254 გვ.).

22. მათემატიკური ტერმინოლოგია (მათემატიკა, თეორიული მექანიკა, ასტრონომია, რუსულ-ქართული, 1944, 117 გვ.).
23. საავიაციო ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1945, 176 გვ.).
24. სააღრიცხვო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1946, გვ. 180).
25. რადიოტექნიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1947, 164 გვ.).
26. ეკონომიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1947, 376 გვ.).
27. სამედიცინო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ-ლათინური, 1947, 457 გვ.).
28. მოკლე სამთო-ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1948, 86 გვ.).
29. მეტალურგიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. სახელმწიფო გამომცემლობა, 1949, 196 გვ.).
30. ნიადაგმცოდნეობის ტერმინოლოგია (1950, 47 გვ.).
31. ავტო-ტრაქტორის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1950, 298 გვ.).
32. აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია (1950. 336 გვ.).
33. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1957, 433 გვ.).
34. სააღრიცხვო-სტატისტიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1958, 400 გვ.).
35. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ-ლათინური და ქართულ-რუსულ-ლათინური, 1959, 623 გვ.).
36. მეტალურგიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1959, 324 გვ.).
37. ფიზიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1960, 140 გვ.).
38. ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული, 1960. 459 გვ.).
39. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1962, 281 გვ.).
40. იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1963, 331 გვ.).
41. ელექტროწევის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1965, 412 გვ.).
42. რადიოელექტრონიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1966, 234 გვ.).
43. ჰიდროტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1966, 187 გვ.).
44. მანქანათმშენებლობაში, ელექტროტექნიკურ და მეტალურგიულ წარმოებაში ხმარებული ზოგიერთი ტერმინი („გამჟოლი პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის" მიხედვით: ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1966, 212 გვ.).
45. გეოგრაფიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1967, 206 გვ.).
46. სატყეო-ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1968, 336 გვ.).
47. ქიმიის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1970, 220 გვ.).
48. სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1971, 307 გვ.).

49. მეფუტკრეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1972, 421 გვ.).
50. ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1973, 236 გვ.).
51. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, 1977, 521 გვ.).
52. მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1977, 90 გვ.).
53. კავშირგაბმულობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1981, 345 გვ.).
54. რადიოელექტრონიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1981, 368 გვ.).
55. ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული ნაწილი, 1982, 568 გვ.).
56. საზღვაო ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, 1985, 221 გვ.).
57. გეოფიზიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, 1986, 290 გვ.).

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ტერმინოლოგიის ლინგვისტური პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები 5

ტერმინი როგორც ენობრივი ნიშანი და მისი ფუნქციები 5
ტერმინთა სისტემა და ცნებათა სისტემა . . 12
ტერმინისა და ცნების შესატყვისობა . . 14
ტერმინთა მოტივაცია 17
ტერმინთა სემასიოლოგიური დახასიათება . . 21
პოლისემია 21
ომონიმია 28
სინონიმია 35
ანტონიმია 41
ჰიპონიმია 45
ტერმინის ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა 47
სიმოკლე ტერმინისა 50
ტერმინი და კონტექსტი 54
ტერმინოლოგიის ადგილი საერთო ენის სტრუქტურაში . . 61
ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი 69
ტერმინოლოგიისა და ნომენკლატურის ურთიერთობისათვის . . . 75

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია და შემდგომი განვითარების გზები . . 89

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკური გაზა და ძირითადი წყაროები 111

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება . . 131
რთულ სიტყვათა მოდელები და მათი სტრუქტურული ანალიზი . 140

აფიქსოიდებით შედგენილი რთული სიტყვები . 142
აფიქსოიდების ქართული ეკვივალენტები 150
აბრევიატურა როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება . . 164

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია. უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხები 166

Резюме 175

1923 წლიდან დღემდე გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონების სია 179

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3025

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
მხატვარი ს. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. გოგავა

გადაეცა წარმოებას 27. 1. 1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 5. 1986;
ქაღალდის ზომა 60×901/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 11,5;
პირ. საღ. გატარება 11.9; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.2;
უე 01143; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 581;
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19